კვირის პალიტრა

ფეხი

N47 (232) 18/XI.-24/XI.2004. ფასი 60 თ.

1168
2004

რამ აატირა ირაკლი მნაიშვილი: „...სამწუხაროდ, დამშვიდობება მომიწევს“

თემა: შვილებისთვის გაწეული თავდადება

ქურდყოფილის აღსარება: „ნაკოლის“ მომცემი უნდა მოკვდეს...“ „თუ არ გაისროლა, მკვლელი არ არის“

ახლა ჩემი სახლი მხოლოდ თბილისშია

„სოფლიდან ნიჭიერ ბავშვებს ჩამოვიყვან და ვასწავლი“



„ამ მელოდიას რომ ვუსმენ, ძალიან ვლელავ... საქართველოს დღეს მუშნი ზარანდია სჭირდება“

იყიდეთ ერთხელ, იკითხეთ მთელი წელი

უკვე გამოვიდა!

„ყვირის ჰალიცრის"
გამომცემლობამ
გამოსცა ცხოვლადცხოვ
ცხის ყოლიდნლადრი

მალე იხილავთ!

მართლმადიდებლური და
ქალთა კალენდრებს

№47 (232)
18 – 24 ნოემბერი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ევროპული ყაიდის ეროვნული უნივერსიტეტი ანუ ახალი კონფლიქტის ზონა შუაგულ თბილისში 3
ერთი კითხვა 4
ჭრელი მსოფლიო 4, 5
პერსონა
რა მოგვიტანა „ვარდების რევოლუციამ“? – „ეს რადიკალიზმი იძულებითია“ 7
სახე
ირაკლი იმნაიშვილი: „თავის სერიოზული ტრავმით და კანტუზიის ნიშნებით მოვხვდი საავადმყოფოში“ 9
ზზეები
პრიორიტეტული ავტობანი თბილისი-რიკოთი ანუ ნუ შევწირავთ დიდ პროექტებს შიდაზზებს! 11
კრიმინალი
„ბერებმა სასტიკად მაწამეს – მცემეს და შემდეგ ცხელი უთოთი დამშანთეს“ 14
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი ზოჩა ლვალის უბის წიგნაკიდან 18
დეტექტორი
ნიკო ლეკიშვილი: „ვინ ხარ? რა ხარ? რატომ ზარბისარ?.. სიკვდილს უნდა შევეგუო!“ 18
თემა
ოჯახისთვის გაწეული რისკი 20
ტესტი
ერთგული მკითხველი 22
აღსარება
ქურდყოფილის მოგონებები (გაგრძელება) 24
ზზავნილები
„ახლა მე გავიქეცი, ხვალ მაგას მოუწევს ორჯერ სწრაფად სირბილი...“ 27
თამადა
შეჯიბრი 500-კაციანი სუფრის გაძღოლისას, შამპანურით დამთვრალი 16 წლის ბიჭი და სარკეში დანახული ორეული 30
ჯანმრთელობა
- კითხვა-პასუხი 32
- ნატურალური და ხელოვნური ვიტამინები 33

თემა: შვილეზისთვის ზაწეული თავდადეზა

მართალია, რისკიანი ადამიანები ყველაზე ხშირად აღწევენ წარმატებას, თუმცა სასწორზე ზოგჯერ ყველაზე ღირებულის დადება უწევთ. ოჯახისთვის გაწეული რისკი შესაძლოა, ყველაზე მეტად იყოს გამართლებული, თუმცა წინასწარ ვერავინ განჭვრეტს, თუ რა შედეგების მომტანი იქნება იგი...

20

„...თავის სერიოზული ტრავმით და კანტუზიის ნიშნებით მოვხვდი საავადმყოფოში“

„გაკვეთილების დასრულების შემდეგ, ჩავდიოდი დედასთან სამსახურში და სამუშაო დღის ბოლოს, ერთად ვბრუნდებოდით შინ. დედაჩემის თანამშრომლები ხუმრობდით сын полка-ს მეძახდნენ, რადგან მთელი რედაქცია ერთად ამზადებდა ჩემს საშინაო დავალებებს...“

9

„ზერებმა სასტიკად მაწამეს – მცემეს და შემდეგ ცხელი უთოთი დამშანთეს“

„მანქანა გაჩერდა. გადამიყვანეს და მაშინ გავიგონე სიტყვები – აჰა, „ტავარი“ მოგიყვანეთო!.. იქვე, ფიცრულში შემიყვანეს, რკინის საწოლზე დამსვეს და ბორკილებით საწოლის თავზე მიმაბეს. დაახლოებით 6-7 კაცი მადგა თავს...“

14

ნინო ანანიაშვილის ჩაულილი ზასტროლეზი და ამზიციური ოცნეზები

„თუ ბავშვს შეუძლია იშრომოს და აგრეთვე, აქვს ღვთისგან ბოძებული, ცეკვის ნიჭი, ის ბევრს მიაღწევს. საერთოდ, ვერ ვიტან გამოთქმას – ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცია. სიზარმაცე უკვე უნიჭობაა. მარტო მონაცემები საკმარისი არ არის. სიბეჯითე და შინაგანი დისციპლინა უმთავრესია.“

39

ტაძარი
რამდენად მძიმე ცოდვაა
განკითხვა? 34
მსახიობი
ცხენისა და ხმლის მოყვარულ
თენგიზ არჩვაძეს კინოზე
საუბრისას ჭრილობა ეხსნება... 35
შემოქმედი
ნინო ანანიაშვილის ჩაშლილი
გასტროლები და ამბიციური
ოცნებები 39
რომანი
რუსუდან ბერიძე. მტაცებლის
ინსტინქტი (გაგრძელება) 42
ვარსკვლავი
ჯინა გერშონს თამაში
მუშოთვარე აზრებისგან იცავს 46
ბომონდი 47
სპორტული მოზაიკა 50
სასიძო
„თეთრი ქალი ვარ, თოვლივით
სათნო და პირმოცინარი...“ 52
პირველი პაემანი
შეყვარებულმა თანაკლასელმა
თათა ვარდანაშვილს ხელზე
იარა დაუტოვა 53
თარილი
კუთხურიდან „ჩახვეული“ გოლი,
ქართველების „დესანტი“
ტაშკენტში და ოქროს საათების
„წვიმა“ 54
ავტო 57
სიმაღლე
ნეპალის მეფის კაცური სიტყვა
და იჯარით აღებული მარშრუტები 58
ჰოროსკოპი
კვირის (22-28 ნოემბერი)
ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
როგორია თქვენი
ფსიქოლოგიური ასაკი? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

თენგიზ არჩვაძეს კინოზე საუბრისას ჭრილობა ეხსნება...



„ამ მელოდიას რომ ვუსმენ, ძალიან ვღელავ... „მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გული“, – ასე მემართება ხოლმე: როცა რაიმე მომეწონება, ის მიკლავს გულს. ვერ ვიშორებ და მაწვალებს. ამიტომ ვცდილობ, გავერიდო...“

35

ჯინა გერშონს თამაში მუშოთვარე აზრებისგან იცავს

„ხშირად მახსენდება კინოში ჩემი პირველი ეროტიკული სცენა, სადაც პარტნიორად ტომ კრუზი მყავდა. ასეთი ბიჭი შეუძლებელია, არ შეგიყვარდეს და მე ცოტათი შეყვარებული ვიყავი. და აი, „კოქტეილის“ გადაღებებზე მის გვერდით ვწევარ და ვფიქრობ...“

46

შამპანურით დამთვრალი 16 წლის ბიჭი და სარკეში დანახული ორეული

„ჩემი ვარაუდი გამართლდა. ავდექი და დავიძახე: თავი შეიკავეთ, მოდით, ნუ ავურევთ ამ ქეიფს-მეთქი. მიუხედავად ამისა, ვხედავ, ის ბიჭი მაინც ვერ ისვენებს და კიდევ რაღაც იტუტუცა. იმდენად გავმწარდი მის თავხედობაზე, რომ ვიგრძენი, ამ ბიჭს ძალიან მაგრად ვცემდი...“

30

მტაცებლის ინსტინქტი

– ანდრო როდის ნახე?

– ორი დღის წინ და ერთმანეთში ყველაფერი ბოლომდე „გავაიასნეთ“. დღეს დილით კი, დამირეკა და მთხოვა – მეგი მოძებნე და მომიყვანეო. მოძებნით კი მოგძებნე, მაგრამ ამის შემდეგ, როგორც შენ მეტყვი, ისე მოვიქცევი: გინდა, წაგიყვან და მართლა გაჩვენებ, თუ არა და...

42

ევროპული ყაიდის ერთვნული უნივერსიტეტი

ანუ ახალი კონფლიქტის ზონა შუაგულ თბილისში

გონიერი კაცი სხვის შეცდომებზე სწავლობს ჭკუას, ჩვენ კი საკუთარ შეცდომებზეც ვერ გვისწავლია! რით ვეღარ გავიგეთ, რომ ქართველმა კაცმა ყველანაირი შეურაცხყოფა შეიძლება გაპატიოს, მაგრამ მის ავტონომიურობას როგორც კი შეეხები, იმწამსვე ფაფარაშლილ ლომად იქცევა და მზადაა, თავი შეგაკლას. ხომ სწორედ ავტონომიურობის გაუქმების მცდელობამ დაგვაკარგვინა სამაჩაბლოც, აფხაზეთიც და კინაღამ აჭარაც მიგვაყოლებინა ზედ. ახლა კი უნივერსიტეტის ავტონომიურობის საკითხი დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ და ლამის შუაგულ თბილისში მივიღეთ ახალი კონფლიქტის ზონა თავის „სეპარატისტებიან-პარტიზანებიანად“... აქაც რომ ჩაგვიყენონ რუსეთის სამშვიდობო ჯარი, რაღა ქნას მერე ჩვენმა რეჟისორ-სახმინისტრმა: ყულახმეტოვს და ჩოჩიევს სდიოს ცხინვალში, ხაშბას — გალში, თუ რექტორობის მსურველებსა და მათ მომხრეებს — ვარაზისხევში?!

ამ განათლების მინისტრმა ხომ მთლად გადამრია! ხომ იყო უნივერსიტეტი თავისთვის წყნარად? ერთის მიტანილ ქრთამს ათი იყოფდა და ყველა კმაყოფილი იყო — ქრთამის მიმცემიცა და ამღებიც. შე დალოცვილო, რომ იშიშვლე ხმალივით ეს რეფორმა და შეიჭერი კორუფციულ იდილიაში, რა გეშარებოდა?! თუ არ უნდათ, სულ ნუ უსწავლიათ! შენთვისაც ხომ ასე სჯობია: აბა, თუ მართლა უმაღლესი განათლება მიიღეს, შენი განათლება ვისლა გააკვირვებს და იმ აქციებს, დღეს რომ უნივერსიტეტის ეზოში მართავენ, ხვალ კაბინეტთან მოგიწყობენ...

აღშფოთებულია სტუდენტობა: — ასეთი კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ ვის აკადრა მინისტრმაო?!.

სიმართლე გითხრათ, მეც დავინტერესდი და რომ ვნახე, არანაკლებ „აღვშფოთდი“ — უხარისხოდ დაბეჭდილია და სულ არაა გათვალისწინებული თანამედროვე სტუდენტობის ინტერესები: არც შოუბიზნესის ვარსკვლავების სურათებია დაბეჭდილი და არც მათთან ინტერვიუები პირველი ღამის შთაბეჭდილებებზე. ჰოდა, გეკითხებით, როგორ შეიძლება, ასეთი კანონპროექტი მოეწონოს დღევანდელი სტუდენტების უდიდეს ნაწილს?!

მობობოქრე სტუდენტთა ერთ-ერთი ჯგუფის ლიდერს რომ ვკითხე, რას უწუნებ-მეთქი? — მიპასუხა: — მაგას, რომ წავიკითხავ, მერე გიპასუხებო... შედეგიც სახეზეა: გაიხლიჩა უნივერსიტეტი რამდენიმე „სამთავროდ“ და ახალი რექტორის არჩევნებისთვის სულ ქვებით უხეთქავენ ერთმანეთს ისედაც ცარიელ თავებს. კანდიდატები კი უყურებენ ყველაფერს და ალბათ სიამაყით ფიქრობენ — „რა კარგი ვყოფილვარ, რამდენი სტუდენტი არ დაესწრო ლექციებს ჩემ გამოო...“

რა უნდა ამ დროს სტუდენტს ლექციაზე: თუ კონფლიქტის ზონაა, ხომ შეიძლება ის აუდიტორია ან მერხი დანაღმული იყოს მოწინააღმდეგის მიერ. ან კი ვის ელექციება და ეგანათლებულება, როცა გარეთ მთელი მისი მომავალი წყდება და საუკეთესო შანსი აქვს, კარიერაზე იზრუნოს: თუ ის კანდიდატი გახდება რექტორი, ვისთვისაც „ამდენი“ გააკეთა, ხომ დაუფასდება ამაგი: სტუდკავშირი, ასპირანტურა და მერე „სკუპ“ პოლიტიკაში...

მართლია, ცოდნას ვერ შეიძენს და ისეთივე „ერუდიტი“ დარჩება, როგორიც დღესაა, ექვსი გრამატიკული შეცდომა რომ აქვს სამსიტყვიან ტრანსფარანტზე, მაგრამ ეს ხომ სულაც არ უშლის ხელს მას პოლიტიკური კარიერის გაკეთებაში?!

რაც შეეხება კანდიდატებს, ჩემი დასაწუნი რა სჭირს რომელიმეს? ზოგი ელჩადაა ნამუშევარი და ზოგიც — რად... ჰოდა, კარგი იქნება, თუ განათლების მინისტრი ყველას „აირჩევს“ რექტორად.

ბატონო ალექსანდრე, გეხვეწები, თუ ჩემი კახა ბიძია ხარ, ყველა კანდიდატს თავისი წილი უნივერსიტეტი ჩავაბაროთ და ირექტოროს, როგორც უნდა. სტუდენტებიც იქ ისწავლიან, სადაც მათი ფავორიტი კანდიდატი იქნება რექტორი. იქნებ, ასე მაინც დავაშშმინოთ ეს ომი, თორემ მიტინგებისა და თავ-პირის მტვრევის უნარი ჩვევად გადაექცევათ და ესეც თქვენი უნარ-ჩვევა...

P.S. სტუდენტი ეუბნება დედას:

— მე უნივერსიტეტში მივდივარ და დამაგვიანდება, დღეს ბევრი ლექცია მაქვს.

— რა ლექციები გაქვს, შვილო?

— მიტინგის მოწყობა — ლექცია, ბასიანის ბრძოლა — პრაქტიკული, ქვის სროლა — მიზანში მორტყმით, რექტორის კარის აჭედვა და ბარიკადების აგება...

— რა ამბავია, შვილო, ამდენი სწავლა?! დედა, არ დამიტანჯეს ბავშვი!..

პროვოკატორი

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚᲗᲐᲛᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲖᲝᲛᲘᲗᲐᲓ „ᲓᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲗᲐᲛᲔᲜ“...

ვიეტნამის მთავრობა, ქვეყნის მოსახლეობის საშუალო სიმაღლის გაზრდის საგანგებო სახელმწიფო პროგრამის მიღებას აპირებს. სამთავრობო ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ვიეტნამელთა ტანმორჩილობის მიზეზი, ბავშვების რაციონში A ვიტამინის, აგრეთვე რძისა და ხორცის ნაკლებობაა. ეს პროდუქტები ნამდვილ დეფიციტად იმ ომის დროს იქცა, რომელიც 30 წლის წინ დამთავრდა. იმ პერიოდში, რძესა და ხორცს თურმე, მხოლოდ მდიდარ ვიეტნამელთა სუფრებზე თუ ნახავდით...

როგორც სახელმწიფო მოხელეებს მიაჩნიათ, სწორედ ამის გამო, ვიეტნამელები, რომლებიც ომის შემდგომ ათწლეულებში გაიზარდნენ, გაცილებით სუსტი ჯანმრთელობით გამოირჩევიან და ტანმორჩილებიც არიან, ვიდრე სხვა აზიელი ერების წარმომადგენლები.

აღნიშნული პროგრამის მიზანია, უახლოეს 25 წელიწადში, ვიეტნამელთა საშუალო სიმაღლე 6-7 სმ-ით გაიზარდოს. ამის მიღწევას, იმით შეეცდებიან, რომ ბავშვებს, ჩვილობის ასაკიდანვე რძის გაზრდილი დოზებით გამოკვებავენ. 1975 წლიდან (როცა ომი დამთავრდა) დღემდე, ვიეტნამელი მამაკაცების სიმაღლე 157-დან 163 სმ-მდე გაიზარდა. ქალებმა ოდნავ აჯობეს ძლიერი სქესის წარმომადგენლებს – 144-დან 152 სმ-მდე გაიზარდნენ. ეს მაჩვენებლები ქვეყნის მეცნიერებსა და მმართველთ არ აკმაყოფილებს. ■

„ᲟᲐᲜᲓᲐᲠᲛᲔᲠᲘᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ“

— გენერალური შტაბისა და შინაგანი ჯარის ხელმძღვანელები ჟანდარმერიის შექმნაზე ვერ თანხმდებიან, თუმცა პრეზიდენტმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო, კონკრეტულად რა ფუნქციები ექნება ეროვნულ ჟანდარმერიას?

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ, *თავდაცვის მინისტრი:*

– ჟანდარმერიის შექმნის გადაწყვეტილებას პრეზიდენტი იღებს, ამიტომ ქვედა დონეზე არსებული უთანხმოებები პრეზიდენტის საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ იქონიებს. ჟანდარმერიის შექმნასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა უკვე ორი განკარგულება გამოსცა. ასე რომ, შინაგანი ჯარი საერთოდ გაუქმდება. განხორციელებული რეფორმის შესაბამისად, ამ ჯარის მძიმე ტექნიკა და არტილერია თავდაცვის სამინისტროს გადაეცემა, ხოლო შსს-ში შეიქმნება ეროვნული ჟანდარმერია. მისი ფუნქციონირების დეტალები მაშინ გაირკვევა, როცა საბოლოოდ ჩამოყალიბდება ჟანდარმერიის შექმნის სრულყოფილი კონცეფცია, საბოლოო ვარიანტს პრეზიდენტი გაეცნობა. თუ საჭირო გახდა, ამ კონცეფციაში შევა შესწორებები და შემდეგ დამტკიცდება. მე იმედი მაქვს, რომ ცოტა ხანში ჟანდარმერია უკვე დაიწყებს ფუნქციონირებას და ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ უწყებად ჩამოყალიბდება. ■

„ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲠᲙᲕᲘᲝᲗ, ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲒᲐᲖᲨᲘ“

— მას შემდეგ, რაც თქვენ „თბილგაზის“ დირექტორს ევრორემონტში დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაციის გადმოცემა მოსთხოვეთ, კულუარებში დავით მორჩილაძის გათავისუფლებაზე ალაპარაკდნენ, „თბილგაზის“ დირექტორი კი სასამართლოში ჩივილით გემუქრებათ.

ᲖᲐᲖᲐ ᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ, *საკრებულოს თავმჯდომარე:*

– სასამართლოში ჩივილის არ მეშინია, რადგან თავის მართლების პრობლემა არ მაქვს. მე მორჩილაძე არაფერში დამიდანაშაულებია, მხოლოდ ის განვაცხადე, სანამ „თბილგაზში“ ევრორემონტი გაკეთდებოდა, მანამ სტრუქტურული საკითხები უნდა მოეგვარებინა-მეთქი. ჩემი ინფორმაციით, აღნიშნულ რემონტში დიდი ფული იხარჯება. რა თანხებზეა ლაპარაკი, ამის შესახებ ჩვენი უწყება საქმის კურსში უნდა იყოს. რაც შეეხება დავით მორჩილაძის გათავისუფლებას, მინდა გითხრათ, რომ მისი წინამორბედი, „თბილგაზის“ ყოფილი გენერალური დირექტორი იმიტომ შევცვალეთ, რომ მოხმარებული აირის საფასურის ამოღება 60 პროცენტს არ აღემატებოდა. დღეს კი არაოფიციალური მონაცემებით პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია. თუ დავინახავთ, რომ „თბილგაზში“ სასიკეთო ძვრები არ შეინიშნება, მაშინ არც ახალი გენერალური დირექტორის შეცვლა იქნება ძნელი. ჯერჯერობით, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი მორჩილაძის მუშაობით უკმაყოფილონი არ არიან, მაგრამ როცა საკრებულოს ინტერფრაქციული ჯგუფი მოკვლევას დაასრულებს, ამის შემდეგ პრეზიენტსაც და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეცოდინება, რა ხდება „თბილგაზში“. ჩვენ მორჩილაძესთან არანაირი პირადი უთანხმოება არ გვაქვს, უბრალოდ ვცდილობთ გავერკვეთ, როგორ მუშაობს ეს უწყება. ■

„ხალხს სასურველი მერის არჩევის უფლებას არ აძლევენ“

— ახალი კანონპროექტის მიხედვით, ქალაქის მერი საკრებულომ უნდა აირჩიოს. თქვენი აზრით, რატომ არ აძლევენ რიგით თბილისელებს მერის არჩევის უფლებას?

მამუკა კაციტაძე, *„მემარჯვენე ოპოზიცია“:*

— პასუხი მარტივია, არჩეულ მერს ხალხის დიდი ნდობა და შესაბამისად, დიდი ძალაუფლებაც ექნება. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ხალხის ნდობით აღჭურვილი ძლიერი მმართველი არ სჭირდება, რომელსაც ამომრჩევლების სახელით საუბრის უფლება ექნება. „მემარჯვენეებს“ მერის არჩევასთან დაკავშირებით გვაქვს ალტერნატიული პროექტი. ის პრემიერის თანამდებობის გაუქმებას და მერის პირდაპირი წესით არჩევას ითვალისწინებს, ეს პროექტი საპარლამენტო უმრავლესობამ დაბლოკა. ჩვენ აქამდე ვერ მივაღწიეთ, რომ ხელისუფლება ორდონიანი თვითმმართველობის ჩამოყალიბებაზე დავითანხმოთ. პრობლემა უნდა წყდებოდეს იმ ორგანოში, რომელიც ხალხთან ახლოს არის, მაგრამ მყარდება მოდელი, რომლის შესაბამისად თვითმმართველობა უკიდურესად დასუსტდება; ხელისუფლებას სურს რკინის ხელით, ცენტრიდან წყდებოდეს ყველა საკითხი. პირველი დონის თვითმმართველობას ბიუჯეტსაც არავინ აძლევს, რაც შეეხება ძალაუფლების დეცენტრალიზაციას და პრობლემების ადგილზე გადაწყვეტას, ეს ქვეყნისთვის კვლავ განუხორციელებელ ოცნებად რჩება. ■

„ოქროს საბადოზე მონოპოლიის აღებას არ ვაპირებ“

— ეროვნული ზარაფხანის ყოფილი დირექტორი დავით ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ მაჭავარიანს, ჟვანიასა და ჭყონიას ტყის მასივებზე, მადნეულსა და ოქროს საბადოზე მონოპოლიის აღება სურთ, რასაც საეჭვოდ ემთხვევა ზარაფხანის დაყადაღება და ოქროს ნაწარმზე დამღის გაუქმების ინიციატივა, რომელსაც თქვენ აქტიურად უჭერთ მხარს.

მიხეილ მაჭავარიანი, *პარლამენტის ვიცე-სპიკერი:*

— ოქროს ნივთებზე სახელმწიფო დამღის დატანებას მთლიანად სახელმწიფო ზარაფხანა არეგულირებდა და შესაბამისად, ეს უწყება კორუფციის წყაროსაც წარმოადგენდა. ნივთის სიყალბე და უხარისხობა ხშირად ამ დამღის უკანაც იმალებოდა და ოქროს შემადგენლობის დასადგენად მაინც სხვა ექსპერტთა გადამოწმება იყო აუცილებელი. ამ ინიციატივით კი გვეძლევა შესაძლებლობა, არსებული კორუფციის წყარო მთლიანად მოვსპოთ. რაც შეეხება ლორთქიფანიძის ბრალდებებს, ეს პიროვნება პოლიტიკურ წრეებში ცნობილია, როგორც მერყევი ადამიანი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი სიტუაცია თავის ინტერესებს მოარგოს. ბატონი დავითი კახა ბენდუქიძის იმ პოლიტიკას შეეწირა, რასაც არაკორუმპირებულობა და წესრიგი ჰქვია. ახლა ცდილობს, საკუთარი მარცხით სხვები ტალახში ამოსვაროს. არ ვიცი, ლორთქიფანიძემ ამ შემთხვევაში ჩემი, ზურაბ ჟვანიას ან თემურ ჭყონიას გვარები რატომ დაასახელა. ალბათ იმ მოსაზრებით, რომ სიტუაციისათვის საზოგადოებრივი ჟღერადობა მიეცა და მოსახლეობა მისთვის კარგად ცნობილი პიროვნებების კეთილსინდისიერებაში დაეეჭვებინა, მაგრამ მე არ შემიძლია ამ ადამიანის დონეზე დავიდე და მის აბსურდულ ბრალდებებზე თავი ვიმართლო. მაჭავარიანი და მისი თანამებრძოლები ხელისუფლებაში იმ განზრახვით არ მოსულან, რომ ტყის მასივებზე, მადნეულზე ან ოქროს საბადოზე მონოპოლია აიღონ. ■

ავტომანქანებს ერთმანეთთან „საუბარს“ შეასწავლიან

იაპონელმა ინჟინრებმა გადაწყვიტეს, ავტომანქანებს „ერთმანეთთან ურთიერთობა ასწავლონ“. მანქანები „ერთმანეთს დაელაპარაკებიან“ გარე განათების ხელსაწყოების მეშვეობით, რომლებშიც შუქდიოდები იქნება ჩამონტაჟებული. ისინი ადამიანისთვის შეუმჩნეველ სიხშირეზე იმუშავებს (ე.ი. მათი მოქმედება იმავე პრინციპს დაეყრდნობა, რომელიც საყოფაცხოვრებო ტექნიკის პულტების მუშაობას უდევს საფუძვლად), ამდენად, არანაირ პრობლემას არ შეუქმნის შემხვედრი მანქანების მძღოლებს.

ახლა კორპორაცია „სონი“, რომელმაც რამდენიმე წლის წინ, „ტოიოტასთან“ ერთად შექმნა მოხდენილი ავტომანქანა Pod, მიზნად ისახავს იმას, რომ „მოლაპარაკე“ მანქანებს, ცუდი გზისა და სიჩქარის დაკლების აუცილებლობის შესახებ ინფორმაციის გადაცემა შეეძლოს. გასულ ზაფხულს, „სონიმ“ საზოგადოებრიობის სამსჯავროზე წარმოადგინა სისტემა XYZ, რომლის მეშვეობითაც, მონიტორზე გადაიცემა მოცემული ადგილის ვრცელი და რაც მთავარია, სამგანზომილებიანი გამოსახულება — იმის მსგავსი, როგორსაც კომპიუტერულ სიმულატორებზე ვხვდებით. იაპონიაში ამ სისტემას უკვე სერიულად აწარმოებენ. მისი ფასი 2,5 ათას დოლარს შეადგენს...

ადვილი წარმოსადგენია, თუ იაპონურებზე რამდენად აქტიური „მოსაუბრეები“ იქნებიან ჩვენი ავტომანქანები, თუკი მათ ამ სისტემით აღჭურავთ: სისტემა XYZ ხომ, იქაურ გზებზეა გათვლილი და საფარიც შეუმჩნეველ ხარვეზეც კი რეაგირებს. მაშ, რა მოუვა, როცა მანქანა ჩვენებურ ორმოში „ჩახტება“ — აიკლებს „თანამომძმეს“ „მრავალსართულიანი ტირადით“, აბა, რა იქნება!.. ■

„ცესკოს წევრები პრეზიდენტმა არ უნდა დანიშნოს“

— საპარლამენტო ოპოზიცია ცესკოს პროფესიული ნიშნით დაკომპლექტების წინააღმდეგ გამოდის, თუმცა, მსგავსი ინსტიტუტი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში წარმატებით მუშაობს.

ვალერი გელბახიანი, *პარლამენტის წევრი:*

— ცესკოს დაკომპლექტების ამგვარი მოდელი უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში ნამდვილად დამკვიდრებულია, მაგრამ მხოლოდ იმ სახელმწიფოებში, სადაც ხელისუფლების მიმართ ნდობის ფაქტორი ძალიან მაღალია. გარდამავალი პერიოდის ქვეყნებისთვის ეს მოდელი გამართლებული არ არის. დღეს თუ ცესკოს კანდიდატებს პრეზიდენტი წარადგენს და მისი მორჩილი პარლამენტი დაამტკიცებს, როგორ ფიქრობთ, ის დამოუკიდებელი იქნება? პრეზიდენტი ხომ პარტიის თავმჯდომარეა, ის რომ პარტიის თავმჯდომარე არ იყოს, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ცესკოს დაკომპლექტების ამ წესზე საუბარი. დღევანდელ პირობებში პრეზიდენტის წარდგენილი და პარლამენტის დამტკიცებული კანდიდატები დამოუკიდებლები ვერ იქნებიან. გარდა ამისა, როცა კომისიის წევრების დანიშვნა ხდება ერთი სუბიექტის მიერ, კონკურენტებს უძლიერდებათ ამ კომისიების მიმართ უნდობლობა. ასეთ დროს, კონკურენტ პარტიებს ყოველთვის ექნებათ საბაბი თქვან, არჩევნები იმიტომ წავაგეთ, რომ ბიულეტენებს ხელისუფლების მიერ დანიშნული ხალხი ითვლიდაო, რაც შესაძლოა, საფუძველს მოკლებული არც იყოს. ■

„ტელევიზიის ხელმძღვანელობა თანხებს არამიზნობრივად ხარჯავდა“

— ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქტელერადიომაუწყებლობაში არსებულ დარღვევებზე საუბრობს და ზაზა შენგელიას პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს. დაინტერესდება თუ არა სათანადო ინსტანცია თქვენ მიერ მოკვლეული მასალებით?

ანა დოლიძე, *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:*

— 2002-03 წლებში ჩვენ მიერ ჩატარებული მონიტორინგის მიზანი იყო, რომ ახალ საზოგადოებრივ ტელევიზიას გამართულად დაეწყო ფუნქციონირება. ამიტომ დღეს ჩვენ იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხს ვსვამთ, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში ტელევიზიას მართავდნენ. ტელევიზიაში აშკარა დარღვევები დავაფიქსირეთ, რომელსაც ადგილი აქვს შესყიდვების სფეროში. ტელევიზიის ხელმძღვანელების მხრიდან შესყიდვებთან დაკავშირებით აბსოლუტურად უგულებელყოფილია ქართული კანონმდებლობა. დარღვევებია შტატებთან მიმართებაში — ის ხელოვნურად გაბერილია. დარღვევები აღმოვაჩინეთ მივლინებებთან დაკავშირებით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ტელევიზიის ხელმძღვანელობა თანხებს არამიზნობრივად ხარჯავდა. ჩვენ მოვითხოვთ, პირველ რიგში გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები საქტელერადიომაუწყებლობის გამჭვირვალობის მიზნით, საჭიროა მოხდეს ქმედითი ღონისძიებების გატარება დაწესებულებებში საჯარო ინფორმაციის დროულად და სრულად გაცემასთან დაკავშირებით. ტელევიზიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ ის მუდმივად უკანონოდ ასაიდუმლოებს ინფორმაციას. გარდა ამისა, შენგელიამ და მისმა მოადგილემ საზოგადოებრივი მაუწყებლობის შექმნამდე უნდა დატოვონ თანამდებობები, რადგან ისინი კორუფციაში არიან შემჩნეული. ■

„პირის ამოკერვას არ ვაპირებ“

— რამდენიმე წლის წინ, საათების გადაწევის მოთხოვნით პირველი მოწვევის პარლამენტარმა ზურაბ მურვანიძემ პირი ამოიკერა, თქვენ რა გზით ეცდებით მთავრობის დაყოლიებას?

რომან გოცირიძე, *საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე:*

— პირის ამოკერვას ნამდვილად არ ვაპირებ, ვფიქრობ, მთავრობის დაყოლიებას სხვა გზითაც შევძლებთ. საათების უკან გადაწევამ სამუშაო დღე შეამცირა, რაც შესაბამისად, ეკონომიკაზეც აისახა, შემცირდა საქონელბრუნვა და გაიზარდა ელექტროენერგიის მოხმარების რეჟიმი. გარდა ამისა, დღის დაპატარავებით მოსახლეობის ფსიქიკური მდგომარეობაც გაუარესდება. ცნობილი ფაქტია, რომ ჩრდილოეთში დეპრესიის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვიდრე სამხრეთში და ეს სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ ჩრდილოეთი უფრო შუქნაკლული მხარეა. ღვთის წყალობით, საქართველო ერთ-ერთ მზიან კუთხედ ითვლება, ჩვენ კი ამის გამოყენებას ვერ ვახერხებთ. უფრო მეტიც, ვცდილობთ, ეს სიკეთე ჩავკლათ. არ მესმის, რატომ უნდა ვაიძულოთ ბავშვები, ნათურის შუქზე იმეცადინონ? ამით ხომ ვტანჯავთ და ჯანმრთელობას ვუზიანებთ. მე იმედი მაქვს, ზემოთ ჩამ ოთვლილი არგუმენტები პრეზიდენტისთვის აზრის შესაცვლელად საკმარისი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავატარებთ საზოგადოებრივ გამოკითხვას და თავად მოსახლეობამ გადაწყვიტოს, უნდა თუ არა დაპატარავებული დღის და გაზრდილი ღამის პირობებში ცხოვრება. ■

„ვარდების რევოლუციიდან“ ერთი წელი გავიდა. რა გაკეთდა ქვეყანაში ამ ერთი წლის განმავლობაში? რა შეცდომები დაუშვა ახალმა ხელისუფლებამ და რომელი პრობლემების გადაჭრა შეძლო? რას დაჰპირდა ხელისუფლება მოსახლეობას და რა შეასრულა მიცემული დანაპირებიდან?.. განვლილი წლის მანძილზე მომხდარი მოვლენების შეფასებას პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე რევოლუციის მნიშვნელობაზე საუბრით იწყებს.

რა მოგვიტანა „ვარდების რევოლუციამ?“

„ეს რადიკალიზმი იძულებითია“

ლელა ჭანკოტაძე

– ძალზე მეამაყება, რომ ამ რევოლუციაში ვმონაწილეობდი. ერთწლიანი გადასახედიდან კიდევ უფრო ნათლად ჩანს, რომ ყველაფერი, რაც ხდებოდა რევოლუციის დღეებში, მიმართული იყო იმსკენ, რომ გვეპოვა ერთადერთი სწორი გზა იმ ეტაპზე ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამოსასვლელად. ყველანი, ვინც ამ პროცესში ვმონაწილეობდით, მივისწრაფოდით ერთადერთი მიზნისაკენ – ქვეყანა ნორმალური განვითარების კალაპოტში ჩამდგარიყო და ადამიანებს საკუთარი თავის რწმენა დაჰბრუნებოდათ... ამიტომაც იყო, რომ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, პოლიტოლოგები და უბრალო ადამიანები მთელ მსოფლიოში დადებითად აფასებდნენ „ვარდების რევოლუციას“. საზღვარგარეთ ყოფნის დროს, არაერთხელ მქონია შემთხვევა, როცა სრულიად უცნობი ადამიანები, რომლებმაც ადრე საქართველოს არსებობა არც იცოდნენ, გამოხატავდნენ ჩვენ მიმართ სიმპათიას. მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც რევოლუციამ მოიტანა, ის არის, რომ ქართველებს დაგვიბრუნდა საკუთარი თავის რწმენა. თითოეულმა ირწმუნა, რომ ჩვენი ქვეყანა შეიძლება ფეხზე დადგეს.

— თქვენი აზრით, ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული?

– მიუხედავად ბევრი სკეპტიკოსის მოსაზრებისა და მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ ისეთები, რომლებსაც უფრო მეტის მოლოდინი ჰქონდათ, შემიძლია ვთქვა, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ძალზე ბევრი რამ გაკეთდა. იმის ილუზია, რომ ერთ წელიწადში ქვეყანა აყვავდებოდა და ყველა პრობლემა გადაწყდებოდა, არავის არ უნდა ჰქონოდა. არც ის უნდა იფიქროს ვინმემ, რომ რაც კეთდება, ყველაფერი იდეალურია და ხელისუფლებას იმის ილუზია გვაქვს, რომ უშეცდომოდ ვმუშაობთ. თუმცა, ძნელია შეცდომებზე საუბარი, რადგან მინუსიდან დავიწყეთ ქვეყნის მართვა. ვერ გეტყვით, შეიძლებოდა თუ არა რაიმე უკეთესად გაკეთებულიყო. ალბათ, შეიძლებოდა, შესაძლოა – არა. როცა ქვეყანა დანგრეულია, იდეალურად და ყველას მოსაწონად ვერაფერს გააკეთებ...

— რა გაკეთდა წლის განმავლობაში? თუ მოახერხეთ ხალხისთვის მიცემული დაპირებების შესრულება?

– ჩვენი მთავარი დანაპირები იყო, რომ შევებრძოლებოდოთ კორუფციას, ქვეყანაში აღმოიფხვრებოდა დაუსჯელობის სინდრომი, ადამიანებს თანდათან შევუქმნიდით ნორმალურ პირობებს, 3-4 თვეში დავიწყებდით პენსიების დავალიანებების გასტუმრებას, პენსიების ყოველთვიურად გაცემას და ხელფასებისა და პენსიების გაზრდას. ჩვენ ვამბობდით, რომ მთავარია, გაძლიერდეს ჯარი, პოლიცია ნამდვილ პოლიციას დაემსგავსოს. ამ მიმართულებით იმდენად საფუძვლიანი ნაბიჯებია გადაგმული, რომ დაუნახავ ადამიანსაც გაუჭირდება. თქვას, რომ ეს არ გაკეთებულა. ვერ გეტყვით, რომ დღეს საქართველოში კორუფცია აღარ არის, მაგრამ ამავეს ვერც ერთი ქვეყანა ვერ იტყვის. სამაგიეროდ, დღეს ჩვენი ქვეყნის განვითარებას, კორუფცია აღარ უქმნის საფრთხეს, როგორც ეს იყო ერთი წლის წინ. ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე თვეში, ხელფასებისა და პენსიების ყოველთვიურად გაცემა, ძველი დავალიანებების დაფარვა დავიწყეთ. მცირედით, მაგრამ მაინც მოვუმატეთ ხელფასები და პენსიები. ძნელია, მოსახლეობას ამით მოაწონო თავი, მაგრამ ჩვენი მოქალაქეები უკვე, როგორც ნორმას, ისე აღიქვამენ იმას, რომ ყოველთვიურად იღებენ ხელფასსა და პენსიას, თუმცა კი, სამართლიანად წუხან იმაზე, რომ ხელფასებისა და პენსიების ოდენობა მათთვის საკმარისი არ არის... მოდით, ობიექტურები ვიყოთ: ხომ არა გვაქვს ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს ჯადოსნური ჯოხი, რომ გავაორმაგოთ ან გავაოთხმაგოთ ბიუჯეტი!.. პირველად ერთობლივად, მუხლჩაუხრელი შრომით მოვახერხეთ ის, რომ ბიუჯეტი ორჯერ გაიზარდა, მაგრამ იმდენად მცირე იყო ბიუჯეტი, რომელიც წინა წელს გვქონდა, რომ გაორმაგებული ბიუჯეტი მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლადაც კი არ არის საკმარისი.

— რა იყო ყველაზე რთული ამ ერთი წლის განმავლობაში?

– არასდროს დამავიწყდება 24 ნოემბერი, როცა შევარდნაძის გადადგომის შემდეგ პირველად შეკრიბე უშიშროების საბჭოს წევრები. აბსოლუტურად დათრგუნვილი ვიყავი იმის შიშით, რომ ქვეყანაში არ დაწყებულიყო სამოქალაქო დაპირისპირება, არეულობა... მახსოვს მაშინდელი თავდაცვის მინისტრის სიტყვები, რომელმაც აბსოლუტური შოკი გამოიწვია ჩემში. მან თქვა: ჯარს სულ სამი დღის საკვების მარაგი აქვს, ისიც – მშრალი საკვებიაო... წარმოიდგინეთ, ხელისუფლებაში მოსული ადამიანების მდგომარეობა, რომლებიც აღმოაჩენენ, რომ ჯარს, თუნდაც ლოიალურად განწყობილს, საკვები მარაგი ეწურება, ხაზინაში კი – ნულია!.. არ ვიცი, როგორ მოვახერხეთ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა... დეკემბერში დაგეგმილი იყო ჩემი ვიზიტი რუსეთში. წასვლამდე, მოვინახულე ჯარისკაცები პანკისის ხეობაში და საზღვარზე, რათა საშუალება მქონოდა, რუსეთის პრეზიდენტთან მესაუბრა იმაზე, თუ რას ვაკეთებდით საზღვრის დასაცავად. ზოგს ცალი ფეხსაცმელი ან ჩექმა, თბილი ტანსაცმლის მაგივრად კი, საზაფხულო ფორმა ეცვა... დღეს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჯარისკაცს თბილად ეცვას და საკვები ჰქონდეს. ეს ის ნაბიჯებია, რომლის არდანახვა ნამდვილად არ იქნება სწორი.

ძალზე მეამაყება, რომ ამ რევოლუციაში ვმონაწილეობდი

— განვლილი წლის მანძილზე არაერთხელ გვსმენია — „სამეულს“ ნინო ბურჯანაძე დატოვებსო. რა განაპირობებს თქვენს ერთიანობას?

— მიუხედავად ბევრი სკეპტიკოსის შეძახილისა, რომ რევოლუციური სამეული დაიშლება, ჩვენ არ გავუმტყუნეთ იმედი იმ ადამიანებს, რომლებიც რევოლუციის დღეებში მხარში გვედგნენ. ზოგი ცდილობდა, ჩვენ შორის უნდობლობის მარცვალი გაეღივებინა... ჩვენი ერთიანობა ემყარება იმის რწმენას, რომ ის ქვეყანას სჭირდება. უმეტეს შემთხვევაში, ამ ერთიანობას განაპირობებს ის, რომ ჩვენი სტრატეგიული ხედვა მთელი რიგი მიმართულებებისა ერთიმეორეს ემთხვევა. ის აგრეთვე, ჯანსაღ კრიტიკაზე დგას, რაც ჩემთვის ძალიან ფასეულია... მიუხედავად ასევე სკეპტიკური განცხადებებისა, რომ გვეყოლებოდა „ჯიბის პარლამენტი“, ის ამბობს თავის სიტყვას. ამას აბსოლუტურად ნორმალურად ხვდება პრეზიდენტი, გაგებით ხვდება მთავრობაც. კრიტიკა არავის უყვარს. მაგრამ ურთიერთკრიტიკის მთავარი მიზანი ის არის, რომ ერთმანეთს შეცდომების დაშვების საშუალება არ მივცეთ. როცა ერთ გუნდს წარმოადგენენ პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი, ყოველთვის არსებობს იმის საფრთხე, რომ თვითკმაყოფილებას მივეცეთ იმის გამო, რასაც ვაკეთებთ. მაგრამ იმდენად მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი ხალხი, რომ არა გვაქვს უფლება, გაკეთებულით დავკმაყოფილდეთ.

— ახალ ხელისუფლებას რადიკალიზმში ადანაშაულებენ. როგორ ფიქრობთ — რატომ?

— თქვენ გახსოვთ, თუ რაოდენ მძიმე მდგომარეობა იყო აჭარაში. ჩოლოქზე საზღვარი გვქონდა და საკუთარ ქვეყანაში პასპორტებს გვთხოვდნენ, ბათუმში შესასვლელად!.. მახსოვს, რამდენ ადამიანს ეშინოდა, რამდენი ზედმეტად ფრთხილობდა აჭარის საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის, მეც ვიყავი. მართალი იყო პრეზიდენტი, როცა ამბობდა, რომ არ შეიძლება სხვა პრობლემებზე ვილაპარაკოთ, ვიდრე აჭარის პრობლემას არ მოვაგვარებთ. დღევანდელი გადასახედიდან, ის რისკი, რომელიც გავწიეთ, აბსოლუტურად სწორი ჩანს. დღეს, როცა ეს პრობლემა მოგვარებულია, ყველას გვგონია, თითქოს ყოველთვის ასე იყო, თითქოს აჭარაში უმთავრესი, ბაზრობის პრობლემა გახლდათ... არ ვიქნებით მართალი, თუ თვალს დავხუჭავთ კრიტიკაზე, რომელიც საზოგადოების გარკვეული ნაწილიდან მოდის. აპოლიტიკური სპექტრის ერთი ნაწილი გვსაყვედურობს, რომ გარკვეულ ნაბიჯებს რევოლუციური იერი დაჰკრავს. პირადად მე, ნაკლებად შეიძლება დამაბრალონ რადიკალიზმი, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ სხვანაირად ქვეყანას ფეხზე ვერ დავაყენებდით. სამწუხაროდ, ჩვენ იმდენად მძიმე მდგომარეობამდე მიყვანილი ქვეყანა შეგვრჩა ხელში, რომ რადიკალური და მკაცრი ნაბიჯების გარეშე, შეუძლებელი გახდებოდა ბევრი პრობლემის გადაჭრა. ხშირ შემთხვევაში, ეს რადიკალიზმი იძულებითია. რადიკალური და მძიმე რეფორმები ალბათ, კვლავაც საჭირო იქნება...

— ამ ერთი წლის განმავლობაში, ქვეყანაში ვერ შეიქმნა კონსტრუქციული ოპოზიცია. რამდენად დიდია ამაში ხელისუფლების როლი?

— ის ფაქტი, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში, ოპოზიცია ვერ გაძლიერდა, იმის მაჩვენებელია, რომ ხელისუფლებას არ დაუშვია ისეთი ტრაგიკული შეცდომები, რომელთა გამოც მოსახლეობის სიმპათიები ოპოზიციისკენ გადაიხრებოდა... ჩემი ოპტიმისტური შეფასება არ მინდა, ისე მიიღოთ, თითქოს ვერ ვხედავ არსებულ პრობლემებს. მაგრამ ის, რომ ჩვენ ვცდილობთ მოსახლეობის იმედების გამართლებას, აშკარაა. ყველასთან ვითანამშრომლებთ, ვინც პრობლემების მოგვარების უკეთეს გზას შემოგვთავაზებს. სულ იყო საუბარი იმაზე, რომ ხელისუფლებიდან შევარდნაძის წასვლის შემდეგ, ქვეყანა უკან-უკან წავიდოდა. სამწუხაროდ, ედუარდ შევარდნაძემ ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც ბევრი ადამიანი მასზე ამყარებდა. სხვათა შორის, მათ შორის, მეც ვიყავი. ნამდვილად მეგონა, რომ ქვეყანა ფეხზე დადგებოდა. დასავლეთის მხარდაჭერაც, ჩვენდამი მათი ასეთი განწყობით იყო განპირობებული. მაგრამ 1998 წლიდან, ჩვენი რეიტინგი საერთაშორისო არენაზე სულ უფრო და უფრო დაბლა ეცემოდა... დღეს ეს რეიტინგი ძალიან მაღალია. თუ დააკვირდებით მიხეილ სააკაშვილის ვიზიტებს საზღვარგარეთ, მიხვდებით, რომ მის სახელს ჩვენი ქვეყნის აღორძინებას უკავშირებენ. მეც ამის იმედი მაქვს.

ის ფაქტი, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში, ოპოზიცია ვერ გაძლიერდა, იმის მაჩვენებელია, რომ ხელისუფლებას არ დაუშვია ისეთი ტრაგიკული შეცდომები, რომელთა გამოც მოსახლეობის სიმპათიები ოპოზიციისკენ გადაიხრებოდა...

— რა იქნება პრიორიტეტული რევოლუციის მეორე წელს?

— საქართველოსნაირ ქვეყანაში პროგნოზების კეთება ძალიან რთულია. მაგრამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი 2005 წელს, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება. მიუხედავად ბიუჯეტის გაორმაგებისა და სერიოზული წინსვლისა, მოსახლეობა შვებას მაინც ვერ გრძნობს. არადა, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს ნორმალური ცხოვრების პირობები შეექმნათ. ადამიანებს სჭირდებათ ერთადერთი რამ — ბოლომდე მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და თავიანთი შრომით გამოკვებონ ოჯახები. ეს პრობლემა მათ უნდა გადავუჭრათ. ■



სტუდიის ორიგინალური ინტერიერი, გადაცემის წამყვანის საუბრის მკვეთრად ინდივიდუალური მანერა და უჩვეულო ინტონაციები, სახელგანთქმული ამერიკელის ლარი კინგის სტილის ჩაცმულობა — ამ ნიშნებით გამოირჩევა, დღეს უკვე საკმაოდ პოპულარული ტელეჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი, რომლის გადაცემა — „არჩევანის ზღვარზე“ — მაშინ გამოჩნდა ასპარეზზე, როდესაც ბევრმა სხვა ტელეკომპანიამ ღამის ეთერში ტელედებატების გაგრძელებაზე უარი თქვა. რა ხდება ამ გადაცემის კულისებს მიღმა, რას ფიქრობს თავად ირაკლი საკუთარ იმიჯზე, როგორ რეაგირებენ მის გამოჩენაზე ხალხმრავალ ადგილებში და რით მოხიბლა კიდევ ერთ პროექტში — „ეტალონში“ მონაწილეობამ?..

ირაკლი იმნაიშვილი:
„...თავის სერიოზული ტრავმით და კანტუზიის ნიშნებით მოვხვდი საავადმყოფოში“

ემა ტუხიაშვილი

— ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ხატვა. შინ ახლაც გვაქვს შემორჩენილი რამდენიმე ჩემი სახატავი რვეული, სადაც მშვენივრად არის ასახული ჩემი ნაშრომები. შემეძლო, საათობით მეხატა, განსაკუთრებულად მომწონდა საღებავებითა და ფუნჯით ხატვა. მაგრამ ამგვარი გართობის დროს, იღებებოდა თითქმის ყველა ნივთი, რომელიც ჩემ გარშემო იყო... ერთი სევდიანი მოგონებაც მაქვს ამ ჩემს ბავშვურ გატაცებასთან დაკავშირებით. დაახლოებით 6 წლის ვიყავი, როდესაც ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლაში ვსწავლობდი. რომელიღაც სოციალისტური ქვეყანა „წითელქუდას“ გამოცემას აპირებდა და ილუსტრაციები ბავშვების ნახატებიდან უნდა შეერჩიათ. ამ კონკურსში ჩემმა ერთ-ერთმა ნახატმა გაიმარჯვა. მაგრამ როდესაც ჩემთვის საზეიმო ვითარებაში სიგელი უნდა გადმოეცათ, მაღალი სიცხე მომცა და საწოლში ვიწექი. მოკლედ, ხატვა ისე მომწონდა, რომ შეუძლებელი იყო, ჩემთვის სხვა რაიმის გაკეთება ეიძულებინათ. ამის შედეგად კი, ის მივიღე, რომ მეორე კლასში, გარდა იმისა, რომ ასოებს — შ-ს და წ-ს ვერ ვანსხვავებდი ერთმანეთისგან, საერთოდ ასოების გამოყვანა მიჭირდა.

— პროფესია როგორ აირჩიე?

— დედაჩემი მუსიკათმცოდნე გახლავთ და საქართველოს რადიოში მუშაობს. იმის გამო, რომ ჩვენ ქალაქის გარეუბანში ვცხოვრობდით, სკოლის პერიოდში, გაკვეთილების დასრულების შემდეგ, ჩავდიოდი დედასთან სამსახურში და სამუშაო დღის ბოლოს, ერთად ვბრუნდებოდით შინ. დედაჩემის თანამშრომლები ხუმრობდით СЫН полка-ს მეძახდნენ, რადგან მთელი რედაქცია ერთად ამზადებდა ჩემს საშინაო დავალებებს. ამის შედეგად, საკონტროლო დავალებების გარდა, ყველა საგანში კარგი ნიშანი მქონდა. მოკლედ, ვიზრდებოდი რადიოს გარემოში. ჩემ თვალწინ იქმნებოდა „პიკის საათი“, გელა ლეჟავას, ვახტანგ ნანიტაშვილის, ლიანა კარანაძის, ნატო ონიანისა და დოდო შონავას თაოსნობით. ჩემი პირველი კონტაქტი მიკროფონთან რადიოს საბავშვო რედაქციაში, გადაცემაში — „აბლაბუდა“ შედგა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვმუშაობდი „რადიო-2“-ში, რადიო „ფორტუნაში“ და იმავდროულად ვსწავლობდი სახელმწიფო სატელევიზიო სტუდიაში. ეს ის პერიოდია, როდესაც თბილისში სასიკეთო არაფერი ხდება და ქუჩებში სამოქალაქო დაპირისპირებები კულმინაციას აღწევს. მიმაჩნია, რომ ძალზე გამიმართლა, რადგან იმ დროს, როდესაც საუცხოოდ გარემონტებულ შენობაში ვსწავლობდი და საშუალება მქონდა, უცხოურ ტექნიკასთან მემუშავა, თბილისს დენი არ მიეწოდებოდა და ხალხი ვედროში ანთებდა კოცონს, რომ გამთბარიყო...

— მუსიკათმცოდნე დედა ალბათ, ყოველ ღონეს იხმარდა, რომ შენ მუსიკალური განათლება მიგეღო. რომელ მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავ?

— სურვილი ნამდვილად მქონდა, მაგრამ ოთხწლიანი მცდელობის მიუხედავად, მე და ფორტეპიანო მაინც ვერ „დავძმობილდით“. თუმცა, ამგვარი დამოკიდებულება მუსიკალური ინსტრუმენტების მიმართ, მუსიკის სიძულვილში არ გადაზრდილა. მაგალითად, მაშინ, როდესაც ჩემს თანატოლებს კლასიკური მუსიკის კონცერტზე ეძინებოდათ, მე სიამოვნებით ვუსმენდი. დედას მოსწავლეები შინ აკითხავდნენ, ამიტომ კლასიკური მუსიკა ხშირად ისმოდა ჩვენს სახლში. მახსოვს, რომ მოცარტის „რეკვიემის“ მეშინოდა კიდეც და ერთი-ორჯერ მის გაგონებაზე ავტირდი.

— შენ მიერ მომზადებული პირველი სატელევიზიო სიუჟეტი თუ გახსოვს?

— პირველი სიუჟეტი მოვამზადე საყმაწვილო ტელევიზიაში; ის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს ეძღვნებოდა. სწორედ იმ პერიოდში, ილუზიონისტმა ზურაბ ვადაჭკორიამ მათთვის საქველმოქმედო კონცერტი მოაწყო და ჩემი სიუჟეტიც ამ ამბავს ასახავდა. ახლა უკვე სასიამოვნოდ მახსენდება, „ინტერნიუსში“ სტაჟირების დროს მომზადებული სიუჟეტი, რომელიც ჩემთვის ტვინის შერყევით დამთავრდა. მოცემული დავალების მიხედვით, უნდა ჩაგვეწერა ყველაზე უცნაური „სტენდაფი“ — ანუ როდესაც კადრში ჩანს ჟურნალისტი და აცნობს თავს მაყურებელს. მახსოვს, რომ ჩემი ჯგუფელების უმეტესობა სიუჟეტის ჩასაწერად პეროვსკაიას ქუჩაზე გავიდა. ზოგმა სომბრერო დაიხურა და ისე ჩაწერა დავალება... ჩემმა ოპერატორმა ლევან კაციმემ შემომთავაზა, საბავშვო ქალაქ „მზიურში“ წავსულიყავით, სადაც მე სპორტულ კარტინგზე დავჯდებოდი, ლევანი გადამიღებდა, როდესაც მოსახვევში სწრაფად შევიდოდი; მერე გავაჩერებდი, მოვიხდიდი ჩაფხუტს და დავალებისთვის საჭირო ტექსტს ვიტყოდი. ჩაწერამ ყოველგვარი ექსცესის გარეშე ჩაიარა, მაგრამ კარტინგიდან გადმოსვლისას ვერ გავითვალისწინე, რომ დაბალი ხიდის ქვეშ ვიმყოფებოდი... თავის სერიოზული ტრავმითა და კანტუზიის ნიშნებით მოვხვდი საავადმყოფოში და ბუნებრივია, რომ ვერც ორიგინალური სიუჟეტის დამონტაჟება მოვახერხე.

— მიუხედავად იმისა, რომ „მოამბეშიც“ მუშაობდი, პოპულარობა ტელეკომპანია „მზემ“ და გადაცემამ — „არჩევანის ზღვარზე“ მოგიტანა...

— ეს გადაწყვეტილება არხის ხელმძღვანელობამ მიიღო და კიდევ ერთხელ გამიმართლა, რომ „მზეზე“ ჩემ გარშემო ნი-

ჭიერი ადამიანების გუნდი შეიკრიბა. იმ პერიოდში, სულ სხვა სატელევიზიო პროექტს ვამზადებდი, მაგრამ მისი დასრულება ჭიანურდებოდა. გარდა ამისა, საპარლამენტო არჩევნები ახლოვდებოდა და აუცილებელი იყო, რომ რამდენიმე დღით ადრე, პირდაპირი ეთერით გავსულიყავით მაყურებლის წინაშე. გადაცემის დრამატურგია დამდგმელმა რეჟისორმა კახა ბუხრაშვილმა მოიფიქრა. იმის გამო, რომ სხვა სტუდია ჩვენს ტელეკომპანიას ჯერ არა აქვს, სტუმრების განთავსების ორიგინალური ფორმა უნდა მოგვეძებნა. ნებისმიერ შემთხვევაში, კამერები ზემოთკენ იყო მიმართული, ამიტომ სტუმრები სწორედ იქ უნდა დაგვესვა. ახლა განლაგება ცოტა შეიცვალა, თუმცა, სიმბოლური სიმაღლე სტუმრებს მაინც დავუტოვეთ.

— ამის გამო, დათო გოგიჩაიშვილი თავის გადაცემაში ხშირად ხუმრობს. როგორ რეაგირებ ამაზე?

— მისი გადაცემა საკმაოდ პოპულარულია. ამიტომ მიმაჩნია, რომ თუ ამ გადაცემაში შენი სახელი ჟღერს, ე.ი. რაღაცას ნამდვილად აკეთებ. საწყენსა და გასაბრაზებელს მის ხუმრობებში ვერაფერს ვხედავ.

— ხომ არ გიჭირს რესპონდენტებთან პირდაპირ ეთერში ურთიერთობა?

— შემიძლია ერთ მაგალითზე გითხრათ, თუ რაოდენ საფუძვლიანად ვემზადებით ხოლმე გადაცემისთვის, როდესაც გავიგეთ, რომ ჩვენთან სტუმრად ნინო ანანიაშვილი მოდიოდა, რეპეტიციებს პატარა ბალერინებთან ერთად გავდიოდით... არიან რესპონდენტები, ძირითადად პოლიტიკოსები, ვისაც ხშირ შემთხვევაში, არ სურთ ამა თუ იმ თემაზე საუბარი, შენ კი, როგორც წამყვანი, ვალდებული ხარ, რომ ესაუბრო საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე.

— მახსოვს, როდესაც მსგავსი ტიპის გადაცემები სხვა არხზე გადიოდა, სტუდიაში დაწყებული დაპირისპირება პოლიტიკოსებს შორის, კულმინაციას ტელევიზიის ეზოში ან იქვე, სტუდიის გარეთ აღწევდა ხოლმე. თქვენ გადაცემის დასრულების შემდეგ თუ მომხდარა მსგავსი რამ?

— მე არ მახსოვს ისეთი გადაცემა, რომლის შემდეგაც რაიმე ექსცესი მომხდარა. თუ სტუმრად მყავს პარლამენტარები, ისინი ეთერის მიღმაც ბევრ დროს ატარებენ ერთად, ამიტომ გადაცემაში მხოლოდ პოზიციების დაფიქსირება ხდება ხოლმე...

— როგორც მახსოვს, საქართველოს პრეზიდენტი ჯერ არ ყოფილა თქვენი სტუმარი...

— ნამდვილად ასეა, პრეზიდენტი გადაცემაში ჯერ არ მოგვიწვევია, მაგრამ ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება მოვიწვიოთ პრეზიდენტი გადაცემაში — „არჩევანის ზღვარზე".

— მაყურებლის სიმპათიას თუ გრძნობ, როდესაც ქუჩაში გადიხარ?

— მინდა გითხრა, რომ ქართველი მაყურებელი ძალიან მიმტევებელია. მქონდა შესაძლებლობა, მენახა, თუ როგორ მუშაობენ სი-ენ-ენზე. ვიდრე გადაცემას — „არჩევანის ზღვარზე" მოვამზადებდით, თვალყურს ვადევნებდით აგრეთვე იმას, თუ როგორ ამზადებდა თავის გადაცემას ენტე-ვეზე ლეონიდ პარფიონოვი... ამერიკაში წამყვანს არა აქვს შეცდომის უფლება: იმ შემთხვევაში, თუ მისი სარეიტინგო მაჩვენებელი დაეცა, თუ ის კარგავს პოპულარობას მაყურებლებში, წამყვანს საკმაოდ იოლად ელევიან. ჩვენი მაყურებელი კი, დაგაცდის, რომ გაიზარდო, გაპატიებს შეცდომებს და როცა ხედავს, რომ ნერვიულობ, გგულშემატკივრობს. შენ, როგორც გადაცემის წამყვანი, თითოეული ადამიანის ოჯახში შედიხარ და თითქოს მისი წევრი ხდები...

— ცოტა ხნის წინ, ახალ გადაცემაშიც გიხილეთ. როგორ ფიქრობ — გაამართლა „ეტალონის" პროექტმა?

— ნამდვილი ზეიმია, როდესაც შეგიძლია, კვირაში ერთ მოსწავლეს და მის პედაგოგს სიხარული მოუტანო. ვიდრე პროექტი ეთერში გავიდოდა, ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი კახეთს, კერძოდ — ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანს ეწვია, სადაც ვნახეთ, თუ როგორ ემზადებოდნენ იქაური ბავშვები ამ პროექტისთვის. აღმოჩნდა, რომ ზემო ალვანში ბავშვები ჭრაქის შუქზე მეცადინეობენ, რადგან სოფელს ელექტროენერგია არ მიეწოდება. სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ ალავერდის ტაძრის წინამძღვარი ეხმარება ბავშვებს რელიგიის ისტორიიდან სწორი პასუხების მოძიებაში. კლასის დამრიგებლები კი, უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ საკუთარი მოსწავლეების წინაშე... გაოცდებით, რომ ნახოთ, თუ როგორ ემშვიდობებიან თამაშის მონაწილეები გამარჯვებულებს. მოზარდები ტირიან კიდეც. მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო გადაცემის ფინალურ ნაწილში, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოხდა სამწუხარო ლაფსუსი: ჩვენ დავსვით შეკითხვა, რომელზეც არასწორი პასუხი იყო გამოტანილი. საბედნიეროდ (თუ შეიძლება, ამ შემთხვევაში ეს სიტყვა ვიხმაროთ), სამივე ფინალისტს ერთი და იგივე პასუხი ჰქონდა დაფიქსირებული და ამან საბოლოო შედეგზე ვერ იმოქმედა: გაიმარჯვა მან, ვისაც უკეთესი ნებისყოფა ჰქონდა... მიუხედავად ამისა, აღნიშნული კითხვის ავტორს ჩვენ უკვე დავემშვიდობეთ... მე არ მინდა, ამჯერად ბოლომდე გავამჟღავნო ყველა საიდუმლო, მაგრამ ამ კატეგორიის ყველა ბავშვი კიდევ ერთხელ მოსინჯავს ძალებს ჩვენს პროექტში.



...ჩვენი მაყურებელი კი, დაგაცდის, რომ გაიზარდო, გაპატიებს შეცდომებს და როცა ხედავს, რომ ნერვიულობ, გგულშემატკივრობს კიდეც

— საინტერესოა, სად მუშავდება კითხვები, რომლებზეც მოსწავლეებს პასუხის გაცემა უწევთ?

— როგორც უკვე იცით, „ეტალონის" იდეის ავტორია გოჩა ტყეშელაშვილი. პროექტი საკმაოდ რთული და შრომატევადია. მასში მონაწილე ყველა პიროვნებას აქვს კონკრეტული ამოცანა. მე ვმუშაობ გადაცემის სატელევიზიო ვერსიაზე. რაც შეეხება შეკითხვებს, მასზე მუშაობდნენ თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და პედაგოგთა ინოვაციის ცენტრის თანამშრომლები. ისინი მთელი ზაფხულის განმავლობაში, უანგაროდ აკეთებდნენ თავიანთ საქმეს და კითხვების ვრცელი ბანკი შექმნეს. მოთხოვნები კითხვების მიმართ საკმაოდ მკაცრია: კითხვაში პასუხზე მინიშნებაც უნდა იყოს, რომ ბავშვი ადვილად მიხვდეს; იგი აგრეთვე, ლაკონური უნდა იყოს და ა.შ. ყველა შეკითხვასთან დაკავშირებით ფსიქოლოგების დასკვნაა გამოტანილი. დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ იმის გამოც, რომ ეს პროექტი მზადდება უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით...

— საქართველოს ტელესივრცეში თითქმის ერთდროულად გამოჩნდა ამ ტიპის ორი გადაცემა: „ყველაზე ჭკვიანი" და „ეტალონი". როგორ ფიქრობ — თქვენი გადაცემა გაუძლებს კონკურენციას?

— პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ ეს არ არის კომერციული და ამდენად, ჩვენ არავის ვეჯიბრებით. „ეტალონი" ყველაზე ეროვნული მედიაპროექტია და მიმართულია სასიკეთო საქმის საკეთებლად. ეს არის გადაცემა, რომლითაც მე მომავალში ვიამაყებ. ჩვენ შევიტყუებთ ბავშვებს წიგნების სამყაროში... თუმცა, როგორც წამყვანს, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ამ პროექტთან სამწუხაროდ, დამშვიდობება მომიწევს... ■

საქართველოს საავტომობილო გზები რომ მოსაწესრიგებელია, ეს უდავოა. მით უფრო საინტერესოა, თუ რა ხდება იმ დაწესებულებაში, რომელიც გზების შეკეთებაზეა პასუხისმგებელი. რა შეიცვალა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში? რა გეგმები აქვს და რაზე წუხს დეპარტამენტის თავმჯდომარე? ამ კითხვაზე თავად დეპარტამენტის ამჟამინდელი ხელმძღვანელი რომან დალაქიშვილი გვიპასუხებს.

პრიორიტეტული ავტოგზანი თბილისი-რიკოთი ანუ შევნირავთ შიდაგზებს დიდ პროექტებს!

მინიდოსიე:

რომან დალაქიშვილი, 54 წლის. ძირითადი პროფესია — ინჟინერი, ხიდების მშენებლობის სპეციალობით; მიღებული აქვს უმაღლესი ეკონომიკური და იურიდიული განათლება; პყავს მეუღლე, 4 შვილი და 3 შვილიშვილი. 1986 წლიდან მუშაობდა, საავტომობილო გზების დეპარტამენტში ტრესტის მმართველის მოადგილედ, შემდეგ — გაერთიანების მთავარ ინჟინრად; იყო თეთრიწყაროს რაიონის გამგებელი და ბოლო ორი მოწვევის პარლამენტის დეპუტატი; პარლამენტის საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ლელა ჭანკოტაძე

— თავიდანვე რამდენიმე პრობლემა ერთად წამოიჭრა და მართალი გითხრათ, ცოტა გაგვიჭირდა... ამ შენობაში რემონტი მიმდინარეობდა და ყველაფერი თავდაყირა იდგა. ამიტომ პირველ რიგში, თანამშრომლებისთვის სამუშაო პირობები უნდა შემექმნა. ამ თანამდებობაზე 2003 წლის 16 დეკემბერს დავინიშნე. საერთოდ, ზამთარში გზების შენახვა უფრო პრობლემატურია. იმ დროისთვის კი, ჯერ ბიუჯეტიც არ იყო დამტკიცებული და საქმე ამანაც გაგვირთულა... ახალი ხელისუფლების პირობებში, პირველსავე თვეებში საგზაო ფონდის შემოსავალმა საგრძნობლად იმატა. საქმეც ბევრი იყო გასაკეთებელი. მაგრამ სისტემა დიდი დატვირთვისთვის მზად არ აღმოჩნდა. პარალელურად, ობიექტების პროექტირებას ვახდენდით, ტენდერებს ვაცხადებდით და სამუშაოებსაც ვაწარმოებდით. ერთი სიტყვით, განსაკუთრებულ რეჟიმში ვმუშაობდით.

— კონკრეტულად რა გაკეთდა?

— სამი მიმართულებით ვიმუშავეთ: მსოფლიო ბანკის კრედიტით, ქუვეითის ფონდის და საგზაო ფონდის სახსრებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორივე კრედიტი ძირითადად, წელს მთავრდება. ამ მხრივ, სერიოზული სამუშაოებია ჩატარებული. კერძოდ: მსოფლიო ბანკის კრედიტით დამთავრდა მარნეული-სადახლოს საავტომობილო გზა (20,5 კმ), მლეთა-გუდაურის მონაკვეთი (14 კმ), თბილისი-მარნეულის (6 კმ), საგარეჯო-ბაკურციხის (11 კმ), თბილისი-წითელი ხიდის (11 კმ), ხაშური-ბორჯომი-ახალციხის (9 კმ), ქუთაისი-სამტრედიის გზები, ქალაქ ქობულეთში 5-კილომეტრიანი მონაკვეთები; დამთავრების სტადიაშია საქართველოს სამხედრო გზაზე, სონდის ხევზე საკმაოდ ფუნდამენტური ხიდის აშენება. ქუვეითის ფონდის სახსრებით დავასრულეთ ფოთის შემოსასვლელი გზა (4,8 კმ), სამტრედია-გრიგოლეთის (32 კმ) მონაკვეთი, ამჟამად მიმდინარეობს ჩოლოქი-წყალწმინდის (7 კმ) მონაკვეთის რეაბილიტაცია. ეს ბოლო მონაკვეთი სავალალო მდგომარეობაში იყო და აჭარაში მიმავალი დამსვენებელი ყოველთვის უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ახლა იქ სოლიდური სამუშაო მიმდინარეობს და მომავალ წელს, მოწესრიგებული გზა დაგვხვდება. რაც შეეხება საგზაო ფონდის სახსრებს — ის გადანაწილდა ორი მიმართულებით: სტიქიის ობიექტები და სარეაბილიტაციო და შესაკეთებელი ობიექტები. 40-ზე მეტ ხიდზე მიმდინარეობს რემონტი, ასევე — ნაპირსამაგრი სამუშაოები რიონზე, ენგურსა და ცხენისწყალზე. უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში, სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია ვერ ხერხდებოდა და ახლა გვიწევს ამის გაკეთება. ბიუჯეტით 9 მლნ-ია გათვალისწინებული, მაგრამ იმდენად ბევრი და საფუძვლიანი სამუშაოა ჩასატარებელი, რომ მოცულობა დაახლოებით 12-13 მლნ-ს მიაღწევს. სტიქიისაგან შესაძლოა, გზაზე ზვავი ჩამოწვეს, მაგრამ ეს ნაგებობები დაიცავს გზას და წყალი ახალაშენებულ ხიდსაც ვერ წაიღებს. ასევე შევაკეთეთ გზა ცენტრალურ მაგისტრალზე, გორთან (2 კმ); 6 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მოხდა ბათუმი-სარფის მონაკვეთზე, სადაც გზა საშინლად მოუწესრიგებელი იყო. შეკეთდა სამტრედიის, სენაკისა და აგარის მახლობლად მდებარე, ცენტრალური გზის მონაკვეთები. ხობი-ზუგდიდის (3 კმ), სენაკი-ჩხოროწყუს (4 კმ) მონაკვეთებზე ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები... ყველას ჩამოთვლა ალბათ გამიძნელდება კიდეც.

— 23 ნოემბრამდე, ყველა სახელმწიფო სტრუქტურამ პრეზიდენტს უნდა წარუდგინოს მუშაობის შედეგები. რამ შეიძლება გამოიწვიოს პრეზიდენტის უკმაყოფილება?

— წელს შემოსავლები იმდენად გაიზარდა, რომ ვერ შევძელით მათი მთლიანად ათვისება და ნაშთად გარკვეული თანხა გვრჩება. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება და შეიძლება, ვინმეს არ მოეწონოს, სწორედ ის არის, რომ ამ თანხებით შეიძლებოდა გაცილებით მეტი სამუშაოს შესრულება. მაგრამ როგორც გითხარით, საგზაო ორგანიზაციები სოლიდური პროექტების პრაქტიკულად განსახორციელებლად მზად არ აღმოჩნდნენ. პრობლემები შეექმნათ ბიტუმის მოწოდებასა და ელექტროენერგიით მომარაგებაში. თუმცა, წლევანდელმა წელმა მათ დიდი ბიძგი მისცა განვითარებისთვის. ზოგიერთმა კომპანიამ შეძლო, შეეძინა თანამედროვე ტექნიკა, რათა მომავალ წელს უფრო დიდი მოცულობის სამუშაოების წარმოების საშუალება მიეცეს.

— როგორც ვიცით, 2005 წლის ბიუჯეტში თქვენი დაფინანსება გაცილებით ნაკლები იქნება...

— თუ ამ ნაშთს დაგვიტოვებენ და

გზების რეაბილიტაციისთვის გამოვიყენებთ, მაინც ბევრის გაკეთებას შევძლებთ. წელს ორი კრედიტის ათვისება მთავრდება და გაისად, მხოლოდ ერთი კრედიტით მუშაობა მოგვიწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაცილებით ნაკლები სამუშაოების შესრულება მოგვიხდება.

— ავტობანის მშენებლობა როდისთვისაა დაგეგმილი?

— ყველაზე მთავარი ამ შემთხვევაში, ფინანსების მოზიდვის პრობლემაა, რადგან ავტობანი ძალზე ძვირად ღირებული სიამოვნებაა. პრიორიტეტული თბილისი-რიკოთის მონაკვეთის ავტობანად გადაკეთება, შემდეგ — ფოთი-წითელი ხიდის მთელ სიგრძეზე ავტობანის მშენებლობა. 2005 წლიდან, უკვე რეალური ნაბიჯები იქნება გადადგმული.

— ჩოლოქის ხიდის მშენებლობაზე რას გვეტყვით? ამ ხიდთან დაკავშირებით ალბათ, ბევრი რამ გაქვთ გასახსენებელი.

— როგორც იცით, ეს ხიდი ააფეთქეს და კაპიტალურად მისი აღდგენა მოკლე დროში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამიტომ, ავაგეთ დროებითი ხიდი. 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობდით და ხიდი 4 დღეში მზად იყო. ეს 4 დღე ჩემს ბიოგრაფიაში განსაკუთრებულია. ახლა უკვე პროექტირება დამთავრებულია და მომავალ წელს, აფეთქებულ ჩოლოქის ხიდს საბოლოოდ აღვადგენთ. გასახსენებელი რა თქმა უნდა, მაქვს... როდესაც აჭარაში მაისის მოვლენების ლოგიკური შედეგები აშკარა გახდა, ყოველგვარი დავალების გარეშე, დავტვირთეთ მანქანები კონსტრუქციებით და კონტრაქტორებთან ერთად ჩოლოქისაკენ წავედით. დილის 4 საათი იქნებოდა, უკვე ზესტაფონთან ვიყავით მისული, პრემიერ-მინისტრმა რომ დამირეკა და მითხრა: ღამე კია, მაგრამ აუცილებლად უნდა წამოხვიდეთ და აღდგენითი სამუშაოები დაიწყოთო. ვუპასუხე: უკვე გზაში ვარ-მეთქი. რა თქმა უნდა, მის ხმაში კმაყოფილება ვიგრძენი... ადგილზე მისულებმა, დავიწყეთ სჯა-ბაასი, თუ რომელ მხარეს აგვეგო დროებითი ხიდი. მე ხიდის მარჯვენა მხარეს აგებას ვამჯობინებდი, რადგან ხეების გაკაფვა არ მოგვიწევდა. მაგრამ საპროექტოს დირექტორმა და მშენებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა სხვა ვარიანტის სისწორეში დამარწმუნეს. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მარჯვენა მხარე დანაღმული იყო და იქ რომ მშენებლობა დაგვეწყო, ახლა თქვენთან ერთად აღარ ვიქნებოდი... მძიმე და რთულ პირობებში მოგვიხდა მუშაობა. ერთ ღამეს გენერატორი გაგვიფუჭდა. სანამ მას შეაკეთებდნენ, მოსასვენებლად გავედით. ერთ-ერთი სამუშაოთა მწარმოებელი ხიდიდან გადავარდნილა და რომ არა პრეზიდენტის მოულოდნელი ვიზიტი, სანამ ჩვენ მოვბრუნდებოდით, ადამიანი სისხლისაგან დაიცლებოდა. მუშაობის პერიოდში, პრეზიდენტი ორჯერ მოვიდა, მესამედ უკვე ხიდის გახსნაზე გვესტუმრა. რომ არა საყოველთაო ენთუზიაზმი, ასე სწრაფად ხიდის აგებას ვერ შევძლებდით.

— როდისთვის იგეგმება რაიონული გზების მოწესრიგება?

— საქართველოში სამი მნიშვნელობის გზები არსებობს: საერთაშორისო მნიშვნელობის გზები, რომელთა ერთობლიობა 1500 კმ-მდე სიგრძისაა; შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები — 3500 კმ, რომელშიც შედის რაიონულ ცენტრებთან და ისტორიულ ძეგლებთან მისასვლელი გზები; ადგილობრივი მნიშვნელობის გზები 15000 კმ-ზე მეტს შეადგენს. პირველი ამოცანა, საერთაშორისო მნიშვნელობის გზების მოწესრიგებაა. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები ისეთი აქტუალური არ არის, როგორიც სახელმწიფო მნიშვნელობის. ის გზები, რომლებზეც ძალზე ინტენსიური მოძრაობაა, პირველ რიგში უნდა შეკეთდეს. ამჟამად, მსოფლიო ბანკის კრედიტით იწყება ადგილობრივი და შიდასახელმწიფოებრივი გზების რეაბილიტაცია. ეს თანხა საკმარისი არ არის, რადგან ჩვენი გზების რეაბილიტაციისათვის 700 მლნ დოლარამდეა საჭირო, კრედიტი კი, სულ 20-მილიონიანია. ამიტომ, რომელი გზებიც უფრო აქტუალურია, მათ შეკეთებას ვაწარმოებთ. პარალელურად, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ყოველწლიურად, შესაძლებლობის ფარგლებში, ვაკეთებთ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რასაც ითხოვს არსებული მდგომარეობა. მიმდინარე წლის დაფინანსება და არსებული პერსპექტივები დიდ იმედს გვისახავს, რომ სულ მალე, საქართველოში გზების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება.

24-საათიან რეჟიმში ვმუშაობდით და ხიდი 4 დღეში მზად იყო

— როდესაც უკვე შეკეთებულ გზებს BP-ს მანქანები აზიანებენ, აღდგენით სამუშაოებს ვინ აწარმოებს?

— ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობები საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი პროექტებია, მაგრამ ისინი არ უნდა ხორციელდებოდეს გზების დაზიანების ხარჯზე. სადაც British Petroleum და მისი მოიჯარე მშენებელი ორგანიზაციები აზიანებენ გზებს, რაღაც ნაწილის რეაბილიტაციას თვითონ ახორციელებენ კიდეც. ჩვენ მათთან მჭიდრო, სისტემატური ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით რეალურ შედეგს ვერ მივაღწიეთ. მათ ვთხოვთ, თვითონ აღადგინონ მათ მიერ გაფუჭებული გზა, რასაც მხოლოდ ნაწილობრივ აკეთებენ, ისიც — ძალზე მცირე მასშტაბით.

— როგორც ვიცით, თქვენს სისტემაში რეორგანიზაციაც ხორციელდება.

— დიახ, საკმაოდ სერიოზული რეორგანიზაცია განხორციელდა. საგზაო ფონდში შემოსავლების მობილიზაცია, თანხების ამოღება, საგადასახადო ფუნქციის განხორციელება ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში გადავიდა. ამან გამოიწვია დაახლოებით 350 თანამშრომლის შემცირება... ამასთან, გაუქმდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე საგზაო დირექციები. შესაბამისად, მათი ფუნქციები დეპარტამენტს გადაეცა.

— როგორ გგონიათ — „ვარდების რევოლუციის“ წლისთავისთვის შეძლებთ, თქვენი შედეგებით თავი მოიწონოთ?

— ამ სისტემაში ჩემი მუშაობის სტაჟი და ურთიერთობა რამდენიმე ათეულ წელს ითვლის და მინდა გითხრათ, რომ წლევანდელი წელი გზების რეაბილიტაციისა და შეკეთების თვალსაზრისით, ბოლო 12–13 წლის მანძილზე ყველაზე ნაყოფიერია. ვფიქრობ, როდესაც შესრულებული სამუშაოების სრულყოფილ შედეგებს წარვადგენთ, უფრო ნათელი გახდება, თუ ახალი ხელისუფლების ხელმძღვანელობით, თანდათან როგორ დგება ფეხზე საქართველო...

■

tv-shopge

სიახლე!

tv ჰიტი

მიაღწიეთ თქვენთვის საოცნებო ფიგურას!

Butterfly: ახალი თაობის ფიგურის კორექტორი

ადვილად და ძალდატანების გარეშე

ცნობილი ელექტრონული მიოსტიმულატორის **Abtronic**-ის თავბრუდამხვევი წარმატების შემდეგ ახალი მიოსტიმულატორი **Batterfly** კიდევ უფრო ეფექტურია გრაციოზული ფიგურეს მოსაპოვებელ დაუნდობელ ბრძოლაში.

საოცარი შედეგი !

Batterfly მარტივია მოხმარებისას, ადვილად მაგრდება სხეულის ნებისმიერ ადგილზე. იგი მისაღებია როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვის. თქვენ აიძულებთ თქვენს კუნთებს იმუშაონ იქ, სადაც გსურთ და მაშინ, როდესაც გსურთ. თქვენ ზოგავთ დროსა და ენერგიას, რადგანაც უკვე 15 დღეში თქვენ მიაღწევთ წარმოუდგენელ შედეგს.

Batterfly – იგი მარტივია, სწრაფი, ეფექტური

6 არგუმენტი მიოსტიმულატორ Batterfly-ს სასარგებლოდ:

- ☑ თქვენ იძენთ თქვენი ოცნების სხეულს
- ☑ შედეგი შესამჩნევია პირველი დღეებიდანვე
- ☑ ძალდატანებისა და დაძაბულობის გარეშე
- ☑ ყველა ჯგუფის კუნთებისათვის
- ☑ ქალებისა და მამაკაცებისათვის
- ☑ გასაოცარი ფასი

მიოსტიმულატორ Batterfly-ს დამატებითი სასიკეთო ზემოქმედება ორგანიზმზე

• ხსნის მთელი დღის დაღლილობას • ახდენს ანტისტრესულ, დამამშვიდებელ მოქმედებას • ასტიმულირებს ორგანიზმში სისხლის მიმოქცევას

Batterfly-ს ფორმა საშუალებას გაძლევთ დააფიქსიროთ იგი სადაც გსურთ



დაჭიმული კუნთები

დახვეწილი ფეხები

იდეალური პრესი

დარეკეთ:

☎ 38-08-08

„მერებმა სასჯიკად მანამეს – მცემეს და შემდეგ ცხელი ეთოთი დამშანთეს“

ბათუმელი ქალბატონი შემზარავ დანაშაულში ასლან აბაშიძის ნათესავებს ამხელს

სულ მალე ბათუმის საქალაქო სასამართლოში ადამიანის გატაცებისა და სადისტური წამების ფაქტებზე, როგორც ახლა ვარაუდობენ, ძალზე დაძაბული და ხმაურიანი სასამართლო პროცესი გაიმართება. მოარული ხმებით, აჭარაში რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, ის პირები, რომლებიც პროცესზე განსასჯელთა როლში იქნებიან, არასდროს აღმოჩნდებოდნენ საბრალდებო სკამზე. როგორც ამბობენ, ამ ვარაუდს თუნდაც, ის მოწმობს, რომ მომხდარ ფაქტზე აჭარის პროკურატურამ რეალური რეაგირება 2 წლის დაგვიანებით მოახდინა, ზუსტად მას შემდეგ, რაც აჭარაში ასლან აბაშიძის რეჟიმი დაემხო.

მეგი სანავა

ავტონომიის ექსლიდერი და მისი გარემოცვა, როგორც დაზარალებული აცხადებს, პირდაპირ კავშირშია ჩადენილ დანაშაულთან. ამას დღეს სამართალდამცავებიც ადასტურებენ. 2002 წლის 23 ივნისს, ბათუმის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, დღისით, მზისით, ავტომატებითა და პისტოლეტებით შეიარაღებულმა პირებმა ბათუმელი ქალბატონი – ციური კაიკაციშვილი გაიტაცეს. 13 დღე კაიკაციშვილი არავის უნახავს, მისი ადგილსამყოფლით არც დაინტერესებულან, პოლიციისთვის არავის მიუმართავს, რადგან, როგორც დაზარალებული ამბობს, მისი სისხლით ნათესავებიც კი იყვნენ ამ საქმეში გარეულნი.

როდესაც გამტაცებლებისგან, რაღაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით თავდაღწეული, არადამანურად ნაცემი და ნაწამები ქალი პოლიციაში მივარდა და დამნაშავეთა გვარები დასახელა, სამართალდამცავებმა ყველაფერი იღონეს, რათა მისი მამხილებელი ჩვენება გაებათილებინათ. 2 წლის შემდეგ კი, პროკურატურამ კაიკაციშვილის მიერ დასახელებულ პირებზე ძებნა გამოაცხადა, პოლიციამ 3 მათგანი დააკავა კიდეც...

ციური კაიკაციშვილი თავადაც მიეკუთვნებოდა აბაშიძის სანათესავოს. ის აბაშიძის აწ გარდაცვლილი ცოლის – მაგული გოგიტიძის ღვიძლი ბიძის – რეზო ბლადაძის მეუღლე გახლდათ. დაკავებულ და ძებნილ პირთა შორის კი, მისი გერები – რეზო ბლადაძის ვაჟები (პირველი ქორწინებიდან), მაგული გოგიტიძის ბიძაშვილები – ედუარდ (ივივე ზორალი), მალხაზ და ზვიად ბლადაძეები არიან.

თუმცა, როგორც დაზარალებული აცხადებს, დანაშაულში 20-მდე ადამიანი, მათ შორის, ქალებიც მონაწილეობდნენ. გატაცებისა და წამების ერთ-ერთ მონაწილედ კაიკაციშვილი კიდევ ერთს, თავისი გერის ქმარს – აჭარის შინაგანი ჯარის ყოფილ სარდალს ჯემალ ვერულიძესაც (ამჟამად სამართალდამცავების მიერ ძებნილს) ასახელებს. დაზარალებულის თქმით, გერები ამ საშიში და შემზარავი დანაშაულის გეგმას თვეების განმავლობაში ადგენდნენ, ამის მიზეზი კი, ის დიდი ქონება იყო, რომლის ერთადერთ მემკვიდრედ და კანონიერ მფლობელადაც ქმრის გარდაცვალების შემდეგ, ქალბატონი ციური დარჩა... თუ ვინ არის ამ ოჯახურ დავაში მტყუან-მართალი, ამის გარჩევისგან თავს შევიკავებთ, დავაფიქსირებთ მხოლოდ მხარეების პოზიციებს და დანაშაულის ფაქტს, რომელიც თავისთავად სულისშემძვრელია...

გერებიდან ამჟამად მხოლოდ უმცროსი ძმა – ზვიად ბლადაძეა დაკავებული. ივი, ისევე, როგორც მისი ნათესავები და დანაშაულში თანამონაწილეებად დასახელებული პირები, კატეგორიულად უარყოფს ბრალს და დაზარალებულის სიტყვებს...

ამ ფიცრულში შემიყვანეს...



...რკინის საწოლზე დამსვეს და ბორკილებით საწოლის თავზე მიმაბეს

ციური კაიკაციშვილი:

„რეზო ბლადაძეს ცოლად 1997 წელს გავყევი, ხელი ოფიციალურად მოვაწერეთ. ჩემს ქმარს პირველი ქორწინებიდან 5 შვილი – ორი ქალიშვილი და სამი ვაჟი ჰყავდა, ჩემთან კი შვილი არ გასჩენია, რადგან როცა შევუღლდით, უკვე ორივენი ასაკოვანები გახლდით. რეზომ მთელი ქონება, რაც იმ დროისთვის გააჩნდა, შვილებს დაუტოვა, ჩემთან კი, ასე ვთქვათ, ახალი ცხოვრება დაიწყო. ბათუმის ცენტრში სამოთახიანი ბინა შეიძინა და ჩემს სახელზე გააფორმა, ისევე, როგორც ახალშენილი ავტომანქა-

ნა — ვიპი „ტოიოტა“. რეზო იმ დროს რკინიგზის დეპარტამენტში მუშაობდა, კერძო ბიზნესი ჰქონდა, კერძოდ ვაართის ბიზნესს განაგებდა.

გერებთან კარგი, ნორმალური ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმ დრომდე გაგრძელდა, სანამ ჩემი ქმარი ცოცხალი იყო. რეზო საერთოდ მკაცრი და გავლენიანი პიროვნება გახლდათ, როგორც ოჯახში, ისე სანათესაოსა თუ სამეგობრო წრეში. რასაც იტყოდა, კანონი იყო. შეწინააღმდეგებას ვერავინ უბედავდა. ალბათ, ამიტომაც იკავებდნენ თავს ჩემი გერები პრეტენზიებისა და ლანძღვა-გინებისგან.

2001 წელს, მოულოდნელად, რეზო გარდაიცვალა და ჩემი ბედნიერი და უშფოთველი ცხოვრებაც დასრულდა. სრულიად მარტო და დაუცველი აღმოვჩნდი განსაცდელის წინაშე. რეზოს გარდაცვალების დღიდან მოყოლებული, მისი პირველი ცოლი არ მასვენებდა. მოსვენებას არ მაძლევდნენ გერები. ტელეფონზე მირეკავდნენ, მემუქრებოდნენ, მაშანტაჟებდნენ... მთხოვდნენ — ქონება, რაც მამაჩვენმა დაგიტოვა, ჩვენს სახელზე გადმოაფორმეო. მე ამაზე უარს ვაცხადებდი, რადგან რეზოს არც ერთი შვილი და არც პირველი ცოლი ამ მხრივ არ დაუჩაგრავს და რაც მე გამაჩნდა, ის მხოლოდ ჩვენი ქორწინების პერიოდში იყო შეძენილი. უარის შემდეგ, ყველა მათგანი ჩემს დაუძინებელ მტრად იქცა. ხვდებოდნენ, რომ მართლები არ იყვნენ და ამიტომაც სასამართლოს არ მიმართეს. რახან ამ გზით ვერას გახდებოდნენ, გადაწყვიტეს, თავიანთი გავლენა და კრიმინალური კავშირები გამოეყენებინათ. ქონების ძალით წართმევა განიზრახეს.

იმ პერიოდში ბევრი მაფრთხილებდა — შინიდან მარტო არ გახვიდე, რაღაც ცუდი ენებათ ჩაფიქრებული, რამე არ დაგიშავონო. მართლაც, ვფრთხილობდი და ამის წყალობით, ხიფათს რამდენჯერმე გადავურჩი კიდეც. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მაინც გამაბეს მახეში, თანაც ჩემი ნათესავის — მკვიდრი ბიძაშვილის დათო კაიკაციშვილის მოსყიდვის გზით...

2002 წლის 23 ივნისი იყო. მამიდაშვილის ოჯახში გახლდით სტუმრად. მასთან მქონდა ძვირფასეულობა და ფული გადამალული. ყოველ წუთს ველოდი ბინაში ბლადაძეების შემოვარდნას და ამიტომაც, სამკაულებისა და ფულის უსაფრთხო ადგილას შენახვა გადავწყვიტე. იმ დღეს, იმ ოჯახში სტუმრად სწორედ ზემოთ ნახსენები ბიძაშვილი — დათო კაიკაციშვილიც იმყოფებოდა. როცა მოსაღამოვდა, შინ წასვლა დავაპირე. დალიმ — ჩემმა მამიდაშვილმა ფანჯრიდან გადაიხედა და შეჰკივლა: ცოური, ვერსად გაგიშვებ, ეზოში შენი გერების მანქანა შეენიშნეო. დალის სიტყვებს მაშინვე საეჭვოდ გამოეხმაურა დათო, — თუმცა, მაშინ ვერაფერს მივხვდებოდი და ეჭვის ნასახიც არ გამჩენია, — საშიში არაფერიაო, — თქვა. შემდეგ მე მომიბრუნდა და მითხრა — მე მიგაცილებ სახლამდე, ჩემ გვერდით რისი გეშინია, ცოურიო?.. დათოს სიტყვებმა მართლაც დამაშშვიდა. თან ცოლიც და 2 წლის შვილი ახლდა. ყველანი ერთად გავედით ბინიდან. მაშინ დაახლოებით საღამოს 8 საათი იქნებოდა. ჩემს სახლამდე გზა ფეხით უნდა გაგვეცლო, რადგან იქვე, ახლოს ვცხოვრობდი. ალბათ, დაახლოებით 50-60 მეტრი იქნებოდა სახლამდე დარჩენილი, როცა უეცრად, გზა თეთრმა „ჟიგულიმ“ გადაგვიღობა. მანქანიდან პისტოლეტებით შეიარაღებული ორი პირი გადმოვიდა. მაშინვე ვიცანი თენგიზ ბლადაძე (ჩემი გერების მოგვარე და ახლობელი), მეორე კი უცნობი იყო. თვალის დახამხამებაში, აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი. ისე გადამიგრიხეს ხელები და ბორკილები დამადეს. შემდეგ ასევე სწრაფი მოძრაობით პირზე სკოჩი ამაკრეს და მანქანაში თავით შემაგდეს. ჩემი ბიძაშვილი, იქვე, შორიახლოს იდგა და თავის ცოლ-შვილთან ერთად ამ სურათს უყურებდა. რას აკეთებდა, მე ვერ ვხედავდი, მაგრამ ხმა რომ არ ამოუღია, ფაქტია. მაშინ ვიფიქრე, ცოლი და მცირეწლოვანი ბავშვი ახლდა, შეიარაღებულ ყაჩაღებს როგორ შეეწინააღმდეგებოდა-მეთქი? მაგრამ იმან დამაეჭვა, რომ არც ჩემი გატაცების შემდეგ მიუღია ზომები, არც პოლიციისთვის შეუტყობინებია მომხდარის შესახებ. დათო რომ იმ ხალხთან შეკრული არ ყოფილიყო, ისე, ხელშეუხებელს არავინ დატოვებდა ასეთი ფაქტის მოწმეს, მით უმეტეს, რომ არც ერთ გამტაცებელს სახეზე ნიღაბი არ ეფარა...

მანქანაში უკანა სავარძელზე დამსვეს. სალონში კიდევ ორი პიროვნება — ჩემი გერი ზვიად ბლადაძე და კუკური ინაიშვილი — მათივე ქუთაისელი ახლობელი აქეთ-იქიდან მომისხდნენ. თავი ძირს დამახრევინეს, კისერზე მთელი ძალით მაწვებოდნენ, თვალები კი შავი ქსოვილით ამიხვიეს. სად მივყავდი მათ, არ ვიცოდი. შიშისგან გაოგნებული ხმის ამოღებასაც ვერ ვახერხებდი.

რაღაც მანძილის გავლის შემდეგ, მანქანა გაჩერდა. გადამიყვანეს და მაშინ გავიგონე სიტყვები — აჰა, „ტავარი“ მოგიყვანეთო! ამის შემდეგ თვალებიდან ამხსნეს. სად ვიმყოფებოდი, ვერ ვხედებოდი. მხოლოდ იმას ვხედავდი, რომ ტყეში ვიყავი. როგორც მოგვიანებით გავარკვიე, ეს ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკესთან მდებარე ტყე გახლდათ. ტყეში ჩემი გერის ქმარი — ვეფალ ვერულიძე რამდენიმე პირთან ერთად დაგვხვდა. ყველანი სამხედრო

„ფეხებზე თხელი ქაღალდი დამაფარეს და ცხელი უთო დამადეს ზედ...“

ფორმებში იყვნენ ჩაცმულები და ყველას ავტომატი ეჭირა ხელში. იქვე, ფიცრულში შემიყვანეს (ფიცრული ვერულიძეს ეკუთვნოდა, იმ ტყის ბატონ-პატრონად გრძნობს თავს, იქ საქონელი ჰყავდა და საღორეც კი ჰქონდა აშენებული), რკინის საწოლზე დამსვეს და ბორკილებით საწოლის თავზე მიმაბეს. დაახლოებით 6-7 კაცი მადგა თავს. ვერულიძე და მისი თანმხლები პირები წავიდნენ, რამდენიმე საათში უკან დაბრუნდნენ და მაშინ, მთელი ამ დროის მანძილზე პირველად გამაგებინეს, რა უნდოდათ ჩემგან. ვერულიძემ მითხრა — შენ შვილი მაინც არ გყავს და რატომ ურჩობ, ბინა რომელიმე გერს გადაუფორმეო. — არა-მეთქი, — მკაცრად მოვუჭერი. ამ უარმა უფრო გაალიზიანა ისინი. დამიწყეს შეშინება და ცემა. მცემდნენ ჯერ ხელებით და ფეხებით, რომ დაიღლებოდნენ, მერე ავტომატის კონდახს მირტყამდნენ სახეში, თავში, სადაც მოხვდებოდათ... ეტყობოდათ, რომ ნარკოტიკებით იყვნენ გაბრუებულები. იარაღის კონდახის ჩარტყმის შედეგად, ყბის ძვალი გამიტყდა, საშინელი ტკივილი მტანჯავდა, მაგრამ მოტეხილობის გამო კივილსა და ყვირილსაც ვერ ვახერხებდი, სიტყვის თქმაზე ზედმეტი იყო ლაპარაკი. ასე ნაცემი და ნაწამები გარეთ გამიყვანეს. ფიცრულთან ახლოს მიწა ამოეთხარათ. ერთ-ერთმა მითხრა — რასაც გეუბნებით, იმას თუ არ გააკეთებ, ამ ორმოში ცოცხლად ჩაგმარხავთო. ამ სიტყვების შემდეგ, უფრო რომ დავეშინებინე, ავტომატი მოიმარჯვა და ფეხ-

ებში მესროლა. ტყვია ამცდა, სამაგიეროდ, ჩემ გვერდით მდგომ ვერულიძეს მოხვდა. იგი ფეხში დაიჭრა და დავარდა. ამის შემხედვარე მივხვდი, რომ ისინი ყველაფერზე წამსვლელები იყვნენ, ამიტომაც აღარ დამიყოვნებია, ვანიშნე, თანახმა ვარ-მეთქი.

მიუხედავად ამისა, ორი დღე იმ ფიცრულში გამომამწყვდიეს. შემდეგ, ღამით სოფელ ქობულეთში, ვინმე როსტომის (მოგვიანებით გავარკვიე, რომ იგი გვარად ჯაფარიძე გახლდათ) ოჯახში მიმიყვანეს. იქ ჩემმა გერმა — ედუარდ ბლადაძემ, მეტსახელად ზორალიმ, მომთხოვა, რომელიმე გერზე ჯიპიც გადამეფორმებინა, თან მეკითხებოდა, თუ სად მყავდა მანქანა დაყენებული. ჯიპისთვის ვერსად მიეგნოთ და ვერც მიაგნებდნენ, რადგან მანქანა მართლაც გადამალული მქონდა: ერთ-ერთი ჩემი ნაცნობი დამეხმარა და ჯიპი ქალაქ რუსთავში, პურის ქარხნის ეზოში დამაყენებინა.

მანქანის გადაფორმებაზე თავიდან უარი ვთქვი. მაშინ ჩემმა გერმა სახლის პატრონს როსტომს უთხრა — წადი, უთო მოიტანეო. როსტომი მიხვდა, თუ რას მიპირებდნენ. ეტყობა, შევეცოდე და თქვა — ცოდვაა, ბიჭებო, არ გინდათო. მასაც დაემუქრნენ — რასაც გეუბნებით, ის გააკეთე, თორემ, შენც ივივე დღე მოგელისო... ხელ-ფეხი შემიკრეს, პირიც ამიკრეს, კაბა ამიწიეს, ფეხებზე თხელი ქაღალდი დამაფინეს და ცხელი უთო დამადეს ზედ... ამას თენგიზ ბლადაძე აკეთებდა. ასე მაუთოებდნენ და მშანთავდნენ. ამ წამებას რას გავუძლებდი?.. მაშინვე ყველაფერზე დავთანხმდი...

საღამოს, ნაცრისფერი „ჟიგულით“ წამიყვანეს ნოტარიუსთან. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ის ნოტარიუსი ქალიც მოსყიდული ჰყავდათ. არაფერი უკითხავს ჩემთვის, საერთოდ არ დაინტერესებულა ჩემი მდგომარეობით, უსიტყვოდ გამომიწოდა რაღაც ქაღალდები და მეც, სხვა რა გზა მქონდა, ყველაფერს მოვაწერე ხელი. მაინც არ გამიშვეს. გარეთ რომ გავედით, ისევ ძალით ჩამსვეს თეთრ „ჟიგულიში“ რომელიც ნოტარიუსთან რომ მივდიოდით, უკან მოგვყვებოდა და ამჯერად, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში წამიყვანეს. მეც იმ სოფლიდან გახლავართ წარმოშობით, ამიტომაც იმ ადგილებს კარგად ვიცნობ. ჩემი მეუღლის გარდაცვლილი ძმის სახლში მიმიყვანეს. კუკური ინაიშვილმა მითხრა — ბინა და მანქანის საკითხი მოვაგვარეთ, მაგრამ ახლა ფული და ძვირფასეულობა დაგრჩა მოსაცემი, თქვი სად გაქვსო. მათ იცოდნენ, რომ ფულს და სამკაულებს მამიდაშვილთან ვინახავდი. მიუვარდნენ კიდეც მას და ყველაფერი წაართვეს, მაგრამ ფული ეცოტავათ, ფიქრობდნენ, რომ კიდევ მქონდა ძვირფასეულობა გადამალული და ამის გამო მაწამებდნენ. უშუალოდ ინაიშვილი და თენგიზ ბლადაძე მცემდნენ, სხეულზე მოკიდებულ სიგარეტს მადებდნენ. 4 დღეღამის განმავლობაში დამწყვედული ვყავდი სახლის სარდაფში. მომდევნო 2 დღით მეზობლის ოჯახში გადამიყვანეს. მითხრეს — დაზიანებები რომ მოგირჩება, მერე გაგიშვებთო. ყოველ საღამოს, ჩაიში რაღაც წამალს მიყრიდნენ, რადგან დავლევდი თუ არა, მკვდარივით მეძინებოდა. ამას მალე მივხვდი. ამიტომაც, ერთ დღეს მოვახერხე და თავი მოვიმძინარე, ჩაის დალევას ასე გადავურჩი. დილის 5 საათი იქნებოდა, როცა ფეხშიშველმა, ფეხაკრეფით მოვახერხე ოთახიდან გაპარვა, ყველას ეძინა და ამიტომაც ეზოც მშვიდობიანად გავიარე და როგორც კი ქუჩაში გავდგი ფეხი, რაც ძალა და ღონე მქონდა, გავიქეცი. იმ სოფელში ჩემი რძალი ცხოვრობს. მასთან სახლში მივვარდი და ვუთხარი — დრო არ დაკარგო, საჩქაროდ დამმალე-მეთქი. სახლის ეზოში ნალია იდგა. იქ ამიშვა. მეორე დღეს მამიდაშვილმა მზის სათვალე და პარიკი მოიტანა. ასე მივაღწიე ოზურგეთამდე, შემდეგ კი იქიდან, თბილისში სამარშრუტო ტაქსის გამოვყევი...“

ციური კაიკაციშვილი თბილისში ჩამოსვლისთანავე, ელენე თევდორაძეს შეხვდა და მისი უფლებების დაცვა სთხოვა. ამ ფაქტს ქლბატონი ელენეც ადასტურებს. მისი თქმით, პირველი, რაც ამ ნაწამები ქლბატონის დანახვისთანავე გააკეთა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთან — მაია ნიკოლეიშვილთან დაკავშირება იყო. „სხეულზე საშინელი დაზიანებები ჰქონდა, ჭრილობებიდან და დამწვარი ადგილებიდან სისხლი სდიოდა,“ — აღნიშნავს ელენე თევდორაძე. სხეულზე მრავალი დაზიანების, სისხლჩაქცევის, ნაჭდევისა და დამწვრობის კვალი ექსპერტმა ნიკოლეიშვილმა ოფიციალურად დასკვნაშიც დააფიქსირა და დაზარალებულს ფოტოებიც გადაუღო. ამ ფოტომასალითა და ექსპერტიზის დასკვნით ციური კაიკაციშვილმა სამართალდამცავებს მიმართა, დასახელა თითოეული დამნაშავის გვარი, მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ მაშინ საქმე 120-ე მუხლით (სხეულის მსუბუქი დაზიანება) აღძრა. დაკითხული პირები, მათ შორის ედუარდ ბლადაძე, კატეგორიულად უარყოფდნენ კაიკაციშვილისთვის რაიმე დაზიანების მიყენების ფაქტს. ედუარდ ბლადაძის თქმით, მამის გარდაცვალების შემდეგ, მისთვის ცნობილი გახდა, რომ მამამისს დარჩა ვალი — 60 ათასი დოლარი, ამ თანხას კი დედინაცვალი შინ ინახავდა; სწორედ ამ ფულისთვის დაუკავშირდნენ ისინი ციური კაიკაციშვილს, რომელმაც ბინა და მანქანა ნებაყოფლობით გაყიდა. საქმის მასალებში მალე ერთ-ერთი მოწმის სრულიად განსხვავებული ჩვენებაც გაჩნდა. მოწმის თქმით, 2002 წლის ივნისში ის შემთხვევით შეხვდა ციური კაიკაციშვილს, რომელმაც უთხრა, რომ ცხინვალში, როცა საკვბროდ იყო წასული, მოულოდნელად ყაჩღები დაესხნენ თავს და სასტიკად სცემეს. ციური კაიკაციშვილი აცხადებს, რომ ამ მოწმეს არ იცნობს და არც არასდროს შეხვედრია მას. დაზარალებულის თქმით, ის ცრუმოწმეა.

პროკურატურამ დაჰკითხა კაიკაციშვილის ბიძაშვილი — დათო კაიკაციშვილიც. მან კატეგორიულად უარყო დაზარალებულის სიტყვები და განაცხადა, რომ გატაცების არანაირ ფაქტს არ შესწრებია. მისი თქმით, 2002 წლის 23 ივნისს ისინი მართლაც, იმყოფებოდნენ დალი მესხიძის ოჯახში სტუმრად, მაგრამ გავიდნენ თუ არა სახლიდან, მისი და ციური კაიკაციშვილის გზები გაიყარა. „მას შემდეგ სად წავიდა და რა ბედი ეწია, არ ვიცი,“ — აღნიშნავს დათო კაიკაციშვილი.

ციური კაიკაციშვილი:

„პროკურატურამ ბევრი დეტალი დატოვა რეგირების გარეშე. მაგალითად, ჩემს ჩვენებაში მე ნათლად მივუთითე, რომ ჯაფარიძის ოჯახში, როცა მაწამებდნენ, დროდადრო ჩემი მეუღლის პირველი ცოლი — ჩიტო მესხიძე, მისი ქალიშვილი მაცაცო და ბიძაშვილი ჟუჟუნა ბლადაძეც ჩამოდიოდნენ. მლანძღავდნენ, მცემდნენ, წიხლებს მირტყამდნენ...“

ჩვენების ეს ნაწილი პროკურატურამ არ გაიზიარა, რადგან მტკიცებულებებით დადასტურებულად არ ცნო. თუმცა, დაზარალებულის ადვოკატი გიორგი ძიგუა აცხადებს, რომ ამ მხრივ გამოძიება არც ჩატარებულა. ზემოთ დასახელებული პროვნებები კი დაზარალებულის სიტყვებს უარყოფენ. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საქმის მასალებში დევს სოფელ ქედა სამების მცხოვრებთა ერთობლივი განცხადება, რომელსაც 90 მოსახლე აწერს ხელს. განცხადების თანახმად, ციური კაიკაციშვილი ტყუის. „ის ცნობილი შანტაჟისტია, რომელმაც რეზო ბლადაძისა და ჩიტო მესხიძის 30 წლის ოჯახი დაანგრია, პირადი გამორჩენის მიზნით,“ — აღნიშნულია განცხადებაში.

ციური კაიკაციშვილი:

„ამ განცხადებაზე ხელმოწერები რომ გაყალბებულია, ამას არათუ ექსპერტი, არამედ ჩვეულებრივი რიგითი ადამიანიც მიხვდება. ბევრი ერთი და იმავე კალიგრაფიითაა ხელმოწერილი. ერთ-ერთი მოსახლე კი, რომელიც

განცხადებას თითქოსდა ხელს აწერს, 23 წლის გარდაცვლილი გახლავთ...“

ხელმოწერების უტყუარობის საკითხს, ალბათ, სასამართლო დადგენს. თუმცა, სასამართლოს ობიექტურობის იმედი დაზარალებულს ნაკლებად აქვს. — „ბევრი ძირითადი დამნაშავე, გატაცების უშუალო დამკვეთები და მონაწილენი ჯერ კიდევ არ დაუკავებიათ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბლადაძეებს ჯერ კიდევ აქვთ საკმარისი გავლენა და ფული სამართალდამცავების მოსასყიდად“, — აღნიშნავს დაზარალებული.

გიორგი ძიგუა, ადვოკატი:

„კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ მუხლს, რომლის თანახმადაც შესაძლებელია, მხარეებს შორის შედგეს მორიგება. ჩვენ ბლადაძეების მხარეს ეს შევთავაზეთ. დაზარალებული, ფიზიკური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 100 ათას დოლარს ითხოვს, ასევე იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც მას ძალით წაართვეს. ბლადაძეების მხარემ შემოუთვალა — გვირჩევნია, ეს ფული სასამართლოს გადავუხადოთ, ვიდრე შენ მოგცეთო. აი, ამან განაპირობა ის ეჭვები, რომლებიც დაზარალებულს ამჟამად სასამართლოს მიმართ აქვს.“

წლეულს, პროკურატურამ ზვიად ბლადაძის გარდა, აღნიშნულ საქმეზე კუკური ინიშვილი და მანუჩარ ბლადაძე (კაიკაციშვილის გერების ბიძაშვილი) დაკავა. ამჟერად 120-ე მუხლი ადამიანის გატაცებისა და წამების მუხლზე გადაკვალიფიცირდა. ბრალს სამივე მათგანი უარყოფს. რაც შეეხება ედუარდ და მალხაზ ბლადაძეებს, თენგიზ ბლადაძესა და ჯემალ ვერულიძეს, მათზე ოფიციალურად ძებნა გამოცხადებული. პროკურატურამ დაჰკითხა ძირითადი მოწმე — როსტომ ჯაფარიძეც. მან დაზარალებულის ჩვენება დადასტურა. „მეორე სართულზე ჰყავდათ ქალი, რომელსაც თავიდან სისხლი სდიოდა. ეს რა ხდებამეთქი? — ვიკითხე. თენგიზმა მითხრა — შენც და შენს ოჯახსაც ასე დაგემართებათ, ნუ ჩაერევით ჩემს საქმეშიო... თენგიზმა უთო შეაერთა „რაზეტკაში“ და დაიწყეს უთოს გახურება... ქვედა კიდურებზე, ფეხებზე წვავდნენ, ფეხებს უჭერდნენ, თენგიზი წვავდა... მე ვყვიროდი — არ ჭამთ, სახლში არ მომიკლათ ადამიანი-მეთქი! მაგრამ მეც მემუქრებოდნენ“... — აღნიშნავს ჩვენებაში როსტომ ჯაფარიძე.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი განსასჯელი, წარსულში ნასამართლევი არ გახლდათ. რაც შეეხება ჯემალ ვერულიძეს, გარდა იმისა, რომ მას ერთ-ერთ მსხვილ ნარკობარონად მოიხსენიებენ, მისი სახელი ბევრ სისხლის სამართლის საქმეს უკავშირდება. ერთ-ერთი გახლავთ ბათუმის, შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის — ვლადიმერ ვერულიძის მკვლელობის ფაქტი. ვლადიმერ ვერულიძის გვამი სამართალდამცავებმა მდინარე კინტრიშში იპოვეს. ივი ჯემალ ვერულიძის ღვიძლი დის შვილი გახლდათ. ამჟამად მას მომხდარში საკუთარი და — თინა ვერულიძე ადანაშაულებს. თინა ვერულიძის თქმით, მისმა ძმამ დისშვილს ჩხუბის დროს სახეში ხელი გაარტყა, ბიჭი წაიქცა და თავი ქვას დაარტყა, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა. თინა ვერულიძის ეჭვით, მისმა ძმამ, დანაშაულის დაფარვის მიზნით, დისშვილის გვამი მდინარე კინტრიშში გადააგდო...

„თუ ჩვეულებრივ რამეს არაჩვეულებრივად ხარისხიანად გააკეთებ წარმატება გარდაუვალია“

ეს სიტყვები XIX-XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ბიზნესმენს, ჰენრი ჯონ ჰაინცს ეკუთვნის, სწორედ მისი ეს სიტყვებია ცნობილი კვების პროდუქტების კორპორაციის H.J. Heinz Company Inc — ის დევიზი, ამ დევიზის რეალობად ქცევა, კი კომპანიის უდიდესი წარმატების საიდუმლო.

დღეს, H.J. Heinz Company წარმოადგენს მულტინაციონალურ კორპორაციას, რომელსაც მსოფლიოს ყველა კონტინენტზე აქვს საკუთარი ფილიალები. კორპორაციის ძირითად პროფილს წარმოადგენს — ექსკლუზიური კვების პროდუქტების მოყვანა, დამზადება, მიწოდება და გაყიდვა.

H.J. Heinz Company - ის საფირმო ნიშნით იყიდება ათასი დასახელების სხვადასხვა პროდუქტი: მაიონეზი და სოუსი, კონსერვები და გაყინული საკვები, ბავშვთა საკვები და ჩიფსები, თევზეული და კატების საკვები. წარმოების სქემა ყველა შემთხვევაში ერთია — საუკეთესო პროდუქტის შერჩევა, გემოვნებითი კორექცია, ორიგინალური შეფუთვა და სამრეწველო წარმოება, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ H.J. Heinz Company - ის ლოგოტიპი უპირველეს ყოვლისა, კეტჩუპთან ასოცირდება, რომელიც უკვე 130 წელია რჩება კომპანიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პროდუქტად მსოფლიოში. ყოველწლიურად კომპანია მსოფლიოს 140 ქვეყანაში, დაახლოებით, 650 მილიონ ბოთლს ყიდის, მისი ყოველწლიური შემოსავალი, კი გაყიდვების ჩათვლით, 14 მილიარდ დოლარს შეადგენს.

საფუძველთა საფუძველი: კორპორაციის ხედვით H.J.Heinz Company -ის სიმდიდრის საფუძველი იყო და რჩება პამიდორი.

კომპანია თვალყურს ადევნებს და აკონტროლებს პამიდვრის მოყვანის მთელს პროცესს, დათესვიდან - მოსავლის აღებამდე; სასუქიდან - ქარხანაში მიტანამდე.

კეტჩუპი, Catcsup, Ketsiap . . . .

ფილოლოგები დღემდე კამათობენ სიტყვა „კეტჩუპის“ წარმოშობაზე. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, თუმცა აქვე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თუ დედამიწის ნებისმიერ წერტილში წარმოვთქვამთ სიტყვა “Heinz“, ყველა ხვდება რაზეა საუბარი, რადგან “Heinz“ -ის ხსენებისას ყოველთვის გვახსენდება კეტჩუპი, ისევე როგორც, როცა ვამბობთ “Heinz“ - ვგულისხმობთ კეტჩუპს.

ტომატის კეტჩუპი Heinz:

იბადება კითხვა, რატომ ანიჭებს უპირატესობას ყველა მთელ მსოფლიოში Heinz -ის ტომატის კეტჩუპს? მისი დამზადების წესი მართლაც დიდ საიდუმლოს წარმოადგენს. ის ბუნებრივად სქელია; აქეს ცოცხალი, წითელი ფერი, რაც საღებავის შედეგი არ არის და არ შეიცავს ხელოვნურ კონსერვანტებს. სამაგიეროდ შეიცავს ნატურალურ ანტიოქსიდენს, რომლის რეგულარული გამოყენება ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებსა და სიმსივნის ზოგიერთი სახეობის წარმოშობის ალბათობასაც.

ჩვენ გავხადეთ გემრიელი მარგებელი: (გემრიელი და მარგებელი)

H.J. Heinz Company - ის სოუსები მზადდება უნიკალური რეცეპტებით, რის შედეგადაც მიიღება საუცხოო ფერი და გემოს ნაირსახეობა. ყურადღება ექცევა აგრეთვე შეფუთვის ორიგინალურობასაც, რაც ზრდის მისი გამოყენების შესაძლებლობებს.

„ლობიო ტომატის სოუსში“:

H.J. Heinz Company იყო მსოფლიოში პირველი კომპანია, რომელმაც მომხმარებელს შესთავაზა ლობიო ტომატის სოუსში - პროტეინებით მდიდარი, სასარგებლო და უბერმრიელესი საკვები, რომელიც არ შეიცავს ქოლესტერინს და უზრუნველყოფს ადამიანს კალცისა და რკინის დღიური ნორმით.

დაკონსერვებული „თინური“(თევზი)

„თინური“ ერთ-ერთი პროდუქტია H.J. Heinz Company - ის მრავალფეროვან წარმოებაში. კომპანიის მთავარი მიზანი ჯანმრთელი კვების პროდუქტების წარმოებაა, გამომდინარე აქედან წარმოებაში გამოყენებული ნებისმიერი პროდუქტი ნატურალური, სუფთა და ახალია, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას დაიცავს მომხმარებელი ქიმიური მინარევების ზემოქმედებისაგან.

ჩვენი მომხმარებელი (ბაზარი) — მთელი მსოფლიოა:

დღეს H.J. Heinz Company ფლობს 150-მდე ბრენდს, 4 000 დასახელების კვების პროდუქტს. რომელიც წარმატებით იყიდება მსოფლიო ბაზარზე. კომპანია ხორცს ახსამს ჰენრი ჰაინცის იდეას, რომელიც მან 1986 წელს წამოაყენა - „ჩვენი ბაზარი — მთელი მსოფლიოა“. კომპანია სამართლიანად ამაყობს იმით, რომ დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი მსოფლიო ბაზარზე, ისევე როგორც მომხმარებლის გულებში, ჩვენ სუფრასა თუ სამზარეულოში.

საბჭოთა ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ადამიანის ყველაზე ძლიერი კუნთი ენაა.

2. პეპლები საკვებს ფეხებით უსინჯავენ გემოს.

3. ერთ-ერთ მთას ურალის კალთაზე მაგნიტნაია ჰქვია.

4. მსოფლიოში ყველაზე მეტი ბუდას ქანდაკებაა აგებული.

5. ღოროტოტო ძველებური საყვირის მაგვარი ჩასაბერი საკრავია.

6. რეჟისორ ედუარდო დე ფილიპოს ნამდვილი გვარი პასარელია.

7. ძველ რომში ჰომოსექსუალისტები ერთმანეთს და-ძმას ეძახდნენ.

8. ფედერიკო ფელინი ერთ დროს გაზეთში კარიკატურისტად მუშაობდა.

9. პლანეტის მასშტაბით 130 მილიონზე მეტი ბავშვი არასოდეს ყოფილა სკოლაში.

10. იორდანიაში თოვლის წამოსვლისას მოსწავლეებს სკოლაში წასვლა ეკრძალებათ.

11. დიდ ბრიტანეთში „ბიბლიის“ გამოცემაზე საავტორო უფლებები დედოფალს ეკუთვნის.

12. საკვამლე მილის იმ ნაწილს, რომელიც სახურავის ზევით მდებარეობს, გვიმი ეწოდება.

13. თაფლი და ძმარი ის ბუნებრივი საკვები პროდუქტებია, რომლებიც არასოდეს ფუჭდება.

14. „ხაროშიხ ლიუდეი ნა სვეტე ბოლშე, პლახიე პროსტა ხარაშო ობიედენინი“ – ამტკიცებს მიხაილ ზადორნოვი.

15. ხელსაწყოს, რომლითაც ღრუბლების მოძრაობის სიჩქარესა და მიმართულებას განსაზღვრავენ, ნეფოსკოპი ჰქვია.

16. მეორე მსოფლიო ომამდე ნიუ-იორკის სატელეფონო წიგნში 22 ჰიტლერი იყო, ხოლო ომის შემდეგ, აღარც ერთი.

17. ინგლისის დედოფლის, ანას დაგრეხილი ფეხები დიზაინერთა შთაგონების წყაროდ იქცა. მათ ავეჯის ახალი სტილი შექმნეს.

18. 1950 წელს მსოფლიოში 15 მილიონი კეთრით დაავადებული ადამიანი ირიცხებოდა. ახლა მათი რიცხვი დაახლოებით ორი მილიონია. დაავადებულთა 70 პროცენტი ინდოეთში, ბირმასა და ნეპალში ცხოვრობს.

ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმარი დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი ნიკო ლეკიშვილი გახლავთ, რომელიც „გამოცდის ჩაბარებაზე“ უყოყმანოდ დაგვთანხმდა. შემდეგ, ბატონ ნიკოს ფსიქოლოგი დაახასიათებს, რომელმაც ჩვეულებისამებრ, „პაციენტის“ ვინაობა არ იცის.

ნიკო ლეკიშვილი:

„ვინ ხარ? რა ხარ? რატომ მგავხარ?.. სიკვდილს უნდა შევეგუო!“

სოფო ყარალაშვილი

— ბატონო ნიკო, წარმოიდგინეთ, რომ მიდიხართ უღრან ტყეში, სმენას გიამებთ ჩიტების ჟღურტული, ჩუხჩუხებს წყარო... საცალფეხო ბილიკზე თქვენს შესახვედრად მოდის ნიკო ლეკიშვილი. რას მოიმოქმედებთ?

– კაცმა არ იცის, რას გავაკეთებ... ალბათ, ვკითხავ – ვინ ხარ? რა ხარ? რატომ მგავხარ?..

— დაასრულეთ წინადადება: ვიცი, რომ სისულელეა, მაგრამ მეშინია...

– არაფრისაც არ მეშინია... მით უმეტეს თუ ვიცი, რომ სისულელეა.

— წარმოიდგინეთ, რომ დიქტატორულ სახელმწიფოში ცხოვრობთ და ქვეყნის მმართველის განკარგულებით, სახრჩობელაზე აჰყავხართ. გეძლევათ 2 წუთი უკანასკნელი სიტყვის წარმოსათქმელად. რას ეტყოდით იქ შეკრებილ ხალხს?

– არ ვიცი, მეყოფა საერთოდ ვაჟკაცობა, რომ ხმა ამოვიღო... თუმცა, მახსოვს, ასეთ მომენტში დანტონმა რომ უთხრა რობესპიერს – გელოდები იმ ქვეყნადო – და „აუხდინა“ კიდეც...

— მითხარით მამაკაცის სახელი, რომელიც ამ წამს ენაზე მოგადგათ.

– მიხეილი.

— როგორ გამოიყურება მიხეილი?

– მე მგავს, საშუალო სიმაღლისაა და ჩასკვნილი. უკეთილშობილესი ადამიანი, სტუმართმოყვარე... მამაჩემს ერქვა...

— ახლა წარმოიდგინეთ მდელო. როგორია?

– დიდია... სავსეა მრავალფეროვანი ყვავილით, გარშემო სულ ტყეა. ეს მდელო არ არის იდეალურად სწორი. სიწყნარეა, ისმის მხოლოდ ჩიტების ჭიკჭიკი.

— წარმოიდგინეთ, რომ ამ მდელოზე არის გუბე. რას ხედავთ, როცა შიგნით იხედებით?

– ეგ რაღა მდელოა?!. რასაკვირველია, ვხედავ საკუთარ თავს და ცას. ცა ისეთი ლამაზია, მგონია, რომ ცაზე ლამაზი ამქვეყნად არაფერია.

— წარმოიდგინეთ მთა. როგორია ეს მთა და როგორ ახვალთ ზედ?

– წარმოვიდგენ იალბუზს. ეს არის ჩემთვის მთა. სხვათა შორის, ერთხელ, ვერტმფრენით მივფრინავდი და რამდენიმე დიდ მთას 10 მეტრით მივუახლოვდით. არაჩვეულებრივი შეგრძნებაა... რაც შეეხება მთაზე ასვლას, ძალიან გამიჭირდება. ახალგაზრდობაში დავრბოდი პატარ-პატარა მთებზე, მაგრამ ახლა აღარ შემიძლია მთებთან ჭიდილი.

— ახლა წარმოიდგინეთ, ვულკანის ამოფრქვევა...

– ვულკანის ამოფრქვევა მხოლოდ ფილმებში მინახავს. შემიძლია წარმოვიდგინო მბოლავი ვულკანი – არაჩვეულებრივი სანახავია...

— ვარდის ბუჩქი?..

– ძალიან ლამაზია, ეკლიანი. სხვათა შორის, სახლში ბევრი ვარდი მაქვს. ცუდია, რომ ბოლო ხანებში ვარდმა სურნელი დაკარგა, მაგრამ იმ ვარდებს, რომლებიც მე მაქვს, ძალიან კარგი სუნი აქვს. ვარდი სურნელების გარეშე იგივეა, რაც ქალი ლამაზი სხეულის გარეშე...

— თქვენი მეგობარი მძიმე დანაშაულისთვის იძებნება. ღამით კი კარზე მოგიკაკუნათ და თავშესაფარი გთხოვათ. როგორ მოიქცევით?

– ყოფილა ასეთი შემთხვევა ჩემს

ცხოვრებაში და შემიფარებია კიდეც. ეს თავისთავად ნათელია.

— წარმოიდგინეთ — ერთ დღეს უეცრად აღმოაჩინეთ, რომ თქვენს საბანკო ანგარიშზე 2 მილიონი დოლარია, რომლის წარმომავლობაზე წარმოდგენაც არა გაქვთ. რას იზამთ?

— აუცილებლად უნდა გავარკვიო, საიდან მაქვს ამდენი ფული. თუ ვერ მოვახერხებ, მაშინ ამ ბანკის ხელმძღვანელობას ვეტყვი, რომ გაარკვიოს. იმას, რაც მე არ მეკუთვნის, არავითარ შემთხვევაში არ ავიღებ.

— რესტორანში მარტო ზიხართ და თქვენს საყვარელ სასმელს მიირთმევთ. ისმის წყნარი მუსიკა. უეცრად გვერდით გიჯდებათ ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც გიმხელთ, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისა და მოეწონეთ. რას იზამთ?

— მე მარტო არსად არ ვზივარ... ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში არ მომხდარა და ღმერთმა დამიფაროს, რომ ოდესმე მოხდეს.

— მაშინ წარმოიდგინეთ, რომ მეგობრებთან ერთად ხართ...

— ჩემი მეგობრები ამ კაცს ძალიან ცუდ დღეს დააყრიდნენ...

— შინ ზიხართ ტელევიზორთან, მშვიდად. უცებ ძლიერი მიწისძვრა ხდება.

— სახლიდან გავიქცევი. სხვათა შორის, რაჭაში რომ იყო ძლიერი მიწისძვრა, რაჭველები ამბობდნენ — ისეთი მიწისძვრა იყო, სახლებში ძლივს შევასწარითო!..

— შეგიძლიათ თან წაიღოთ 3 ნივთი...

— თუ სახლში ჩემ გარდა სხვებიც იქნებიან, რა ჯანდაბად მინდა ნივთი?! თუ მარტო ვიქნები, მაშინ წავიღებ იმ ნივთებს, რომლებიც ჩემი ოჯახის ისტორიასთანაა დაკავშირებული — მაგალითად, პატარა საათს, რომელიც ბებიაჩემის დროინდელია და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აუცილებლად წავიღებ თან ფოტოალბომსაც, რომ არ დაიკარგოს.

— წარმოიდგინეთ, რომ იმყოფებით ვახშამზე პრეზიდენტთან სახლში. უცებ მუხლებზე ამოგახტათ პრეზიდენტის უსაყვარლესი კატა — არადა, კატებზე „ალერგია“ გაქვთ...

— ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ცხოველზე „ალერგია“ მქონდეს...

— მაშინ წარმოიდგინეთ, რომ წინა საღამოს იყო თქვენი დაბადების დღე და საკმარისზე მეტი დალიეთ, დილით კი, 8 საათზე პრეზიდენტთან გაქვთ შეხვედრა...

— მთელმა თბილისმა იცის, რომ ნიკო ლეკიშვილმა „პახმელია“ არ იცის. ჩემი მეგობრები ცუდ დღეში არიან ხოლმე, მე კიდევ, დილით არც ლუდი მჭირდება და არც ხაში. ეს გენეტიკურად მომდგომს.

— ბოთლი და საცობი ერთად ღირს 10 თეთრი, ბოთლი 8 თეთრით ძვირია საცობზე. რა ღირს ცალ-ცალკე ბოთლი და საცობი?

— ოჰ... კარგით, რა! მაგას რა უნდა?.. თუ ბოთლი 8 თეთრით ძვირია, მაშინ ბოთლი 8 თეთრი ღირს და საცობი — 2 *(სხვათა შორის, აღნიშნულ შეკითხვაზე ჯერჯერობით სწორი პასუხი, ბატონი ნიკოს ჩათვლით, ვერავინ გასცა! — ავტ.)*

— ო'ჰენრის ნამდვილი სახელი და გვარი...

— არ მახსოვს.

— წარმოიდგინეთ, რომ შეგხვდათ ლომი...

— თუ ახლომახლო ხე იქნება, ავძვრები, თუ ტრიალ მინდორზე ვიმყოფები, მაშინ სხვა გზა არ მექნება — სიკვდილს უნდა შევეგუო!..

ფსიქოლოგი **ვახტანგ ჯაფარიძე:**

— კეთილშობილი, სტუმართმოყვარე — ეს არის იმ პიროვნების იდეალური ვარიანტი, რომლისკენაც თქვენი რესპონდეტი მიილტვის. ამ ადამიანს არ აშინებს ისეთ პრობლემებთან შეჭიდება, რომლებზეც სხვები თვალს დახუჭავდნენ. ღრმა განცდების უნარით გამოირჩევა. „ფსიქოლოგიური კომფორტის ზონა“ დიდი არ აქვს. მისთვის სამყარო მოწყობილია პრინციპით — გარშემო მტრული გარემოა. საკმაოდ განვითარებული აქვს სილამაზის აღქმის განცდა. ნეგატიური ემოციების გამოხატვისას, საკუთარ თავს აკონტროლებს. მისთვის პიროვნული ფასეულობები უფრო მაღლა დგას, ვიდრე სოციალური. ისახავს საკმაოდ მაღალ მიზნებს, რომელთა მიღწევაც რთულია. თუ საქმე ერთხელ არ გამოუვა, შეუძლია დაიცადოს, ხელს ნამდვილად არ ჩაიქნევს. ამ ადამიანისთვის სენტიმენტალობაც არ არის უცხო. ■

მე მარგო არსად არ ვზივარ... (მეუღლესთან მელანო ტორონჯაძესთან ერთად)

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლეგალი

უბის წიგნაკიდან:

19. პირველმა ბომბმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის დედაქალაქში ჩამოაგდეს, მხოლოდ ბერლინის ზოოპარკის ბინადარი სპილო იმსხვერპლა.

20. ფრანგული გვარების ატლასში, რომელიც ცოტა ხნის წინ პარიზში გამოვიდა, დაფიქსირებულია 24 გვარი, რომელიც მხოლოდ ერთი ასოსაგან შედგება. ეს გვარი „U“ გახლავთ.

21. 60-იან წლებში მოსკოვში მღეროდნენ სახუმარო სიმღერას ჩინელებზე. ეს სიმღერა იმით იყო განსაკუთრებული, რომ მისი ტექსტი კომპოზიტორ ნიკიტა ბოგოსლოვსკის ეკუთვნოდა, მუსიკა კი ლიტერატორ ანატოლი აგრანოვსკის.

22. შორეულ აღმოსავლეთში იზრდება უცნაური ხე, რომელიც მზის ჩასვლის შემდეგ თითქოსდა იძინებს, მისი ფოთლები იხვევა და მრგვალდება. თუ ამ დროს ადამიანი, ფრინველი ან ცხოველი შეეხო მას, ხე მოძრაობას იწყებს, ტოტებს არხევს, თითქოს ბრაზობსო. თუ არ მოშორდები, ტოტები უფრო მეტად ირხევა, ბოლოს კი ხე უსიამოვნო სუნის მქონე ჰაერს გამოყოფს, რომელიც საშინელ თავის ტკივილს იწვევს. ამის გამო ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მას „ბრაზიანი ხე“ უწოდეს.

23. ჩარლზ დიკენსი დარწმუნებული იყო, რომ ადამიანის სხეული ძილის დროს დედამიწის მაგნიტური ველის ძალური ხაზების მიხედვით უნდა განთავსებულიყო და ამიტომ საწოლს ყოველთვის თავით ჩრდილოეთისკენ დგამდა.

24. კემბრიჯის მათემატიკური ინსტიტუტის შენობა იმ გათვლით არის აგებული, რომ მათემატიკოსებს კოლეგებთან მუდმივად ჰქონოდათ იდეების გაცვლის საშუალება, შენობაში სიარულის დროსაც კი. ამ მიზნით ინსტიტუტის ყველა ოთახში (მათ შორის ლიფტებსა და ტუალეტებშიც კი) დაფა და ცარცი მათემატიკოსთა განკარგულებაში იყო.

25. ტაილანდის რესტორნებში ახალი დელიკატესის ბუმია, დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ყვავის ენის პელმენი. ამ კერძის ერთი ულუფა ოც პელმენს შეიცავს და არც ისე ძვირი, 200 დოლარი ღირს. P.S. რა დაერხათ ტაილანდელ ყვავებს!!!



ამბობენ, რისკი კეთილშობილური საქმეა. ისიც უთქვამთ — ვინც არ რისკავს, შამპანურს არ სვამსო... მაგრამ რისკზე წასვლა ხშირ შემთხვევაში, ხიფათში თავის ჩაგდებას ნიშნავს. მართალია, რისკიანი ადამიანები ყველაზე ხშირად აღწევენ წარმატებას, თუმცა სასწორზე ზოგჯერ ყველაზე ღირებულის დადება უწევთ. ოჯახისთვის გაწეული რისკი შესაძლოა, ყველაზე მეტად იყოს გამართლებული, თუმცა წინასწარ ვერავინ განჭვრეტს, თუ რა შედეგების მომტანი იქნება იგი...

ჩვენი პირველი რესპონდენტი, დედის მიერ გაწეულ რისკზე გვიამბობს.

ojaxisTvis gaweuli riski

ემა ტუხიაშვილი

თამარი, *35 წლის:*

— ვერ ვიტყვი, რომ შეძლებული ოჯახი გვქონდა, მაგრამ გაჭირვება არასდროს გვიგრძნია. დედაჩემი ერთ-ერთი თანამდებობის პირის პირადი მდივანი იყო, მამა კი ინჟინერი გახლდათ. რამდენიმე წლის წინ, მამამ ინფარქტი გადაიტანა და ის შემოსავალიც დავკარგეთ, რასაც მისი მცირე ხელფასი გვაძლევდა. სწორედ ამ პერიოდში დედაჩემის უფროსიც გაათავისუფლეს თანამდებობიდან და ახალმა ჩინოვნიკმა მდივნად მისი ახლობელი ახალგაზრდა გოგონა მიიყვანა. ძალიან მძიმე პერიოდი დაგვიდგა. დედაჩემს სარჩენი ვყავდით მე, ჩემი პატარა შვილი, ჩემი ძმა თავისი ოჯახით და ავადმყოფი მამა. თავმოყვარეობამ დედაჩემს არ მისცა იმის უფლება, რომ სადმე დამლაგებლად მაინც დაეწყო მუშაობა. ასეც რომ არ ყოფილიყო, დამლაგებლის მცირე ხელფასით ის ოჯახს ვერ შეინახავდა. ჩვენც ბევრი ვუყიჟინეთ და მანაც გადაწყვიტა, რომ სამუშაოდ საზღვარგარეთ წასულიყო, ყველაზე რეალური კი მისთვის საბერძნეთში გამგზავრება აღმოჩნდა, მაგრამ — არალეგალურად. პიროვნება, რომელსაც დედა და მასთან ერთად კიდევ 8-10 მსურველი საბერძნეთში უნდა ჩაეყვანა, დასავლეთ საქართველოდან იყო და გასამრჯელოდ მხოლოდ 800 დოლარს ითხოვდა. მაშინ ხშირად ჰყვებოდნენ, თუ როგორ იყინებოდნენ ტყეებში საქართველოდან არალეგალურად წასული ჩვენი მოქალაქეები. დედამ იცოდა, რომ საბერძნეთში მოსახვედრად მასაც ივივე გზა უნდა გაევლო, ვიზა მხოლოდ თურქეთამდე ექნებოდა, იქიდან კი გაუვალი ბილიკებით მოუწევდა საზღვარზე გადასვლა. მას კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ უდიდეს რისკზე მიდიოდა... მათ გზამკვლევს ნაცადი ოინი არ გამოუვიდა და მგზავრების გადაყვანა საბერძნეთში დროულად ვერ მოახერხა. ამასობაში თურქეთის ვიზას ამოეწურა ვადა და დედაჩემი რამდენიმე თანამგზავრთან ერთად თურქი სამართალდამცავების ხელში აღმოჩნდა. როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, მათ რამდენიმე ქართველი ქალი, პოლიციის განყოფილების ნაცვლად, ერთ იაფფასიან სასტუმროში მიუყვანიათ. იქ მათთვის ტანსაცმელი გაუხდიათ და რამდენიმე თვის განმავლობაში, თითქმის დედიშობილა ამყოფებდნენ, რომ გაქცევის შესაძლებლობა არ ჰქონოდათ. ქართველი ქალები ლუკმაპურს საკუთარი სხეულით მოიპოვებდნენ... დედამ იმ სასტუმროში საშინელი სტრესი გადაიტანა. თითქმის 3 თვის განმავლობაში, არაფერი ვიცოდით მის შესახებ. მისი თანამგზავრებიდან რამდენიმე ადამიანი დაბრუნდა საქართველოში, მათი გზამკვლევის კვალი კი ფულთან ერთად დაიკარგა... უფრო დიდ გაჭირვებაში ჩავცვივდით. მევალეები გვაწუხებდნენ, რადგან გზის ფული დედას 10%-იანი განაკვეთით ჰქონდა ნასესხები... ერთხელაც, სახლში ვიღაც უცნობი ქალბატონი მოგვადგა და დედაჩემის მდგომარეობის ამბავი პირდაპირ მოგვახალა, თან ფულს გვთხოვდა — დედათქვენს უკან დასაბრუნებლად სჭირდებაო. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა დღეში ჩავცვივდებოდით. ისევ პროცენტიანი ვალი ავიღეთ და რადგან სხვა გზა არ გვქონდა, უცნობ ქალს გავატანეთ თანხა. ვერც დედაჩემის გასაჭირის დაფარვა შევძელით — მეორე დღეს ეს ამბავი მთელმა უბანმა იცოდა. მამამ ამას ვერ გაუძლო, კიდევ ერთი, ამჯერად უფრო ძლიერი ინფარქტი მიიღო და გარდაიცვალა. რამდენიმე ხანში კი, დედამ დარეკა, ამჯერად უკვე საბერძნეთში ყოფილა ჩასული. ჩვენ მიერ გაგზავნილი თანხა უცნობ ქალბატონს უკლებლივ მიუტანია, ამ თანხით საკუთარი თავიც და საბუთებიც დაუხსნია, შემდეგ კი, უფრო გამოცდილი, თურქი გზამკვლევის წყალობით, საბერძნეთში მოხვედრილა. დედა მიხვდა ჩვენი საუბრიდან, რომ ყველაფერი ვიცოდით და სიმართლე გითხრათ, ამან უფრო შეაშფოთა, ვიდრე მეუღლის დაკარგვამ... უკვე 3 წელია, დედა საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე ცხოვრობს, მოხუცებს უვლის და საკმაოდ ხშირად გვიგზავნის ამანათებსა და ფულს. ხშირად ვსაუბრობთ ტელეფონით, თუმცა არასდროს გვიკითხავს მისთვის — როდის ჩამოხვალო. არც თვითონ დასცდენია რაიმე ამის შესახებ. ახლა მისთვის ოჯახში დაბრუნებაა სარისკო: ის არ არის დარწმუნებული, რომ ჩვენ გამო გაწეულ რისკს სათანადოდ შევაფასებთ და მამის უდროოდ გარდაცვალებაში არ დავდებთ ბრალს...

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ჩვენი ქვეყნის ბევრი მოქალაქე მინიმალური საზრდოს გარეშე დატოვა. ზოგმა სცადა, ახალ წყობას მორგებოდა და საამისოდ უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვაც კი გარისკა.

პაატა, *28 წლის:*

— მოგეხსენებათ, თუ რა რთულია ჩვენს დროში სტაბილური სამსახურის შოვნა. ამიტომაცაა, რომ ყველა საკუთარი ბიზნესის წამოწყებაზე ფიქრობს. ერთ საღამოს, ჩემი საუკეთესო მეგობარი და შვილის ნათლია მეწვია შინ და ჩვენი გამდიდრების გეგმა შემომთავაზა. უნდა გაგვეკეთებინა „კვება ბორბლებზე“ და ქალაქის რამდენიმე წერტილში განგვეთავსებინა. მეგობრის ბიზნესგეგმა საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ყველა საჭირო ატრიბუტით აღჭურ-

ვილი სამზარეულო ბორბლებზე ბევრ გურმანს მიიზიდავდა, ხოლო ჩვენ მიერ შეთავაზებული ბუტერბროდები მალე შეუყვარდებოდა ყველას. მეგობარი და იდეის ავტორი ყველა საჭირო დოკუმენტის მოპოვებას, გავლენიანი ნაცნობების წყალობით, საკუთარ თავზე იღებდა, მე კი ბიზნესის მატერიალური მხარე უნდა უზრუნველმეყო. ისეთი თვალის მომჭრელი იყო კომპიუტერის დახმარებით გაცოცხლებული ჩვენი ბიზნესი (მეგობარს „სამზარეულო ბორბლებზე“-ს ფოტოსურათების წარდგენა ერთ-ერთ ინსტანციაში მოუხდა), რომ გავრისკე და ბინა გავყიდე, ერთი ოთახი ვიქირავე და ოჯახთან ერთად ქალაქის ძველ უბანში გადავედი. ჩვენმა ბიზნესმა ზუსტად 2 დღე იარსება. აღმოჩნდა, რომ გაცემული ნებართვის მიუხედავად, ჩვენი „კვება ბორბლებზე“ ქალაქის იერში არ ჯდებოდა. ყველაფერი ნათელი იყო: ჩვენი ბიზნესი მსგავსი სახის მსხვილმა ბიზნესმა შთანთქა. გარდა სამზარეულო-ვაგონისა, ჩემი ბინის ფული ათას წვრილმანზე დაიხარჯა. ვეღარც ვაგონს ვყიდდით, რომ ამ თანხით ბინა მაინც მეგირავა. ღმერთს მადლობას ვწირავ იმისთვის, რომ მაშინ მცირედი კეთილგონიერება მაინც შევინარჩუნე და მამაჩემის ნაყიდი „ჟიგულიც“ არ გავყიდე. ახლა ჩემი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ეს მანქანაა...

თურმე, რა სახის რისკზე არ მიდის ადამიანი, ახლობლებისა და ოჯახის გამო?! ჩვენმა მომდევნო რესპონდენტმა ფსონი საკუთარ გრძნობებზე დადო...

ნინო, *22 წლის:*

— რაიონიდან გახლავართ ჩამოსული. სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობდი და თბილისში ქირით ვცხოვრობდი. დღევანდელობასთან შედარებით, ჩემი სტუდენტობის წლები გაცილებით მძიმე და რთული იყო. მართალია, უნივერსიტეტში ფრიადოსანი ვიყავი, მაგრამ სტიპენდია ერთ კვირასაც არ მყოფნიდა, თუნდაც, მგზავრობისთვის საჭირო ხარჯისთვის. ჩვენი ოჯახის ერთადერთი შემოსავალი სოფლის მეურნეობა იყო, ამიტომ ოჯახის მთელი ბიუჯეტი ჩემი ბინის ქირის გადახდას და ჩემი სწავლა-განათლებისთვის საჭირო პირობების შექმნას ხმარდებოდა. 2 წლის განმავლობაში ასე გრძელდებოდა. ხოლო როცა მესამე კურსზე გადავედი, მშობლებმა პირობა წამომიყენეს — ან თბილისში გავთხოვდებოდი და ამით მათ ყოველთვიური ხარჯისგან გავათავისუფლებდი, ან სოფელში დავბრუნდებოდი, სწავლას კი დაუსრულებლად გავაგრძელებდი. ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ მშობლები ვერაფრით დავარწმუნე, რომ ფაკულტეტს, რომელზეც მე ვსწავლობდი, დაუსრულელი განყოფილება არ ჰქონდა. არც იმის თქმამ მიშველა, რომ ის, ვინც თავდავიწყებით მიყვარდა, საქართველოს ფარგლებს გარეთ სწავლობდა... ჩემმა აღსარებამ კიდევ უფრო გააღიზიანა მშობლები, რადგან მატერიალურად არც ჩემი რჩეული „ბრწყინავდა“ და ჩემსავით არც მას ჰქონდა თბილისში ბინა... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემი გარეგნობისა და განათლების პატრონს, თბილისელი საქმროს პოვნა არ გამჭირვებია. სულ მალე, ჩემი ბედნიერი მშობლები ჩემს ქორწილში ისხდნენ და გაბედნიერებას მილოცავდნენ. ოჯახის გამო გავრისკე და უსიყვარულოდ, ანგარებით გავთხოვდი. ჩემ მიერ გაწეული რისკი ჩემი მშობლებისთვის ნამდვილად გამართლდა, რადგან სიძე მათთვის მარჩენალიც აღმოჩნდა. მაგრამ რისკმა ჩემი გრძნობები შეიწირა, ჩემი სულიერი სამყარო მთლიანად შთანთქა. ზოგჯერ მგონია, რომ მომართული თოჯინასავით ვცხოვრობ. ახლა ალბათ სწორედ ოჯახი მაფერხებს, რომ კიდევ ერთხელ არ გავრისკო და საკუთარ თავს არ დავუბრუნდე...

ალბათ დამეთანხმებით, რომ თვით ოჯახის შექმნაც გარკვეულ რისკს უკავშირდება, მით უმეტეს, თუ ამ ნაბიჯის გადადგმას იმგვარად გადაწყვეტთ, როგორც ეს ჩვენმა მომდევნო რესპონდენტმა გააკეთა...

გიგა, *25 წლის:*

— მე რომ ცოლი მოვიყვანე, მთელი ქუთაისი იმას ამბობდა: რა ქნა ამ გიგამ, რა რისკზე წავიდაო!.. მე თუ მკითხავთ, რისკი კი არა, ნამდვილი გმირობა ჩავიდინე — ქუთაისის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი სამართალდამცავის ქალიშვილი მოვიტაცე. ჩემი ძვირფასი სიმამრის გვარსახელსა და თანამდებობას ვერ ვასახელებ — სარისკო საქმეა, რადგან ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია ის, რაც რამდენიმე წლის წინ გადახდა თავს... მოკლედ, მისი ერთადერთი ქალიშვილი ჩამივარდა გულში. მამამისის შიშით ვინ გაეკარებოდა სიახლოვეს, მით უმეტეს არავინ „მომართმევდა“ მას „ამანათით“... ამიტომ ჩემი მეგობრები, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ნინოს მოტაცებაზე დავითანხმე. ბიჭებს მამამისის ისე ეშინოდათ, სულ ამბობდნენ — ციხეში ამოგვალპობსო, — მე კი ვარწმუნებდი, რომ თუ ნინო ჩემი ცოლი არ გახდებოდა, თავს აღარ ვიცოცხლებდი (ისე, საინტერესოა — წავიდოდი თუ არა ასეთ რისკზე?..) სამსახურის გარდა, ნინო თითქმის არსად დადიოდა, ამიტომ მისი წაყვანა მხოლოდ იქიდან შეგვეძლო. მაგრამ პრობლემას ის ქმნიდა, რომ იმ ტერიტორიაზე ყოველთვის მორიგეობდნენ საგზაო პოლიციის თანამშრომლები და, გაითვალისწინეთ, მამამისის ქვეშევრდომები... ჩემს მეგობრებს შორის რამდენიმე მომღერალი იყო და პოლიციელები წინასწარ გავაფრთხილეთ და იოლადაც დავარწმუნეთ, რომ კლიპი უნდა გადაგვეღო, ამიტომ როცა მათ მანქანით ჩავუვლიდით, გოგონას წივილ-კივილი სერიოზულად არ უნდა აღექვათ. პოლიციელებმა ისიც კი გვთხოვეს: კლიპში ჩვენც გამოგვაჩინეთო. ამაზე უარს როგორ ვეტყოდით?.. მოკლედ, სიმამრმა ჩადენილი საქციელი მაპატია. ჩემი მეგობრების შიში კი არ გამართლდა, ციხის საკნების ნაცვლად, ისინი ჩემს ქორწილში აღმოჩნდნენ. ასე რომ, ზოგჯერ ღირს გარისკო, თუნდაც ოჯახის შესაქმნელად.

რა აზრის არიან ცნობილი ადამიანები აღნიშნულ საკითხზე. ხომ არ დასჭირვებიათ მათ, ოჯახისთვის რისკის გაწევა ან როგორ მოიქცეოდნენ, რომ დასჭირვებოდათ?..

კახი კავსაძე, *მსახიობი:*

— ვფიქრობ, ოჯახისთვის ადამიანმა ყველაფერი უნდა გაიღოს და შემდეგ, გნებავთ, რისკი დაარქვით ამას და გნებავთ — თავგანწირვა. თუ წყალში გადავარდა შენი ოჯახი, შენც უნდა გადაჰყვე, თუ ძაღლი გამოეკიდა — შენც უნდა ჩაუდო იმ ძაღლს პირში ფეხი... ძაღლების ყოველთვის მეშინოდა; როდესაც ძაღლს ვხედავდი ახლომახლო, უკანმოუხედავად გავრბოდი. ერთხელაც, შევესწარი ასეთ სურათს: ჩემს ბიჭს (მაშინ ის პატარა იყო) ძაღლი გამოეკიდა და კბენას უპირებდა. ჩვეული შიში არც კი გამხსენებია — ისეთი გაფთრებული დავეტაკე ძაღლს, რომ წკმუტუნ-წკმუტუნით დაიხია უკან... ოჯახისთვის თავგანწირვა სალაპარაკოც არ უნდა იყოს, ის თავისთავად ხდება.

ზურაბ ტყემალაძე, *პარლამენტის წევრი:*

— ოჯახისთვის ადამიანი ყოველდღე რისკავს. მაგრამ არა მგონია, რომ ლამაზი იყოს თითოეული მაგალითის, პრესის ფურცლებზე გამოტანა.

— ბიზნესრისკზე რას გვეტყვით? როდესაც ადამიანი საკუთარი ბიზნესის წარმატებაზე ზრუნავს, თავისთავად იგულისხმება, რომ მას ოჯახის კეთილდღეობა აწუხებს?

— რა თქმა უნდა, ბიზნესმენი ყოველთვის რისკზე მიდის, როდესაც მაგალითად, საკუთარი პროდუქციის გადაზიდვას პარტნიორს ანდობს და ა.შ. ამ თვალსაზრისით, არც მე ვარ გამონაკლისი და ხშირად გამიწევია ასეთი რისკი. საერთოდ, საქართველო დიდი რისკის ქვეყანაა, თუმცა არცთუ ისე იშვიათად, ამ რისკს დადებითი შედეგებიც მოაქვს...

ელენე თევდორაძე, *პარლამენტის წევრი:*

— რისკი ყოველთვის უნდა იყოს

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რომელი სიტყვა ითარგმნება, როგორც „ადამიანი“?

ა) „მიჩმანი“;
ბ) „ბოცმანი“;
გ) „კუკი“.

2. რა ერქვა ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ყმაწვილს, რომელმაც უნეგლიეთ საყვარელი ირემი მოკლა და დარდისგან ხედ იქცა?

ა) კვიპაროსი;
ბ) ტირიფი.
გ) პალმა.

3. წარმოშობით სადაურია ილუზიონისტი დევიდ კოპერფილდი?

ა) კიეველი რუსი;
ბ) ლონდონელი იტალიელი;
გ) ოდესელი ებრაელი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

გონივრული და მაქსიმალურად გააზრებული, რათა მან სხვა ადამიანებს არ მოუტანოს ზიანი. ფინანსური თვალსაზრისით და მატერიალური კეთილდღეობისთვის, ოჯახის გამო არასდროს გამირისკავს, მაგრამ სხვა სახის რისკზე ცხოვრებაში ხშირად წავსულვარ. საკმაოდ დიდი ხნის წინ, ჩემი რძალი და შვილი ავტოკატასტროფაში მოყვნენ და რომ არა ჩემ მიერ გაწეული რისკი, ალბათ მათი სიცოცხლის გადარჩენა ვერ მოხერხდებოდა. ისეთი შემთხვევებიც მქონია, როდესაც ჩემი მოსწავლეების ჩხუბს შევსწრებივარ, პედაგოგისთვის კი, მოგეხსენებათ, მისი კლასი მეორე ოჯახია. ისეთი ჩხუბის ქარცეცხლში ჩავმდგარვარ, რომ არა ჩემი რისკი, შესაძლოა, ეს შეტაკებები ბავშვებს შორის სავალალო შედეგებით დამთავრებულიყო... ჩემი დეპუტატობის პერიოდში ხშირად ვაყენებდი საკუთარ თავს რისკის ქვეშ, როდესაც ძლიერ პოლიტიკურ ფიგურებს ვუპირისპირდებოდი, რადგან ვიცოდი, რომ იმ ვითარებაში, მე უფრო სუსტების პოზიციების დამცველად გამოვდიოდი.

გიორგი ასანიძე, *ოლიმპიური ჩემპიონი:*

— ბედნიერი კაცი ვარ, რომ ჯერ ოჯახის გამო არანაირ რისკზე წასვლა არ დამჭირვებია. თუმცა, მზად ვარ, რომ ნებისმიერი რისკი გავწიო. სპორტს რაც შეეხება, გეტყვით, რომ ჩემპიონები ყოველთვის რისკის ზღვარზე იმყოფებიან, ამიტომ, იყო რისკიანი — ჩვენთვის აუცილებელი თვისებაა.

თეა გოგოტიშვილი, *ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*

— ოჯახის გამო რისკზე მიდიან ადამიანები, რომლებიც უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობენ საკუთარი ოჯახის წინაშე. რისკი შესაძლოა, იყოს სხვადასხვა სახის და სხვადასხვა საფრთხის მომტანი თვით პიროვნებისთვის. ადამიანს შეუძლია, რისკის ქვეშ დააყენოს, როგორც საკუთარი ჯანმრთელობა, ასევე სიცოცხლე. რიგ შემთხვევებში, როდესაც ადამიანები სხვა გამოსავლას ვერ პოულობენ ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარ პიროვნულ პრინციპებს აყენებენ ხოლმე რისკის ქვეშ. ადვილი შესაძლებელია, რომ მათ კრიმინალური ქმედებაც კი ჩაიდინონ. ამ კატეგორიის ადამიანები გულახდილ საუბრებში საკუთარი საქციელის გამართლებას, ოჯახისთვის გაწეული სამსახურით ცდილობენ... რაც შეეხება ქალბატონებს, ისინი ხშირად, შვილებისა და ოჯახის გამო საკუთარი ჯანმრთელობით რისკავენ. თქვენი ყურადღება მინდა ასევე შევაჩერო დღევანდელობისთვის საკმაოდ აქტუალურ თემაზე, როგორიცაა კორუფცია უმაღლეს სასწავლებლებში. თუ ფსიქოლოგის თვალით განვიხილავთ იმას, თუ რა აიძულებდა ამ ადამიანებს, რომ ნიშნის დაწერაში ფული აეღოთ, დავინახავთ — შინაგან ხმასთან მათაც მსგავსი არგუმენტაცია ჰქონდათ: მძიმე მდგომარეობაში მყოფი ოჯახები ჰყავდათ სარჩენი, რისკავდნენ და საკუთარ თავს კანონგარეშე აყენებდნენ...

— გამოდის, როდესაც ადამიანი რისკზე მიდის, ნებისმიერ შემთხვევაში საკუთარი პრინციპების წინააღმდეგ მოქმედებს?

— არავითარ შემთხვევაში! როგორც რუსები იტყვიან — Риск благородное дело — ამიტომ თუ რისკი მაღალ იდეალებთან არის დაკავშირებული, თუ ადამიანის წარმმართველი იდეა მისთვის ფასეულია, მას უადვილდება რისკზე წასვლა. თუმცა რისკზე წასვლა ხშირად, ეჭვქვეშ აყენებს ისეთი მნიშვნელოვანი ფასეულობების დაცვას, როგორიცაა წესიერება და პატიოსნება. ამ შემთხვევაში, ადამიანი ფასეულობათა კონფლიქტის წინაშე დგება და ამას ხშირად, პიროვნული ფასეულობები ეწირება.

— ვინ უფრო რისკიანია — ქალი თუ მამაკაცი?

— ქალს ძალიან ძლიერი დედობრივი ინსტინქტი აქვს, რომელიც მას ოჯახზე მზრუნველობას უმძაფრებს. ამის გამო, ქალები ხშირად მიდიან სერიოზულ რისკზე. ამ თვალსაზრისით კი, შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქალები უფრო ხშირად მიდიან რისკზე ოჯახის გამო.

— ამბობენ, რომ რისკი წარმატებული ბიზნესის ერთ-ერთი განმსაზღვრელია, თუმცა ხშირად, სწორედ რისკია წარუმატებლობის საფუძველი...

— რისკი გამართლებულია მაშინ, როდესაც ყველა ალბათობა კრახისა და წარუმატებლობისა კარგად არის გააზრებული წინასწარ და შეძლებისდაგვარად, პრევენციული ზომებიც გათვლილია. რა თქმა უნდა, გარკვეული ალბათობა კრახისა ყველა საქმეში რჩება, თუმცა კარგია, როდესაც ადამიანი ამას მომზადებული ხვდება. სამწუხაროა, რომ ჩვენი მოსახლეობა ბიზნესის წარმართვისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ არსებობს ბიზნესის ფსიქოლოგია და ისევე, როგორც საჭიროა ბიზნესის წამოწყებისას იურიდიული კონსულტაცია, არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიზნესის ფსიქოლოგიური ანალიზი. ქართული ბიზნესი მთლიანად რისკფაქტორებზეა დამყარებული. სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოში ძალიან ცოტა გვყავს წარმატებული ბიზნესმენი... ■

ბრესთ-ჰელსი:

საკუთარი თავი თავად დაიცავით!

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, თუ ავადმყოფს ონკოლოგიური დაავადება სჭირდა, ექიმი მას ამის შესახებ არ უმხელდა – დანდობის მიზნით. . . ახლა კი ყველაფერს თავის სახელს არქმევენ – ავადმყოფობას ხომ უნდა ვებრძოლოთ, იგი უნდა დავამარცხოთ!

დიაგნოზის – სარძევე ჯირკვლის კიბო – განაჩენად აღქმა სწორი არ არის. როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, კიბოს 80% განპირობებულია გარემოებებით, რომელთა მართვაც ადამიანს შეუძლია!

ნუ გეშინიათ მამოლოგთან რეგულარული გამოკვლევების ჩატარება, განსაკუთრებით 40 წლის შემდეგ და იმ შემთხვევებშიც, როდესაც რაიმე გაწუხებთ. ქალების 90% სპეციალისტებისგან დამშვიდებულნი მოდიან, მათი შიშები და უსიამოვნო შეგრძნებები აიხსნება სავსებით უწყინარი მიზეზებით. თუკი ექიმი სერიოზულ დიაგნოზს სვამს, ეს არის შანსი, დაავადებას დასაწყის სტადიაში მივუსწროთ.

მეცნიერთა აზრით, კიბოს ყველა სახით დაავადებების შემთხვევათა არანაკლებ 40-სა. პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია ჩვენი კვების საეციფიურობებზე.

რისკი იზრდება საკვების საერთო კალორიულობის ზრდასთან. ცხოველური ცხიმების დიდი რაოდენობით მოხმარებასა და ძოლესტერინითა და შაქრით მდიდარი პროდუქტების მიღებასთან ერთად. ყველაზე ნაკლებად ეს დაავადება აწუხებთ იაპონიაში მცხოვრებ ქალბატონებს, სადაც ტრადიციულად, ნაკლებად ცხიმიან საკვებს მიირთმევენ.

განსაკუთრებით ყურადღებიანი თავიანთი სარძევე ჯირკვლების მიმართ უნდა იყვნენ ქალები, რომლებსაც უკვე აწუხებთ ზოგიერთი ქრონიკული დაავადება, რომლებიც ჰორმონების გამომუშავებას არღვევენ – მასტოპათია, ენდომეტრიოზი, მიომა, საშვილოსნოს დანამატების (ფალოპიუსის მილების და საკვერცხეების) ანთება, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები. ამ დაავადებებს თავის ნებაზე თუ მივუშვებთ, ყველა მათგანი შესაძლოა მკერდის სერიოზული პათოლოგიით გართულდეს.



ადამიანების დაახლოებით 5 თვლის, რომ კიბოს შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია სულიერ სიმშვიდეს ურღვევს და ამ პრობლემის შესახებ არაფრის გაგონება სურს.

აშშ-ში კიბოს საწინააღმდეგო ეროვნული პროგრამის შექმნამ იქამდე მიიყვანა, რომ სარძევე ჯირკვლის კიბოთი დაავადების 75-ის დიაგნოსტირება პირველ და მეორე სტადიებში ხდება.

ქალების 96-98. რომლებიც ექიმს მკერდის კიბოს I სტადიაზე მიაკითხავენ, მთლიანად განიკურნებიან. II სტადიაზე – 86-87. III-ზე – 45-55. ხოლო IV-ზე კი – განკურნების შანსი თითქმის არ რჩება.

თუ სამუშაო ან ვინმესთან ურთიერთობა მუდმივად „გძაბავთ“, დროა საკუთარ თავს კითხოთ: საჭიროა კი ასეთი სამუშაო და ასეთი ურთიერთობები? ქრონიკული სტრესი ცვლის ორგანიზმის ჰორმონალურ სტატუსს, რასაც მრავალი დაავადების პროვოცირება შეუძლია, მათ შორის ონკოლოგიურისაც. თუმცა, ჯერ კიდევ XVIII-ე ს-ში, კიბოს მიზეზად ექიმები ხანგრძლივ მოწყენილობას ასახელებდნენ. . .

სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანების 60-80-მა არაფერი იცის ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკის შესაძლებლობაზე.

არსებობს მოსაზრება, რომ სარძევე ჯირკვლის კიბოთი დაავადების რისკი ყველაზე მეტად გააჩნიათ იმ ქალბატონებს, ვისაც ცხიმოვანი დაგროვებები წელს ზემოთ აქვთ განთავსებული.

არ ღირს ექსპერიმენტების ჩატარება მკერდის გასაზრდელი მალამოებითაც, მათ შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდეს ქსოვილის პროლიფერაციის (ინტენსიური ზრდის) გამომწვევი ჰორმონები.

მთავარია გახსოვდეთ, რომ მკერდი ქალისთვის ბუნებას „მის მკერდის“ კონკურსში მონაწილეობისთვის არ უბოძებია. სარძევე ჯირკვალი, რომელიც თავის დანიშნულებისამებრ – ბავშვის გამოსაკვებად – არ გამოუყენებიათ, ამის გამო „შურს იძიებს“. აბორტები (ქალებს, რომლებსაც არ ჰქონიათ სრული ორსულობა, 4-ჯერ უფრო მეტი საფრთხე ემუქრებათ) და პირველი ბავშვის 30 წლის შემდეგ გაჩენა (რისკი თითქმის 2-ჯერ იზრდება), სამწუხაროდ, აგრეთვე რისკის ფაქტორებს შორისაა.

თუ საკუთარ თავში თუნდაც ერთ-ერთი რისკის ფაქტორი აღმოაჩინეთ, ჩვენი რჩევა იქნება დროულად ჩაიტაროთ პრეპარატ „ბრესთ ჰელს“-ით მკურნალობის კურსი. აღნიშნული პრეპარატის შემადგენლობაში შედის მხოლოდ ბუნებრივი კომპონენტები, რომლებსაც თქვენი მკერდის ონკოლოგიური დაავადებებისგან დაცვის უნარი შესწევს. პრეპარატმა გაიარა კლინიკური ცდები, რომლებმაც მისი რეალური ეფექტი დაადასტურა. არ გააჩნია უკუჩვენებები და გვერდითი მოვლენები.

დ. შკარევსკაია,
აღდგენითი თერაპიის ექიმი

კომპანია „შიფ“-ის (აშშ) ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

ჯეოვიტი
GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრებში:
ქ. თბილისი, აბულაძის 8, ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა №80
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე,
შაბათ-კვირის ჩათვლით 9.00=17.00
www.schiffvitamins.com

ყოფილი ქურდის, სპარტაკ ბურდულაძის ინტერვიუს მისი თანასოფლელი გამოეხმაურა. მას საკუთარი ვინაობა არ დაუსახელებია, მაგრამ გვთხოვა, სპარტაკისთვის გვეკითხა — რას იტყოდა იმის შესახებ, 90-იან წლებში მოსკოვში ცხოვრების დროს, ბავშვებს რომ იტაცებდა და „ვაზვრატს“ აკეთებდაო?.. გადავწყვიტეთ, მკითხველის თხოვნა უყურადღებოდ არ დაგვეტოვებინა. სპარტაკს დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ. აი, რა გვიამბო მან:

მარი ჯაფარიძე

სპარტაკ ბურდულაძე

ქურდ-ყოფილის მოგონებები

„ნაკოლის“ მომცემი უნდა მოკვდეს“...

— მოსკოვში ჩვენს მეგობარს ჰქონდა ბარი, სადაც საღამოობით ვიკრიბებოდით ხოლმე. იქ იგეგმებოდა ყველა ის დანაშაული, რომელსაც მერე ჩავდიოდით. სწორედ იქ დაგეგმილა ერთ-ერთი ბავშვის, ცნობილი მეღვინე — ნუღლას ნათესავის მოტაცება. წინასწარ შეთანხმებულან იმაზე, რომ ჩემთვის ამის შესახებ არაფერი ეთქვათ — მანამდე, სანამ „ვაზვრატზე“ არ წავიდოდა ლაპარაკი. ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ადამიანის გატაცებისა. ყველანაირ საქმეს მოვაწერდი ხელს, მაგის გარდა... დაიქირავეს რუსი შემსრულებლები, რომლებმაც ჯერ მანქანა გაიტაცეს, მერე, მილიციის ფორმაში გადაცმულებმა, ბიჭს საბუთები მოსთხოვეს და იმ მიზეზით, ვითომდა რაღაც არ ჰქონდა წესრიგში, მანქანაში ჩასვეს და წაიყვანეს. მეორე დღეს, ბარში მისულს დამხვდა ნუღლა და ბავშვის მამა. მათგან შევიტყვე, რომ ბავშვი გატაცებული გახლდათ. რამდენიმე დღის განმავლობაში, ბავშვის ნათესავები ცალყბად მელაპარაკებოდნენ. ვიფიქრე — ამათ ნამდვილად ჩემზე აქვთ ეჭვი-მეთქი. გადავწყვიტე, დავლაპარაკებოდი და ვუთხარი: რა „როჟებს“ მიკერავთ? თქვენ ხომ არ გგონიათ, ბავშვის მოტაცებაში წვლილი მიმიძღვის?.. მე თვითონ შვილი მყავს, ის რომ ვინმემ წაიყვანოს, არ ვაცოცხლებ, მე სხვისი შვილის მოტაცებით ფულს არასოდეს გავაკეთებ; როცა გაირკვევა, რომ მე არაფერ შუაში ვარ, ყველას სათითაოდ პასუხს გაგებინებთ-მეთქი!.. რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩემთან მოვიდა ბათუმელი მეგობარი და მითხრა — ბავშვი ჩვენ გვყავს, მის პატრონებს „ვაზვრატზე“ შენ უნდა დაელაპარაკოო. — კი, მაგრამ რომ იტაცებდით, მაშინ რატომ არ შემითანხმდით-მეთქი? — ვიცოდით, რომ დაგვიშლიდიო. გამოვკითხე, ვინ იყო საქმეში გარეული. ერთ-ერთი მათგანი ჩემი ძმაკაცი აღმოჩნდა. ის სასწრაფოდ გავარიდე მოსკოვის ცენტრს და გარეუბანში გადავიყვანე საცხოვრებლად. ბავშვის პატრონმა მითხრა — ბიჭი გულით ავადმყოფია, შესაძლოა, ვერ გადაიტანოს ეს ამბავიო. მაშინვე მოვძებნე ის ბათუმელი ბიჭი და ვთხოვე ბავშვთან მივეყვანე. მოსკოვში, ნაქირავებ ბინაში ჰყავდათ გამოკეტილი. ბავშვს თავზე რამდენიმე რუსი კილერი ადგა. ვთხოვე — გულით ავადმყოფი ყოფილა და ბიჭი არ აწამოთ-მეთქი. ნახევარ მილიონ დოლარს ითხოვდნენ მის საფასურად. ვიცოდი, ამხელა თანხა ნუღლას არ ექნებოდა, რადგან ცოტა ხნით ადრე, თავისი შვილი გამოიხსნა და დიდძალი ფულიც გადაიხადა. გამტაცებლებს ვუთხარი — ამხელა ფულს ვერ გადაიხდიან ბავშვის პატრონები, თანაც ბავშვი ცუდად არის და უნდა გამატანოთ-მეთქი. — მაშინ, ვინც „ნაკოლი“ მოგვცა, ის უნდა მოკვდესო... ბავშვი წამოვიყვანე უვნებელი და პატრონს ჩავაბარე. დიდი ფული და ახალთახალი მანქანა შემომთავაზეს, მაგრამ ხელიც არ დამიკარებია — მე ეს არაფერში მჭირდება, ბავშვი დაგიბრუნეთ და კარგად იყავით-მეთქი. ამასობაში რუსები გაჯიუტდნენ — ვინც „ნაკოლი“ მოგვცა, ის უნდა მოვკლათო. იმათ სულაც არ აინტერესებდათ, ბავშვი ცოცხალი გადარჩებოდა თუ არა — მთავარი იყო, ფული აეღოთ. საბოლოოდ, ბავშვის პატრონებმა მხოლოდ 10 ათასი დოლარი გადაიხადეს. ეს ის თანხა იყო, რომელიც მოტაცების ორგანიზებაში დაიხარჯა და ბავშვის შენახვას დასჭირდა... დღემდე გაურკვეველია, ვინ მისცა „ნაკოლი“, თუმცა ერთ-ერთ ჩემს მეგობარზე ეჭვობდნენ. ეს კაცი უნდა გადამერჩინა. სადაც ცხოვრობდა, იმ ბინის ფანჯარაც კი ამოვაშენებინე, რომ გარედან არ ესროლათ. მერე ერთ ადგილზე შევიკრიბეთ ყველანი — ნუღლა, მისი ნათესავი, ჩემი მეგობრები და მე. ვუთხარი — ახლა მაინც ხომ დარწმუნდით, რომ არაფერ შუაში ვარ-მეთქი?!. — კი, დავრწმუნდითო, — მიპასუხეს... რა ვიცი დარწმუნდნენ?!

„თუ არ გაისროლა, მკვლელი არ არის...“

— ამ ამბის შემდეგ, მალე ასეთი ამბავი მოხდა: მოსკოვში გვქონდა მაღაზია, რომელშიც 100 ათასი დოლარი იყო ჩადებული. ეს მაღაზია დაკეტილი იყო და საცხოვრებლად ვიყენებდით. ერთ დღეს, საქმეზე ვიყავი

წასული. ბინა „გავიტანეთ“, ნაქურდალი მანქანაში მოვათავსეთ და უკან რომ ვბრუნდებოდით, ავარია მოგვიხდა. იძულებული გავხდით, მანქანა მიგვეტოვებინა. მხოლოდ იარაღი წამოვიღეთ და წამოვედით. ორი პისტოლეტი მქონდა ქამარში გარჭობილი. მაღაზიის უკანა შესასვლელთან მივედი და ის იყო, ზარი უნდა დამერეკა, რომ ვიღაცამ კეფაზე იარაღი მომაბჯინა. რატომ მკლავ? ვინ მოგაგზავნა ჩემს „გასასაღებლად“? ალბათ არც მიცნობ, შენთვის არაფერი მექნება დაშავებული, რატომ უნდა მომკლა? უკნიდან ნუ მესვრი, მობრუნების საშუალება მაინც მომეცი, რომ დავინახო, ვისი ხელით ვკვდები-მეთქი, — ვუთხარი და თან ვფიქრობდი, თუ არ გაისროლა, ე.ი. მკვლელი არ არის... მართლაც, უცნობმა ორი ნაბიჯით უკან დაიხია. მე მოვბრუნდი და უკვე ორივე ხელში იარაღი მეჭირა. არც დავფიქრებულვარ, ისე ვესროლე ფეხებში ორივე პისტოლეტიდან და დავჭერი. შემდეგ კარზე ზარი დავრეკე და დაჭრილი შიგნით შევიყვანე. მაღაზიას ჰქონდა სარდაფი და ეს ბიჭი სწორედ იქ ჩავიყვანეთ. ვეკითხებოდი — ვინ დაგავალა ჩემი მოკვლა-მეთქი? — მაგრამ ვერაფრით ვათქმევინე. ასე, 20-ოდე წლის ბიჭი იყო, მაგრამ საკმაოდ „შებერტყილი“ ვინმე ჩანდა. მერე ვკითხე — ვინ ხარ-მეთქი? — ქურდობა მინდაო! გადავირიე — ქურდობა როგორ გინდა?! ქურდის მოსაკლავად მოხვედი და შენ თვითონ „იბრიდები“, ახლავე თქვი, რომ ქურდობა არ გინდა-მეთქი! — მაგრამ ვერც ეს ვათქმევინე. მერე ბიჭებმა მითხრეს — სპარტაკ, „გავაფუჭოთ“ და მაგის საქმე დამთავრებული იქნებაო. ბიჭი შემეხვეწა — ოღონდ ნუ „გამაფუჭებთ“, მომკალით! კაცი არა ხარ? ერთი ტყვია გენანება? მესროლე და გამათავე, ვიდრე შეურაცხყოფას მომაყენებო... ვაჟკაცი ბიჭი იყო და მომეწონა. მართლა კაცურად იქცეოდა. ბიჭებს ვთხოვე, ჰეროინი მოეტანათ. წამალი გავუკეთე, რომ ტკივილი გაჰყუჩებოდა. მერე გვერდით მივუჯექი და მთელი ღამე ველაპარაკებოდი, მაგრამ მაინც ვერ ვათქმევინე, ვინ მოაგზავნა ჩემს მოსაკლავად. მეორე საღამოს მივიყვანე სადარბაზოსთან, სადაც ის ცხოვრობდა და იქ დავსვი. მამამისს დავურეკე და ვუთხარი — შენი შვილი სადარბაზოსთან ზის და მიხედე-მეთქი... ამ ამბის შემდეგ ქურდებმა მითხრეს — გავიგეთ, ამ ბიჭის „ვაზვრატში“ ფული აგიღიაო. გადავირიე — როგორც ჩანს, თქვენ მოაგზავნეთ ჩემს მოსაკლავად და რადგან ცოცხალი გადავრჩი, ახლა შარს მდებთ-მეთქი!..

უცხოელის დაყაჩაღება კრახით დამთავრდა

— კიდევ ერთ მოსკოვურ თავგადასავალს მოგიყვებით. ინფორმაცია მოვიდა, რომ ვიღაც უცხოელი ბიზნესმენი ყოველ ორშაბათს დილით შინიდან დიდძალი ფულით გამოდიოდა და ამ ფულს ბანკში აბარებდა გადასარიცხად. ლაპარაკი იყო რამდენიმე მილიონ დოლარზე. ის ყოველთვის ერთსა და იმავე დროს გამოდიოდა შინიდან. დავადგინეთ მისამართი და დაყაჩაღების გეგმაც შევადგინეთ. ის უცხოელი ისეთ კორპუსში ცხოვრობდა, რომლის სადარბაზოს კარი საღამოს 11 საათზე იკეტებოდა და დილით ადრე იღებოდა. ამიტომ სადარბაზოში საღამოს 9 საათზე, ცალ-ცალკე შევედით და მთელი ღამე კიბეზე გავათენეთ. მე ვამბობდი — პირველ სართულზე, ლიფტიდან გამოსვლის დროს „დავაყენოთ“, ისევ უკან ავიყვანოთ, შინ შევიყვანოთ და ფული იქ წავართვათ-მეთქი, დანარჩენები კი ამბობდნენ — ბინის კართან დაველოდოთ და გამოვა თუ არა, მაშინვე „დავაყენოთო“. უმრავლესობის აზრმა გაიმარჯვა. 8 საათისთვის უკვე მზად ვიყავით. მისი კარის საკეტის გაჩხაკუნების ხმა რომ გავიგონეთ, კედელს ავეკარით. გამოვიდა თუ არა, ჩემმა მეგობარმა საფეთქელზე იარაღი მიადო. უცებ, ეს კაცი რაღაც უცნაურად გადაიზნიქა, შინ შევარდა და კარი მოგვიჯახუნა. კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა. სასწრაფოდ დავეშვით კიბეზე და გავიქეცით, რადგან დარწმუნებული ვიყავით, სულ რამდენიმე წუთში მილიცია დაგვადგებოდა თავზე. ეს საქმე ჩვენს სასარგებლოდ რომ დამთავრებულიყო, მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი ვიქნებოდი...

ყაჩაღობა ევლაღთან

აზერბაიჯანში არსებობს ადგილი, რომელსაც ევლაღს ეძახიან. ერთი პერიოდი საქართველოდან იქ უამრავი ადამიანი ჩადიოდა და იქიდან პროდუქტი ჩამოჰქონდა. ზოგს პირიქით — აქედან მიჰქონდა რაღაც საქონელი, იქ ყიდდა და უკან ფულით ბრუნდებოდა. ერთმა მილიციელმა მითხრა — აქეთ-იქით რომ

ნულლა და გატაცებული ბავშვის მამა ცალყბად მელაპარაკებოდნენ... ვიფიქრეამათ ნამდვილად ჩემზე აქვთ ეჭვი-მეთქი...

დაყაჩაღობ, ღამის ოთხის ნახევარზე საქართველოში აზერბაიჯანიდან ავტობუსები შემოდის; ის ავტობუსები რომ დააყაჩაღო, იმდენ ფულს იშოვი, სხვა საქმეზე წასვლა აღარც დაგჭირდებაო. მე მაშინ ძებნაში ვიყავი. შევკრიბე ძმაკაცები და ყაჩაღობა დავგეგმეთ. ერთ ადგ-

ᲤᲠᲐᲖᲔᲑ ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ

სიცოცხლე მთაა, მის მწვერვალზე ასვლით ნელ-ნელა ადიხართ, მაგრამ ჩამოსვლით კი, სწრაფად დაეშვებით.

მოპასანი

ილზე ჩავუსაფრდით ავტობუსებს, მანქანით წინ გადავუდექით და გავაჩერეთ. 3 ავტობუსი ძირითადად, ქალებით იყო სავსე. ატყდა წივილ-კივილი. ავტობუსის სახურავი ტყვიებით დავცხრილე, რომ შემეშინებინა. ჩემი თვალით ვხედავდი, ქალები ფულს „ტრუსიკებში" რომ იტენიდნენ. მე ხომ არ დავიწყებდი წართმევას?.. ბიჭებს ვუთხარი — ყველა „დაშმონეთ"-მეთქი... 3 ცელოფანის პარკი ფული მოვაგროვეთ. მე წინ, ასასვლელთან ვიდ-

თამუნა ბურდულაძე: მე და მამა ყოველთვის ვძმაკაცობდით. მის ყველა ცოლთან და საყვარელთან ძალზე ახლო ურთიერთობა მქონდა.

ექი. უკან ერთ-ერთ მგზავრს გავძახე — წესიერად მოიქეცი, არაფერი შეგეშალოს-მეთქი! იქვე, ჩემ გვერდით ქალი იჯდა. კალთაში ასე, თერთმეტიოდე წლის ბიჭი ეჯდა. ქართველი ხარო? — მკითხა. — კი-მეთქი. — არა გრცხვენია, ქართველი ასეთი ყაჩაღი რომ ხარო? — მე ეს პროფესია მაქვს-მეთქი, — ვუთხარი, — ახლა, მე რომ გაჭირვებული ვიყო და სათითაოდ ყველას თითო მანეთი გთხოვოთ, ხომ არც ერთი არ მომცემს-მეთქი? — არაო. — ჰოდა, იძულებული ვარ, წავართვა, შენ რა გაწუხებს-მეთქი? — ბავშვს ეშინიაო. — ბავშვის წინ ჩავცუცქდი და ავტომატი მუხლებზე დავუდე. თან ვეფერები — ნუ გეშინია, შენ არაფერს დაგიშავებ-მეთქი... ერთ ცელოფანის პარკში ხელი ჩავყავი, ფული ამოვიღე და 10 ათასი მანეთი კალთაში ჩავუდე — ეს საჩუქარი შენ, საშიში ყაჩაღისაგან-მეთქი... სახეზე ნიღაბე მეკეთა, ამიტომ ბავშვს ჩემი სახე არ დაუნახავს. ის ბიჭი ახლა უკვე დიდი იქნება და თუ ამ ინტერვიუს წაიკითხავს, გაიგებს, ვინ იყო ის ყაჩაღი... ავტობუსიდან ჩამოვედით. ფულის განაწილების დროს, ის 10 ათასი მანეთი ჩემი წილიდან გამოვაკლებინე. ბიჭებს არ გაუპროტესტებიათ და არ უთქვამთ, საერთო წილიდან გადავიხდითო. ამის გამო ცოტა ნაწყენი დავრჩი, მაგრამ სამაგიეროდ, იმ ბავშვს იმდენი ფული ვაჩუქე, რომ იმ თანხით ადამიანი ცხოვრებას აიწყობდა...

*სპარტაკის თხრობას ამჯერად აქ შევწყვეტთ და მისი უფროსი შვილის — **თამუნას** ნაამბობსაც გადმოგცემთ. გოგონამ მამის ცხოვრებიდან რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი მოგვიყვა.*

— კარგად მახსოვს, სულ პატარა ვიყავი, როცა მამა პატიმარი იყო. უზომოდ მიყვარდა მამა და ვამაყობდი, რომ სპარტაკის შვილი ვიყავი, თუმცა მამის ნახვა ციხეში უფრო ხშირად მიწევდა, ვიდრე სახლში... მახსოვს, მამის სანახავად რომ მივდიოდი ხოლმე, დედა მარიგებდა — მილიციელებთან რომ მივალთ, ხმამაღლა იტირე და მამიკოს გაჩვენებენო. მეც მოვაღებდი პირს და რაც ძალა და ღონე მქონდა, ვბღაოდი. სხვათა შორის, ჩემი ცრემლები ჭრიდა და მამასთან უპრობლემოდ გვიშვებდნენ ხოლმე... მახსოვს, მამა ციხიდან ახალი გამოსული იყო, მისი მეგობარი გვესტუმრა, რომელსაც სულ 2 დღის ნაყიდი ჰქონდა მანქანა. მამის მეგობარს ვთხოვე — მანქანა მათხოვე-მეთქი. — ვერ გათხოვებ, დაამტვრევო. მამამ უთხრა — არა უშავს, თუ დაამტვრევს, ახალს გიყიდიო. მანქანა მოვიპარე და მართლაც, დავამტვრიე. მერე, თუ ვინმე მანქანიანი სტუმარი მოდიოდა ჩვენთან, ყოველთვის ვპარავდი მანქანას. 6 მანქანა დავამტვრიე. მერე ყველა მაფრთხილებდა, — ხელი არ ახლო, მანქანა არ დაამტვრიოო... თქვენ უკვე იცით, რომ მამას რამდენიმე ცოლი ჰყავდა. მათ გარდა, უამრავი საყვარელიც ჰყოლია. მას ნათქვამი აქვს ჩემთვის — რამდენი ცოლიც არ უნდა გამოვიცვალო, დედაშენი მუდამ ყველაზე ძლიერ სიყვარულად დარჩებაო... მათ სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა. დედა 14 წლის იყო, როცა გათხოვდა. მამაჩემი და მისი სიმამრი ძმაკაცები იყვნენ, წამალსაც კი ერთად იკეთებდნენ ხოლმე, მაგრამ მამა ძმაკაცის შვილს არ იცნობდა. დედას კი გაგონილი ჰქონია, რომ არსებობდა ვინმე 16 წლის ქურდი, რომელსაც სპარტაკი ერქვა. ერთხელ, ისინი გზაში შეხვედრიან ერთმანეთს. დედა მეგობართან ერთად იყო და მას უთქვამს — აი, ეს არის ის სპარტაკიო. დედა კი მისულა მამაჩემთან და უკითხავს — თქვენ ხართ ქურდიო? — რა მოგპარე, გენაცვალეო?.. — უკითხავს მამას. ამის შემდეგ უზომოდ შეჰყვარებიათ ერთმანეთი. ბაბუაჩემს რომ გაუგია ეს ამბავი, გაგიჟებულა. დედისთვის სპარტაკთან შეხვედრა აუკრძალავს, მაგრამ მას არ დაუშლია. ბოლოს შეუღლდნენ, თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ, ერთმანეთს დაშორდნენ... მე და მამა ყოველთვის ვძმაკაცობდით. მის ყველა ცოლთან და საყვარელთან ძალზე ახლო ურთიერთობა მქონდა. ამბები მიმქონდა ხოლმე. მახსოვს, ქეთინო (მამაჩემის მესამე ცოლი) და დედაჩემი ერთმანეთს ეკაჭრებოდნენ მამას გამო. ამ დროს, ჩემი და — სოფო პატარა იყო. ის ქეთინოს შვილი გახლავთ. ერთ დღეს დედამ ქეთინო და სოფო შინ დაპატიჟა და სკოლიდან დაბრუნებულს, სიურპრიზი დამახვედრა: სოფო იატაკზე ეჯდა, გარშემო უამრავი დათუნია ეყარა, ქეთინო კი დივანზე იყო წამოწოლილი, დედა სამზარეულოში საქმიანობდა... შემდეგ სუფრა გაშალეს. ამ დროს, სრულიად შემთხვევით მამაც მოვიდა. ორივე ცოლი გვერდიგვერდ მჯდომი რომ დაინახა, გულიანად იცინა. დედამ უარი უთხრა. სპარტაკი ან ჩემთან იქნება, ან შენთანო. მამა სიცილით კვდებოდა... სულ მალე, მამა დაიჭირეს. მასთან ერთად დედაც დააპატიმრეს და 3 დღე ციხეში აყურყუტეს. ქეთინო მიდიოდა, საჭმელ-სასმელი მიჰქონდა, მილიციელებს ემუქრებოდა — ეს ქალი გამოუშვით, თორემ, ყოფას გიტირებთო. ასე ედგა გვერდით ქეთინო დედაჩემს და ამ პერიოდში მეც მივლიდა. ჩემი და უზომოდ მიყვარს და ეს გახლავთ ყველაზე ძვირფასი, რაც მამისგან მაქვს...

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

გაქცევით ვუშველე თავს...

ჩვენი მკითხველების მესიჯებს თვალს თუ გადავავლებთ, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებათ, თითქოს მთელი საქართველოს მოსახლეობა სადღაც გარბის: ზოგი ქმარს გაურბის, ზოგი — ცოლს, ზოგი — საყვარელს... ზოგიერთი კი, იმ დედალივით გარბის, თან უკან რომ იხედება — იმდენად სწრაფად ხომ არ გავრბივარ, რომ მამალი ვერ დამეწიოსო?.. ჰოდა, ვნახოთ, ვინ სად, რატომ და როგორ გარბის.

მარი ჯაფარიძე

„ახლა მე გავიქეცი, ხვალ მაგას მოუწევს ორჯერ სწრაფად სირბილი...“

„გაქცევა სასიმამროსგან“

„ერთი გოგო მიყვარდა. მამამისს კი მაინცდამაინც არ ვეპიტნავებოდი. რამდენჯერმე გამაფრთხილა – ჩემს შვილს ახლოს არ გაეკაროო. მიყვარდა და აბა, მამამისს როგორ დავუჯერებდი!.. 15 აპრილს, სიყვარულის დღეს, ნინოს პაემანი დავუთქვი. უზარმაზარი თაიგული ვიყიდე და დანიშნულ ადგილას ბოლთას ვცემდი. როგორც იქნა, ნინოც გამოჩნდა. გადავკოცნე, ყვავილები მივაწოდე, ხელი მხარზე გადავხვიე და გეზი ერთ-ერთი კაფესკენ ავიღეთ. ამ დროს შევნიშნე, რომ ჩვენს შესახვედრად, საპირისპირო მხრიდან მამამისი მოდიოდა და ისე ჯიქურ მოარღვევდა ხალხის ტალღას, რომ ცხადი იყო, ჩვენკენ მოიჩქაროდა. რომ მოგვიახლოვდა, ხელი ისე წამოიღო, მივხვდი, ჩამავლებდა და ველარც გავექცეოდი. ამიტომ უცებ მივტრიალდი და თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი. ვიდრე თავი სამშვიდობოს არ დავიგულე, უკან არ მიმიხედავს. მერე გავიგე, რომ თურმე, ნინოს სახლიდან გამოჰყოლია და ჩუმად გვითვალთვალებდა. აი, ასე ვუშველე გაქცევით თავს, მაგრამ სულ მალე, ნინოს ჩემს სახლში წავაცუნცულებ და მერე ჩემმა სიმამრმა ირბინოს, რამდენიც უნდა...“

„მე მივდევ, ისინი გარბიან...“

„შარშან ზაფხულში, რაჭაში ვისვენებდი. მეზობლის ბიჭები და გოგონები ატყდნენ – სოკოს მოსაკრეფად ტყეში წავიდეთო. მეც გავყევი. უამრავი ყვავილი მოვკრიფე და ისე გავერთე სოკოს ძებნისას, რომ ტყეში დავიკარგე. ბევრი ვიყვირე, ვიძახე, მაგრამ ვერავის გავაგონე. დავიწყე ტყიდან გამოსასვლელი ბილიკის ძებნა, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ წრეს ვურტყამდი და ტყიდან ვერ გამოვდიოდი. ამასობაში მოსაღამოვდა. ზანზალაკების ხმა შემომესმა და მივხვდი, იქვე ახლოს საქონელი ბალახობდა. ვიფიქრე, ძროხებთან მივალ, უკან გავყვები, ისინი შინისკენ გზას გამაკვლევინებენ-მეთქი. ზანზალაკების ხმას მივყევი. საქონელი რომ გამოჩნდა, გავიქეცი. ძროხები დაფრთხნენ და დაღმართზე სირბილ-სირბილით დაეშვნენ. მე მივდევ, ისინი გარბიან. მუხლები და მკლავები დამეკაწრა, ბუჩქებს ზედ ვახტებოდი, მაგრამ მთავარი იყო, ძროხები არ დამეკარგა თვალთახედვიდან. თან კალათს ხელს არ ვუშვებდი. ამასობაში დაღამდა და როგორც იქნა, სამანქანო გზაზე გამოვედი. ძლივს ვსუნთქავდი, ჭრილობებიდან სისხლი მდიოდა. შორს შევნიშნე, რომ გლეხს ურმით თივა მოჰქონდა, დაველოდე და ვთხოვე, ჩემს სოფლამდე მივეყვანე. მოხუცმა თივაზე დამსვა და ასე მივედი სახლში. ბებიაჩემი გაგიჟებული დამეძებდა და ცოცხალი რომ დამინახა, ტირილი დაიწყო... აი, ასე ვუშველეთ გაქცევით თავს ძროხებმა და მეც... თიკო, 23 წლის“.

„ლამის ცოლთან დაწოლის ნებართვაც მისგან უნდა მიმეღო...“

„როგორც იქნა, 35 წლის ასაკში დავქორწინდი. მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩემს ცოლს დედის გარდა არავინ ჰყავდა. ამიტომ იძულებული ვიყავი, სიდედრთან ერთად მეცხოვრა. თავიდან ყველაფერი მშვენივრად აეწყო. რამდენიმე ხნის შემდეგ კი, ჩემმა სიდედრმა აურია. ცოლის მაგივრადაც ის ლაპარაკობდა, თავის მაგივრადაც, ჩემ მაგივრადაც... რაზეც ცოლი არ მსაყვედურობდა, ის გაკაპასებული მედავებოდა ხოლმე. მოკლედ, ოჯახში „პალაჟენიე“ დააყენა და როგორც უნდოდა, ისე იყო... დედაჩემი რომ დააპირებდა სტუმრად მოსვლას, ნებართვა მისგან უნდა ამეღო; საქეიფოდ რომ წავიდოდი, „ვიზა“ მას უნდა მოეცა; დასასვენებლად სად უნდა წავსულიყავით, ადგილიც მას უნდა შეერჩია. მე თუ ზღვაზე მინდოდა წასვლა და მას – მთაში, რაღა თქმა უნდა, მთაში მივდიოდით. ლამის ცოლთან დაწოლის ნებართვაც მისგან უნდა მიმეღო... თან სულ მამადლიდა – ამისთანა გოგო გავზარდე და შენნაირ უქნარას ჩავუგდე ხელში, შენზე და შენს ოჯახზე გადაყოლილი ვარ და შენ მადლობელიც არ ხარ, მე რომ არ გყავდე, რა გეშველებოდაო!.. ეს ყველაფერი მომწყინდა და გამოვიქეცი. მე კი ვუშველე თავს, მაგრამ ჩემი ცოლყოფილი ჰყავს ხელში შეკლული. ჩვენ ერთად გვინდა ცხოვრება, ის კი ანამუსებს – მარტო უნდა დამტოვო და ძაღლივით უნდა ამომხდეს სული, შენი ქმარი უფრო მეტად გიყვარს, შენ კაცი გინდა, ქმარი კი არა და იმიტომ გინდა მასთან ცხოვრებაო... მოკლედ, თავს ვუშველე, ახლა ცოლშვილს უნდა ვუშველო და „ურჩხულის“ კლანჭებიდან გამოვიხსნა. გოგა“.

ჭურჭლის მტვრევა და დედის გინება...

„ვისაც ლოთი კაცის ცოლობა არ გამოუცდია, ის ვერ გაიგებს ჩემს გასაჭირს. გამოუფხიზლებელი ქმარი მტერს ჰყავდეს!.. გია დილით რომ ადგებოდა, მაშინვე ერთ ჩაის ჭიქა არაყს გადაჰკრავდა – ეს, აზრზე რომ მოვიდე, იმისთვისო. მერე წავიდოდა და გვიან ღამით ისეთი მთვრალი ბრუნდებოდა, ძლივს აგნებდა სახლის კარს. ასე მეორდებოდა ყოველდღე. თანაც, ზოგიერთ კაცს „ბულკივით“ სიმთვრალე აქვს: მოვა სახლში, დაწვება და დაიძინებს. ეს კიდევ, ლაპარაკისა და ჭკუის დარიგების მეტს არაფერს აკეთებდა. კარგი დედის შვილი იყავი და რამეში არ დათანხმებოდი, იწყებოდა აყალმაყალი და ჩხუბი, ჭურჭლის მტვრევა და დედის გინება... ბავშვებიც შეშინებული ელოდნენ ხოლმე მის გამოჩენას. ავდექი და თავს გაქცევით ვუშველე. ისე გავიქეცი, რომ უკან აღარც ვიხედები. დავშვიდდი, დავწყნარდი და ნერვებს აღარავინ მიშლის. ასე ჯობს, მე თუ მკითხავთ“.

„მინდოდა, გამომკიდებოდა და დღედაღამ ჩემზე ეფიქრა...“

„ერთი ბიჭი შემიყვარდა. მასზე ოცნებაში მხდებოდა სული. ვამბობდი – მის შემოხედვას თუ ველირსე, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება-მეთქი. მოხდა სასწაული და ამ ბიჭმა სიყვარული ამიხსნა. სიხარულისგან ცას ვეწიე, მაგრამ ხომ არ გგონიათ, მას ვაგრძნობინე?.. ამის შემდეგ, გამარჯობასაც აღარ ვეუბნებოდი. რომ დავინახავდი, გავრბოდი და თავს შორს ვიჭერდი. მინდოდა, გამომკიდებოდა და დღედაღამ ჩემზე ეფიქრა. მართლაც, ბევრი მდია მალხაზმა, მაგრამ რომ ვხედებოდი, ზედმეტად სწრაფად გავრბოდი. მერე ცოტათი „ვატორმუზებდი“, ახლოს მოვუშვებდი და ისევ გავურბოდი... გავიდა ერთი თვე, ორი... სამი... ათი... მოჰბეზრდა ჩემს დასაწევად სირბილი და ერთხელ ჩემს დაქალს დაუბარა – კარგად იყოს, მაგრამ ჩემგან შორს იყოს, ამდენი ხნის განმავლობაში მაგის გული ვერ მოვიგე და დავიღალე ხვეწნითო... ლამის გული გამისკდა. ახლა მე დავუწყე დევნა, ის კი გამირბოდა. ასე დავკარგე ჩემი სიყვარული. რას გარბიხარ, შე ტუტუცო, თუ გიყვარს, აგრძნობინე კიდეც, რა! თათია“.

მაცდური კახპა და „უღირსი“ გაქცევა

„სამსახურში ახალი თანამშრომელი მივიღე. გარეგნობით ლამაზი ქალი იყო და სათნო, ბატკანივით ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. რამდენიმე ხანი რომ გავიდა, კაბები დაიმოკლა, თმის ვარცხნილობა შეიცვალა და ისეთი სექსუალური იმიჯი შეიქმნა, რომ თანამშრომლები გაოცებული უყურებდნენ ხოლმე. ჩემს დანახვაზე თვალებს აფახულებდა და გამომწვევად იქცეოდა. ხან აქედან მომიარა, ხან იქიდან და მაინც მაცდუნა. ამის შემდეგ, როგორც კიბორჩხალამ, ისე ჩამავლო მარწუხები და გასაქანი აღარ მომცა. ცოლთან უამრავი პრობლემა შემექმნა იმის გამო, რომ კვირაში 3-4 ღამე შინ არ ვიყავი. ჩემს ჯიბესაც დაეტყო ამ ქალის გამოჩენა. ეს მიყიდე, ის მაჩუქეო, – სულ გაიძახდა. მეც ვუსრულებდი, რადგან მისი დაკარგვის მეშინოდა. თავფეხიანად გადავეშვი სიყვარულის მორევში და მარინას მეტი აღარავინ მინდოდა. მზად ვიყავი, ოჯახიც დამენგრია, სამსახურიდანაც წავსულიყავი, ოღონდ ის ყოფილიყო ჩემ გვერდით. საბურთალოზე დაკეტილი ბინა მქონდა, რომელიც ცოლის მზითვი გახლდათ. ის ბინა გავყიდე და მარინას ერთოთახიანი ბინა და მანქანა ვუყიდე... ერთხელ, ძმაკაცებმა დამიმარტოხელეს და ლამის კედელზე მარტყმევინეს თავი: ამას რას აკეთებო? – მეუბნებოდნენ – სამი შვილის მამა, ქალმა ისე როგორ გამოგაშტერა, რომ ბავშვებს ბინა გაუყიდე და ფული იმ კახპას დაახარჯეო?!. თვალნათლივ დამანახვეს ჩემი საქციელი და... შემრცხვა. ჩემი მეგობრები სიმართლეს მეუბნებოდნენ. თვალი ამეხილა და დავიწყე მარინასგან გაქცევა. ისე ჩამებღაუჭა, რომ მივხვდი, გამიძნელდებოდა მისგან თავის დაღწევა. ძმაკაცი დამეხმარა: დაიწყო მარინას შებმა. ცოტა ხანში დაითანხმა კიდეც და ის რომ ჩემს მეგობართან ლოგინში კოტრიალებდა, მე „შემთხვევით“ დავადექი თავზე. ერთიორი სახეშიც გავულაწუნე, ეჭვიანობის სცენა გავითამაშე, კარი გამოვიჯახუნე და წამოვედი. მაგრამ მარინა მიხვდა, რომ ეს დადგმული სპექტაკლი იყო. შინ მომივარდა და ჩემს ცოლს დაუწყო ლანძღვა-გინება. ის არ აჰყვა ემოციებს, გარეთ უსიტყვოდ გამოუშვა და კარი მიუჯახუნა. მარინამ ფარ-ხმალი არ დაყარა და ათასგვარ ინტრიგაზეც მიდიოდა, მაგრამ ბოლოს, როგორც ჩანს, მოჰბეზრდა და თავი დამანება, თუმცა დღემდე, ჩემს ნაყიდ ბინაში ცხოვრობს და ჩემი ნაჩუქარი მანქანით დადის...“

„დათვი! დათვი-მეთქი! – დავიძახე...“

„მართლაც, გაქცევით ვუშველე თავს, მაგრამ კარგი ბიჭი ხარ და ნუ გაიქცევი, დათვი რომ გამოგეკიდება!.. ყველაფერი კი ასე დაიწყო: სანადიროდ ვიყავი წასული, მეგობრებთან ერთად. პროფესიონალი მონადირე არც ერთი არ ვიყავით. ვთქვით, ტახზე ვინადიროთ-თქო, თოფები მხარზე გადავიკიდეთ და წავედით. თურმე, იმ ადგილებში ტახი საერთოდ არ ბინადრობს. სამნი ვიყავით. ტყეში გავიფანტეთ. უცებ, ისეთი ხმა მომესმა, თითქოს კაცი ხეს ჭრიდა. ვიფიქრე, მივალ და ვკითხავ, ტახის მოკვლა თუა აქ შესაძლებელი-მეთქი? ხმას მივყევი და უზარმაზარ დათვს შევეჩეხე, რომელიც ხის ტოტს ამტვრევდა და აქეთ-იქით ისროდა. დავაპირე გამოქცევა, მაგრამ უკვე გვიან იყო. დათვმაც შემნიშნა, ხის ტოტს თავი მიანება და გამომეკიდა. ისე გამოვრბოდი, ფეხებს სულ უკანალზე ვირტყამდი, მაგრამ არც დათვი ჩამომრჩებოდა. თოფი სადღაც მოვისროლე და ბღავილ-ბღავილით გავაგრძელე სირბილი. ჩემი მეგობრები შემეხმიანნენ. დათვი! დათვი-მეთქი! – დავიძახე და გზა უკანმოუხედავად განვაგრძე. როგორც იქნა, შინ მივაღწიე, დათვიც უკან მომყვა. ჭიშკარი გულამოვარდნილმა ჩავკეტე. მერე მეზობლებმა მითხრეს, მთელი ღამე დათვი ჩემს ჭიშკართან მჯდარა და მხოლოდ გამთენიისას წასულა ტყეში. ასე ვუშველე თავს გაქცევით. კობა“.

ფრაზა გენიალური

უბედურება მხდალსა ჰგავს: იგი მას გამოეკიდება, ვინც უფრთხის და ვინც კი გულდაგულ დახვდება, მას გაექცევა ხოლმე.

ხალხური

„ახლა ვზივარ „ვირის აბანოში“ და ველოდები...“

„სამი წლის წინ, ერთ საღამოს მე და ჩემი მეგობარი მანქანას ვიტაცებდით. კარი გავაღეთ, სადენებიც ჩამოვყარეთ და ის იყო, უნდა დაგვექოქა, რომ უბნის ინსპექტორი წამოგვადგა თავზე. როგორც კი ფეხის ხმა გავიგონეთ, მაშინვე მოვკურცხლეთ და თავს ვუშველეთ... ერთი წლის შემდეგ კი, კვლავ მანქანის ქურდობისთვის დამაკავეს. მაშინ თუ გავიქეცი და გადავრჩი, ამჯერად გაქცევა ვერ მოვასწარი. ახლა ვზივარ „ვირის აბანოში“ და ველოდები, როდის გავა 5 წელი; ისე მიჭირს აქ ჯდომა, რომ აქედანაც გაქცევა მინდა. ვნახოთ, თუ მოვახერხე, აუცილებლად დაგიმესიჯებთ და შეგატყობინებთ, „სვაბოდაზე“ ვარ-მეთქი. მამუკა“.

„მინდა, თქვენი საშუალებით შემოვირიგო“...

„მე და ჩემი მეუღლე თბილისში პატარა, მყუდრო ბინაში ვცხოვრობთ, სადაც არც ტელევიზორია და არც ტელეფონი. თავს ჟურნალ-გაზეთების კითხვით ვირთობთ. მეუღლეს ძალზე დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვს, შინ გვიან ბრუნდება. ერთ დღეს დავითანხმე, რომ ადრე მოსულიყო და სადმე გასართობად წავსულიყავით. ადრე კი მოვიდა, მაგრამ ისეთი მთვრალი იყო, ლოგინამდე ძლივს მილასლასდა და მაშინვე ჩაეძინა. მოსვენება ვაცადე, მერე კი, მარტოობით გაბეზრებულმა, შევაჯანჯღარე, რომ გამოფხიზლებულიყო, მაგრამ საგონებელში ვერ ჩავაგდე. თავში ერთი აზრი მომივიდა და სასწრაფოდ შევუდექი ჩანაფიქრის განხორციელებას: ჯერ სახეზე ტონი დავადე, ლოყები შევუფერადე, თვალები დავუსატე, პომადაც წავუსვი, არც კონტური დამვიწყებია; ფეხისა და ხელის ფრჩხილებზე წითელი მანიკიური წავუსვი... მოკლედ, ჩემი ქმარი მძინარე მზეთუნახავად ვაქციე. სილამაზეს მხოლოდ მისი ხვრინვა აყენებდა ჩრდილს. დაღლილ-დაქანცულსა და კმაყოფილს ჩამეძინა... დილით ჩემი მეუღლის ღმუილი შემომესმა და უარესის მოლოდინში, გაქცევით ვუშველე თავს... ვიცი, რომ ის ამ ამბავს აუცილებლად წაიკითხავს, რადგან „გზა“ მისი საყვარელი ჟურნალია, „გზავნილები“ კი — საყვარელი საკითხავი. მინდა, თქვენი საშუალებით შემოვირიგო და ვუთხრა: „სიხარულო, ძალიან მიყვარხარ. გკოცნი, შენი თიკო“.

„გავექეცი და ახლა უზომოდ მენატრება...“

„15 წლის ვიყავი, როცა ლუკა შემიყვარდა, საკუთარ თავზე მეტად. 3 წელი უხმოდ „დავატარებდი“ ცალმხრივ სიყვარულს. მერე აღმოჩნდა, რომ მასაც ვყვარებივარ. ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა. მაგრამ ის ჩემი შორეული ნათესავი აღმოჩნდა. ვიცოდი, ჩემი მშობლები არასოდეს შეეგუებოდნენ ამ ამბავს. საშინლად დათრგუნვილმა და სასოწარკვეთილმა, ის სოფელი საერთოდ დავტოვე. მეგონა, გავექცეოდი. თავს ვუშველიდი, მაგრამ ამაოდ. ლუკა სიკვდილის ბოლო წუთამდე მეყვარება. მარი, 20 წლის“.

„მე ჩემს სიყვარულს გავექეცი, დედამისის გამო და ცოლად სხვას გავყევი, მაგრამ არ ვნანობ. ქმარიც გიყდება ჩემზე და ის მამაკაციც. მე ქმარი მიყვარს, მაგრამ ის ჩემი ლექსების მუზად დარჩება“.

„მე მივრბივარ, ის — მომდევს. ჩემი ამბავი ტრაგიკომიკური ჟანრისაა. ახლა, როცა ვიხსენებ, არც კი ვიცი, გავიცინო თუ თავში წავიშინო ხელები. ფიზიკურად ნორმალური გოგო ვარ. თაყვანისმცემელიც ბლომად მყავდა, მაგრამ მათ შორის ყველაზე „ბლატნი“ და ჯიბეგაფხეკილი ბიჭი ამოვარჩიე და შევიყვარე. პირველსავე პაემანზე ჩემი ფულით დავპატიჟე. მერე ხომ, საერთოდ თავს გავიდა... როცა „მარშრუტკით“ ვმგზავრობდით, თავსაც არ იწუხებდა ჯიბეში ხელის ჩაყოფით. მუქთა სუფრებსაც არ „მაზავდა“. თუ ვინმეს დაბადების დღეზე მივდიოდი, პატარა ბავშვივით ამეკიდებოდა ხოლმე. ერთ დღესაც მივხვდი, რომ ყველას დასაცინი გავხდი. იმავე დღეს მივატოვე და მისგან გაქცევა დავაპირე, მაგრამ ორივე ხელით ჩამეჭიდა. მაინც გავექეცი. ის კი უკვე ერთი წელია, მომდევს, ისევ „ბლატნი“ და ისევ ჯიბეგაფხეკილი“.

„ჩემი სიყვარული კრახით დამთავრდა. დათო ჩემი პირველი სიყვარული იყო. ჩვენ შორის ბევრი ხალხი ჩადგა — დედაჩემიც კი და ყველაფერი დასრულდა. მე კი ის უზომოდ მენატრება. დათო, დამიბრუნდი“.

„ეჰ, მარი, ჩემმა შეყვარებულმა გაქცევით უშველა თავს — ასე დააღწია თავი ჩემს გიჟურ სიყვარულს. ათენში მყოფო კახა, იცანი შენი თავი?.. ჩემთან ყოფნას დედიკოსთან ყოფნა არჩიე?.. საფერფლეზე მიცანი, ვინ ვარ... მაგარი ფანი“.

„4 წელი ვცხოვრობდი ქალაქ როსტოვში და ყველაფერი სწორედ იქიდან დაიწყო. ერთი ძალიან მაგარი ბიჭი მირეკავდა საქართველოდან და სულ მიმეორებდა, რომ ჩამოვსულიყავი. ჩვენი სატელეფონო საუბარი 8 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ერთ დღეს გადავწყვიტე, ჩამოვსულიყავი და ჩვენი შეხვედრაც შედგა. საღამო ხანი იყო. მატარებლის ბილეთიც აღებული მქონდა, რომ ჩემს ქალაქში დავბრუნებულიყავი, მაგრამ საუბარს შევყევით და მატარებელზე დამაგვიანდა. მან თავისთან დამპატიჟა, რადგან ქალაქში სრულიად უცხო ვიყავი... მთელი ღამე ჩვენს გრძნობებს ვებრძოდით და დილით ძლივს დავაღწიე თავი ჩემს „მიკამას“. გურა“.

„ერთხელ ასეთი რამ შემემთხვა: საღამო ხანი იყო. ქუთაისში გახლდით. ერთი ბიჭი ამეკიდა — გინდა თუ არა, შვილი მინდა შენგანო. თან ხელების ფათური დამიწყო. მე კი გაქცევით ვუშველე თავს. ისე დავშინდი, რომ შებინდდება თუ არა, გარეთ ვეღარ გამოვდივარ. თიკო“.

„ჩემთან სახლში გავიცანი ის, ვინც მთელი თვე ჩვენთან უნდა დარჩენილიყო. ის დანახვისთანავე შემიყვარდა. 2 კვირა გავძელი. მერე რაღაც მოვიმიზეზე და შინიდან წავედი, რადგან ვიცოდი, რომ თავს ვერ მოვერეოდი. მას გავექეცი და ახლა უზომოდ მენატრება. თუ ამ მესიჯს წაიკითხავს და მიხვდება, ვინც ვარ, დამირეკოს. ლე! დამირეკე, რა!“

„მე ვუყვარვარ ცოლიან თანამშრომელს. ახლა მისი ცოლიც ჩვენთან გადმოვიდა სამუშაოდ. რა ვქნა, დათოს აშკარად ეტყობა, რომ ჩემზეა შეყვარებული. მე უბრალოდ, ვერთობი და მსიამოვნებს მისი ყურადღება. სანამ ცოლი რამეს გაიგებს, სადმე უნდა გავიქცე. სკანდალს ვერიდები. ისეთი აფთარი ქალია, რომ დათო მეცოდება. ნინო“.

„სკოლაში რომ ვსწავლობდი, მეგობრის ძმამ, 25 წლის „ულაყმა“, 12 წლის ბავშვს, სიყვარული ამიხსნა. მე ისე გავიქეცი, უკან არც მომიხედავს. თავს ვუშველე! მაგდა, ქუთაისიდან“.

„ახლა კი ვუშველე თავს გაქცევით, მაგრამ მინდა, დათუჩას ვუთხრა: მაინც გადავუხდი სამაგიეროს იმ ტანჯვისთვის, რომელიც 2 თვის განმავლობაში მომაყენა. თუ ახლა მე გავიქეცი, ხვალ მაგას მოუწევს ორჯერ სწრაფად სირბილი“.

„ძალიან ბევრჯერ ვუშველე თავს გაქცევით, მაგრამ ყველა შემთხვევაში, დარჩენა სჯობდა — უფრო მოგებული დავრჩებოდი. ახლაც გაქცევა მინდა, საოცარ სიმარტოვეს ვგრძნობ... ძნელი ყოფილა...“

დღევანდელ „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ბევრი ვეცადე შენთვისო, გამომივიდა ჩემთვისო. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გეშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

რუსთაველის თეატრის მსახიობი მალხაზ ძვრივიშვილი საუცხოო თამადაც ყოფილა. ქეიფისას, თურმე, შეიძლება ისე შეიჭრას როლში, სიმღერის, ცეკვის და ლექსის კითხვის გარდა, თავდაყირაც კი დადგეს...

ზეკიბრი 500-კაციანი სუფრის გაძღოლისას, ზამკვანეერით ღამთვრალი 16 წლის ბიჭი სარკეში ღანახული ორეული

ეკა მინდაძე

— მალხაზ, პირველად როდის აიღე ღვინით სავსე ჭიქა ხელში?

— პირველად ალკოჰოლური სასმელი მე-8 კლასში გავსინჯე ჩემი ძმაკაცის აგარაკზე, ჩუმათელეთში. დედამისმა კეცზე შემწვარი სოკო მოგვართვა და თან უფლება მოგვცა, ცოტა ღვინო დაგველია. მე და ჩემს მეგობრებს ქეიფი მამებისგან გვქონდა ნასწავლი. რაც უფრო ბევრ სუფრაზე მჯდარხარ, მით უფრო მეტ გამოცდილებას იძენ იმისას, თუ როგორ უნდა წარმართო სუფრა.

— თუ მოგისმენია ცნობილი თამადებისთვის?

— როგორ არა?! ბედნიერი ვარ, რომ ვმჯდარვარ ისეთ სუფრაზე, სადაც თემურ ჩირგაძე იყო თამადა; მინახავს ბრწყინვალე თამადობა — გიგა ლორთქიფანიძის, რამაზ ჩხიკვაძის, კახი კავსაძის, ჯემალ ღაღანიძისა და გოგი გეგეჭკორის. ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა ჩემი დეიდაშვილების დაბადების დღეზე ქეიფი. ამ დღეს, ბიძაჩემი ხან ერთ ძმაკაცს ნიშნავდა თამადად, ხან — მეორეს. ისინი კი, სუფრას დიდ სანახაობად აქცევდნენ. დღემდე ტკბილ მოგონებად დამრჩა მაშინდელი ქეიფი, რაშიც უდიდესი წვლილი თამადას მიუძღვის... ჩემი აზრით, ძალიან საპასუხისმგებლოა ჭირის სუფრაზე თამადობა. თამადაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოიგონებენ ამ ქვეყნიდან წასულ ადამიანს...

— რა არის მთავარი პრინციპი, რომელსაც თამადობისას ეყრდნობი?

— ქართული სუფრა აკადემიაა. ჩემი აზრით, სუფრაზე თამადობა სპექტაკლში მთავარი როლის შესრულების ტოლფასია. კარგი თამადა მთლიანად უნდა იხარჯებოდეს. ჩემი, როგორც თამადის, მთავარი პრინციპია, რომ 5-კაციანი იქნება სუფრა თუ 500-კაციანი, სუფრის ყველა წევრი ქეიფით და დროს ტარებით კმაყოფილი და ნასიამოვნები უნდა წავიდეს შინ.

— ეი. როგორი უნდა იყოს თამადა?

— თამადა პირველ რიგში, უნდა იყოს განათლებული და მჭევრმეტყველი. მას უნდა ჰქონდეს კარგი მეტყველება, დიქცია და ხმის ტემბრი. უნდა შეეძლოს, ლამაზად ლექსის წაკითხვა, სიმღერა, ცეკვა და რაც მთავარია, უნდა იყოს დაჯილდოებული უდიდესი იუმორის გრძნობით. თამადამ უნდა იცოდეს, ამა თუ იმ სადღეგრძელოს თუ რომელი სიმღერა, ლექსი ან ცეკვა მოუხდება.

— მერე, თავად რამდენად აკმაყოფილებ ამ მოთხოვნებს?

— რომ გითხრა, გადასარევი თამადა ვარ-მეთქი, მოგატყუებ, მაგრამ არც მოსაწყენი გახლავარ. თამადობის დროს კიდევაც მიცეკვია, კიდევაც მიმღერია, ლექსიც წამიკითხავს და თავდაყირაც დავმდგარვარ!.. ამის გამო, მეორე დღეს ბევრს უთქვამს ჩემთვის: მადლობელი ვარ, რა ბრწყინვალე დრო გვატარებინეო.

— ყველაზე დიდი სუფრა, რომელზეც გითამადია, რამდენკაციანი იყო?

— 5-კაციანით დაწყებული, 500 კაცით დამთავრებული. მეორე დღეს ყოველთვის ვამბობ — არასოდეს აღარავის დავთანხმდები თამადობაზე-მეთქი, — რადგან ამ დროს ძალიან ვიღლები... წინასწარ როდესაც მითანხმდება ადამიანი, რაღაცნაირად შინაგანად ვემზადები. წინა ღამით უკვე ვიწყებ ნერვიულობას, როგორც სპექტაკლის წინ. წარმოიდგინე 500 კაცში ისეთი სიტუაცია უნდა შექმნა, რომ ყველა ნასიამოვნები დარჩეს და არც რაიმე კონფლიქტი მოხდეს!.. თამადაზეა დამოკიდებული: თუ მას ყველაფერი კარგად მიჰყავს, მაშინ არანაირი ინციდენტი არ მოხდება.

— ახლა ის მითხარი, რამდენის დალევა შეგიძლია?

— ძნელია ამის აღრიცხვა. ადრე უფრო მეტს ვსვამდი. დამილევია 5 ლიტრამდე ღვინო. ეს დამოკიდებულია განწყობილებაზე და იმ ადამიანებზე, ვისთან ერთადაც ქეიფობ. შეიძლება საერთოდ არ გქონდეს დალევის განწყობა და ღვინო 2 ჭიქის შემდეგ მოგეკიდოს, შეიძლება 5 ლიტრი დალიო და არც გეტყობოდეს სამთვრალე. მე რატომღაც ისეთი ბედი მაქვს — შეიძლება, ჩემი ფიზიკური მონაცემების გამოც, — რომ თამადად ყოველთვის მე მირჩევენ, ხოლო თუ თამადა სხვა არის, ყოველთვის ალავერდს ჩემთან გადმოდის. მახსოვს, ერთხელ, სამეგრელოში 500-კაციან ქორწილში დამაკისრეს თამადობა. მე ნეფეს მხრიდან ვიყავი, პატარძლის მხრიდან კი, მოადგილე სამეგრელოში განთქმული თამადა იყო, რომელმაც ნამდვილი შეჯიბრი გამიმართა. სუფრაზე მარჯვნივ სპეციალურად „ნასედკა“ მომისვეს, ხოლო მარცხნივ — მოკარნახე, რომ ჩემი სმა გაეკონტროლებინათ... სანამ სუფრაზე დავსხდებოდით, რომ გავხედე სასმისებს, გული გადამიქანდა: ჩვეულებრივი ზომის ღვინის ჭიქა ვერ დავინახე... დავიწყეთ დიდი, „ბუცლიანი“ ჭიქებით და დავამთავრეთ ყანწით და დიდი ბოლოს ვაზით. სხვათა შორის, თამადისთვის საპირფარეშოში გასვლაც აკრძალული იყო. იმ შემთხვევაში, თუ სუფრიდან ავდგებოდი ცოტა ხნით მაინც, თამადობას დავემშვიდობებოდი... გმირულად გავუძელი ბოლომდე. ქეიფის დასასრულს, თამადის მოადგილემ ჩემი გამარჯვება აღიარა და მომართვა კალათი, სადაც ეწყო გოჭის თავი, შამპანურები, ტკბილეული... მახსენდება, როგორ არ მიყვარდა ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე დაგვიანებით მისვლა — არადა, მოუცლელობის გამო, სულ ვიგვიანებდი, დაგვიანებულს კი, მაშინვე დიდ ვაზას „მაჯახებდნენ“, რომელშიც 3 ლიტრი ღვინო ჩადიოდა...

— რომელ ღვინოს ამჯობინებ?

– რა თქმა უნდა, ყველანაირი ღვინო არ დაილევა. მე მიყვარს, „პინო“ – ევროპულად დამზადებული თეთრი ღვინო.

— თუ სუფრაზე კარგი ღვინო არ არის, მაინც სვამ?

– თუ სუფრაზე კარგი ღვინო არ არის, ვცდილობ, არ დავლიო, იმიტომ, რომ ამის გამო მეორე დღეს აუცილებლად მოვკვდები. შეიძლება, დალევის ხასიათი გაგიფუჭოს ცუდმა ღვინომ ან, პირიქით – კარგმა ღვინომ დალევის ხასიათზე მოგიყვანოს. რამდენიმე წლის წინ, ერთხანს, სმას თავი დავანებე – ასე ვთქვათ, შევისვენე. ზუსტად იმ პერიოდში, ჩემმა დეიდაშვილმა მამუკა მიქელაძემ ხვანჭკარაში ეკლესია მოხატა და ამის გამო რაჭაში ყიფიანების ოჯახში მოვხვდით, სადაც სუფრაზე მოიტანეს „ხვანჭკარა“. როდესაც დალევაზე უარი ვთქვი, მითხრეს: ამის არდალევა არ შეიძლება, ეს ხომ წამალიაო!.. მეც დავიწყე სმა და ვეღარ გავჩერდი, ბოლოს დიდ ყანწებზე გადავედი. ჩემი დეიდაშვილი დღესაც იმას მახსენებს – ჯერ უარს ამბობდი და მერე, ღვინოს ვეღარ „მოგაწიწკნეს“, მე რომ წავედი დასაძინებლად, შენ კიდევ ყანწს ითხოვდიო...

როდესაც დალევაზე უარი ვთქვი, მითხრეს: ამის არდალევა არ შეიძლება, ეს ხომ წამალიაო!.. მეც დავიწყე სმა და ვეღარ გავჩერდი... (მამუკა ონაშვილთან ერთად)

— სუფრაზე ხომ არ გიჩხუბია, ან რაიმე ინციდენტი ხომ არ მოგსვლია?

– კი, როგორ არა! ხელიც კი გავიჭერი ისე, რომ გასაკერი გამიხდა... 20-კაციანი სუფრის თამადა ვიყავი, იდეალური სიტუაცია სუფევდა, სანამ ერთი ბიჭი არ შემოგვემატა, რომელიც თავიდანვე, ყველას შესამჩნევად თავხედურად იქცეოდა. მე მაინც ვცდილობდი ჩვენს სიტუაციას შერწყმოდა და ასეთი სიტყვა ვთქვი: აი, კიდევ ერთი კარგი კაცი შემოემატა ჩვენს სუფრას, მე არ დაგაძალებთ, როგორც გესიამოვნებათ, ისე დალიეთ და ისიამოვნეთ-მეთქი. გადის 10 წუთი და ვხედავ, ჩემი ნათესავი გოგონა ტირის. მაშინვე მივხვდი, რომ იმ ბიჭის ბრალი იქნებოდა. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ჩემი ვარაუდი გამართლდა. ავდექი და დავიძახე: თავი შეიკავეთ, მოდით, ნუ ავურევთ ამ ქეიფს-მეთქი. მიუხედავად ამისა, ვხედავ, ის ბიჭი მაინც ვერ ისვენებს და კიდევ რაღაც იტუტუცა. იმდენად გავმწარდი მის თავხედობაზე, რომ ვიგრძენი, ამ ბიჭს ძალიან მაგრად ვცემდი. გაბრაზებულმა, სუფრაზე მთელი ძალით დავარტყი მუშტი, წინ დადებული ჭურჭელი დაიმსხვრა და დავინახე, რომ სისხლიც წამომივიდა, მაგრამ არც გავნძრეულვარ – კრიჭაშეკრულმა დავიყვირე: ეს ბიჭი გაიყვანეთ სუფრიდან-მეთქი! მერე პირადად მასაც მივმართე – უკაცრავად, რა, სუფრა დატოვეთ-მეთქი. ამ სიტყვების შემდეგ ვიგრძენი, რომ ბრაზმა სრულიად გადამიარა, უფრო მეტიც – კარგ გუნებაზეც კი დავდექი: ალბათ ყველაფერი ჩავაქსოვე მუშტის დარტყმაში და ცოტა ხანში მიმტევებელიც კი გავხდი. ჰოდა, ღიმილნარევი ხმით გავძახე: ძმაო, თუ გინდა, დარჩი და ქეიფი გავაგრძელოთ-მეთქი. მასზე ამ სიტყვებმა უფრო იმოქმედა: ჩუმად ადგა და გავიდა... მერე მეც წამიყვანეს, ხელი გამიკერეს, მერე დავბრუნდი და გავაგრძელე თამადობა.

— არასოდეს დამთვრალხარ ისე, რომ მეორე დღეს ქეიფის ამბები ვერ გაგიხსენებია?

– კი, როგორ არა?!. 16 წლის ასაკში, ჩემი ძმაკაცის დაბადების დღეზე რესტორანში წავედით მე და ორი ძმაკაცი. აგვისტო იყო და ქალაქი თითქმის დაცარიელებული გახლდათ. სამნი მივუსხედით სუფრას და აქეთ-იქიდან თითოთითო ყუთი შამპანური გვედგა. იმდენი დავლიეთ, რომ გამოსვლისას გასასვლელთან ვხედავ, რომ ვიღაც ჩემკენ მოდის. თურმე, სარკეში ჩამიხედავს!.. სხვათა შორის, გამიგონია – მთრალმა კაცმა სარკეში არ უნდა ჩაიხედოს, თორემ, უფრო დათვრებაო. ზუსტად ასე არ მომივიდა?.. გარეთ გამოვედი თუ არა, იმ წუთიდან, რა მოხდა, აღარაფერი მახსოვს.

ის ღამე ძალიან ცუდად მახსენდება – ალბათ იმიტომ, რომ შამპანურმა მომწამლა და მთელი ღამე გავათენე, კინაღამ მოვკვდი, ისეთ დღეში ვიყავი. მეორე დღეს დავიფიცე – ცხოვრებაში სასმელს აღარ გავეკარები-მეთქი, მაგრამ ამის შემდეგ მილიონჯერ დავლიე...

— როგორი სიმთვრალე გაქვს?

– მშვენიერი. სიმთვრალეში ძალიან მოსიყვარულე ვხდები, მინდა, ყველას მოვეფერო. ასე რომ, ამ დროს სიყვარულის ბუშტი მისკდება.

— „პახმელია“ თუ იცი?

– რა თქმა უნდა. „პახმელია“ ფანტასტიკური რამ არის. მეორე დღეს, გენატრება სუფრა და ის ატმოსფერო, რომელშიც წინადღეს იმყოფებოდი... „პახმელიაზე“, როგორც მამაკაცების უმეტესობა, მე და ჩემი მეგობრები მივდივართ ხოლმე სახაშეში – ე.ი. ისევ სუფრას ვუბრუნდებით. ამ დროს ძალიან მიყვარს „ბორჯომიც“.

— გიყვარს თამადის ამპლუაში ყოფნა?

– არა, იმიტომ, რომ ძალიან ვიღლები. სხვათა შორის, ვყოფილვარ ისეთ სუფრაზეც, სადაც თამადა არ მომწონებია და ჩემთვის ჩამილაპარაკია – „ამას არ სჯობდა, მე ვყოფილიყავი თამადა?!..“ სუფრაზე, სადაც სხვა არის თამადა, ყოველთვის ვცდილობ, მას ხელი შევუწყო, რადგანაც ვიცი, თუ რა მძიმე ტვირთია ეს.

— დაბოლოს — რა სიახლეებია შენს შემოქმედებით ცხოვრებაში?

– ცოტა ხნის წინ, მე და გოგოლა კალანდაძემ გადავიღეთ კლიპი, რომლის სახელწოდება ჯერჯერობით არ ვიცი. გარდა ამისა, რუსთაველის თეატრთან ერთად მივდივარ გასტროლებზე მოსკოვში, სადაც ორ სპექტაკლს წარმოვადგენთ. კიდევ მაქვს რაღაც გეგმები, მაგრამ ჯერ საიდუმლოდ შევინახავ. ■

ფრაზა გენიალური

ხუმრობის ჩემეული მეთოდი სიმართლის თქმაში მდგომარეობს — ამაზე სასაცილო, ქვეყანაზე არაფერია.

ბერნარდ შოუ

კითხვა + პასუხი



კითხვა: ჩემს კვებით რაციონში მეტისმეტად ბევრია რძის პროდუქტი: რძე, ყველი, მაწონი, ხაჭო. მაინტერესებს, ხომ არ არის ეს მავნებელი?

პასუხი: რძე და რძის პროდუქტები კვების ყველაზე სრულფასოვანი პროდუქტებია. მათში დიდი რაოდენობითაა ცილა, კალციუმი, ზოგიერთი სხვა ვიტამინი, რაც ამ პროდუქტებს შეუცვლელს ხდის. თუ რძის პროდუქტი ძალიან გიყვართ, ჩვენი ერთადერთი რჩევა იქნება — ეცადეთ, ძირითადად ნაკლებად ცხიმიანი და დაუმტკბარი პროდუქტი მიიღოთ. ეს თავიდან აგაცილებთ წონის არასასურველ მატებას და ასაკობრივი დაავადების (არტერიული ჰიპერტონია, გულის იშემიური დაავადება, ათეროსკლეროზი) განვითარებას.

კითხვა: ულტრაბგერითი გამოკვლევისას ალმომაჩნდა კისტა მარჯვენა თირკმელში. მისი ზომებია 0,8-1,4 მმ. საშიშია თუ არა და როგორ მოვიქცე?

პასუხი: არავითარი საშიშროება არ გემუქრებათ. კისტა წარმოადგენს „შარდით სავსე ბუშტუკს". თქვენს შემთხვევაში, ეგი საკმაოდ მცირე ზომისაა; შესაძლოა, გადატანილი ტრავმის შედეგია ან თირკმლის თანდაყოლილი დეფექტია, რომელიც არ არღვევს მის ფუნქციას. საკმარისია, სიტუაციის კონტროლის მიზნით, 6-12 თვეში ერთხელ მაინც გაიკეთოთ ულტრაბგერითი გამოკვლევა.

კითხვა: რომელი გინეკოლოგიური პათოლოგიები წარმოადგენს ჩასახვის საწინააღმდეგო სპირალის ჩადგმის უკუჩვენებას?

პასუხი: სპირალის ჩადგმა არ შეიძლება საშვილოსნოსა და მისი დანამატების მწვავე და ქრონიკული ანთებითი დაავადებების, საშვილოსნოში აღმოჩენილი ანომალიების, ენდომეტრიოზის, სიმსივნური პროცესების, ანემიებისა და სისხლის დაავადებების დროს. უნდა გაითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ სპირალის ჩადგმის შემდეგ, საშვილოსნოს ყელი მუდმივად ღია რჩება, რაც ზრდის საშვილოსნოსა და მილებში საშოდან ინფექციის შეჭრის ალბათობას.

კითხვა: ჩემი მეუღლე დაბრმავდა, მხედველობის ნერვის ატროფიის გამო. როგორც აგვიხსნეს, ეს პათოლოგია არ იკურნება. მაგრამ ცოტა ხნის წინ წავიკითხე ინფორმაცია, რომ ამერიკელებმა შეძლეს მხედველობის ახალი ნერვების ჩანერგვა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩემს მეუღლეს და სხვა მის მსგავს ავადმყოფებს გაუჩნდათ მხედველობის დაბრუნების შანსი?

პასუხი: სამწუხაროდ, ჯერ სიხარული ნაადრევია. თუმცა, ამა თუ იმ ორგანოს დაზიანებული ქსოვილების შესაცვლელად ახალი ქსოვილების „გამოზრდას" მეცნიერები დიდი ხანია, ცდილობენ. არის გარკვეული წარმატებებიც — მაგალითად, დამწვრობის მკურნალობისას იყენებენ „გაზრდილი" ქსოვილის ფრაგმენტებს. მაგრამ მკვეთრი წინსვლა ამ სფეროში ჯერ არ არის, მით უმეტეს, როცა საქმე მხედველობის ნერვს ეხება. ნერვული უჯრედები არ აღდგება — ეს აქსიომა ისევ ძალაშია. დღეისათვის ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება ნერვული ქსოვილს დაზიანებული ნაწილის მოცილება და მისი ჩანაცვლება ახალი ქსოვილით. ძიება ამ მიმართულებით გრძელდება, მაგრამ ჯერჯერობით საიმედო შედეგები ექსპერიმენტის დონეზეც კი ძალზე შორსაა. ■

გაქვთ სურვილი გამოიყურებოდეთ ლამაზად?!

გთავაზობთ!!!

წონაში დაკლებას კომფორტული მეთოდით 5-დან 12კგ.-მდე ყოველგვარი ვარჯიშისა და შიმშილის გარეშე.

თქვენ მოგვმასახურებათ კვალიფიციური სპეციალისტი.

ტელ.: 893-20-33-76
მდივანი: 76-66-04
ბ-ნი. კობა

სალბი — სამკურნალო ბალახი

სალბს ბევრი სამკურნალო თვისება აქვს. ვისაც ჭარბი ოფლიანობა აწუხებს, უნდა სვას თითო ფინჯანი სალბის ნახარში დღეში ერთხელ. აღსანიშნავია, რომ ეს ნახარში აძლიერებს შინაგანი სეკრეციის (ენდოკრინული) ჯირკვლების მოქმედებას. ამიტომ ექიმები ქალებს ურჩევენ კლიმაქსის პერიოდში მიიღონ ერთი ფინჯანი სალბის ნახარში უზმოზე. ნაყენი გამოიყენება ასევე პირის ღრუსა და ყელის ანთებითი პროცესების დროს და კოსმეტიკური პროცედურებისთვისაც მისაღებია — სალბის კომპრესი და ნიღაბი დაგიცავთ კანის ანთებისგან. ■



აღდგომის წინა ოთხშაბათს დანთებული კოცონი		გრიპის გამომწვევი მიკროორგანიზმი		მაუდის მრგვალი ქუდი		გამრავლების ცხრილი	ვაზით გადახურული საჩრდილობელი	
რგოლოვანი ორგანიზმი	... შანელი	წყლის ტრანსპორტი	მცენარე არხი	ადამიანის ერთ-ერთი ასაკობრივი მდგომარეობა	ყვავილი	... ოკუჯავა	... პუგაჩოვა	მ/ფ „... უბნის მელოდიები"

ნატურალური და ხელოვნური ვიტამინები



გავრცელებულია აზრი, რომ „სინთეზური“ ვიტამინები, რომლებიც პოლივიტამინურ პრეპარატებსა და ვიტამინებით გამდიდრებულ კვებით პროდუქტებში შედის, არ არის „ბუნებრივი“ ვიტამინების იდენტური, პოლივიტამინებში შემავალი ვიტამინები არ შეესაბამება „ცოცხალ“ ვიტამინებს და ნაკლებად ეფექტურია. ნატურალურ ვიტამინებს ორგანიზმი უკეთ ითვისებს, ფარმაცევტულ წარმოებაში მიღებული პრეპარატები არ შეიცავს იმ ვიტამინებს, რომლებიც ანოტაციაშია მითითებული და რომ ვიტამინები ამ კომპლექსებში არამდგრადია და ადვილად იშლება. სინამდვილეში, სამედიცინო წარმოებაში მიღებული ყველა ვიტამინი აბსოლუტურად იდენტურია „ბუნებრივი“ ვიტამინებისა, რომლებიც კვების პროდუქტებშია. ეს იდენტურობა ეხება ქიმიურ სტრუქტურასაც და ბიოლოგიურ აქტიურობასაც.

თავად განსაჯეთ, წარმოებაში მიღებულ ვიტამინებს ბუნებრივი წყაროებიდან გამოყოფენ ან ბუნებრივი ნედლეულიდან იღებენ. მაგალითად, B2 და B12 ვიტამინებს ფარმაცევტულ წარმოებაში (ბუნების მსგავსად) მიკროორგანიზმების მიერ სინთეზირების გზით იღებენ, C ვიტამინს, ბუნებრივი შაქრის – გლუკოზისაგან ამზადებენ, P ვიტამინს გამოყოფენ ციტრუსის ქერქისაგან. ნუთუ, ამის შემდეგ შეიძლება ისინი „არანატურალურად“ ჩაითვალოს?!

ვიტამინების წარმოების პროცესი მაღალტექნოლოგიურია: იგი უზრუნველყოფს არა მხოლოდ პრეპარატთა სისუფთავეს, არამედ მათში ვიტამინების მაქსიმალურ შენარჩუნებას. მაგალითად, C ვიტამინი კომპლექსურ პრეპარატებში გაცილებით უკეთაა შენარჩუნებული, ვიდრე ზამთრის ხილსა და ბოსტნეულში, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ ვიტამინის შემცველობაზე მურაბებსა და თერმულად დამუშავებულ პროდუქტებში. ბევრმა როდი იცის, რომ ასკილის ვაჟინის დამზადებისას C ვიტამინი მთლიანად იშლება დუღილის დროს, „სინთეზურ“ ასკორბინის მჟავას კი, C ვიტამინს შემდეგ სპეციალურად უმატებენ, ვაჟინის მომზადების ბოლო ეტაპზე. უფრო მეტიც, ბევრ თანამედროვე პოლივიტამინურ კომპლექსში ვიტამინები შედის კოფერმენტის სახით – ანუ ისევე გააქტიურებული, როგორც ეს ჩვენს ორგანიზმში ხდება. მაგალითად, PP ვიტამინი კომპლექსურ პრეპარატებში შედის არა ნიკოტინის მჟავის (რომელიც ხშირად ალერგიულ რეაქციას იწვევს), არამედ ნიკოტინამიდის სახით, რომელიც ვიტამინის კოფერმენტულ, გააქტიურებულ ფორმას წარმოადგენს. ნიკოტინამიდზე ალერგია 100-ჯერ უფრო იშვიათია, ვიდრე ნიკოტინის მჟავაზე.

ფარმაცევტულ წარმოებაში შესაძლებელი გახდა C ვიტამინის მოდიფიცირებაც. იგი იწარმოება ასკორბინმჟავასთან შედარებით ნაკლებად მჟავე ნაერთის – კალციუმის ასკორბატის სახით. ეს საშუალებას იძლევა, პრეპარატი დაენიშნოს პაციენტს იმის მიუხედავად, თუ როგორი აქვს კუჭის წვენის მჟავიანობა (მაღალი, დაბალი თუ ნორმალური). C ვიტამინის ასეთი ფორმა კარგია იმითაც, რომ იგი კარგად ეთვისება C ჯგუფის ვიტამინებს, რომელთაც ტუტე რეაქცია აქვთ.

ყოველივე ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ სინთეზური ვიტამინებით შეგიძლიათ მთლიანად შეცვალოთ ცოცხალი პროდუქტები. ხილსა და ბოსტნეულს თავისი შეუცვლელი ადგილი აქვს ჩვენს რაციონში. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ყოველგვარი ეჭვისა და ყოყმანის გარეშე, შეგიძლიათ მიიღოთ პოლივიტამინებური პრეპარატები. ■

ნუ მოიწყენთ

სევდა ჯანმრთელობისთვის საზიანოა – ეს ჰიპოთეზა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ინგლისელმა მეცნიერებმა. თურმე ხანგრძლივი დეპრესია ხელს უწყობს ძვლოვანი ქსოვილის დარბილებას, რაც მოტეხილობების წინაპირობაა. თურმე დეპრესიის დროს მკვეთრად ქვეითდება ესტროგენებისა და სხვა სასქესო ჰორმონების დონე, რომლებიც ძვლების მდგომარეობაზეა პასუხისმგებელი. ამიტომ თუ „ქრონიკული სტრესი“ გაწუხებთ, აუცილებლად შეიმოწმეთ ორგანიზმში მინერალური მარილების დონე და ამასთან, იზრუნეთ, რომ ორგანიზმმა ყოველდღიურად მიიღოს კალციუმის პროფილაქტიკური დოზა. ■

მკურნალობა გარანტიით!

თმის ცვენა, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა, ამოდის თმა, ტილები, წილები ისპობა 10 წუთში, კანის და ფრჩხილის სოკო, ფსორიაზი.

ვის: ჭავჭავაძის გამზ. 2/2, ჩაის სახლთან, სგორეგორლგიურ პოლიკლინიკაში, 11-18 სთ-ამდე, შაბათს 13-15 სთ-ამდე

☎ 30-94-73; 35-32-62; 893-91-89-17 (საღამოს)

| | | |

რამდენად მძიმე ცოდვაა განკითხვა?

როდესაც ადამიანი ვინმეს აუგად იხსენიებს ანუ სხვის ცოდვებზე, ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე ძვირსიტყვაობს, ეს იმას ნიშნავს, რომ განიკითხავს, განსჯის მოყვასს, რაც თითქმის ყველა ადამიანის ჩვევაა: „განკითხვითაა აღსავსე მთელი ჩვენი ცხოვრება, არ ვუფრთხილდებით სხვის სახელს, დაუფიქრებლად განვიკითხავთ და ცილს ვწამებთ და ეს ყველაფერი ჩვევად გვექცა“ — წერს მღვდელი ალექსანდრ ელჩანინოვი...

მორენა მერკვილაძე

რამდენად მკაცრად ეკრძალება ადამიანს მოყვასის განკითხვა?

„დაიცხრე ენა შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენი ნუ იტყვიან ზაკვასა“ – ბრძანებს დავით ფსალმუნთმგალობელი. პავლე მოციქული კი, რომაელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეში წერს: „შენ ვინ ხარ, რომელიც განიკითხავ სხვისა მონასა“ (რომ. 14, 4). ასეთივე შეგონება გვხვდება წმინდა მოციქულ იაკობის ეპისტოლეშიც: „შენ ვინ ხარ, სხვას რომ განიკითხავ?“ (იაკობი 5, 12). „წმინდა წერილის“ თანახმად, ადამიანი ვალდებულია, დაიცვას ენა ძვირის თქმისგან – არ განიკითხოს, არ განსაჯოს მოყვასი. წმინდა მამებიც გმობდნენ და გვიკრძალავდნენ მოყვასის ცოდვების, მავნე ჩვევებისა და შეცდომების განკითხვას და რაც მთავარია, განკითხვას პირდაპირ გვიკრძალავს მაცხოვარი, როდესაც ბრძანებს: „ნუ განიკითხავთ, რაითა არა განიკითხნეთ“ (მათე 7, 1).

ადამიანის განკითხვის, განსჯის უფლება მხოლოდ ღმერთს აქვს, რადგან უფალი ერთადერთი მსაჯულია ცოცხლებისა და გარდაცვლილებისა. ამიტომ, როდესაც ვინმეს განვიკითხავთ, გამოდის, რომ ვცდილობთ, მივითვისოთ ღვთის უფლებები და ამავდროულად ვეწინააღმდეგებით უფლის ნებას, რაც ყველა ადამიანს ეკრძალება. ბუნებრივია, მოყვასის განკითხვისას ვერც სამართლიანები ვიქნებით, რადგან ხშირად თვითონვე ვაკეთებთ იმას, რის გამოც სხვებს განვიკითხავთ.

რატომ განვიკითხავთ მოყვასს — ანუ რა არის განკითხვის ძირითადი მიზეზი?

„რატომ განვიკითხავთ მოყვასს? იმიტომ, რომ არ ვცდილობთ საკუთარი თავის შეცნობას“ – ბრძანებს წმინდა სერაფიმე საროველი. ადამიანი რომ საკუთარ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს ამჩნევდეს, სხვების მავნე ჩვევებსა და ცოდვებს არ განიკითხავდა. მაგრამ რადგან თითქმის ყველა ადამიანს თავი სხვებზე უკეთესი ჰგონია, საკუთარ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს ძნელად ამჩნევს, ამიტომაც არის, რომ არ ვინდობთ მოყვასს და ხშირად უმიზეზოდაც კი განვიკითხავთ, უბრალო შეცდომის გამო. აქედან გამომდინარე, განკითხვის ძირითადი მიზეზი ამპარტავნებაა. ამის შესახებ პირდაპირ მიგვითითებს არქიმანდრიტი ეფრემ ფილოთეველი: „არ იცით, რომ ვინც განიკითხავს, ამპარტავნებისგანაა შეცდომილი? რადგან ადამიანს თავი სხვებზე უკეთესი ჰგონია...“

განკითხვა იმდენად მძიმე ცოდვაა, რომ მხოლოდ ამ ცოდვის გამოც შეიძლება დაიღუპოს ადამიანმა სული. იოანე კლემაქსი გვიქადაგებს: „როგორც ამპარტავნება სხვა ვნებათა გარეშეც ღუპავს ადამიანს, ასევე განკითხვასაც შეუძლია სრულიად დაგვღუპოს, ფარისეველიც ამის გამო დაისაჯა“. ფარისეველი კი, იმის გამო დაისაჯა, რომ განიკითხა მეზვერე, რომელიც გულშემუსვრილად ლოცულობდა უფლის წინაშე და საკუთარ ცოდვათა შენდობას ითხოვდა: „ფარისეველი მარხვასაც ინახავდა, მეათედსაც სწირავდა, მაგრამ ენა რომ კეთილად არ დაიცვა, დაისაჯა! ასევე იქნები შენც, ენის დაცვა იმდენად დიდი რამ არის, მის გარეშე ცხოვნება შეუძლებელია“ – გვმოძღვრავს ანტონ ჭყონდიდელი. უფალი ბრძანებს: „სიტყვათა შენთაგან გამართლდე და სიტყვათა შენთაგან დაისაჯო“. აქედან გამომდინარე, ძვირის მთქმელ ენას შეუძლია ადამიანი მარადიულ სატანჯველს აზიაროს – ეს სასჯელი კი მიეზღვება უფლისგან პირად სამსჯავროზე წარდგომის დროს. ე.ი. როდესაც ადამიანი განკითხვის ცოდვით სცოდავს, ამა სოფლიდან გასვლის შემდეგ, თვითონვე განიკითხება უფლისაგან. სიტყვები: – „...რაითა არა განიკითხნეთ“ – უფლისგან განკითხვას გულისხმობს: „მოყვასის განკითხვით, შენ მას კი არ განიკითხავ, არამედ საკუთარ თავს, რომელსაც გადასცემ საშინელ სამსჯავროსა და მსჯავრს. როგორც თავიდანვე ჩვენზეა დამოკიდებული ცოდვების პატიება, ასევე ამ სამსჯავროზეც ჩვენ თვითონ ვადგენთ საზომს ჩვენი განსჯისა“ – ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი.

მოყვასის განმკითხავი, ღვთის მადლს და შეწევნას მიწიერ ცხოვრებაშიც მოაკლდება. განკითხვის ცოდვის გამო, უფალმა ადამიანს შეიძლება მოუვლინოს სხვადასხვა ცხოვრებისეული განსაცდელიც, რათა ამ გზით ვისწავლოთ სიმდაბლე და მივხვდეთ, რომ უძლურები ვართ და ღვთის მადლი გვიფარავს. მოყვასის განმკითხავისგან უფალი არც ლოცვას შეიწირავს და არც სხვა შესაწირავს მიიღებს, როგორც ამას გვიქადაგებენ წმინდა მამები.

რა შემთხვევაში მოგვიტევებს უფალი განკითხვის ცოდვას?

თუკი ადამიანი გააცნობიერებს, რომ განკითხვა მძიმე ცოდვაა და შემუსვრილი გულით მოინანიებს ამ ცოდვას ღვთისმსახურის წინაშე – ე.ი. განიწმინდება სინანულის საიდუმლოს გზით – უფალი როგორც ყველა გულწრფელად მონანიებულ ცოდვას, განკითხვის ცოდვასაც მიუტევებს, რადგან არ არსებობს ცოდვა, რომელიც სძლევს ღმერთის გულმოწყალებას. უფალი ყოველთვის მზად არის შეგვინდოს, როგორც კი სინანულით მოვიქცევით მის მიმართ.

როგორ გადავეჩვიოთ, ანუ როგორ შევებრძოლოთ განკითხვას?

„გაასამართლე, გაჩხრიკე შენი თავი – ნათქვამია „ბიბლიაში“. აი, ყველაზე მართებული საშუალება განკითხვის წინააღმდეგ. გაჩხრიკე შენი თავი ანუ დაფიქრდი, შენც ხომ არ იქცეოდი შენი ძმის მსგავსად? უარესადაც ხომ არ მოიქცეოდი, შენ რომ აღმოჩენილიყავი მის მდგომარეობაში?“ – ასეთნაირად პასუხობს ამ კითხვას მამა ევსტათი გოლოვანელი. წმინდა სერაფიმე საროველი კი წერს: „საკუთარი თავი განიკითხე და ამით სხვების განკითხვას გადაეჩვევი“. ამასვე გვირჩევს თითქმის ყველა წმინდა მამა.

■

„სამაგალითო“, „მისაბაძი“ — ალბათ, ეს სიტყვები ყველაზე უკეთ გამოხატავს იმ დამოკიდებულებას, რომელსაც არა წლების — მთელი ათწლეულების მანძილზე იჩენდა დიდი თუ პატარა, თენგიზ არჩვაძის მიერ განსახიერებული გმირებისადმიცა და თავად მსახიობისადმიც. ბუნებრივია, დღეს თვალსა და გულს მოაკლდა მისი განუმეორებელი სახე, მიხრა-მოხრა, მეტყველება...

ცხენის ღა ხალის ჯოჯოხეთ ოთხგზის ანგრევაქის კიდეზე სუბრის ჭრილობა ეხლეგა...

ნუცა თოფჩიმფილი

— **ბატონო თენგიზ, დიდი ხანია არ ჩანხართ. ამბობენ, თავის აგარაკზეა დღე და ღამე, თან ყურძენს წურავს და ღვინოს აყენებსო...**

–70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე რაღაც თანხა მიბოძეს. ამ თანხას არავინ გავაკარე *(იცინის)* და თბილისთან ახლოს, მისაქციელში, ულამაზეს ადგილას არაგვის ხეობაში აგარაკი შევიძინე. ვაზი მაქვს და უკვე მეორე წელია, ყურძენს ვწურავ. შარშან კარგი მოსავალი მქონდა, წელს, რა მოგახსენოთ?.. გაზაფხულზე ყინვებმა გამიფუჭა და მოსავალი მცირე იყო. რქაწითელი დავამატე... უდიდეს სიამოვნებას ვიღებ. ახლა, ბუნება რომ წითელ-ყვითლად აჭრელდა, ულამაზესია არაგვის ხეობა. იქ ჰაერიც სულ სხვაა. ღამე ჭრიჭინების ჭრიჭინი და არაგვის შხუილი ისმის. თან, სავსე მთვარე, მოკრიალებული ცა და სიჩუმეა. დამიბრუნდა ბავშვობის ულამაზესი დღეები, როცა ომის დროს რაჭაში, სოფელში წამიყვანდნენ...

— **ბავშვობა ახსენეთ და თქვენი მშობლები გაიხსენეთ.**

— მამა, საკმაოდ ასაკოვანი, ოთხმოცდაათს გადაცილებული იყო, როცა გარდაიცვალა. საღი გონება და აზროვნება მან სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. ძალიან ახლო, კაცური ურთიერთობა მქონდა მამასთან. 40-ს გადაცილებული იყო, როცა დაოჯახდა და მე გავჩნდი. მერე დაიბადნენ ჩემი და და ძმა. დედაც, სხირტლაძის ქალი, ოთხმოცს გადაცილებული იყო, როცა წავიდა ამ ქვეყნიდან. მამაჩემი ლიტერატურის დიდი მოყვარული იყო. ზეპირად იცოდა „ამირანდარეჯანიანი“ და „ვისრამიანი“. უძველესი ქართული მწერლობის პატივისმცემელი იყო. 1914-19 წლებში რედაქტორიც გახლდათ და თავადაც წერდა მაშინდელ პრესაში. მერე, ცხოვრება ისე წავიდა, სამეურნეო საქმიანობას მიჰყო ხელი. მისი ნაწერების გამოცემა დავაპირე, კრებულიც შევადგინე, მინდოდა, ამით მისდამი სიყვარული და პატივისცემა გამომეხატა, მაგრამ ვერ მოვახერხე... ასე რომ, დედითაც და მამითაც ძირძველი რაჭველი ვარ. მამაჩემის ძმას სადღაც მოუძიებია, რომ ჩვენი გვარი, უძველეს სიგელ-გუჯრებშია მოხსენიებული.

— **თქვენ მიერ განსახიერებული პერსონაჟები რაინდული ბუნების ადამიანები არიან. თქვენი აზრით, დღევანდელ საქართველოს თქვენი გმირებიდან, რომელი სჭირდება?**

— მუშნი ზარანდია სჭირდება ქვეყანას. ბატონ ედუარდს ზარანდიას რაღაც თვისებები ჰქონდა, მაგრამ ვერ დაადგა გვირგვინი...

— **მაგრამ მეფისნაცვალი ზარანდიაზე ამბობს** — Un vzai **(ნაღდი სატანაა). თქვენ როგორ ფიქრობთ, სატანა იყო ზარანდია?**

— არა, სატანად არ მიმაჩნია. თუ ინტელექტს გულისხმობდა მეფისნაცვალი, მაშინ, მართალია — სატანური ინტელექტი ჰქონდა. ისე კი — არა. სიკეთეს და სიყვარულს ატარებდა ახლობლების და ქვეყნის მიმართ. უკეთესი მომავლისთვის იღვწოდა. თუ გახსოვთ, დოცენტის დაკითხვის სცენა, როცა მუშნი ეუბნება — რა დროს რევოლუციაა? რევოლუციას ნგრევის გარდა, არაფერი მოაქვს; დადგება უახლოეს მომავალში ის დრო, როცა უნივერსიტეტი დაგვჭირდება, რათა ისეთი თაობა აღვუზარდოთ ქვეყანას, რომელიც მას მართავს; სულ სხვისი შემყურე ხომ არ ვიქნებით, ხომ უნდა იცოდეთ ეს, ბატონო დოცენტოო?!.

— **ქართველი კაცი და ქეიფი განუყოფელია. ქეიფი გიყვართ, ხომ ასეა?**

— საძმოში ქეიფს რა სჯობია?! სიმღერა მიყვარდა ქართული, სიტყვა მიყვარდა ქართული და ქეიფი მიყვარდა. სიმონიკა სხირტლაძე ბიძად მეკუთვნოდა და მასთან ქეიფის შანსს გავუშვებდი ხელიდან?..

— **მსახიობის მძიმე ცხოვრებას მეგობრებთან ურთიერთობა და შეხუმრება ალამაზებს. იქნებ, თქვენს რამდენიმე ახლო მეგობარზეც გვესაუბროთ...**

— ეროსისთან (მანჯგალაძე) ვიყავი შეხუმრებული, მიუხედავად იმისა, რომ ცხონებული, ჩემზე უფროსი იყო. ბარნოვის ქუჩაზე მეზობლად ვცხოვრობდით. გვიან ღამით ნასვამი გავუვლიდი და დავუყვირებდი — ეროსტი, ეროსტი. ასე ვეძახდი ხოლმე. გადმოიხედავდა და დამიძახებდა — ამოდი, ამოდი, მეზობლებს ნუ მიღვიძებო!.. რეზო ლაღიძესთან ვმეგობრობდი, პეტრე გრუზინსკისთან. ერთს წითელ ხიდთან უყვარდა თევზაობა, მეორეს — არაგვზე. ბევრჯერ ვყოფილვართ ერთად სათევზაოდ. ტუხასთან (არჩილ კერესელიძე) ძალიან ახლო მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ერთხელ, სოჭში ვართ გადაღებებზე. თავისუფალი დღე გვაქვს და მამია მალაზონიამ და ბიჭებმა გადავწყვიტეთ, თევზის რესტორანში წავსულიყავით. ვეძებეთ ტუხა, ვერ ვიპოვეთ და წავედით. უკან ბრუნდებოდით და ვხედავთ, ტუხა ბულვარზე მოსეირნობს. გავაჩერეთ მანქანა მივედით და ვეუბნებით — ბატონო ტუხა, სადა ხართ? მთელი დღე გეძებდით... აგინებს სერგო ორჯონიკიძეს — მისი ასე და ისე, რა არის, ეს „ანგელოზივით“ ქალაქი წაგვართვა, რუსებს მისცა, ჩვენ კი „ჩეჩმიანი“ სამტრედია დაგვიტოვაო!.. სიცილით ამოვტრიალდით... რა დამავიწყებს „ჩეჩმიან“ სამტრედიას?!. პეტრე გრუზინსკის თეზიკას ვეძახდით ახლობლები. არაგვის ხეობაში, მე-16 კმ-ზე უყვარდა თევზაობა. ჟინვალიდან ბარისახოსკენ ასახვევში, ჩარგლამდე „არმისულია“ ეს ადგილი. წავედით სათევზა-



თქვენ წახვალთ დამშვიდებული. თქვენთვის მოსასმენად აღვილია ჩემი აღსარება... მე კი...

ოდ, ბიძინა კვერნაძე, სულხან ნასიძე, მე და პეტრე გრუზინსკი. წაღებული გვაქვს პურმარილი და, მაშინ კარგი ღვინო იყო — „რვა ნომერი". თეზიკას ახალი ბადით მოაქვს თავი. ასეთ ბადეებს ვერ იყიდდი, სპეციალურად აქსოვინებდნენ. მდინარის პირას, მდელოზე სუფრას ვშლით. თეზიკამ — სანამ თქვენ მოამზადებთ პურმარილს, მე ბადეს ვისვრი, სუფრას ცოცხალს შევმატებო. მე და ბიძინა უკან გავყევით. ისროლა ერთხელ — არაფერი ამოჰყვა, ისროლა მეორედ — ისევ არაფერი. მე და ბიძინა ვაშაყირებთ — ეს არის, ბადის სროლა ვიცით?.. თეზიკა გვეჩხუბება — დამაცადეთ, თევზს ნუ მიფრთხობთო, — და შევიდა წყალში. ისროლა ბადე. ნაწვიმარი იყო მთაში და წყალს ხის ფესვები მოჰქონდა. წამოედო ბადე ასეთ ფესვს ექაჩება პეტრე, ექაჩება და გახია ბადე. გადაირია. ისევ ისროლა. ისევ წამოედო რაღაცას, ექაჩება, ექაჩება და ვერაფერი რომ ვერ მოუხერხა, ჩატოვა წყალში. წამოვედით მე და ბიძინა, სუფრისკენ, სიცილით ვიხოცებით. პეტრე არ მოგვეკარა, არ დაჯდა სუფრასთან. გაბრაზებული დადიოდა და გვლანძღავდა მე და ბიძინას — თქვენ არ იცით, რა ბადე გამიფუჭეთო... ფილმს — „შეხვედრა მთაში" გუდანში ვიღებდით. ამოგვაკითხა პეტრემ, მე და კოტე დაუშვილი ვიყავით. პატივი ვცეთ სტუმრებსო, — კოტემ თქვა და ჭედილა დაკლა, ჩობან-ყაურმა გავაკეთოთო. ეხერხებოდა მზარეულობა. ამოვთხარეთ ორმო, აქნილი ხორცი ტყავში გამოვხვიეთ, მიწა მივაყარეთ და ზემოდან ცეცხლი დავანთეთ... ასე რომ, გადაღებებზე მარტო შრომა არ იყო, ურთიერთობებიც იყო. იმ დროიდან ყველაზე მეტად უანგარო მეგობრობის გრძნობა დამამახსოვრდა — ერთმანეთის ნახვა დიდი სიხარული იყო. ამას ადამიანები, როგორც უძვირფასეს განძს, ისე უნაწილებდნენ ერთმანეთს. ახლა ასეთ ურთიერთობებს ვეღარ ნახავთ. გაუცხოებულია ყველა...

— თქვენი და სერგო ფარაჯანოვის მეგობრობაზე საუბარი ერთ ინტერვიუში არ დაეტევა. კიევში ფარაჯანოვმა გადაიღო ფილმი — „Киевские фрески" — **სადაც თქვენ მთავარ როლს თამაშობდით. რა ბედი ეწია ამ ფილმს?**

— ფარაჯანოვი საოცარი კაცი იყო. იმ პერიოდში კინოსტუდია „მოსფილმში" რომელიღაც სურათში მიღებდნენ. მოსკოვიდან საღამოს 9 სთ-ზე გადიოდა კიევის მატარებელი. კინოსტუდიიდან მანქანით მივყავდი სადგურამდე, დილას კიევში გადაღებებზე მივდიოდი, მთელი დღე ვმუშაობდი, საღამოს ისევ მოსკოვში ვბრუნდებოდი. მოსკოვში რომ დამთავრდა ფილმის გადაღებები, კიევში წავედი. სერგოს კიეველ მწერლებში და მთლიანად ინტელიგენციაში უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა. მისი წყალობით მეც დავუახლოვდი ამ ხალხს. კიევის კინოსტუდიაში კი სერგო მეფესავით იყო. თუ ვინმესი რამე არ მოეწონებოდა, იმას მოურიდებლად უტევდა. კინოსტუდიის დირექტორმა მითხრა — ვხედავ თქვენს მეგობრულ ურთიერთობას და უთხარით, ცოტა თავდაჭერილად მოიქცესო... მე და სერგო ქართულად ვსაუბრობდით. მთაწმინდაზე ცხოვრობდა, იმ პერიოდში მის მეზობლად ვცხოვრობდი. დედამისმა ქართულის გარდა, სხვა ენაზე ერთი სიტყვა არ იცოდა. სერგო საოცრად ერკვეოდა ფერწერაში, ხატებში და ძვირფას თვლებში. უშურველი და გახსნილი იყო. ტომობრივი ხელმომჭირნეობა არ მოსდგამდა *(იცინის)*. ქართულად, ლაღად იყო გაზრდილი. ამავე დროს, საკუთარი პრინციპების მკაცრი დამცველი გახლდათ. საბჭოთა წყობილებას ვერ იტანდა. ამიტომაც მთელი ცხოვრება, უსიამოვნებების გარდა, არაფერი შეხვედრია. საქართველო უყვარდა ძალიან, თბილისი — განსაკუთრებით... რაც შეეხება ფილმს — ცუდი ბედის აღმოჩნდა. 3 ნაწილი *(ე.ი. 30 წთ-ის მასალა. — ავტ.)* გადავიღეთ და დახურეს.

— უსაზღვროდ პოპულარული ბრძანდებოდით და მშვენიერი სქესის წარმომადგენლების დიდი სიყვარულითაც სარგებლობდით, მაგრამ იმასაც ამბობენ, თენგიზ არჩვაძე ძალზე სუფთა ადამიანიაო...

— ყოფილა თურმე ასეთი რამ, მერე ვიგებდი *(იცინის)*... ქალებთან, როგორც ქართველ კაცს შეეფერება, ისეთი ურთიერთიერთობა მქონდა. სხვანაირი ურთიერთობა რომ მქონოდა, ვერ მოვხვდებოდი სანდრო ანდრონიკაშვილის, პეტია ბოკერიას და სიმონიკა სხირტლაძის გვერდით. ისინი „ვეფხისტყაოსნიდან" გადმოსული რაინდები იყვნენ. მათთან მქონდა ურთიერთობა და გამორიცხული იყო უზნეო საქციელი. ეს მარტო მე არ მეხება. ჩვენს თაობაში ზნეობა, ნორმა იყო.

შვილთან ნაგოსთან და შვილიშვილებთან ერთად

სპეციალური წინადადება

განსაკუთრებული ფასები

50%-იანი ფასდაკლება ქართული ნარმოების პროდუქციის რეკლამირებისას

„ყვითელ ბალიშთან" მიესალმება ყველა ქართველი მენარმეს და უსურვებს ნარმატებებს!

ტელ. 33-78-07

ქართული ნაწარმი ნდობით უნდა სარგებლობდეს

— ცხოვრებაში ბევრი რამ გადაგხდენიათ. სიკვდილისთვის თუ ჩაგიხედავთ თვალებში?

— ფარიკაობის კურსს გავდიოდით. ცხენის და ხმლის მოყვარული ვიყავი. ლამაზი ქალისაც. 21 წლის ვიყავი, ფარიკაობისას სასიკვდილო ჭრილობა რომ მივიღე. ჩემნაირად დაჭრილი კაცი, ასე რომ, ბევრჯერ ჩამიხედავს სიკვდილისთვის თვალებში.

— ამ ცოტა ხნის წინ, რამდენიმე კლიპით გაახარეთ თქვენი თაყვანისმცემლები..

— იმ კლიპში გადაღებაზე, ფილმის — „შეხვედრა მთაში“ მოტივებზე რომ დაიდგა, ლეილა აბაშიძის ხათრით

ამ მელოდიას რომ ვუსმენ, ძალიან ვღელავ...

100-დან 99 სიცოცხლეს ემშვიდობება. ბედის წყალობა და იმ ქალბატონის დამსახურება იყო, რომელიც საავადმყოფოში მორიგეობდა. ეს ქალბატონი იულია ფარესაშვილი გახლდათ, ტრავმატოლოგი, პროფესორი. 3 დღე და ღამე არ მომშორებია. მოგეხსენებათ, პირველ წუთებს და პირველ დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფისთვის. ჭრილობა იღლიის ფოსოში იყო და ფილტვის ღრუში სისხლი იღვრებოდა. ფილტვი დაზიანებული, მარჯვენა მხარე წართმეული მქონდა. 3 თვე საავადმყოფოში ვიწექი. მთელი წელი დავკარგე. მამაჩემმა ჩემს სამკურნალოდ, თუკი რამე ჰქონდა, ყველაფერი გაყიდა... ახლა ცოცხალი არ არის ჩემი დამჭრელი, რენე ჩხაიძე, ღმერთმა ნათელში ამყოფოს! კი არ უნდოდა... მერე ინფარქტი გადავიტანე, მერე ოპერაცია... დავთანხმდი. თან ქეთა თოფურია მღეროდა, მისი ბაბუა კი, ჩემი მეგობარია. მეორე კლიპი ჯორბენაძის მშვენიერ სიმღერაზე „საშობაოზე“ გადაიღეს. ჯორბენაძის შვილმა თამუნამ მთხოვა, თამრიკო ჭოხონელიძესთან ერთად მემღერა, თორემ, ჩემი სიმღერა ვის უნდა?!. სხვათა შორის, ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე. ამას წინათ, პრეზენტაციას რომ ეძახიან, იქ დამპატიჟეს. პაატა ბურჭულაძემ იმღერა, თავის დროზე ცნობილი მელოდია — „ზამთარია“. ამ მელოდიას რომ ვუსმენ, ძალიან ვღელავ. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს — „მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გული“, — ასე მემართება ხოლმე: როცა რაიმე მომეწონება, ის მიკლავს გულს. ვერ ვიშორებ და მაწვალებს. ამიტომ ვცდილობ, გავერიდო... საკუთარი ბუნება არ უნდა შეცვალო, უნდა შეინახო. მსახიობისთვის ყველაზე ძნელი, საკუთარი ბუნების შენარჩუნებაა. ამას იშვიათად ახერხებენ, ცხოვრება თავისას შვრება. ყველაზე კარგია, ასაკში შესულ კაცს 6-7 წლის ბავშვის ბუნება რომ გამოგყვება. ეს მუშაობისას სხვასთან შედარებით უზარმაზარ უპირატესობას განიჭებს, ბევრ რამეს გიადვილებს. შენს ბუნებას ისევე უნდა მოუარო, როგორც სხეულს. არ მიყვარს, გაზულუქებული და წონამომატებული მამაკაცების ყურება. ჩოხა მეცვა და ახლაც მაცვია. „ჩოხოსნებში“ ვარ. ჩოხა და ღიპიანი კაცი ერთად წარმოუდგენელია. სულს უნდა მოუარო, სიტყვას უნდა მოუარო. ქართული სიტყვა ულამაზესია. ულამაზესია გრაფიკულად ქართული ასო. ჩვენს დამწერლობას რამე სჯობს?..

— მარჯანიშვილის თეატრიდან თქვენი წამოსვლის შესახებ ხომ არაფერს გვეტყვით?

— არა, მე არაფერს ვიტყვი ამის შესახებ და არც მინდა ამ თემაზე საუბარი...

— ახალ ფილმში ხომ არ გიღებენ?

— ამ თემაზე საუბრისას, ჭრილობა მეხსნება. თქვენ წახვალთ დამშვიდებული. თქვენთვის მოსასმენად ადვილია ჩემი აღსარება... ეს იმის ტოლფასია, ჭრილობაში მარილი რომ ჩაგაყარონ... არც მაქვს არავითარი სურვილი, სადმე ვითამაშო. რაც შეეხება გეგმას... ორი დედალ-მამალი ციცარი მყავდა, ერთი დაიღუპა და მეორე — გამიფრინდა, ჰოდა, გეგმაში მაქვს, თუ მოვახერხე, ციცრები ისევ გავიჩინო. ულამაზესი ფრინველებია.

— ბატონო თენგიზ, თუ სამოთხე არსებობს, მრავალი წლის შემდეგ, კარიბჭესთან მდგომი, ღმერთისაგან რის მოსმენას ისურვებდით?

— იმის მოსმენას ვისურვებდი, რომ სანამ დედამიწა იარსებებს — და ეს ღვთის ნებაა, — ჩვენც გვაარსებოს. თავის დროზე, ულამაზესი ერი ვიყავით და ჩვენი სიბრიყვით თუ ობიექტური სინამდვილით, ბევრი რამ დავკარგეთ. მაგრამ ჩვენზე გლახებს ხომ ვჯობნით *(იცინის)*?!. სხვებთან ერთად ჩვენც გვაარსებოს და არ წაგვართვას ჩვენი თვითმყოფადობა. რასაც ახლა ვხედავთ და ვისმენთ, არის იმის შანსი, რომ წაიშალოს ჩვენი „ხასანბეგურა“, ჩვენი „ოროველა“, „ურმული“, კახური „მრავალჟამიერი“... შეგვინარჩუნოს ყველაფერი ეს და მოგვცეს უფლება, რომ ქვეყნის აღსასრულს — რასაკვირველია, თუკი იქნება — ყველაფერ იმასთან ერთად, რასაც ქართული ჰქვია, მოვკვდეთ. ■

ფრაზები

კარგი კაცი გამოჩნდების სიმართლისა საძირკველად.

როსტომიანი

გენიალური

„ვინც სისტემატურად იგვიანებს, გაკვეთილზე არ შემოვუშვებ, თეატრიდანაც გავაგდებ...“

ნინო ანანიაშვილის ჩაშლილი გახეროლები და ამბიციური ოცნებები

ნინო ანანიაშვილის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. მსახიობების ოცნება — ეცეკვათ პრიმა ბალერინის ხელმძღვანელობით — ასრულდა... პირველმა პრემიერამ ანშლაგით ჩაიარა. ახლა დასი ახალი სპექტაკლებისთვის ემზადება. თეატრში რადიკალური ცვლილებები ხორციელდება. ძირფესვიანად იცვლება ყველაფერი, რაც უკვე მოძველდა და უსახსრობის გამო, დიდი ხნის მანძილზე უცვლელი რჩებოდა. დაუღალავი შრომისა და უმკაცრესი დისციპლინის დაცვის გზით, ნინო ანანიაშვილი ყველაზე ამბიციურ მიზანს — ქართული ბალეტისადმი მსოფლიოს ყურადღების მოქცევას ისახავს...

ლელა ჭანკოტაძე

— თუ ელოდით, რომ ახალი ხელისუფლება საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტს შემოგთავაზებდათ? რამდენად მოულოდნელი იყო ეს წინადადება და რატომ დათანხმდით?

— ახლა უკვე ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი თუ არა, რომ დავთანხმდი?.. კულტურის მინისტრისგან და ოპერისა და ბალეტის თეატრის მაშინდელი დირექტორის ზურაბ ლომიძისგან იყო შემოთავაზება. იმდენად რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩვენი თეატრი, რომ გადაწყვეტილების მისაღებად, პრეზიდენტთან გასაუბრება მჭირდებოდა: თუ შევთანხმდებოდით, თუ ჩემს პირობებს და მოთხოვნებს დააკმაყოფილებდნენ, თანხმობას განვაცხადებდი. ასეც მოხდა. როდესაც პრეზიდენტს შევხვდი, მან მითხრა, რომ ყველაფერს გააკეთებდა, საოპერო და საბალეტო ცხოვრების გამოსაცოცხლებლად. მივხვდი, რომ საჭირო ვარ ჩემი ქვეყნისთვის და შემიძლია, ცოდნით, გამოცდილებითა და კონტაქტებით ბევრი რამ გავაკეთო თეატრისათვის. თეატრს ყოველთვის ვეხმარებოდი, მაგრამ აქ ყოფნა და ყველა პრობლემის საკუთარ თავზე აღება, სულ სხვაა. მით უმეტეს, რომ პრობლემა უთვალავია. იმის მაგივრად, რომ უფრო მეტი დრო მსახიობებთან და ბავშვებთან (ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებთან) ურთიერთობას მოვახმარო, ორგანიზაციული საკითხების მოგვარება მიხდება. ჯერჯერობით, პრეზიდენტი რასაც დამპირდა, ყველაფერი შესრულდა. უკვე შევძელით პრემიერის გამართვა. მუშაობა კი, ორი თვით ადრე დავიწყეთ. ყველანი უხელფასოდ, ენთუზიაზმზე ვმუშაობდით, რომ პრემიერისთვის კარგად მოვმზადებულიყავით. ძალიან ცოტა დრო გვქონდა და დაუღალავი შრომის გარეშე, პრემიერის გამართვას ვერ მოვახერხებდით. საერთოდ, ბალეტის მსახიობებისთვის ერთი წელი სამი წლის ტოლფასია. ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრება ძალზე ხანმოკლეა.

— რას აპირებთ, საბალეტო დასის დონის ასამაღლებლად?

— ოპერისა და ბალეტის თეატრი უნდა ავიდეს ისეთ სიმაღლეზე, რომელზეც ოდესღაც იყო. უნდა გავიდეთ მსოფლიო არენაზე. მსოფლიო რუკაზე უნდა გაჩნდეს ახალი წერტილი — იმის ნიშნად, რომ თბილისში მაღალი დონის ოპერისა და ბალეტის თეატრი არსებობს. მსახიობისთვის ჩვენს თეატრში ცეკვა პრესტიჟული უნდა იყოს. საქართველოში საქმე ძალიან ნელა კეთდება. მე კი ამას არ ვარ მიჩვეული. წარმოიდგინეთ, თანხა ვერ გამომაქვს, სანამ ტენდერი არ გამოცხადდება. როგორ შეიძლება, ტენდერი ოპერას ეხებოდეს?! წარმოუდგენელია, ტენდერი გამოცხადდეს იმაზე, თუ ვინ დადგამს სპექტაკლს. ხომ შეიძლება, სრულიად უცნობმა და ამ საქმეში გაურკვეველმა ადამიანმა მოისურვოს სპექტაკლის გაკეთება — მხოლოდ იმიტომ, რომ ფული აქვს?!. ოპერას და ბალეტს თავისი კანონები აქვს. რა ტენდერი უნდა გამოცხადდეს პუანტების შეკერვაზე?.. პუანტები უკვე საუკუნეა, რაც საქართველოში არ იკერება!.. იმავეს ვამბობ სახელოსნოებზეც. ერთადერთი სახელოსნო არსებობს, რომელიც კოსტიუმებს კერავს, მაშ, რატომღა უნდა გამოვაცხადო ტენდერი?.. ამაში იხარჯება დრო და ნერვები. ეს ძალიან მანერვიულებს.

— თქვენ ყოველთვის გქონდათ ურთიერთობა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან. ალბათ, წინასწარ იცოდით, თუ რა სერიოზული პრობლემების წინაშე დადგებოდით, არა?

— თეატრში ცუდი პირობებია, ყველაფერი მოსაწესრიგებელია. ჩვენ მხოლოდ დარბაზის იატაკი მოვიყვანეთ წესრიგში, რომ რეპეტიციების დაწყება შეგვძლებოდა. ცხადია, პრობლემების შესახებ ვიცოდი. თეატრში ხომ განათებაც კი პრობლემას წარმოადგენდა! იმდენად ძველია თეატრის გასანათებელი აპარატურა, რომ ისეთ ნათურებს, რომლებიც მასშია ჩასმული, არსად აღარ აწარმოებენ. ამ ძველისძველი ნათურების შესაძენად მოსკოვში მომიწია წასვლამ... ძალიან ვჩქარობ. რეპერტუარი უნდა შევქმნა, თანაც ისეთი, რომელიც

მაყურებელს მოიზიდავს.

— თქვენი პირადი შემოქმედებითი გეგმები ახალ თანამდებობას როგორ შეუთავსეთ?

— ბევრ რამეზე უარის თქმა მომიხდა. უარი ვთქვი გასტროლებზე, რომლებიც აგვისტოდან მქონდა დაგეგმილი, რადგან მინდოდა, ჯერ საქმე ამეწყო. ჩემი გასტროლები წინასწარ, სამი წლით ადრეა დაგეგმილი. იქ, სადაც მარტოს უნდა მეცეკვა, თითქმის ყველა გასტროლზე გული მწყდება: მეც ყოველთვის ახალგაზრდა ხომ არ ვიქნები და გამუდმებით ხომ ვერ ვიცეკვებ!.. აქ ჩამოვედი იმისთვის, რომ საქმე გავაკეთო, საქმე კი, ადგილიდან თუ არ დაიძრა, მაშინ ჩემს ჩამოსვლას რაღა აზრი ექნება! ჯობდა, მეცეკვა და გასტროლები არ გამეცდინა... მე მგონი, საქართველოში ყველას საერთო პრობლემაა საქმის ნელა, დინჯად კეთება და დროის არარაციონალურად გამოყენება...

— საბალეტო დასით კმაყოფილი ხართ?

— დასი არაჩვეულებრივად მუშაობს. ზოგი, ვინც წასული იყო, უკან ბრუნდება; ერთი მოცეკვავე მოსკოვიდან ჩამოვიდა, მეორე — თურქეთიდან... სასწაული უცბად არ მოხდება, მაგრამ ჩვენი ბეჯითი შრომით საქმეს ნელ-ნელა წინ წავწევთ. დეკემბერში მე და ალექსი ფადეიჩევი „გედების ტბას“ დავდგამთ. ძალიან ლამაზ გაფორმებას აკეთებს გიორგი ლაფიაშვილი. კოსტიუმებიც ახალი იქნება. ამის შემდეგ დავდგამთ „დონ კიხოტს“, ახალი რედაქციით. დიდი ხანია, თბილისის თეატრში სპექტაკლების განახლება არ მომხდარა, ამიტომ ყველაფერი გასაახლებელია. ვგეგმავთ ინგლისელი ქორეოგრაფის ფრედერიკ ეშტონის დადგმას — „ამაო სიფრთხილე“. სეზონს ჯორჯ ბალანჩინის ერთმოქმედებიანი ბალეტებით დავხურავთ.

— თქვენ თუ აპირებთ ქართულ დასთან ერთად ცეკვას?

— ჯერჯერობით არა. მინდა, მაყურებელმა ჩვენი მოცეკვავეები გაიცნოს, ნახოს, რა კარგი დასი გვყავს.

— რა ზიანი შეიძლება მოუტანოს გასტროლებზე უარის თქმამ, პოპულარობის ზენიტში მყოფ ბალერინას?

— ფაქტია, რომ ჯერჯერობით ცეკვას ჩამოვცილდი. დიდ თეატრში სპექტაკლებზეც ვთქვი უარი. შეიძლება, დეკემბერში ორ სპექტაკლში ვიცეკვო... ცხადია, ეს ცუდია, მაგრამ იმედი მაქვს, ყველაფერი აეწყობა და ისევ შევძლებ გასტროლების ჩატარებას. როცა ეს გადაწყვეტილება მივიღე, ყველას გაუკვირდა. ძალზე დატვირთული განრიგი მაქვს. შემოთავაზებების რაოდენობა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. ამიტომ თვითონ ვირჩევ, ვისთან ერთად და რომელ თეატრში ვიცეკვო. ახლა, როცა პოპულარობის ზენიტში ვარ და ბევრი საინტერესო სამუშაო მაქვს, ყველას გაუკვირდა, როგორ შემეძლო, ყველაფერზე უარი მეთქვა და საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობა დამეწყო. წინააღმდეგი იყო დიდ თეატრში ჩემი პირადი პედაგოგი რაისა სტრუჩკოვა. ყველაფერი კარგია,

არ უნდა გაჩერდე, უნდა იცეკვო...

მაგრამ არ უნდა გაჩერდე, უნდა იცეკვო, — მეუბნებოდა. ის ამ ამბავს ძალიან განიცდის, მაგრამ ახლა ჩემი მთავარი მიზანი, ჩვენი საბალეტო ცხოვრების გამოცოცხლებაა.

— რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი მსოფლიო დონის გახდეს?

— შეგვიძლია მოვაწყოთ საბალეტო ფესტივალები, საზაფხულო სემინარები. ხომ მიდიან სასწავლებლად ჩვენი ახალგაზრდები საზღვარგარეთ!.. ინგლისისა და რუსეთის საბალეტო სკოლებში სწავლა ხომ ითვლება პრესტიჟულად!.. ამასვე უნდა მივაღწიოთ ჩვენც. იაპონელები, ფრანგები, ამერიკელები ქართულ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში უნდა ჩამოდიოდნენ... ჯერჯერობით ამის შეთავაზება არ შემიძლია... კრება ჩავატარე და მშობლებს ვუთხარი: ერთი წლის განმავლობაში ჩემგან სასწაულს ნუ ელით, ყველაფერი თუ დავალაგე, ეს უკვე დიდი შედეგი იქნება-მეთქი. როცა მექნება სკოლა-ინტერნატი, სადაც სოფლებიდან ჩამოვიყვან ნიჭიერ ბავშვებს და ვასწავლი, მერე შემეძლება ბალეტის პერსპექტივაზე საუბარი. თუ ბავშვები ჩვენ თავად არ გავზარდეთ, აღარ გვეყოლება ისეთი კადრები, რომლებიც თეატრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. საქართველოში ახლა ერთი პროფესიონალური საბალეტო სკოლაა, რომლის შენობა დაინგრა და იქ მეცადინეობა შეუძლებელია. პრეზიდენტის ბრძანებით, ახალი შენობა გადმოგვცეს. სანამ არ მექნება პირობები, ვერც პედაგოგებს ჩამოვიყვან. სკოლაში ყველაფერი მოსაწესრიგებელია. მოსწავლეების ნაწილი ვერ სწავლობს, დარბაზების უქონლობის გამო. როცა გახმაურდება, რომ კარგი საბალეტო სკოლაც გვაქვს და ძლიერი დასიც გვყავს, ეს სახელს გაგვითქვამს... მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში, დასმა საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ქართველი ხალხი ძალზე ნიჭიერია — უბრალოდ, უფრო მეტი შრომაა საჭირო და კრიტიკაც. დისციპლინის მხრივაც მოვიკოჭლებთ. თეატრში პირველ რიგში, სწორედ დისციპლინაზე ვამახვილებ ყურადღებას.

— ე.ი. მკაცრი ხელმძღვანელი ხართ...

— სიმკაცრის გარეშე, წარმოუდგენელია ჩვენი ცხოვრება. შეუძლებელია, რეპეტიციაზე 5 წუთით დაგვიანება. 5 წუთით გაკვეთილზე დაგვიანება ნიშნავს, რომ მოსწავლე გაკვეთილის დასაწყისს გამოტოვებს — ე.ი. ჩამორჩება. ვინც სისტემატურად იგვიანებს, მას გაკვეთილზე არ შემოვუშვებ, თეატრიდანაც გავაგდებ. ჩვენს პროფესიაში სწორედ წესრიგია წარმატების საწინდარი. მსახიობები კარგად მუშაობენ. მათ ესმით, რომ უნდა ვიმუშაოთ სრული დატვირთვით, დავიცვათ რეჟიმი, რათა წინ წავიწიოთ. ყველანი მაქსიმალურად ცდილობენ, სრული დატვირთვით

ივარჯიშონ და იცეკვონ. ადამიანი, რომელიც ასე იქცევა, ყველაფერს მიაღწევს. ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. ოჯახში ისეთი არავინ მყავდა, ვისაც შეეძლო, ჩემს პროფესიაში დამხმარებოდა. ოჯახმა შემიწყო ხელი, რომ მესწავლა — დანარჩენი მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული. თუ ბავშვს შეუძლია იშრომოს და აგრეთვე, აქვს ღვთისგან ბოძებული, ცეკვის ნიჭი, ის ბევრს მიაღწევს. საერთოდ, ვერ ვიტან გამოთქმას — ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცია. სიზარმაცე უკვე უნიჭობაა. მარტო მონაცემები საკმარისი არ არის. სიბეჯითე და შინაგანი დისციპლინა უმთავრესია.

— რას ნიშნავს სიბეჯითე ბალერინასთვის?

— არ არის აუცილებელი, მთელი დღის განმავლობაში ივარჯიშო. უბრალოდ, თავს ძალა უნდა დაატანო, ადრე გაიღვიძო, ყოველდღე ივარჯიშო და რაც მთავარია, მოთმინება გამოიჩინო. ერთ დღეს შეიძლება, არაფერი გამოგივიდეს, ისიც კი, რასაც ყოველთვის კარგად აკეთებდი, ველარ გააკეთო. მაგრამ მოთმინების უნარი უნდა გქონდეს. უნდა გაუძლო, გადაიტანო პედაგოგის გაწყრომაც და იფიქრო იმაზე, რომ ხვალ უკეთ გამოგივა.

— თქვენც გიწყრებოდნენ ხოლმე?

— მე ახლაც მიწყრება ჩემი პედაგოგი, როდესაც რამეს ცუდად ვაკეთებ... ეს ჩემი პროფესიის განუყოფელი ნაწილია. ყოველთვის გვჭირდება ადამიანი, რომელიც შენიშვნას მოგვცემს. ჩვენთვის შენიშვნა, კრიტიკა აუცილებელია. პირიქით — როცა პედაგოგი არაფერს გვეუბნება, მაშინ ვნერვიულობთ: გამოდის, რომ მისთვის სულერთია, რას გავაკეთებთ... ბალერინები ბავშვობიდანვე მიჩვეული ვართ სიმკაცრეს და შენიშვნებს. ბევრ ბავშვს არ შეუძლია შენიშვნების ატანა, უფრო მეტად კი — მათ მშობლებს. ამიტომ მშობლები ხშირად მოდიან საყვედურებით...

ნინო ანანიაშვილი პირად პედაგოგთან რაისა სტრუჩკოვასა და ბალეტმეისტერ ჯონ ტარასთან (აშშ) ერთად

— ოჯახი როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას, დაბრუნებულიყავით საქართველოში?

— მე მგონი, წასული არც ვიყავი და სიტყვა „დაბრუნება“ ძალიან მეხამუშება. თუმცა ფაქტია, რომ ახლა ჩემი სახლი მხოლოდ თბილისშია... მშობლები ერთი მხრივ, კმაყოფილი არიან, მაგრამ განიცდიან კიდეც. თითქმის ვერ მხედავენ, იმდენი პრობლემა მაქვს გადასაწყვეტი და იმდენად დატვირთული ვარ... ჩემი მეუღლეც თბილისში გადმოვიდა. მე მგონი, ბედნიერი და კმაყოფილია ამით. გვჯერა, რომ საქართველოში უკვე საქმის კეთება შესაძლებელია. აქ ახალი ცხოვრება იწყება, შენება იწყება. გვინდა, ამ დროს, ჩვენს ხალხთან ერთად ვიყოთ. ვფიქრობ, დახმარება შეგვიძლია. თუ არაფერი გამოგვივა, საქმე არ გაგვაკეთებინეს ან ვერ გავაკეთეთ, ჩემს თავთან მაინც მართალი ვიქნები, მეცოდინება, რომ როცა ჩემს ქვეყანაში რთული-პერიოდი იყო, ხალხს გვერდით დავუდექი, დავეხმარე, რითიც შემეძლო, შორიდან არ ვადევნებდი თვალს აღმშენებლობის პროცესს. ჩვენ არ შეგვეძლო, გვეთქვა — ჯობს, ჯერ ყველაფერი დაალაგონ და მერე ჩამოვალთ თბილისში-თქო. მივხვდი, რომ საჭირონი ვიყავით და ამიტომ ჩამოვედით. თუ ხვალ საჭირო აღარ ვიქნები, მჯერა, რომ უმუშევარი არ დავრჩები... დიდ სითბოს ვგრძნობ რიგითი ადამიანებისგან, განსაკუთრებით — კახეთში. იქ ჩემს მეუღლეს ვენახები აქვს. იქაურები საოცარი სითბოთი და სიყვარულით მხვდებიან ხოლმე.

— რატომ არიდებთ თავს პრესასთან ურთიერთობას?

— სიმართლე გითხრათ, არ ვიძლევი ინტერვიუს. ახლა ვიწყებ საქმის კეთებას, ჯერ სალაპარაკო არაფერია. ჟურნალისტებთან ურთიერთობა ჩემთვის პრობლემას არასდროს წარმოადგენდა, მაგრამ მათი არაპროფესიონალიზმი ძალიან მაღიზიანებს. ხშირად მეუბნებიან: გვითხარით რამე თქვენ შესახებო... იმდენმა მომმართა ამ თხოვნით და იმდენ არაპროფესიონალ ქართველ ჟურნალისტთან მქონდა შეხება, რომ უკვე ინტერვიუზე კატეგორიულ უარს ვამბობ... აუცილებელი არ არის, რომ ჟურნალისტი ბალეტის საკითხებში კარგად ერკვეოდეს, მაგრამ ელემენტარულ ცოდნას უნდა ფლობდეს, რომ მის მიმართ სიმპათიით განვეწყო. ჩემმა მეუღლემ, რომელიც დიპლომატი იყო, მოინდომა და 2 თვეში ბალეტი ისეთ დონეზე შეისწავლა, რომ ახლა შემიძლია, პროფესიონალურ დონეზე ვესაუბრო. როცა შინ მეგობრები მესტუმრებოდნენ ან თავად დაესწრებოდა სპექტაკლს, უნდოდა, გაეგო თუ რა ხდებოდა და სანამ გასტროლებზე ვიყავი, ყველაფერი შეისწავლა. გავოცდი, ეს იმდენად მოულოდნელი იყო... ასე რომ, ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც ურთიერთობა აქვს ბალერინასთან, მის ენაზე საუბარი უნდა შეძლოს... ყველას დიდი შრომა გვმართებს. თითოეული ჩვენგანის თვალწინ ხომ, თანამედროვე ქართული ბალეტის ისტორია იწერება!.. ■

სტომატოლოგიური კლინიკა

ჩიჟო-დენტი

1. უმტკივნეულო მკურნალობა მოკლე ვადებში;
2. 100% სტერილიზაცია;
3. დაბალი ფასები;
4. ულტრა თანამედროვე მასალები აშშ-სა და გერმანიიდან;
5. მაღალკვალიფიციური მედ-პერსონალი;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გარანტიით.

მის: თავისუფლების მოედანი №4ა
(ახალაშენებული სასტუმრო „მერიოტის“ ეზოში)
☎ 98-64-83

(დასაწყისი
იხ. „გზა“ №26-46)

მცვალებლის ინსტინქტი

რუსუდან ბერიძე

მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბიზნესმენის ანდრო სვანიძის დაცვას ახალგაზრდა ადვოკატი მეგი ლაღიძე გადაწყვეტს. საქმის შესწავლის პროცესში მეგი გაარკვევს, რომ ანდროს „ჩაძირვით“ მარტო მისი ბიზნესპარტნიორი შალვა ოშხერელი კი არა, წარსულში მეგის შეყვარებული კახა სუთიძეცაა დაინტერესებული.

კახას დაყინებული თხოვნით, მეგი ლოგინად ჩავარდნილ დედამისს — ქალაქში ცნობილ გინეკოლოგ მარიკა პერტაიას მოინახულებს. მომაკვდავი ქალი მას მწარე სიმართლეს გაანდობს: შენი და კახას შვილი, რომელიც 10 წლის წინ, მკვდრადშობილად შეგნებულად გამოვაცხადე, ცოცხალია და ანდრო სვანიძის ოჯახში იზრდებაო.

ანდრო სვანიძის დაცვის გაგრძელების პარალელურად, მეგი შვილის დაბრუნებასაც მტკიცედ გადაწყვეტს. თუმცა, ისიც კარგად იცის, რომ არც ანდრო და მით უმეტეს, არც მისი ცოლყოფილი ლანა ბავშვს ადვილად არ დათმობენ.

შვილის დაბრუნების საქმეში მეკავშირედ მეგის არც მასთან შერიგების მოსურნე კახა სუთიძე მოევლინება. როგორც გაირკვევა, მეგიმდე, კახას, ლანა ჰყვარებია. ამიტომ, როცა მეგისგან საბოლოო უარს მიიღებს, მწარედ დაემუქრება: ყველაფერს ლანას მოვუყვები, შემდეგ, ცოლობაზეც დავიყოლიებ და შვილი მხოლოდ მე დამრჩებაო...

მოულოდნელად, მეგის შინ მიაკითხავს ლანა სვანიძე. პატარა მიშიკოს ორი „დედის“ პირისპირ შეხვედრა საკმაოდ მწავავედ იწყება, მაგრამ თანდათან ემოციები დაცხრება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეგი ლანას ეტყვის — შვილის დასაბრუნებლად ბრძოლას არ ვაპირებო.

ამის შემდეგ, მეგი იმ ბებიაქალთან შესახვედრად მიდის, რომელმაც მარიკა პერტაიას დავალებით, მოატყუა — მკვდარი ბავშვი გაგიჩნდაო... კატო მახარობლიძე თავის საქციელს იმით ამართლებს, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მარიკას შეეძლო, სრულიად გაენადგურებინა იგი. კითხვაზე — თუ რატომ გაუმხილა სიმართლე ბავშვის შესახებ ანდრო სვანიძეს? — კატო პასუხობს: შენი გულისთვისო...

— ჩემი გულისთვის? — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა მეგის. — რა, ახლა გინდათ, ისიც დამაჯეროთ, რომ კაცს ოჯახი ჩემი გულისთვის დანგრევინეთ?

— ის ოჯახი, ადრე თუ გვიან, მაინც დანგრეოდა.

— თქვენ რა იცით?

— ვიცი. იმიტომ, რომ სიცრუეზე აებეული, დიდხანს ვერაფერი ძლებს. ლანამ კი ოჯახი მარტო ტყუილის კი არა, სხვისი გაუბედურების ხარჯზეც შეინარჩუნა.

— ვის-ვის და თქვენ ლანას განსჯის უფლება ალბათ, ყველაზე ნაკლებად გაქვთ!

— ალბათ, მართალი ხარ... — ამოიოხრა კატომ. — მაგრამ ღმერთი ხომაა მოწმე, რომ ამ ყველაფრის გაკეთება არ მინდოდა?.. ცხოვრებამ მაიძულა...

— ცხოვრებამ თუ მარიკამ?

— ორივემ. სამსახური რომ დამეკარგა, ჩემს შვილიშვილს რაღა ეშველებოდა?.. მაშინ სულ 11 წლის იყო და უკვე აღარც დედა ჰყავდა გვერდით და აღარც მამა.

— ლალიზე ამბობთ? — შეწუხდა მეგი.

— ჰო, აბა, მაგის მეტი ვინღა მყავს?.. — დამჭკნარ ლოყაზე ობოლი ცრემლი ჩამოუგორდა კატოს. — ჩემი შვილი და რძალი ლალის დაბადებისთანავე გაიყარნენ და ახლა ორივეს ცალ-ცალკე ოჯახები აქვს, საერთო შვილი კი, აღარც ახსენდებათ. რძალი კიდევ — ჰო, ის ხომ ცხრა მთას იქითაა გათხოვილი — უცხოელს გაჰყვა ცოლად, — აი, ჩემი უკარგისი შვილი ორ ნაბიჯზე ცხოვრობს, მაგრამ მე და ლალის თვეში ერთხელ თუ შემოგვიღებს კარს და მაშინაც იქით უნდა მივხედოთ — ვასვათ, ვაჭამოთ და ცოლ-შვილს ისე დავუბრუნოთ...

— როგორც ჩანს, ღმერთს უკვე საკმარისად დაუსჯიხართ, — ბოღმიანად ჩაილაპარაკა მეგიმ.

— ჰო... მაგრამ ჩემი თავი — ვკანდაბას! — ხელი მოწყვეტით ჩაიქნია კატომ. — იქნებ, ჩემს ლალის მაინც მისცეს ბედ-იღბალი... მაგრამ იცი, რა წუნაა?.. თეთრ ცხენზე ამხედრებულ უფლისწულს ელოდება.

— ჰო, ეგ ადრეც მითხარით... — ღიმილი მოერია მეგის.

— ეგრე, რა, შვილო, გახსენი შუბლი, თორემ, საცაა, გული გამისკდება! — სახე გაუნათდა კატოსაც. — მითხარი, კიდევ რის გაკეთება შემიძლია? ოღონდ, შენ მოინდომე და სადაც გინდა, იქ წამოგყვები და სრულ სიმართლეს მოვყვები.

— მაგის დროც მოვა, ქალბატონო კატო...

— კატო ბებია დამიძახე, — სთხოვა კატომ.

— კარგი, კატო ბებია, — დანებდა მეგი. — მაშინ ასე მოვიქცეთ: აიღეთ კალამი და ფურცელი და რაც წელან მომიყვეთ, ყველაფერი დაწერეთ.

— ახლავე დავწერო?

— ძალიან დამავალებთ.

— კი, შვილო!.. — დაფაცურდა კატო. — სწორად იქცევი, თორემ, რა იცი, როდის მომაკითხავს მიქელ-გაბრიელი?..

კატომ კომოდის ზედა უჯრიდან რამდენიმე ფურცელი და კალამი ამოიღო და მაგიდას მიუჯდა. მეგიმ კი ისევ ალბომის თვალიერება დაიწყო. უეცრად, წერაში გართულმა კატომ თავი ასწია:

— მეგი, შვილო, რაღაც მინდა გკითხო და არ გამიჯავრდე, — ბავშვივით სთხოვა მან ქალიშვილს.

— მკითხეთ, — ალბომის თვალიერება მიატოვა მეგიმ, — მაინც რა გაინტერესებთ?

— რა და... არა, არაფერი... — ხელი ჩაიქნია კატომ.

— მკითხეთ, კატო ბებია, ნუ გერიდებათ! — შეაგულიანა მეგიმ.

— შენი შვილის მამა სად არის? — როგორც იქნა, შეჰბედა კატომ.

— ვკანდაბაში! — ბოღმიანად ჩაილაპარაკა მეგიმ.

— კარგი, შვილო, ოღონდ შენ არ განერვიულდე და იმის იქითაც წასულა! — დამნაშავე ადამიანის მზერა ესროლა მოხუცმა მეგის და ისევ საწერს მიუბრუნდა.

— თბილისშია... — პასუხი ოდნავ დაკონკრეტა მეგიმ.

— ცოლ-შვილი ჰყავს? — მაშინვე ყურები ცქვიტა კატომ.

— არა.

— მშობლები?

— მამა ჰყავს. დედა კი ახლახან დასაფლავა. ისე მიკვირს, რომ გასვენებაში თვა-

ლი ვერსად მოგკარით.

— ვის გასვენებაში? — ვერ მიუხვდა კატო.

— მარიკა პერტაიას გასვენებაში, — მშვიდად უპასუხა მეგიმ.

— მარიკას გასვენებაში როგორ არ ვიყავი?! მაგრამ მარიკა აქ რა შუაშია? — საბოლოოდ დაიბნა კატო და უცბად, კალამი მაგიდაზე დაუვარდა: — ღმერთო, ნუ გადამრევ!.. შენი შვილის მამა მარიკას ბიჭია?.. კახა?..

— სამწუხაროდ, ასეა... — ამოიოხრა მეგიმ. — იყო ჩემს ცხოვრებაში ერთი ასეთი ბნელი ფურცელი...

— ასეც ვიცოდი! — თვალები ეშმაკურად აენთო კატოს. — ასეც ვიცოდი! თავიდანვე ვგრძნობდი, რომ შენი ბიჭის გაშვილებით მარიკა რაღაც დიდ საიდუმლოს უსვამდა წერტილს, მაგრამ რას, ვერაფრით გამერკვია... სხვათა შორის, შენ რომ საშობიაროში დაგაწვინა, ერთი-ორჯერ, ვითომ შემთხვევით გადავუკარი — რა მშვენიერი გოგოა, თითქმის ბავშვია და ნეტავ, რომელმა არაადამიანმა გააუბედურა-მეთქი?!. მაგრამ მარიკა არც ერთხელ არ ამყვა. რისი ღირსიც იყო, ის მიიღო, — მხოლოდ ესღა ჩაიბურტყუნა და ლაპარაკი აღარც მე გამაგრძელებინა. არადა, ხედავ შენ, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული?! მაგრამ საბოლოოდ რა მოიგო?.. თვითონ ხომ დაისაჯა და არც ერთადერთი შვილი დატოვა უკეთეს დღეში... კაცი ისე უნდა გადაეგოს, სადღაც შვილი რომ ეზრდება, ისიც ვერ გაიგოს?..

— უკვე გაიგო! — ხმამაღლა ფიქრი გააწყვეტინა კატოს მეგიმ.

— მართლა?.. კახაც ყველაფერი იცის?

— თითქმის ყველაფერი.

— ჩემი ამბავიც? — ფერი ეცვალა მოხუცს.

— არა... ყოველ შემთხვევაში, მე კახასთან თქვენ ნამდვილად არ მიხსენებიხართ.

— მარიკას?

— მარიკა ისე ჩავიდა საფლავში, რომ შვილისთვის საერთოდ არაფერი უთქვამს.

— მადლობა ღმერთს! — შვებით ამოისუნთქა კატომ და მერე დაუმატა: — ისე, მაინც რა უტეხი იყო ის ცხონებული! წერილი მაინც დაეტოვებინა...

— წერილი მე დამიტოვა.

— ასეც ვიფიქრე, — გაუხარდა კატოს. — სიკვდილის წინ, ცოდვა ოდნავ იმასაც გამოუსყიდავს.

— ჰო, ალბათ... — დაფიქრდა მეგი.

— რას გეტყვი, იცი, შვილო?.. — წერას თავი საბოლოოდ დაანება კატომ და ფურცლებიც გვერდზე გასწია. — კახას მაინც, არაფრით არ უნდა შეურიგდე.

— რატომ? — დაინტერესდა მეგი.

— იმიტომ, რომ თუ გუმანი არ მატყუებს, ანდროს უნდა მოსწონდე...

— ანდროს? — ყურებამდე გაწითლდა მეგი. — თქვენ ანდროს მოწონება-არმოწონებისა რაღა იცით?

— რადგან გეუბნები, ესე იგი ვიცი! — ბეჭედი დაუსვა კატომ. — იმ დღიდან, რაც შენი არსებობის ამბავი გაიგო, დღე ერთი იყო და ათჯერ მაინც მირეკავდა — შემთხვევით, ხომ არსად შეგხვედრიო?.. მერე, როცა ბედმა გამიღიმა და მართლა შეგხვდი, შენი ამბავი სულ დაწვრილებით გამომკითხა და მერეღა დაწყნარდა.

— ეტყობა, ეშინოდა, რომ მისი შვილის ნამდვილი დედა, ვინმე ხელიდან წასული ქალი არ ყოფილიყო, ხომ?

— ალბათ, არც უმგისობა იყო, მაგრამ მის ინტერესს მთლად ასე მარტივადაც ვერ ახსნი... რაღაც სხვანაირად აინტერესებდი... პირადად შენთან მოსვლის გზას ეძებდა... ალბათ, იპოვიდა კიდეც, მაგრამ მერე დაიჭირეს და... თუმცა, რომ სცოდნოდა, თქვენი გზები სწორედ ასე გადაიკვეთებოდა, უფრო ადრე ჩაიდენდა რამეს...

— ანდროს არაფერი ჩაუდენია! ციხეში სულ ტყეულად ჩასვეს! — ბავშვივით გამოესარჩლა მეგი ანდროს.

— ვიცი, შვილო, ვიცი, ანდრო კაცს ვერაფრით მოკლავდა, — მაშინვე დაეთანხმა კატო...

უეცრად ტელეფონი აწკრიალდა. მეგიმ ტახტის კუთხეში დაუდევრად მიგდებული საკუთარი ხელჩანთიდან მობილური ტელეფონი ამოიღო, მაგრამ მასზე დაფიქსირებული ნომრის პატრონი უცბად ვერ გაიხსენა და ყურმილში შეფიქრიანებულმა ჩასძახა:

— ბატონო!

— ბატებმა შეგჭამონ! — გაისმა ყურმილში მეგის ბავშვობის მეგობრის, ლიკას ხმა.

— ლიკა, შენ ხარ? — მაინც გადაამოწმა მეგიმ.

— არა, ჯულია რობერტსი ვარ! — ხმას აუწია ლიკამ. — არ გრცხვენია, გოგო?.. სულ დაკარგე ნამუსი?.. ერთხელ მაინც არ უნდა დარეკო ან გამოიარო?

— შენ ხომ სახლის კარი ამიტალახე!.. — იქით შეუტია მეგობარს მეგიმ, მაგრამ კატო მახარობლიძის ცნობისმოყვარე მზერას წააწყდა თუ არა, მაშინვე ხმას დაუწია: — ახლა არ მცალია, ერთ ადგილზე ვარ მისული საქმეზე და როგორც კი გავთავისუფლდები, მე თვითონ დაგირეკავ.

— არ დამირეკავ და შენს თავს დააბრალე!

— აუცილებლად დაგირეკავ, ოღონდ, ახლა გავთიშოთ, ხომ, ტელეფონები?..

— მეგი, შვილო, — გააწყვეტინა კატომ და ფეხზე წამოდგა, — თუ რამე საჭიროა, ახლავე დაელაპარაკე. მე ლალის გავხედავ, ენახავ ერთი, სამზარეულოში რას ჯახირობს.

— არა, არა, კატო ბებია! — შეაჩერა მეგიმ მოხუცი. — ჩემი ბავშვობის მეგობარია. უბრალოდ, მოვენატრე და იმიტომ მირეკავს.

კატო მახარობლიძე ოთახიდან მაინც მაშინვე გაცუხცუხდა.

— უბრალოდ მომენატრე, ხომ?.. — აკივლდა ლიკა. — კარგი, ბატონო, ვახოსაც ასე გადავცემ — მეგიმ ჩემთან ლაპარაკს ვიღაც დედაბრის ჩიფჩიფის მოსმენა ამჯობინა-მეთქი!

— კარგი, რა, ლიკა, მართლა რა ბავშვივით იქცევი? — დაუყვავა მეგობარს მეგიმ. — ხომ გითხარი, საქმეზე ვარ-მეთქი?!.

— ხარ და იყავი! ვახოს რომ არ მოენდომებინა შენი ნახვა, საერთოდ არ დაგირეკავდი.

— ვახოს? — გაუკვირდა მეგის. — რამ შეაწუხა?

— ეგ ვახოს ჰკითხე!

— შენ რომ მითხრა, არ შეიძლება?

— როდის იყო, ვახო ანგარიშს მაბარებდა?.. შენ თვითონ დაურეკე და ჰკითხე, რა უნდა?

— ხომ არ იცი, ახლა სად არის?

— რაც მობილური იყიდა, სულ „სახლშია", — მხიარულად გადაიკისკისა ლიკამ და დასძინა: — სად იქნება?.. ოფისშია და მილიონებს „ლუნავს".

— კარგი, დავურეკავ, — დაყაბულდა მეგი. — სადამოს კი, შეიძლება, გამოგიაროთ კიდეც. მართლა ძალიან მომენატრეთ.

— ფრიად დაგვავალებთ, ქალბატონო...

— ნუ იკბინები!

— შენ კიდევ, ნუ იკარგები, თორემ, ერთხელაც იქნება, მეც ვეღარ გაგიხსენებ და...

— არა უშავს, ანი გაგახსენებს ჩემს თავს.

— ანის ხომ შენი ყურებით თვალებში „მაზოლები" აქვს ამოსული, აი!..

— მართლა, როგორ არის?.. ან გენიოსი ქმარი როგორ ჰყავს?

— შენ რა, ანის ამბავიც არ გაგივია?

— რა ამბავი? — შეკრთა მეგი.

— ქმარს რომ გაეყარა.

— ვის, გიას?

— რამდენადაც ვიცი, მეტი ქმარი ჯერ არ ჰყოლია.

— რას მეუბნები?! — შეწუხდა მეგი. — მანც, რა მოხდა?

— განსაკუთრებული არაფერი. უბრალოდ, ერთ დღესაც, ანის ყელში ამოუვიდა ყველაფერი და როცა ლაბორატორიაში ერთკვირიანი „ვოიაჟის" შემდეგ, გიას ოჯახიც გაახსენდა და ცოლ-შვილს კარზე თვალებამოღამებული მიადგა, ანიმ შინ აღარ შეუშვა.

— რას ჰქვია, არ შეუშვა?! — აღშფოთდა მეგი.

— ზუსტად ასე გაუკეთა, — განაგრძო ლიკამ, — მაგრამ უფრო უარესი, გიას საქციელი იყო: ერთიც კი არ გაუბრძოლია, ისე შებრუნდა და ისევ თავის საყვარელ ბაყაყებსა და კურდღლებთან დაბრუნდა. მართლა, მისმა ძმაკაცმა მითხრა, სულ მალე რაღაც

გენიალურ აღმოჩენას დააფიქსირებსო...

— გიას ძმაკაციც მეცნიერია?

— აბა, ვინ იქნება?.. ისე, იცი, რა მაგარი ტიპია?.. ერთხანს მე და ანი იმასაც კი ვფიქრობდით, მეგის ხომ არ „დავაჯახოთ“-თქო?..

— მაგრები ხართ... ანი ქმარს მეცნიერობისთვის გაეყარა და მის ძმაკაცს მე მირიგებთ?

— გოგო, შენ ორი ერთნაირი მეცნიერი კი არა, ორი ერთნაირი კაცი მაინც თუ გინახავს სადმე?.. იცი, რა „დასტოინი“ ვინმეა?.. შვილები რომ არ მყავდეს, თვალსაც არ დავახამხამებდი, ვახოს „ატაშოლს“ ისე მივცემდი და მესამედ გავთხოვდებოდი.

— აი, ახლა კი, მართლა უნდა გაგითიშო ტელეფონი, — გაცხარდა მეგი, — თორემ გატყობ, მთლად „დაუკრეფავში“ გადახვედი.

— მე სადაც არ უნდა გადავიდე, რაიმეს სახეიროს ყოველთვის გამოვკრავ ხელს. შენ მედარდები, შე ჭკუის კოლოფო, მართლა „დაუკრეფავი“, „აულებელი“ და „გამოუყენებელი“ რომ რჩები! — ბოლომდე აღარ დაინდო ლიკამ მეგობარი, მაგრამ მეგი მაინც არ აჰყვა:

— ეგ ფრიად პრობლემატური საკითხი შეხვედრისას გავარჩიოთ, კარგი?

— კარგი... — ამოიოხრა ლიკამ. — მაინც როდის გამოჩნდები?

— ხომ გითხარი, დღეს საღამოსვე-მეთქი!.. ვახოს დავურეკავ და ვკითხავ, ზუსტად როდის მოიცლის.

— ვახო შენთვის ნებისმიერ დროს მოიცლის.

— რას მეუბნები?.. — ხმაში ეშმაკური ნოტები შეეპარა მეგის. — ღამეც?

— ღამეც, ღამეც... — მაინც მშვიდად უპასუხა ლიკამ.

— მერე არ გეშინია, რომ ერთ ღამესაც...

— ნუ სულელობ, რა! — გააწყვეტინა ლიკამ. — ვის-ვის და შენ მართლა ბოლომდე გენდობი, თორემ, ჩემს „ბაბნიკ“ ქმარს მტერი ენდო!.. იცი, ამ ბოლო ხანებში როგორ მამწარებს?.. მაგრამ ვალში არც მე ვრჩები. ერთი კვირის წინ კი, ისეთი რამეც გავუჩალიჩე, რომ უკვე იდაყვებს „იკბენს“...

— ასეთი მაინც, რა გაუკეთე?

— მოხვალ ოფისში და თავად ნახავ...

ლიკასთან დამშვიდობების შემდეგ, მეგიმ ვახოს დაურეკა. ვახომ მალევე უპასუხა:

— შენ ხარ, სიცოცხლევ?.. — მეგის ხმის გაგონებისთანავე დაიშაქრა იგი. — ვიცოდი, რომ დამირეკავდი. სად ხარ, სიყვარულო?.. ვის ქვეშ?.. ვის ზემოთ?.. თუ ისევ ისეთი უკარება და ხელუხლებელი დამირჩი?..

— ვახო! — გააწყვეტინა მეგიმ. — ერთი წამით მაინც დასერიოზულდი და ისე დავილაპარაკოთ!

— გისმენ, ჩემო გვრიტო! — მაინც თავისას განაგრძობდა ვახო.

— მე გისმენ. მითხარი, რა მოხდა? რატომ გინდოდა ჩემი ნახვ

— ო-ო!.. აი, ამას კი

ფონში ნამდვილად ვერ გ

პაემანი უნდა დაგინიშნო

— სად და როდის?

მაშინვე დაზუსტება მოს

ოვა მეგიმ.

— Здесь и сейча

— აროხროხდა ვახო.

ახლავე მიატოვე ყველაფერ

და ჩემთან გაჩნდი!.. არა, ა

სასწრაფოდ გაიხადე და ფ

ებით წამოდი!

— საღამომდე ვერ მო

მენ?.. — ვახოს ანგლო

ყურადღება აღარ გაამახვილა მეგიმ.

— მე საღამომდე კი არა, მთელი ცხოვრებაც მოვითმენდი და დაგელოდებოდი, სიცოცხლევ, მაგრამ სხვები ვეღარ ითმენენ შენს უნახობას და რა ვქნა?!

— ვინ სხვები? — ყურები ცქვიტა მეგიმ. — წესიერად ამიხსენი ყველაფერი.

— რომ მოხვალ, აგიხსნი. ტელეფონზე კი, მეტს ვეღარაფერს გეტყვი.

— კარგი, მოვდივარ, — უცბად გააწყვეტინა მეგიმ.

— ეგრე, რა! — გამხიარულდა ვახო. — ყავა, შოკოლადი და „კაცის საშუალება“ ჩემზე იყოს!

— ბოლო შენთვის შეინახე! — წაუსისინა მეგიმ და აპარატი გათიშა...

კატო მსარობლიძისგან წამოსულმა მეგიმ ცოტა ხნით საადვოკატო ბიუროში შეიარა, იქიდან კი პირდაპირ ვახო ნაჭყებიას ოფისისკენ გასწია. მისაღებში ახალი პირადი მდივანი დახვდა, რომელმაც ერთი გამომცდელად აათვალიერ-ჩაათვალიერა და მერე ვახოს კაბინეტში შეუძღვა.

სამუშაო მაგიდასთან მაღალსაზურგიან სავარძელში ნებიერად გადაწოლილი ვახო ვიღაცას ტელეფონით გაცხარებული ელაპარაკებოდა. მაგრამ მეგის გამოჩენისთანავე ყურმილი დადო, ფეხზე წამოიჭრა და ქალი გულში ჩაიკრა:

— მოხვედი, საყვარელო?

— როგორც ხედავ... — ვახოს მარწუხებივით მკლავებიდან თავი ძლივს გაითავისუფლა მეგიმ და უმალ პირადი მდივნის მრავალმნიშვნელოვანი მზერა დაიჭირა.

პირადი მდივნის რეაქცია არც ვახოს გამოჰპარვია:

— თინიკო, საყვარელო... — ალერსიანად მიუბრუნდა ქალს იგი.

— დიახ, ბატონო ვახტანგ! — მაშინვე სმენად იქცა თინიკო.

— რამდენჯერ უნდა გთხოვო, რომ უბრალოდ ვახო დამიძახო?.. — ხმაში მოჩვენებითი წყენა გამოურია ვახომ. — არ მოგწყინდა ეს ბატონო-ქალბატონოთი ლაპარაკი?..

— დიახ, ბატონო ვახტანგ! — ისევ გაზეპირებულივით გაიმეორა მდივანმა.

— ვერ გავიგე — დიახ თუ არა? — ჩაეკითხა ვახო.

— არა, — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, საბოლოოდ დააკონკრეტა თინიკომ საკუთარი პოზიცია.

— თუ ასეა, მაშინ ახლავე გაბრძანდით მისაღებში, ქალბატონო თინათინ და თქვენი ოქროს ხელებით ორი ფინჯანი ყავა მოგვიდულეთ და მოგვართვით! — თვალები დამცინავად მოწკურა ვახომ.

— დიახ, ახლავე! — წამში კარისკენ შებრუნდა თინიკო.

— ჰო, მართლა!.. — კართან დააწია ვახომ. — ჩემთან სხვა აღარავინ შემოუშვა!

— არც ქალბატონი ლიკა? — თავი ბოლომდე დაიზღვია თინიკომ.

— ის — მით უმეტეს!.. — ხმას აუწია ვახომ.

— დიახ, ბატონო ვახტანგ! — კარი სწრაფად გაიხურა მდივანმა.

— ვხედავ, ახალი და ზედმიწევნით წინდახედული პირადი მდივანიც გაგიჩენია... — კაბინეტის მჭიდროდ მიხურულ კარს თვალი ისე გამომცდელად შეავლო მეგიმ, თითქოს გამჭვირვალე ყოფილიყო და გარეთ გასული თინიკოს დანახვას მოახერხებდა.

— წინდახედული კი არა, ნამდვილი კოდალაა, — დაბალ მაგიდასთან მდგარ ერთ-ერთ სავარძელთან ხელკავით მიიყვანა მეგი ვახომ. — „ბატონო ვახო, ის რა არის?..“ „ბატონო ვახო, იქ ვინ არის?..“ არ შემჭამა თავისი თავაზიანობით?! კი ვიცი მაგის დადუმების წამალი, მაგრამ ლიკას ახლო ნათესავია და რა ვუყო?..

— ა-ა... — ეშმაკურად გაეღიმა მეგის. — მეც არ გამიკვირდა, ლიკამ რა ახალი სიურპრიზი მოუწყო-მეთქი?.. ისე, მაინც საინტერესოა, რა წამალი უშველიდა ქალბატონ თინიკოს?

— კაცი, ჩემო ლამაზო, კა-ცი! — მეგის პირდაპირ მდგარ სავარძელში მოწყვეტით ჩაჯდა ვახო.

— მერე სად ხართ ეს კაცები, რომ არ

ჩანხართ?..

— მე აგერ ვარ, მაგრამ ყველას ხომ ვერ გავწვდები?!. თუ იცი, ჩვენი ქვეყანა ამდენ ხანს თავდაყირა რატომ დგას?

— არა.

— მე კი ვიცი.

— კარგი ერთი! — დამცინავად გაელიმა მეგის. — ამაზე ლამის მთელი ცივილიზებული მსოფლიო იტეხს თავს და ბოლომდე მაინც ვერაფერი აუხსნია და შენ ასეთი რა იცი?

— მე კი, ერთი მარტივი და ამომწურავი პასუხი მაქვს: ეს ქვეყანა გადედლებული კაცების და გამამლებული ქალების გამო იღუპება.

— კაცების გადედლებისა რა გითხრა და ქართველი ქალების გამამლება რომ თქვენი — მამაკაცების ბრალია, ამას წყალი არ გაუვა.

— მართალი ხარ! — უმალ დაეთანხმა ვახო. — აი, თუნდაც შენ... ერთი შეხედვით, ყოველმხრივ შემკული ქალი ხარ: ჭკვიანი, ლამაზი, სექსუალური... მაგრამ რად გინდა?.. როგორც კი...

— მოიცა, მოიცა! — გააწყვეტინა მეგიმ. — როგორ?.. მეც გადახრილი ქალების რიგებში გყავარ ჩარიცხული?

— აბა, რა! — წარბიც კი არ შეუხრია, ისე უპასუხა ვახომ. — წლები რომ ისე გავა, შენისთანა ქალი კაცს გემრიელად ერთხელაც კი არ გაეხახუნება, ის სადაური ქალია?..

— კარგი! — უცბად, მარჯვენა ხელი მბრძანებლურად ასწია მეგიმ. — ჩემი ხახუნის კოეფიციენტზე სხვა დროს ვიმსჯელოთ. ახლა კი, უფრო მნიშვნელოვან საქმეებს მივხედოთ. მითხარი, რატომ გინდოდა ჩემი ნახვა?

— პირდაპირ მოგახალო თუ შორიდან დავიწყო?

— პირდაპირ.

— კი, გენაცვალე! — უცბად დათანხმდა ვახო. — ანდროს სასწრაფოდ უნდა შენი ნახვა.

— ვის? — გაოცებისგან თვალები კინაღამ შუბლზე აუვიდა მეგის.

— ანდრო სვანიძეს, — დაუკონკრეტა ვახომ, — შენს ყოფილ კლიენტს.

— კი, მაგრამ ანდრო ხომ მოსკოვშია?!

— მოსკოვში არა, ნიუ-იორკში!.. თბილისიდან ფეხიც არ გაუდგამს.

— არა, რაღაც გეშლება, — გაჯიუტდა მეგი, — ანდრომ ციხიდან გაქცევის მეორე ღამესვე დაურეკა დალის და უთხრა, უკვე მოსკოვში ვარო.

— აბა, რას ეტყოდა?.. აგერ ვარ, მთლად ყურისძირში და იქნებ, როგორმე პოლიცია დამაყენო თავზეო?.. შენ რა, გგონია, ანდრო დალის იმდენად ენდობა, რომ ყველაფერი ჩაუკაკლოს?!.

— შენ რატომღა გენდო?

— გგონია, მე კი მენდო?..

— აბა, ვის?

— დედაჩემს.

— ანდრო დედაშენსაც იცნობს?

— ე, გოგო, სულ კი ნუ დაიბნევი და დაიკარგები!.. იცნობს — რომელია?.. დედაჩემის ხელშია გაზრდილი! დავავიწყდა, რომ გითხარი, ერთ უბანში ვცხოვრობდით-მეთქი?

— ჰო, ჰო, — დაეთანხმა მეგი, — უცბად ველარ მოვედი აზრზე. მაგრამ დედაშენი რომ არ შეეწუხებინა, არ იქნებოდა?.. რაც არ უნდა იყოს, ქალია და თანაც, ალბათ, ასაკოვანიც...

— შენ დედაჩემს არ იცნობ, ლამაზო! ძველი „ზაკალკის“ ქალია, მტკიცე და გაუტეხელი. ანდროს რომ არ ეთქვა — ჩემი აქ ყოფნის ამბავი ვახოსაც გააგებინეო, — პირზე რომ დავდგომოდი, მაშინაც არ გამომიტყდებოდა.

— ანდრო როდის ნახე?

— ორი დღის წინ და ერთმანეთში ყველაფერი ბოლომდე „გავაიასნეთ“. დღეს დილით კი, დამირეკა და მთხოვა — მეგი მოიტანე და მომიყვანეო. მოიტანით კი მოგიტანე, მაგრამ ამის შემდეგ, როგორც შენ მეტყვი, ისე მოვიქცევი: გინდა, წაგიყვან და მართლა გაჩვენე, თუ არა და, ვეტყვი — მეგი შენთან ყველანაირ კავშირს წყვეტს და თავში ქვა იხალე და მუცელში სამართებელი-მეთქი.

— სიმართლე გითხრა, ძალიან დამაბნიე... — ორივე ხელით გამეტებით მოისრისა შუბლი მეგიმ. — ამ ბოლო ხანებში, ანდრო სულ რებუსებით ლაპარაკობს: შენ მეუბნები, ახლავე უნდა შენი ნახვა, დალის დაუბარა — სამი თუ ოთხი თვე მაცალოსო. მე კი, ციხიდან გამოქცევის შემდეგ მითხრა — სულ თუ არა, საქართველოდან 2-3 წლით მაინც აუცილებლად უნდა წავიდეო... აღარ ვიცი, რომელს დაგიჯეროთ. მერე კიდევ...

— შენ რა?.. — გააწყვეტინა ვახომ. — ანდრო ციხიდან გამოქცევის შემდეგაც ნახე?

— ჰო, — თვალები დამნაშავესავით დახარა მეგიმ. — ციხიდან გამოქცეული, პირველად მე მომადგა კარზე და...

— აუ, ჩემი!.. მაინც როგორი გახდა ეს ქვეყანა?!. — ფეხზე წამოხტა და ოთახში ნერვიულად გაიარ-გამოიარა ვახომ.

— რას გულისხმობ? — შუბლი შეიკრა მეგიმ.

— როგორ, კაცო?.. — ისევ სავარძელს დაუბრუნდა ვახო. მე და დედაჩემი ამხელა რისკზე წავედით, ციხიდან გამოქცეული, საკუთარ ჭერქვეშ შევიფარეთ და ის კიდევ, რაღაც-რაღაცებს ჩვენც გვიმალავს... რომელი „ჩამშვები“, ვახო ნაჭყეტია ნახა, რომ...

— ნუ სულელობ, რა! — შეაწყვეტინა მეგიმ. — არც შენ ხარ „ჩამშვები“ და არც ანდრო — კაცის მკვლელი. და ამას აუცილებლად დავამტკიცებ!

— მოიცა, მოიცა! — თვალები ეშმაკურად მოჭუტა ვახომ. — იმ ღამეს ანდრო შენთან დარჩა?

— აბა, სადღა წავიდოდა?.. — გულუბრყვილოდ იკითხა მეგიმ. — კაცი ფეხზე ძლივს იდგა!..

— მაშინ ყველაფერი გასაგებია.

— რა ყველაფერი? — სახეზე ალმური მოედო მეგის.

— კარგი, ჰო, რას ავარდი?.. — დაუყვავა ვახომ. — თუ ერთად იყავით, ღმერთმა შეგარგოთ!.. ერთმანეთის მადლი მოგისხიათ. აბა, ანდროს ციხეში შენნაირ ქალს ვინ მიაქცევებდა?.. შენ კიდევ, თვითონ დაიდე „იქ“ კლიტე და თუ ვინმემ გაბედა და აგხსნა, მაგას ჩივი?!.

— ვახო, იცოდე მორჩი, თორემ, არ ვიცი, რას გიზამ! — საბოლოოდ გამოვიდა წონასწორობიდან მეგი.

— კარგი, კარგი, სამარე ვარ! — ფეხზე წამოდგა ვახო. — წავედით?

— სად? — უცბად ვერ მიუხვდა მეგი.

— ჩემს დედიკოსთან. უფრო კონკრეტულად კი — შენს ანდროსთან... — კიდევ ერთხელ წაკბინა ვახომ.

— ლიკა არ მოგყავს? — უკვე მანქანაში მჯდომს გაახსენდა მეგის დაქალი.

— არ მესმის, რატომ უნდა წამოვიყვანო?

— როგორ?.. ლიკამ არ იცის, რომ ანდრო დედაშენთან იმალება?

— რა თქმა უნდა, არა. ასეთ ამბებს ქალის ტვინი ძნელად „ხარშავს“.

— დედაშენის ტვინმა ხომ „მოხარშა“?!

— დედაჩემი, ჩემო მეგი, ქალთა ქალია.

— რა ჰქვია?

— ნინო.

— მშვენიერი სახელი რქმევია, თანაც — მეგრელებისთვის ცოტა იშვიათიც.

— რას ჰქვია, იშვიათი?! — იწყინა ვახომ.

— იმას, რომ მეგრელებს ცოტა უცნაური სახელები მოგწონთ — მაგალითად, მიმოზა, როზა და ასე შემდეგ...

— ისე, ცნობისათვის, დედაჩემი მეგრელი კი არა, რაჭველია, გვარად დვალი.

— გვარიც მშვენიერი ჰქონია, მაგრამ რაჭველ ქალს სამეგრელოში რა მიარბენინებდა? — ისევ განაგრძო კბენა მეგიმ.

— სიყვარული, ჩემო მეგი, სიყვარული!.. თუმცა, შენ ამ გრძნობისა რა გესმის?.. — აღარც ვახო დარჩა ვალში. — ერთადერთი, ანდროს იმედიღა მაქვს, რომ იქნებ...

— ვახო! — გააწყვეტინა მეგიმ. — იცოდე, ანდროსთანაც არაფერი მიხსენო, თორემ, შემომაკვდები!

— Обижаешь, подруга! — ჩაურუსულა ვახომ. — თუ საჭირო გახდა, შენი გულისთვის ანდროს ყბებსაც კი მოვუნგრევ!..

გაგრძელება იქნება

ამ საინტერესო მსახიობის მიერ შექმნილ სახეთა უმრავლესობა ეპიზოდური, მეორეხარისხოვანი როლებია, მაგრამ მკვეთრი ინდივიდუალობის, ნიჭისა და დახვეწილი სამსახიობო ოსტატობის წყალობით, მის მიერ შექმნილი დაუვიწყარი სახეები მაყურებლისთვის ხშირად უფრო საინტერესოა, ვიდრე ამ ფილმების სხვა ვარსკვლავთა მიერ განსახიერებული მთავარი როლები.

ჯინა გერშონი

თამაში მუშტრავრა აზრებისაკენ იცავს

ჯინა გერშონი 1962 წლის 10 მაისს ლოს-ანჯელესის პრეფექტურის ვუდლანდ-ჰილის რაიონში მდებარე სან-ფერნანდოს ველზე დაიბადა. მამა – სტენ გერშონი უბრალო გამყიდველი იყო, დედა – მიკი გერშონი კი დიზაინერი. ჯინას ძარღვებში ჰოლანდიური, რუსული და ფრანგული სისხლი ჩქეფს. ალბათ ამიტომაც იყო, რომ მკვირცხლი გოგანა თანატოლებისაგან ცნობისმოყვარეობითა და ექსცენტრიკული ხასიათით გამოირჩეოდა. და და ძმა მასზე ბევრად უფროსები იყვნენ და ჯინას გასართობის გამოძებნა თავადვე უხდებოდა. როდესაც უფროსი და ტრეისი მისთვის მოიცლიდა, მაშინ ისინი ოჯახის წევრებისა და ნათესავების გასართობად პატარა წარმოდგენებს მართავდნენ. ამ თეატრალიზებული წარმოდგენების ინიციატორი ტრეისი იყო, მაგრამ მთავარი როლი ყოველთვის ჯინას ერგებოდა ხოლმე.

ჯინა გერშონს სცენა ბავშვობიდანვე ანდამატივით იზიდავდა. ბევერლი-ჰილზის უმაღლეს სკოლაში სწავლისას თითქმის ყველა სასკოლო წარმოდგენაში აქტიურად მონაწილეობდა, მაგრამ ტიპური ბევერლი-ჰილზელი გოგონებისგან მაინც მკვეთრად განსხვავდებოდა.

აკრძალული ხილისადმი დაუოკებელი სწრაფვის, თავქარიანი აზრებისა და მშფოთვარე ხასიათის ასალაგმად მან შესანიშნავი საშუალება – სცენაზე თამაში – აღმოაჩინა. გატაცებული იყო აგრეთვე სპორტით და ცეკვით.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჯინამ ბოსტონს მიაშურა, შემდეგ სან-ფრანცისკოში გადავიდა, რომ ამერიკის თეატრალურ კონსერვატორიაში ესწავლა. მაგრამ მოუსვენარი, ამბიციური არსება მალე ისევ ნიუ-იორკს უბრუნდება და დრამატული ხელოვნებისა და ბავშვთა ფსიქოლოგიის შესწავლას იწყებს.

ნიუ-იორკის თეატრალურ სკოლაში, სამსახიობო ხელოვნების საიდუმლოებებს უდიდესი პროფესიონალების, დევიდ მამეტისა და ჰაროლდ ჰასკინის ხელმძღვანელობით ეუფლება.

მრავალი მსახიობის მსგავსად, მისი სამსახიობო კარიერაც თეატრში დაიწყო. სხვებთან ერთად თეატრალური დასი „შიშველი ანგელოზები“ ჩამოაყალიბა და უამრავ დადგმაში მონაწილეობდა.

დიდ ეკრანზე პირველად 1986 წელს გამოჩნდა, როდესაც ფილმში – „ლამაზმანი ვარდისფრებში“ ეპიზოდური როლი განასახიერა. შემდეგ ითამაშა კინოსურათებში – „ტკბილი შურისძიება“ და „წითელი სიცხე“. პირველი მნიშვნელოვანი როლი ფილმ „კოქტეილში“ მიიღო, სადაც ტომ კრუზის გმირის ერთ-ერთი საყვარელი განასახიერა. მოგვიანებით, როდესაც უკვე ცნობილი მსახიობი იყო, ჟურნალისტმა ჰკითხა, – გაიხსენეთ, კინოში რომელი კოცნა იყო საინტერესოო?

– ხშირად მახსენდება კინოში ჩემი პირველი ეროტიკული სცენა, სადაც პარტნიორად ტომ კრუზი მყავდა. ასეთი ბიჭი შეუძლებელია, არ შეგიყვარდეს და მე ცოტათი შეყვარებული ვიყავი. და აი, „კოქტეილის“ გადაღებებზე მის გვერდით ვწევარ და ვფიქრობ: – ღმერთო! საწოლში ჩემი ოცნების მამაკაცთან ერთად ვწევარ და თანაც ამაში ფულს მიხდიან! ამაზე უკეთესი რა შეიძლება იყოს?

80-იანი წლების ბოლოდან, ეკრანებზე მისი მონაწილეობით ზედიზედ გამოდის ფილმები: „კანონგარეშე“, „იმედის ქალაქი“, „მოთამაშე“, „ციებ-ცხელება ჯუნგლებში“, პარალელურად ბევრს მუშაობს ტელევიზიაში, თამაშობს პოპულარულ სერიალში „მელროუზ პლეისი“. 1992 წელს ბიოგრაფიულ სურათში „სინატრა“ ჯინა გერშონის მიერ შესანიშნავად განსახიერებულმა ნენსი სინატრამ კრიტიკისა და მაყურებლის აღტაცებული შეფასება მიიღო.

1995 წელს ფილმში – „გოგონების შოუ“ განსახიერებული, სტრიპტიზის ცნობილი მოცეკვავის კრისტალ კონერსის როლი პუბლიკამ დიდი ინტერესით მიიღო. როგორც ამბობენ, გადაღებებზე პორნოსცენაში მონაწილეობაზე ჯინამ სასტიკი უარი განაცხადა და ამით ფილმი ჩავარდნას გადაარჩინა.

„გოგონების შოუ“ წლის სენსაციად იქცა და ფილმის სკანდალურობის მიუხედავად, გერშონის ნამუშევარმა მაღალი შეფასება მიიღო. მომდევნო როლი კიდევ უფრო სარისკო აღმოჩნდა. ამჯერად მან ბანდიტურ ფილმში – „კავშირი“ ყოფილი პატიმრისა და ლესბოსელის სახე შექმნა. 1997 წელს ჯონ ტრავოლტასა და ნიკოლას კეიჯთან ერთად ითამაშა კინოსურათში „სახის გარეშე“. ამავე წელს შესანიშნავად ითამაშა ტელეფილმში „პრაღული დიეტა“.

1998 წელი ჯინას კარიერაში ყველაზე დაძაბული აღმოჩნდა. დაუღალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. ეკრანებზე ერთიმეორის მიყოლებით გამოდის ფილმები: „პალმეტო“, „მკაცრი პოლიციელი“, „მე შენ გკარგავ“,

„შავი და თეთრი“, ტელესერიალი „ჯაშუშები“, ალტერნატიული სურათი „გინევრა“. 1999 წელს ფილმში – „ჩვენი კაცი“ მთავარი როლი ითამაშა, სადაც მას პარტნიორობა ალ პაჩინომ გაუწია. ხანმოკლე შესვენების შემდეგ, 2001 წელს ჯინა გერშონი დიდ ეკრანს დაუბრუნდა და სილვესტერ სტალონესა და რენე ჰარლინის გახმაურებულ ფილმში – „მრბოლელი“ ამერიკული სერია „ინდიკატორის“ ტრაგიკულად დაღუპული პილოტის, მემო მორანოს საცოლე განასახიერა. ამავე წელს მიკი რურკთან ერთად ითამაშა ტრილერში – „მკვლელობა უცხო ქალაქში“.

ბოლო წლებში ჯინა გერშონი მხოლოდ დრამატულ ფილმებში თამაშობს, ესენია: „საზღვარი“, შონ პატრიკ ფლენერისთან და მაიკლ ბინთან ერთად, „სეზონი არაა“ დენის ჰოპერთან ერთად, კრიმინალური დრამები „სამმაგი განხეთქილება“ და „აღმოსავლეთ მემფისი 3“. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილმი „ილოცე როკ-ენ-როლზე“, სადაც მისი საპროდიუსერო დებიუტი შედგა.

და ბოლოს, ორიოდ სიტყვა ჯინას პირადი ცხოვრების შესახებ: „კოქტეილი“ წარსულში დარჩა, რამდენიმე წლის წინ რესტავრატორ შონ მაკფერსონს ხვდებოდა, მაგრამ ეს რომანიც წარსულს ჩაჰბარდა და დღეს მისი საქმრო, მსახიობი ოუენ უილსონია. მისი ჰობია ანტიკვარულ მაღაზიებში ხეტიალი, ძვირფასი სიგარები და ფუმფულა ბალიშებს შორის შიშვლად ძილი. ■

პიტერ გემბრიელმა მრიცანეთის პრიზი მიიღო

ცნობილი მომღერალი პიტერ გებრიელი ბრიტანულ მუსიკაში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის, ყოველწლიური პრესტიჟული პრემიის Music Industry Trusts Awards ლაურეატი გახდა. სხვადასხვა დროს ამ პრიზის მფლობელები იყვნენ ელტონ ჯონი და Beatles-ს პროდიუსერი ჯორჯ მარტინი. დაჯილდოების ცერემონია 1-ელ ნოემბერს ჩატარდა. ჯგუფ Genesis-ის ყოფილ წევრს პირადად მიულოცეს ბონომ (ჯგუფი U2), მაიკლ სტაიპმა (ჯგუფი R.E.M.) და რეჟისორმა მარტინ სკორსეზემ. 54 წლის მომღერალს საპატიო ჯილდო რიჩარდ ბენსონმა გადასცა. 1970 წელს სწორედ იგი დაეხმარა გებრიელს პირველი ალბომის გამოშვებაში.

დაჯილდოების შემდეგ გამართულ კონცერტზე გებრიელმა და Youssou N`Dour-მა ერთად იმღერეს. პიტერს ამ სენეგალელ მომღერალთან მრავა-



ლი წლის შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებს. კონცერტის შემოსავალი ქველმოქმედებას მოხმარდება. პიტერ გებრიელი ჯგუფ Genesis-ს 1975 წელს ჩაუდგა სათავეში. შემდგომში იგი ფილ კოლინზმა შეცვალა. 1977 წელს მომღერლის სოლო კარიერა დაიწყო და დღემდე ათეულობით სოლო ალბომის გამოშვება მოასწრო. განსაკუთრებული წარმატება 1986 წელს გამოსულმა ალბომმა SO-მ მოუტანა. ამ ალბომში შესულია ცნობილი ჰიტები Sledqehammer და Don`t Give Up, რომლებიც დღესაც ხშირად ისმის რადიოეთერში. პიტერ გებრიელი მრავალი გახმაურებული საუნდტრეკის ავტორია. მათ შორისაა, მარტინ სკორსეზეს ფილმისათვის „ნიუ-იორკის ბანდები“ და გახმაურებული სურათისთვის „ქრისტეს უკანასკნელი ვნებანი“ – შექმნილი საუნდტრეკები. ■

ემა მანტონი – ბოლივუდის ამომავალი ვარსკვლავი!

პოპკვინტეტ Spice Girls-ის ყოფილმა წევრმა, ბეიბი სპაისის სახელით ცნობილმა ემა ბანტონმა გადაწყვიტა, ინდური კინოს ვარსკვლავი გახდეს. იგი დოკუმენტურ ფილმში გადასაღებად ბომბეიში გაემგზავრა. ფილმის თემა ბრიტანული და ინდური შოუბიზნესის შედარება იქნება.

ემა ბოლივუდის (ჰოლივუდის ინდური ანალოგი) ვარსკვლავის როლში შესვლას თავგამოდებით ცდილობს.

„ჩვენი და ინდური კულტურები ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდება. აქ მე აბსოლუტურად სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. ჩვეულებრივ, ბევრს ვმოგზაურობ, მაგრამ მთელი დრო პრომოკამპანიას მიაქვს და უცხო ქვეყნის გაცნობას ვერ ვახერხებ. ახლა კი შემიძლია ინდოეთის ნაწილად ვიქცე“ – ამბობს მომღერალი.

ბოლივუდელი რეჟისორები ყოველწლიურად ათასამდე კინოსურათს იღებენ და ინდური კინომრეწველობა ყველაზე „ნაყოფიერად“ ითვლება მთელ მსოფლიოში. ■

კაილი მინოუგის „სიყვარულის“ ახალი ლუთა

ავსტრალიელი მომღერალი, კაილი მინოუგი მუსიკასა და სამოდელო ბიზნესს წარმატებით უთავსებს ერთმანეთს. ამას წინათ მან ლონდონში ქალის ქვედა საცვლების ახალი კოლექცია წარმოადგინა.

პუბლიკა ოდნავ იმედგაცრუებული დარჩა, რადგან პოდიუმზე გამოსული მოდელებისაგან განსხვავებით, თავად კაილის ჩაცმულობა საკმაოდ მოკრძალებული იყო.

მომღერალი მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებს და კოლექცია Love Kylie-ს შევსებას აპირებს. სექსუალური ქვედა საცვლების გარდა, კოლექცია ჩრდილოეთის მცხოვრებთათვის განკუთვნილი თბილი საცვლებითა და საღამური პერანგებითაც გამდიდრდება.

მინოუგმა შეკრებილ საზოგადოებას მომავლის მუსიკალური გეგმებიც გააცნო. ამჟამად იგი საუკეთესო ჰიტების კრებულის მომზადებით და მომავალი საგასტროლო ტურნეს ორგანიზებითაა დაკავებული.

ჟურნალისტების მახვილ თვალს არ გამოჰპარვია, რომ ზეიმზე კაილის საქმრო, ოლივიე მარტინესი არსად ჩანდა. მომღერალმა განაცხადა, რომ ოლივიე გადაღებებითაა დაკავებული, მაგრამ ამის ცოტა ვინმეს თუ სჯერა, რადგან უკანასკნელ ხანებში ისინი ერთად აღარავის უნახავს, რაც ჭორების გავრცელების მშვენიერი მიზეზი აღმოჩნდა. ■

მეფური ჯილდო ერიკ კლაპტონისათვის



ცნობილ გიტარისტსა და კომპოზიტორს, 59 წლის ერიკ კლაპტონს უდიდესი პატივი ხვდა წილად – მან ბრიტანეთის იმპერიის კომანდორის წოდება მიიღო. დაჯილდოების ცერემონია ბუკინგემის სასახლეში 3 ნოემბერს შედგა. ერიკ კლაპტონის გვარი „საახალწლო სიაში“ აღმოჩნდა, რომელშიც ყოველწლიურად ასახელებენ ტრადიციული ბრიტანული წოდების ახალ მფლობელებს.

ერიკ კლაპტონმა სახელი 1960 წელს გაითქვა, როდესაც ჯგუფ Yardbirds-ში უკრავდა. შემდეგ ჯგუფ Cream-ში გადავიდა. მოგვიანებით კი სოლო კარიერა დაიწყო. მისი ყველაზე ცნობილი ჰიტებია – Layla და Wonderful Tonigth. კლაპტონის ფირფიტები მთელ მსოფლიოში მრავალმილიონიანი ტირაჟით გამოდის და მხოლოდ ერთი „ცოცხალი“ ალბომის – MTV Unplugged 15 მლნ ასლი გაიყიდა. 1994 წელს მუსიკოსმა ბრიტანეთის იმპერიის ოფიცრის წოდება მიიღო. ახლა მას მხოლოდ რაინდის წოდებაღა აკლია და სულ მალე, ალბათ, ბრიტანეთის ამ უდიდეს ჯილდოსაც მიიღებს. ■

კეთილშობილი შარლიზ ტერონი

29 წლის „ოსკაროსანი“ შარლიზ ტერონი ცხოველთა დამცველი ორგანიზაციის PETA-ს ახალი სახე გახდა.

თავის საყვარელ ძაღლთან, თაკერთან ჩახუტებული შარლიზი, ძვირფასი ბეწვეულის მოყვარულ კინოვარსკვლავებს უზარმაზარი სარეკლამო პლაკატიდან მოუწოდებს: „ნუ ჩაიცვამთ ნატურალურ ბეწვეულს, თუ არ გინდათ, რომ მხრებით თქვენი ძაღლის ბეწვი ატაროთ“.

„საშინელებაა, როდესაც მოდას ცხოველები ეწირებიან“ – განაცხადა ვარსკვლავმა.

ამგვარი მოწოდებების მიუხედავად, PETA-ს შავ სიაში ცნობილი პოპვარსკვლავი დაიანა როსი აღმოჩნდა, რომელიც ძვირფას ბეწვეულს წუთითაც არ იშორებს. ამ სიის ზედა რიგებს იკავებს საკულტო დიზაინერი დენის ბესოც. ■

გაშვილებული ქართველი ბავშვების ამერიკელი დედები

ცნობილი საერთაშორისო სააგენტო „კაროლინა ედოფშენ სერვის“, რომელიც ამერიკის მოქალაქეებს ბავშვების აყვანაში ეხმარება, უამრავ ჰუმანიტარულ პროექტს ახორციელებს. სწორედ მისი სახელით ეწვივნენ თბილისს ამერიკელი მედიკოსები, რომლებმაც 10 ქართველ ბავშვს სრულიად უანგაროდ გაუკეთეს ორთოპედიული ოპერაციები. „კაროლინა ედოფშენ სერვისს“ უამრავ ქვეყანაში ჰყავს თავისი წარმომადგენელი. ეს სააგენტო 12 წლის წინ დაარსდა და კეთილსინდისიერი მუშაობის წყალობით, ადამიანთა ნდობა მოიპოვა. გვესაუბრებიან ჰუმანიტარული მისიით ჩამოსული სტუმრები.

ექიმი-ქირურგი **თამარა მარტინი:**

– ბოსტონში ერთი ქართველი მართლმადიდებელი პაციენტი მყავდა. სწორედ მისგან შევიტყვე პირველად თქვენი ქვეყნის შესახებ. გაეცანი მის ისტორიას, კულტურას. თქვენი ქვეყანა თბილისში ჩამოსვლამდე შემიყვარდა.

— პირველად ხართ საქართველოში?

– არა, შარშანაც ვიყავი და 2 გოგონა ვიშვილე – ტყუპი და. ბავშვების აყვანაში „კაროლინა ედოფშენ სერვის“ დამეხმარა. გავიკითხ-გამოვიკითხე და ამერიკაში საუკეთესო სააგენტო შევარჩიე, მითხრეს, ყველაზე სანდოაო.

— საკუთარი შვილები არ გყავთ?

– როგორ არა, მე და ჩემს ქმარს 3 ბიოლოგიური შვილი გვყავს, მაგრამ უფრო მეტი გვინდოდა. სამწუხაროდ, აღარ გაგვიჩნდა და აყვანა მოვისურვეთ. უფროსი ქალიშვილი 22 წლისაა. მყავს აგრეთვე, 6 წლის ტყუპი ბიჭი. ნაშვილები ტყუპი კი, უკვე 1 წლისა და 8 თვისაა. ჩვენ ისინი ძალიან გვიყვარს. უნდა გამოვიტყდეთ, რომ კიდევ ერთის აყვანას ვაპირებთ. წყნეთის ბავშვთა სახლში 3 წლის კოლია შევიგულე.

— მერე, არ გაგიჭირდებათ?

– საკმაოდ ენერგიული ვარ, დიდ, ეზოიან სახლში ვცხოვრობთ, მყავს 2 დამხმარე ქალი.

— „კაროლინა ედოფშენ სერვისის“ ჰუმანიტარული მისიით, თქვენ გარდა, კიდევ ვინ ჩამოვიდა საქართველოში?

– ჩემი კოლეგა – ექიმი-ქირურგი სენდი უიკლენდი და ორი დამხმარე – შეროლ გროუვი და კერენ მარტინი. ამერიკელი მშობლები, რომლებმაც ქართველი ბავშვები ვიშვილეთ, ხშირად ვმონაწილეობთ სააგენტოს ჰუმანიტარულ მისიაში. ვაგროვებთ თანხას და ბავშვთა სახლებს ვუგზავნით ტანსაცმელს, საჭურებს, ფულს და ა.შ. გადავწყვიტე, ორთოპედიული ოპერაციები გამეკეთებინა უმწეო ბავშვებისთვის.

— ოპერაციები სად ჩაატარეთ?

– იაშაღაშვილის საავადმყოფოში ექიმ ირაკლი სოსანიას დავუკავშირდით. შესანიშნავი ადამიანია, ბავშვების ბედი აწუხებს. 10 ორთოპედიული ოპერაცია გავაკეთეთ. სამწუხაროდ, საავადმყოფოს არა აქვს სათანადო აპარატურა უფრო რთული ოპერაციების ჩასატარებლად. მე ქართველი ბავშვების დედა ვარ და თქვენს ქვეყანასთან კავშირის გაწყვეტას არ ვაპირებ. ჰუმანიტარული მისიით გაისად, მაისსა და ოქტომბერშიც ჩამოვალთ, საჭირო აპარატურას ჩამოვიტანთ და ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს სრულიად უანგაროდ მოვემსახურებით.

გაშვილების საერთაშორისო საგენტოს კოორდინატორი საქართველოსა და სომხეთში, **რობინ ჰაიზმორი:**

– უკვე 9 წელია, „კაროლინა ედოფშენ სერვისში“ ვმუშაობ. მე და ჩემს მეუღლეს შვილი არ გვიჩნდებოდა და 2 ქართველი ბავშვი ავიყვანეთ. პირველი – კარინა 1995 წელს ვიშვილეთ, თორნიკე – 2000 წელს. ძალიან ჭკვიანი ბავშვები არიან, ორივენი უზომოდ გვიყვარს. დიდი ხნის განმავლობაში, ბიოლოგიური შვილი არ გვყავდა, მაგრამ ცხოვრებამ სიურპრიზი მოგვიმზადა – მოულოდნელად დავფეხმძიმდი. 3 თვის წინ ბიჭი შეგვეძინა, ასე რომ, უკვე 3 გვყავს. „ქართველი“ მშობლები „გიჟი“ დედები ვართ!..

— აყვანილმა ბავშვებმა თუ იციან სიმართლე?

– რა თქმა უნდა, თანაც ძალიან ამაყობენ, რომ ქართველები არიან. გასულ ზაფხულსაც ჩამოვიყვანე ჩემი შვილები თავიანთ სამშობლოში... ქართველი ბავშვების ამერიკელი მშობლები წელიწადში რამდენჯერმე ვაწყობთ დიდ პიკნიკს, რომელზეც ერთმანეთს ვხვდებით. დროს მხიარულად ვატარებთ, მივირთმევთ ქართულ კერძებს და ვიწვევთ, ამერიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებს. ზოგიერთი მშობელი იქვე ნათლავს ბავშვს მართლმადიდებლურად და ქართულსაც სწავლობს.

— ადვილია ამერიკის მოქალაქისთვის ბავშვის აყვანა?

– საკმაოდ რთული პროცედურაა გასავლელი. „კაროლინა ედოფშენ სერვის“ აკრედიტებული სააგენტოა, იგი ბავშვთა მომსახურების ერთობლივ საბჭოში შედის და საკმაოდ მკაცრად ამოწმებს ოჯახებს, რომელთაც ბავშვის აყვანა სურთ. სოციალური მუშაკები ზედმიწევნით სწავლობენ მათ მატერიალურ პირობებს, ჯანმრთელობას, ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, კრიმინალური საცავიდან იღებენ ინფორმაციას, წარსულში რაიმე დანაშაული ხომ არა აქვთ ჩადენილი. სააგენტო მოითხოვს, რომ მომავალმა მშობლებმა გაიარონ სწავლების უფასო 30-საათიანი პროგრამა, რათა მომზადებული იყვნენ ბავშვის ასაყვანად. ოჯახი, რომელიც სააგენტოს ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, ჩვენს სიაში ხვდება და თავის რიგს ელოდება. აღრიცხვაზე მყოფი მშობლების საბუთებს ვუგზავნით საქართველოს განათლების სამინისტროს, რომელიც გასაშვილებელი ბავშვების სიას გვაწვდის.

— ამერიკაში გაშვილებული ბავშვების მომავალი ბედი თუ აინტერესებს სააგენტოს?

– აყვანის მერეც, სამთავრობო დონეზე ხდება ბავშვების მდგომარეობის შემოწმება. სახელმწიფო, სააგენტოსგან ითხოვს პედიატრის, სოციალური მუშაკების და სკოლის ხელმძღვანელის ანგარიშს. სისტემატურად ვამოწმებთ აყვანილი ბავშვის მდგომარეობას, გაშვილებიდან 2 კვირის, 2 თვის, 6 თვის და 1 წლის შემდეგ. გარდა ამისა, ვაკონტროლებთ გაშვილებულთა ყოფა-ცხოვრებას 3 წლის განმავლობაში. მაკონტროლებელი წერილები იგზავნება ამერიკაში, საქართველოს საელჩოს წარმომადგენელთა სახელზე, სასამართლოში, განათლების სამინისტროში, ადვოკატთან – მოკლედ, ყველაფერი გამჭვირვალეა. მსგავს დოკუმენტებს თბილისშიც ვაგზავნით. საქართველოში ამერიკის საელჩო კარგად იცნობს ჩვენი სააგენტოს საქმიანობას, რომელიც 1996 წლიდან ემსახურება ქართველი ბავშვების ამერიკაში გაშვილებას. ჩვენ მიერ აქედან წაყვანილი გოგო-ბიჭები დღემდე, მკაცრ კონტროლზე არიან აყვანილნი და თავს ჩინებულად გრძნობენ.

რობინ ჰაიზმორი ქმარ-შვილთან ერთად

ანა ენრიკეს ვეღარ ხიბლავს?!

ანა კურნიკოვასა და ენრიკე იგლესიასის რომანზე ბევრი დაწერილა. ბოლო წლებში რუსი ლამაზმანი ჩოგბურთის სრულიად ჩამოშორდა. ვარსკვლავის პოპულარობამაც საგრძნობლად იკლო. თუმცა ფოტოგრაფები მაინც ხელიდან არ უშვებენ მისი ფირზე აღბეჭდვის შესაძლებლობას. ამჯერად ანა და ენრიკე საკალათბურთო მატჩზე „გამოიჭირეს". ვარსკვლავური წყვილი „მაიამი"–„დალასის" დაპირისპირებას ადევნებდა თვალს. უცნობია, თუ ვის ქომაგობდნენ კურნიკოვა და იგლესიასი, თუმცა ისინი საკმაოდ ემოციურად უყურებდნენ შეხვედრას. სხვათა შორის, მათი ურთიერთობა უკვე დეტექტიურ რომანს მოგვაგონებს. სკანდალებზე მონადირე ზოგიერთი ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ პოპვარსკვლავი და რუსი ლამაზმანი დაქორწინებულები არიან, ზოგიც ამ აზრს არ იზიარებს. ასეა თუ ისე, ანას და ენრიკეს დღემდე ერთად ხედავენ, მაგრამ იქნებ, ესპანელს რუსის მიმართ თანდათან გაუნელდა ინტერესი?.. საკალათბურთო მატჩზე იგლესიასი, მობილური ტელეფონით მუდმივად ვიღაცას ესაუბრებოდა, ანამ კი მხარი მოიშიშვლა. თუმცა, როგორც ფოტოზე ვხედავთ, საყვარლის ყურადღება მაინც ვერ მიიპყრო.

■

მარიამ სერენაც მოხიბლა

მარია შარაპოვას უნაკლო გარეგნობის მიმართ გულგრილი ვერც თავად მშვენიერთა სქესის წარმომადგენლები რჩებიან. ცოტა ხნის წინ, სერენა უილიამსმა საჯაროდ განაცხადა, რომ ძალიან მოსწონს მარიას ფეხები. WTA Championships-ის ორგანიზატორებს სარეკლამო აბრებზე რუსი სექსსიმბოლოს მაცდუნებელი ფოტოები განუთავსებიათ. როდესაც ამ პლაკატების შესახებ სერენასთვის დაუსვამთ შეკითხვა, მას ღიმილით უპასუხია – ის სექსუალურად გამოიყურებაო. „ამ ფოტოზე შარაპოვას ფეხები ძალიან მომწონს, – უთქვამს ამერიკელ ჩოგბურთელს, – ეს „ცხელი" ფოტოა. თუ შენი სურათების გაყიდვა გსურს, საჩოგბურთო ტურნირებში აღარ უნდა მონაწილეობდე. სამწუხაროდ, ამაზე საუბარი არ მსურდა, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ სექსი იყიდება. თუმცა, თუ მსახიობებსა და მომღერლებს მივიღებთ მხედველობაში, დავრწმუნდებით, რომ ყველაზე მეტ ფილმსა და მუსიკალურ დისკს სწორედ სექსუალური ქალბატონები ასაღებენ".

■

დოპინგს ცხენებიც იყენებენ

როგორც ცნობილია, საცხენოსნო შეჯიბრებაში პრიზებს იღებენ არა მარტო გამარჯვებული ჟოკეები, არამედ მათი ცხენებიც. ამიტომ დისკვალიფიკაციის წესებიც მხედრებთან ერთად ოთხფეხებზეც ვრცელდება. ამას წინათ, დისკვალიფიკაცია მისცეს ირლანდიელ კიან ო'კონორსა და გერმანელ ლუდგერ ბერბაუმს, რომლებმაც ათენის ოლიმპიადაზე პირად და გუნდურ ჩათვლაში ბარიერების გადალახვაში ოქროს მედლები მოიპოვეს. სპორტსმენები მას შემდეგ დასაჯეს, რაც მათ ცხენებს სისხლში აკრძალული პრეპარატების კვალი აღმოუჩინეს. აღსანიშნავია, რომ გერმანელი ჟოკეი პასუხისმგებლობისგან თავის ასარიდებლად დოპინგტესტის განმეორებით გავლას თავზე უარს ამბობდა. უფრო სწორად კი, გამარჯვებულ მხედარს არ სურდა, რომ მისი ცხენისთვის მეორედ ჩაეტარებინათ ანალიზი. ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა გერმანიის ნაკრების კიდევ ერთი წევრის, ბეტინა ჰოის ცხენიც. ამიტომ ამ გუნდს კიდევ ერთი ოქროს მედალი ჩამოერთმევა.

■

გოლფი პროსტიტუციის თანხლებით

კალიფორნიაში მიმდინარე, გოლფის ერთ-ერთ ტურნირში უტიფარი სტრიპტიზიორებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. ვინმე სანდი ხუარესმა, ჯეისონ ვუდმა, დარენ ბოლინჯერმა და სხვებმა ნამდვილი ეროტიკული შოუ მოუწყვეს შეჯიბრებაზე მყოფ გულშემატკივრებს. ცხადია, არც სპორტსმენებს და არც ქომაგებს ამ გარემოების საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდათ, მაგრამ საქმეში პოლიცია ჩაერია. სამართალდამცავთა სპეციალურმა ჯგუფმა „ოპერაცია" წარმატებით ჩაატარა და 90 გოლფისტი და 17 სტრიპტიზიორი დააპატიმრა. მოსამართლემ კი, ტურნირს „უკანონო და აღვირახსნილი" უწოდა. შეჯიბრების ორგანიზატორებს 125-დღიანი შინაპატიმრობა მიესაჯათ, ხოლო მონაწილეთაგან ორ პირს, პროსტიტუციის პროპაგანდაში დასდეს ბრალი.

■

რომარიო ფეხბურთს გამოემშვიდობა



რომარიო უკვე ყოფილი ფეხბურთელია. რამდენიმე დღის წინ ამერიკაში მისი გამოსათხოვარი მატჩი შედგა, რომელშიც 1994 წლის ბრაზილიის ნაკრებს მექსიკის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი დაუპირისპირდა. შეხვედრა პენტაკამპეონებმა მოიგეს (2:1). ცხადია, გამარჯვებულთაგან ორივე გოლი რომარიომ გაიტანა. საგულისხმოა ისიც, რომ ბრაზილიელი სუპერფორვარდი ხორხე კამპოსის კარს უტევდა, რომელიც ასევე ეთხოვებოდა ფეხბურთს. რომარიო ბრაზილიელ ბომბარდირთა შორის მეორე ადგილზე იმყოფება. მას 900 გოლი აქვს გატანილი (1000-გოლიანი ბარიერის გადალახვა მხოლოდ პელემ შეძლო). რომარიო 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონია, თუმცა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ მას სანაკრებო კარიერის თვალსაზრისით ნაკლებად გაუმართლა. 1986 და 2002 წლებში ის მწვრთნელებმა არ წაიყვანეს მუნდიალზე, ხოლო 1990 და 1998 წლებში თავდამსხმელს ტრავმებმა შეუშალა ხელი. ჯერჯერობით უცნობია, თუ რას გააკეთებს აქტიურ ფეხბურთს გამოთხოვებული ვარსკვლავი, თუმცა, ყითელი პრესის წარმომადგენლები უკვე ვარაუდობენ, რომ ის უსაქმოდ ნამდვილად არ დარჩება. მაგალითად, თავის სამ ყოფილ ცოლთან და ხუთ შვილთან ურთიერთობების გარკვევას მიჰყოფს ხელს... სხვათა შორის, შეიძლება ვარსკვლავს პრობლემებიც შეექმნას, რადგან გასულ ზაფხულს იგი ალიმენტის გადაუხდელობის გამო დააკავეს.

■

ჯანს „ქალი-ძაღლი" დაესხა თავს

გერმანიის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩის მეათე წუთზე, როდესაც „ბავარიის" მოთამაშეები „შტუტგარტის" კარს უტევდნენ, მოედანზე უჩვეულო ფორმაში გამოწყობილმა ქალმა, ოლივერ კანთან მირბინა, ყელზე ჩამოეკიდა და ვნებიანად კოცნა დაუწყო. ამ სცენას რამდენიმე წუთის განმავლობაში გერმანიის ეროვნული ტელეკომპანიის „მეორე არხის" 7,86 მილიონი მაყურებელი ადევნებდა თვალს, რის შემდეგაც საქმეში პოლიცია ჩაერია და „ქალი-ძაღლი" მოედნიდან გაიყვანეს. Bild-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ძაღლისნიღბიანი ქალი მიუნხენის გარეუბანში მდებარე ბანკის მდივანი, 32 წლის რეგინა ხეფნერი აღმოჩნდა, რომელმაც განაცხადა, რომ თავისი საქციელით ოთხფეხების პრობლემებისადმი ადამიანთა ყურადღების მიპყრობა სურდა. „ხალხი ერთმანეთს შობის დღესასწაულზე უძღვნის ძაღლებს, მაგრამ შემდეგ საბრალო ცხოველებს ხშირად ქუჩაში აგდებენ", — ამბობს ხეფნერი. რეგინა სტადიონზე მოსაცმელით შესულა, მატჩის დაწყების შემდეგ კი, მოსაცმელი გაუხდია და კანისკენ წასულა. „ოლივერს" კარგი რეაქცია ჰქონდა, — ამბობს „ქალი-ძაღლი", — ოღონდ, ძალიან მაგრად მომეხვია. ისე, რომ ჰაერი აღარ მყოფნიდა, შემდეგ კი მითხრა, მოედანი დატოვეო". აღსანიშნავია, რომ ამ ინციდენტის შემდეგ მიუნხენელებმა სამი უპასუხო გოლი გაუტანეს „შტუტგარტს".

■

ბეტარინი მოდელმა შეაცდინა

„სამპდორიის" მცველი, სტეფანო ბეტარინი იტალიელი მოდელის, ალესია ფაბიანის მსხვერპლი გახდა. ამ უკანასკნელმა საჯაროდ აღიარა, რომ ფეხბურთელთან სამი წლის წინ დაუვიწყარი ღამე გაატარა. სწორედ მაშინ დაშორდა მეუღლეს სტეფანო. ბულვარული პრესის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ ამის მთავარი მიზეზი სწორედ ალესია გახდა. „2001 წლის ზაფხულში მე, ბეტარინი და მისი მეუღლე, სიმონა ორჩხომლით ვმოგზაურობდით, — ამბობს ფაბიანი, — მაშინ გამოავლინა ჩემ მიმართ ინტერესი ფეხბურთელმა და როდესაც სიმონა ჩვენთან ერთად აღარ იყო, თავი ვეღარ შეიკავა. მაგრამ ვფიქრობ, მე ეს მეპატიება. სხვა რა უნდა აკეთოს 23 წლის გოგონამ? ისე კი, ამ შემთხვევის შემდეგ, ურთიერთობა აღარ გაგვიგრძელებია". აღსანიშნავია, რომ ალესია პირველად არ ხვდება იტალიური პრესის საფეხბურთო-სკანდალურ ქრონიკებში. 2004 წლის სეზონის დასაწყისში მან იტალიის ჩემპიონატის კალენდრისთვის ეროტიკულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

■

„თეთრი ქალი კარ, თოვლივით... სათნო და პირმოცინარი..."

ჩვენს ხალისიან „სასიძოს" ბაჩუკი ბახტაძეს იმდენი ლამაზი და თეთრი ქალი შეეხმიანა, რომ თვითონაც მიხვდება — დაქორწინება არ ასცდება... გამოხმაურებების გამოქვეყნების შემდეგ, ბაჩუკი დამიკავშირდება და მისი თაყვანისმცემლების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას „ჩავუკაკლავ". თქვენ კი, ყველაზე საინტერესო მესიჯებს გაგაცნობთ.

მარი ხაფარიძე

„ზუსტად ახლა ვკითხულობ შენს ინტერვიუს. მაგარი „დაცემა" ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ. სიამოვნებით გაგიცნობ, თუ დამიმესიჯებ. ასაკს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ვარ 173 სმ სიმაღლის, თაფლისფერი თვალები მაქვს და შავად შეღებილი თმა. მომავალი იურისტი ვარ. ვფიქრობ, ერთმანეთს გავუგებთ. მაგრამ ერთი პრობლემაა: ახლა გათხოვება არ მინდა. მხოლოდ 17 წლის ვარ. თუმცა, ეს შენზეა დამოკიდებული. ვცხოვრობ ბორჯომში და თუ დამირეკავ, არ ინანებ. გკოცნი და გეფერები. შენი ნანიკო".

„მარი, თუ ბაჩუკის დამაკავშირებ, მერწმუნე, დიდი სიურპრიზი ელის. თუ რა — ამას ჩვენი შეხვედრის შემდეგ შეიტყობ, შენც და ისიც. ისე, მართლა კარგი გოგო ვარ. მამაჩემს კი, სუფთა ღვინოც ბევრი აქვს, კარგი ბუხარიც და საქეიფო განწყობაც. იმედია, უყურადღებოდ არ დამტოვებთ. მინდა, საიდუმლოდ გითხრათ, რომ უკმაყოფილო არც შენ დარჩები... მაკა".

„შენი ძმა ბერძნებს მიეცი, არ დაუტიე არც გოჯი, ცოლის მოყვანას სჯობია, მოინახულო მათხოვჯი. იუმორი რომ გაქვს, ვიცი, ღვინოს სვამ, თანაც შარბათობ, ორ ჭიქა ბახუსს რომ დალევ, ავთანდილობ და შარვაძობ". „შუტკა" „პო ვარკეთილსკი". გისურვებ ცოლებს".

„ისე, მეც მაქვს, სხვათა შორის, იუმორი ნამდვილად. თანაც, ხელოვანი კაცით ვიხიბლები ადვილად. მაგრამ რომ გსურს აშოლტილი, მობრიალე თვალებით, ფაფარივით გრძელი თმების, ხუჭუჭ დალალ-კავებით, ფეხიც ცამდე აშოლტილი, თან ტანიც საარაკო? მეგრული კვიცი გნდომებია, რომ არ ვილაპარაკოთ. ისე, მეც მაქვს, სხვათა შორის, ტუჩი, როგორც ლალები, მოგიშრული თმა-წამწამი, ღია ფერის თვალები. თიკო".

„ზუსტად მე ვარ ამგვარი, გთხოვ, რომ შემეხმიანო. დიდი ინტერესით ველი ზარს. — ალო! მე ხათუნა ვარ. გისმენთ..."

„ჩემო ბაჩუკი, ეს ლექსი ნამდვილად ჩემთვის დაგიწერია. ვარ 25 წლის და 170 სმ სიმაღლის. თაფლისფერი თვალებით და ღია წაბლისფერი თმით. რაც შეეხება იუმორის გრძნობას, უკვე მსაყვედურობენ — ზედმეტი მოგდისო. აბა, არ დამივიწყო. გელოდები. ვბ."

„ბაჩუკიმ მეტისმეტად დამაინტერესა. ვარ 29 წლის, კარგი გარეგნობის გოგო. თუ ძველებურად სმას არ დაიწყებს, გამომეხმაუროს. იქნებ, მოგვწონოს ერთმანეთი. მამაჩემს ქვევრები არა აქვს, მაგრამ ღვინო და საქეიფო სიტუაცია ყოველთვის აქვს. დანარჩენი — პირადად. ველი მის მესიჯს. ასეთ ბიჭს მეგობრადაც არ დავიწუნებდი..."

„საღოლ! ლექსი და გემოვნება მშვენიერი გქონია, ჩემო ბაჩუკი, მაგრამ რატომ არ კითხულობ, ასეთ ქალებს თუ მოგვწონხარ? ნინი, 19 წლის. მარი, დამიბეჭდე, მიკერძოებას ადგილი არ ჰქონდეს".

„ზოგს — წარმოშობა, ზოგს — სიმდიდრე ეამაყება, ყველას თავისი გასართობი მოუგონია, მე კი ამქვეყნად სიხარული სხვა რამ მგონია".

„ვარ 23 წლის. ძალზე მომეწონა „სასიძო". მეც მიყვარს ქეიფი და მუსიკა. მოკლედ, ბევრი რომ არ „ვიბაზროთ", მე ვარ ნატო, ქუთაისიდან".

„თეთრი ქალი ვარ, თოვლივით, თვალწამწამ, თმაგიშრიანი, ტუჩები მარწყვისფერია, სულით და გულით — მზიანი. ექიმი, დიპლომიანი, სათნო და პირმოცინარი. 26 წლის..."

„ბაჩუკიმ დამაინტერესა. დამირეკოს ამ ნომერზე... ელზა".

„მივესალმები თქვენს სიახლეს. სულ ვფიქრობდი, არაპოპულარულმა ადამიანებმა რა დაშავეს-მეთქი?.. „სასიძო" შესანიშნავი გყავთ. მარტო მისი გამბედაობა რად ღირს!.. მყავს ახლობელი, რომელიც მისი შესაფერისია. ბუნებრივად ქერა, მწვანეთვალება და თეთრი გოგოა".

„მთელი არსებით შევიგრძნობ შენს სულიერ სიმდიდრეს. ვეთაყვანები ქართულ სიმღერას და მშვენიერებას. ვარ 30 წლის, მუსიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, იმპრესარიო... პატივისცემით, ეკა".

„ქერაც ვარ, ღია ფერის თვალებით, მაგრამ სიმაღლით ვარ 176 სმ. არ „წავა"?.. თათია".

„ვკითხულობ „გზას" ავტობუსში. მივემგზავრები თბილისიდან ქუთაისში. პირველად გიგზავნით მესიჯს. ვარ 33 წლის, ლამაზი და თეთრი ქალი. ბაჩუკი გამომეხმაუროს".

„გარეთ ნიაღვარი ქვებზე ათამაშებს ჩამოცვენილ ფოთლებს და ქაღალდის ნავებს. მავთულებზე მიჯრით წვეთი წვეთზე ცოცავს და მე თქვენკენ ვატან გაუბედავ კოცნას. ბაჩუკის". ■

«დ ე ლ ტ ა»
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრებისა და
ლამინირებული ავეჯის
დამზადება
ბრტყელი გადახურვები
მის: მ.ლაღიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

შეყვარებულმა თანაკლასელმა თათა ვარდანაშვილს ხელზე იარა ლაფტოვა

ამჯერად, „ფეხსაცმლის დედოფლად“ აღიარებულ თათა ვარდანაშვილს გამოვკითხე სასიყვარულო ამბები. თურმე, ბევრი რამის გაგება შეიძლება იმის მიხედვით, თუ როგორი ფეხსაცმელი აცვია შენს რჩეულს. თუ მამაკაცის ფეხსაცმელი სიარულისას ხმას გამოსცემს, ეს მის ძალაუფლებისკენ სწრაფვაზე მეტყველებს; ფეხსაცმლის ოვალური ცხვირი მისი მფლობელის თავისუფლებისმოყვარეობას უსვამს ხაზს; ნახევრად სპორტულ, მრგვალცხვირიან ფეხსაცმელს უპირატესობას ისინი ანიჭებენ, ვინც საზოგადოებაში თავიანთ მდგომარეობას ვერ ეგუებიან. დანარჩენს, თავად თათას ნაამბობიდან შეიტყობთ.

მერი კობიაშვილი

— ბავშვობიდან ერთი უცნაური ჩვევა გამომყვა: ადამიანებს პირველ რიგში, შეხვედრისას ფეხსაცმელზე ვაკვირდები. ამის გამო იყო, რომ ჩემზე ამბობდნენ — თავმდაბალი გოგონაა, სულ დაბლა იყურებაო... თანაკლასელ ბიჭებს, რომლებიც საკლასო ოთახში დასვრილი ფეხსაცმლით შემოდიოდნენ, გამარჯობას არასდროს ვეუბნებოდი... პირველად პაემანზე რომ მივდიოდი, ძალიან მინდოდა, გამორჩეულად გამოწყობილი ვყოფილიყავი. არჩევანი ბებიაჩემის ფეხსაცმელზე შევაჩერე. მაშინ 15 წლის ვიყავი, ფეხის ზომა 34 მქონდა (მას შემდეგ, არც სიმაღლეში მომიმატია და არც ფეხის ზომა შემცვლია); ზემოდან რომ ვუყურებდი ჩემს ფეხსაცმელს, არ მომწონდა, ძალიან პატარა ჩანდა. ასე რომ, ბებიაჩემის ფეხსაცმლით თავს ვუშველე. ზამშის იყო. ჩაის ფერით გავწმინდე და შევღებე. მოკლედ, სულ ახალივით გამოიყურებოდა.

— საპირისპირო სქესით პირველად როდის დაინტერესდი?

— ბიჭებთან ძმაკაცური ურთიერთობა უფრო კარგად გამომდიოდა, ვიდრე სასიყვარულო. 3 წლის ასაკში ვისწავლე წერაკითხვა. თანატოლ ბიჭებს ყოველთვის ვჯობდი განათლებით. თანაც ჩოგბურთზე დავდიოდი და სისხარტითაც არ ჩამოვუვარდებოდი ბიჭებს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ისინი ჩემით დაინტერესებულები იყვნენ და იმიტომაც მეგობრობდნენ ჩემთან, მაგრამ მე მათ მიმართ არანაირი გრძნობა არ გამჩენია.

— 15 წლის ასაკში, ბიჭმა პაემანზე როგორ დაგითანხმა?

— სკოლაში კარგად ვსწავლობდი. ყველა ღონისძიებაში ჩაბმული ვიყავი. ახლა 34 წლის ვხდები და როგორც ხედავ, ასაკი არ მეტყობა. ტინეიჯერულ ასაკშიც ჩემი გარეგნობით ბევრი ბიჭის ყურადღებას ვიპყრობდი, მაგრამ მე ისინი ნაკლებად მაინტერესებდნენ. ერთერთმა ბიჭმა, როგორც მოგვიანებით გავიგე, სანაძლეო დადო — ამ თავხედს კისერს მოვუგრეხო. ჩემთვის რომ თავი შეეყვარებინა, სხვადასხვა ხერხს მიმართა: სტენდიდან იპარავდა ჩემს სურათებს; ხან ჩემი საკონტროლოს რვეული დაიკარგა, ხან — საკლასო ჟურნალი... მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი და ამ ყველაფრის გაკონტროლება მევალებოდა. ჩავატარეთ გამოძიება და დამნაშავე აღმოვაჩინეთ... ერთმანეთს ერთი წლის მანძილზე ვხვდებოდით.

მოგვიანებით, როცა მისი მეუღლე გავხდი, გაირკვა, რომ სახლის მოშორებით რკინის მილში ინახავდა ორ წყვილ ფეხსაცმელს

— იმ ბიჭმა სანაძლეო რაზე დადო?

— თუ არ ვცდები, ერთ ყუთ შამპანურზე. ამ ამბავმა ჩემი თავმოყვარეობა ძალიან შელახა. მახსოვს, ერთიორი დღე რა ცუდად ვგრძნობდი თავს. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს გრძნობა სიყვარული არ ყოფილა და რაც მოხდა, ყველაფერი მალე დავივიწყე. იმ ადამიანთან შეხვედრა დღესაც ხშირად მიწევს. ერთმანეთთან ვმეგობრობთ. ახლა რომ ვუყურებ, მიკვირს კიდეც, ეს როგორ მიყვარდა-მეთქი?..

— რატომ? მისი გარეგნობა არ მოგწონს თუ ფეხსაცმელი?

— ფეხსაცმელი მომწონს, იმიტომ, რომ ჩვენი ფირმის შეკერილი აცვია. ამ ამბავს სიამაყით ვიხსენებ ხოლმე, რადგან მან კი არ შეარყია ჩემი შინაგანი სამყარო, არამედ — გააძლიერა.

— ის ბიჭი შემთხვევით, თავისსავე დაგებულ მახეში ხომ არ გაება?

— როცა ყველაფერი გაირკვა, ერთმანეთს რამდენიმე ხნით დავშორდით, მერე კი მეგობრობით გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობა.

— მეუღლე როგორ გაიცანით?

— პირველი სიყვარულიდან 8 წლის შემდეგ, გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. მისმა გაპრიალებულმა ფეხსაცმელმა მიიქცია ჩემი ყურადღება. მოგვიანებით, როცა მისი მეუღლე გავხდი, გაირკვა, რომ სახლის მოშორებით რკინის მილში ინახავდა ორ წყვილ ფეხსაცმელს: ერთით სახლისკენ მიმავალ აღმართზე ადიოდა, მეორით კი — ქალაქში დადიოდა (ჩემი ყოფილი მეუღლე ნუცუ-

ბიძეზე ცხოვრობდა)... მაგრამ მაშინ ფეხსაცმლის დიზაინერი ჯერ არ ვიყავი. რომ გავთხოვდი, მერე ჩავაბარე ასპირანტურაში და მაშინ გადავწყვიტე, მოდაში რა მიმართულება ამერჩია. ტანსაცმლის კერვაც შემიძლია, მაგრამ ფეხსაცმლის დამზადება უფრო რთულია და ამიტომ ავირჩიე ფეხსაცმლის დიზაინერობა.

— მეუღლეს უკვე დიდი ხანია, გაეყარე. დღევანდელი გადასახედიდან, როგორ ფიქრობ — ამაში რომელი თქვენგანი იყო დამნაშავე?

— ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი დაშორება იმის გამო მოხდა, რომ ერთმანეთისადმი გრძნობა გაგვიქრა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ჩემი მეუღლე გაურკვევლობაში იმყოფებოდა. არ მინდა, ამას ის სარჩული დავუდო, რომ ანგარების გამო მომიყვანა ცოლად. ის ჩემზე 14 წლით უფროსი იყო. ერთად 3 წელი ვიცხოვრეთ. დემეტრე რომ დაიბადა, მესამე დღიდან, ბავშვით ხელში მარტო აღმოვჩნდი. ჩემს მეუღლესთან მას მერე, არანაირი შეხება აღარ მაქვს. არ მინდა, იფიქრო, რომ ამ ყველაფრის გამო გული მაქვს გატეხილი. უბრალოდ, სიყვარულისადმი ცოტა სხვანაირი მიდგომა მაქვს: ან სერიოზული ურთიერთობა მაქვს ადამიანთან, ან საერთოდ არ ვურთიერთობ ამა თუ იმ პიროვნებასთან. პირველი ქორწინების შემდეგ, თავში აზრადაც არ მომსვლია, რომ ოჯახი მეორედ შემექმნა. ახლაც ამ აზრზე ვდგავარ. შეყვარებული არა მყავს. ამისთვის დრო ფაქტობრივრად არ მრჩება. ისე, თუ ოდესმე ოჯახის შექმნას დავაპირებ, ეს ალბათ მაშინ მოხდება, როცა ჩემი შვილი ცოლს მოიყვანს... საერთოდ მიმაჩნია, რომ სიყვარული უფერულდება, როცა ის ოჯახურ ურთიერთობაში გადადის. ძალიან ძნელია მისი შენარჩუნება. თუმცა, ამის ჯანსაღი მაგალითი წინ მიდევს. ჩემი მშობლები 60 წელს არიან მიღწეული და ერთმანეთზე მზე და მთვარე ამოსდით.

— როგორი მამაკაცი დაიპყრობს შენს გულსა და გონებას? როგორია შენი ოცნების მამაკაცი?

— თუ ბიჭს ყოველთვის გაპრიალებული ფეხსაცმელი ეცმევა, შეიძლება, შემიყვარდეს კიდეც.

— მაგრამ თუ წვიმაში მოყვა, შეიძლება, ფეხსაცმელი დაესვაროს. ამით ყველაფერი დამთავრდება?

— ერთ უცნაურ ამბავს გეტყვი: მე შემიძლია, წვიმიან ამინდში ქუჩაში ისე ვიარო, რომ ფეხსაცმელი არ დამესვაროს. ერთხელ, ექსპერიმენტი ჩავატარე — ერთი წელი, ფეხსაცმელი, რომელსაც ყოველ 3-4 დღეში ერთხელ ვიცვამდი (მაღალყელიანი, დახურული ფეხსაცმელი იყო, რომლის ზამთარში ჩაცმაც შეიძლებოდა და ზაფხულშიც) არ გავწმინდე და არც დასვრილა. ეს ექსპერიმენტი იყო, რითიც ჩემი სიარულის მანერა და ფეხსაცმლის გამძლეობა შევამოწმე — არ იფიქრო, რომ მოუწესრიგებელი ადამიანი ვარ და სისუფთავე არ მიყვარს... საერთოდ, არც ისეთი კატეგორიული დამოკიდებულება მაქვს მამაკაცების მიმართ, მაგრამ მათ ერთ დიდ ნაკლად მიმაჩნია, რომ გონიერი ქალები არ იზიდავთ. ისინი წარმატებულ ქალთან ურთიერთობასაც ერიდებიან: ეშინიათ, რომ მათ გვერდით დაიჩრდილებიან. ამიტომ ნაკლებად მაქვს სასიყვარულო, რომანტიკული თავგადასავალი.

— ტინეიჯერულ ასაკში ბიჭები ბევრ სისულელეს სჩადიან, გოგოს ყურადღება რომ მიიქციონ. ალბათ, შენ გამოც წასულან რისკზე...

— მეხუთე კლასში ვიყავი, ჩემ გვერდით მჯდომ ბიჭს რომ მოვწონდი (ის ახლა ცნობილი ადამიანია, მის ვინაობას ამიტომ ვერ გაგიმხელთ). მთელი წელი, სკამზე ჭიკარტებს მიწყობდა ხოლმე... ის ქირურგობაზე ოცნებობდა. მახსოვს, ერთხელ, ჩემი გამძლეობის გამოცდა გადაწყვიტა. სკოლაში ლანცეტი მოიტანა და მითხრა — ხელს გაგიჭრიო. მარცხენა ხელი გავუწოდე, მარჯვენა ვერ გავიმეტე. თვალებში მიყურებდა, აინტერესებდა, რა რეაქცია მექნებოდა. ვეხვეწებოდი — ძალიან არ გამიჭრამეთქი... იარა ახლაც მეტყობა... მოგვიანებით, ეს გრძნობა მყარ მეგობრობაში გადაიზარდა. როცა სხვა შეუყვარდა, კარგი ძმაკაცივით ვეხმარებოდი და მხარში ვედექი.

— რას ურჩევდი იმ გოგონებს და ბიჭებს, ვინც პირველად მიდიან პაემანზე? როგორ ფეხსაცმელზე უნდა შეჩერდეს მათი არჩევანი?

— ყველა გოგოს ვურჩევდი, პაემანზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვას: კაცი ქალის მოახლოებას ქუსლის კაკუნის ხმით გებულობს... ბიჭებმა კი, ფეხსაცმელი ისე უნდა გაწმინდონ, რომ იპრიალოს და უმჯობესი იქნება, თუ მათ ფეხსაცმელს ნაოჭები არ ექნება.

■

1964 წლის 18 ნოემბერი დაუვიწყარია ქართული სპორტის ისტორიაში. იმ დღეს, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა რეალობად აქციეს წინა თაობების მრავალწლიანი ოცნება — მათ პირველად მოიპოვეს საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდის ტიტული. ტაშკენტის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ დამატებით მატჩში „დინამომ“ ანგარიშით 4:1 დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო“ და უზბეკეთის დედაქალაქიდან „ოქროს ბიჭებად“ დაგვიბრუნდა.

არადა, რიგელი არბიტრის რუბენისის საფინალო სასტვენამდე 18 წუთით ადრე, მატჩს მოსკოველები იგებდნენ. მაგრამ შეხვედრის ბედი, ილია დათუნაშვილის მიერ კუთხურიდან გატანილმა გოლმა შემოაბრუნა. დღეს ტაშკენტური მატჩის გმირი თავის მოგონებებს გვიზიარებს.

კუთხურიდან „ჩახვეული" გოლი, ქართველების „დესანტი" ტაშკენტში და ოქროს სათების „წვიმა"

გოგი ფრანგიშვილი

— ბატონო ილია, იმ დღის შემდეგ, თაობებიც შეიცვალა და ბევრი რამ დავიწყებასაც მიეცა. ამიტომ, ალბათ უჯრანი იქნება, თავიდან დავიწყოთ: როგორ მოხვდით „დინამოში“? როგორი იყო თქვენი განცდები, როცა ქართველთა მთავარი კლუბის მაისური პირველად მოირგეთ?

— იმ პერიოდში, ყველა დამწყები ფეხბურთელის ოცნება, თბილისის „დინამოში“ თამაში იყო. ბუნებრივია, მეც ეს მიზანი მქონდა. 50-იანი წლების დასაწყისში, ჩვენი ოჯახი ბათუმში ცხოვრობდა. სწორედ მაშინ, თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ცენტრალურმა მცველმა ბორის ფროლოვმა ბათუმში საფეხბურთო სკოლა გახსნა. ბატონი ბორისი იმდენად ცნობილი ფეხ-

ბურთელი იყო, რომ თანატოლებთან ერთად მაშინვე ჩავეწერე მის სექციაში. მაგრამ ყმაწვილკაცობაში ცოტა ცელქი ბავშვი ვიყავი და მალე, ბიძაჩემმა ლანჩხუთში წამიყვანა და იქ ადგილობრივ „კოლმეურნეში“ გავაგრძელე თამაში. იმ წლებში ქართულ ფეხბურთში ასეთი წესი იყო: სეზონის დამთავრების შემდეგ, პერსპექტიული ჭაბუკებისგან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნაკრებ გუნდებს ადგენდნენ, რომლებიც ამხანაგურ მატჩს ატარებდნენ თბილისში. აქ კი, მწვრთნელებსა და სპეციალისტებს ნიჭიერი ახალგაზრდების შერჩევის საშუალება ჰქონდათ. მე დასავლეთის გუნდში ვითამაშე და როგორ ჩანს, არცთუ ისე ურიგოდ, რადგან სწორედ ამ შეხვედრის დროს მოვეწონე ცნობილ მწვრთნელს ანდრო ჟორდანიას. მაშინ ქუთაისის „ლოკომოტივი“ საკავშირო ჩემპიონატის „ბ“ კლასში გამოდიოდა და ერთი სეზონი რიონისპირელთა გუნდში ვითამაშე. 1958 წლის ბოლოს, ბატონი ანდრო თბილისის „დინამოს“ უფროს მწვრთნელად გადმოიყვანეს და მან მეც საქართველოს მთავარ გუნდში ჩამრიცხა. საოცარია, ახლაც მახსოვს – როდესაც „დინამოს“ მაისური მომცეს, რომელსაც მკერდზე ასო „დ“ ეწერა, სიხარულისა და სიამაყის გამო, ღამის ორ საათამდე სარკეში ვუყურებდი საკუთარ თავს. ჩემი დებიუტი უმაღლეს ლიგაში 1959 წელს შედგა. საკავშირო ჩემპიონატის მეორე მატჩი თბილისის „დინამოს“ სტუმრად როსტოვის არმიელთა გუნდთან ჰქონდა. წინა სეზონში, როდესაც ჯერ კიდევ ქუთაისის გუნდში ვიყავი, ორივე მატჩი როსტოველთა წინააღმდეგ კარგად ვითამაშე და ბატონი ანდროც ალბათ ამიტომაც მენდო და სასტარტო შემადგენლობაში დამაყენა...

— სხვათა შორის, ანდრო ჟორდანიას, რომელსაც თქვენთვის დიდი ფეხბურთის გზა დაულოცია, 4 ნოემბერს 100 წელი შეუსრულდებოდა. იქნებ გვითხრათ, რა გამორჩეული მეთოდი ჰქონდა ბატონ ანდროს, როგორ ახერხებდა, ასობით მოზარდს შორის, ნიჭიერი ჭაბუკების ამოცნობას და მათ დაოსტატებას?

— ბატონი ანდრო საოცარი პიროვნება იყო. მას მართლაც, სელექციონერის საოცარი ნიჭი ჰქონდა. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ქართული ფეხბურთის ჩამოყალიბება და აღმასვლა ანდრო ჟორდანიას სახელთანაა დაკავშირებული. მან მთელი ცხოვრება ფეხბურთს შესწირა. ოჯახი არ ჰყავდა, მისი ოჯახიც და შვილებიც ქართული ფეხბურთი და ფეხბურთელები იყვნენ. გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, მიხეილ მესხი, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ჭკუასელი და კიდევ ბევრი სხვა, სწორედ ანდრო ჟორდანიას უტყუარმა ალღომ მოიყვანა ფეხბურთში. მისი აღზრდილებიდან 9 – სპორტის დამსახურებული ოსტატი გახდა, ხოლო 15 ფეხბურთელი სხვადასხვა დროს, საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაშობდა. მიუხედავად ამ შედეგებისა, ბატონ ანდროს ჩინოვნიკები რატომღაც არ წყალობდნენ და დიდხანს არ აჩერებდნენ ერთ გუნდში. თბილისის „დინამოში“ მან საერთო ჯამში 5-6 წელი იმუშავა და ამ ხნის განმავლობაში, გუნდი ოთხჯერ გახდა ჩემპიონატის პრიზიორი, სამჯერ კი, საბჭოთა კავშირის თასის ფინალში ითამაშა.

— 1964 წელს, ჩემპიონატი ისე დასრულდა, რომ პირველად საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ჩემპიონი ვერ გამოვლინდა. თბილისის „დინამომ“ და მოსკოვის „ტორპედომ“ ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს და უძლიერესის გამოსავლენად ამ ორ გუნდს შორის დამატებითი მატჩი დაინიშნა, რომელიც სეზონის ბოლოს, 18 ნოემბერს შედგა ტაშკენტში. როგორ ემზადებოდით გადამწყვეტი მატჩისთვის?

— იმ წელს ჩვენ პირველ წრეში ფრედ 1:1 ვითამაშეთ მოსკოვში, თბილისში კი, ანგარიშით 3:1 დავამარცხეთ „ტორპედო“. ასე რომ, გამარჯვების გვჯეროდა. რაც შეეხება მზადებას, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში აგარაკი გამოგვიყვეს, ვითომდა განსაკუთრებული პირობების შესაქმნელად. თუმცა, ეს მოუხერხებელი იყო,

მთავარი ის იყო, რომ არავინ ჩარეულა ჩვენს საქმეში და არც პარტიულ ლიდერებს დავუმოძღვრივართ.

ილია დათუნაშვილი: „ტრაბახად არ მინდა ჩამომართვათ, მაგრამ პირდაპირ კუთხურიდან გოლის გატანა მართლაც, იშვიათობაა ფეხბურთში“

რადგან სავარჯიშოდ, ისევ დიღმის ბაზაზე დავდიოდით. რა თქმა უნდა, ჯობდა, დიღმაში გაგვევლო დასკვნითი შეკრება და იქვე გვეცხოვრა, მაგრამ საქართველოს მაშინდელი მთავრობა თავისებურად ცდილობდა დახმარებას. მთავარი ის იყო, რომ არავინ ჩარეულა ჩვენს საქმეში და არც პარტიულ ლიდერებს დავუმოძღვრივართ. ვემზადებოდით ნორმალურ სიტუაციაში. ტაშკენტში ოთხი დღით ადრე ჩავფრინდით, სადაც ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის – „ფახთაქორის“ საწვრთნელ ბაზაზე მოგვათავსეს და ყველანაირი პირობაც შეგვიქმნეს. იქვე ვატარებდით ვარჯიშს, ბოლოს კი, ტაშკენტის ცენტრალურ სტადიონზეც ვივარჯიშეთ.

— ვიცი, რომ თქვენთან ერთად ტაშკენტში ლამის, მთელი თბილისი გადაფრინდა.

— არა მარტო თბილისი – ალბათ ნახევარი საქართველო უფრო ითქმის. ყოველ შემთხვევაში, იმ წლებში, ტაშკენტის მიმართულებით დღეში ერთი რეისი მიფრინავდა, მოსკოვისკენ კი – ხუთი. ამ მატჩის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ მოსკოვის რეისები მოხსნეს და ტაშკენტზე დანიშნეს... და მაინც, გულშემატკივრებს ესეც არ ეყოთ, ამიტომაც ჩვენი თაყვანისმცემლები სხვადასხვა გზით მიემგზავრებოდნენ უზბეკეთის დედაქალაქისკენ. საბოლოოდ, თუ არ ვცდები, სტადიონის მესამედი ქართველი გულშემატკივრებით შეივსო...

— საინტერესოა, უზბეკი გულშემატკივრები ვის უჭერდნენ მხრს?

— ჩვენ, ფეხბურთელებს მაშინ მაგის გასარკვევად სად გვეცალა!.. მაგრამ მატჩის შემდეგ, ქართველმა ბიჭებმა გვითხრეს, რომ თავიდან, მასპინძლები მოსკოველთა მხარდაჭერას გამოხატავდნენ. ეს მანამ, ვიდრე ტორპედოელები ლიდერობდნენ – პირველი გოლი ხომ ჩვენს კარში გავიდა, – მაგრამ შემდეგ, უკვე მთლიანად ქართულ გუნდს ქომაგობდნენ. აქ საინტერესოა აღინ-

იშნოს ერთი მომენტიც. მატჩი ჩვენ რაღაცნაირად შებოჭილებმა დავიწყეთ. როგორც ჩანს, მაინც ნერვიულობამ იჩინა თავი და ამ დროს თურმე, ჩვენი უფროსი მწვრთნელი გავრილ კაჩალინი სულ გაიძახოდა – ნეტავ, გაგვიტანონ ტორპედოელებმა, ნეტავ, გაგვიტანონო!.. სათადარიგოთა სკამზე მჯდომ ჩვენს მეორე მწვრთნელს, ალიოშა კოტრიკაძეს უფიქრია – გაგვიდა, მგონი, გავრილამო... მაგრამ კაჩალინმა კარგად იცოდა, რასაც ამბობდა: როცა მოსკოველებმა გოლი გაგვიტანეს, მაშინ გამოვფხიზლდით და ავთამაშდით ისე, როგორც ქართულ „დინამოს“ შეეფერებოდა. და მიუხედავად იმისა, რომ მატჩის ძირითადი დროის დამთავრებამდე სულ რაღაც 18 წუთით ადრე, „ტორპედო“ ისევ იგებდა, მაინც ჩვენი გამარჯვების გვჯეროდა.

— ...და აქ მოხდა ის, რაც რიგით მატჩებშიც კი, პრაქტიკულად ათასში ერთხელ ხდება — თქვენ პირდაპირ კუთხურიდან გაიტანეთ გოლი და ანგარიშიც გათანაბრდა...

– ტრაბახად არ მინდა ჩამომართვათ, მაგრამ პირდაპირ კუთხურიდან გოლის გატანა მართლაც, იშვიათობაა ფეხბურთში. დროის მოკლე მონაკვეთში, სამჯერ ჩამოვწოდე კუთხური. პირველი, უახლოეს ძელთან მოვაწოდე და მეკარემ მოიგერია; მეორეც ასევე მოვჭერი და მოსკოველთა გოლკიპერმა შაპოვალენკომ კვლავ კუთხურზე გადააგდო ბურთი. როგორც ჩანს, ის მესამე კუთხურსაც იქვე ელოდა, მაგრამ ამჯერად, უკვე შორეული ძელისკენ გავგზავნე ბურთი და მეკარეც შეცდა: იგი ჯერ წინ დაიძრა, შემდეგ უკან გადაიხარა, მაგრამ ველარ მოასწრო და მხოლოდ თვალი გააყოლა ბურთს, რომელიც ბადეში ჩაეხვა...

— საინტერესოა, ეს შემთხვევით მოხდა, თუ მანამდეც გქონდათ გატანილი გოლი კუთხურიდან.

– იმ სეზონში ასეთივე გოლი გავუტანე ბაქოს „ნეფტიანიკს“. პირველ წრეში ბაქოელ ფეხბურთელებს საკუთარ მოედანზე 1:0 მოვუგეთ. მეორე წრეში კი, თბილისში ვერა და ვერ გავტეხეთ. თამაში უკვე მთავრდებოდა და ანგარიში 3:3 იყო. და აი, ასეთ დაძაბულ შეხვედრაში შევძელი, კუთხურიდან გამარჯვების გოლის გატანა.

— როგორც ჩანს, სპეციალურად ვარჯიშობდით.

– კუთხურიდან მოწოდებებზე ჯერ კიდევ ქუთაისის „ლოკომოტივში“ დავიწყე მუშაობა. უფრო ინტენსიურად თბილისის „დინამოში“ გავაგრძელე. ბოლოს და ბოლოს, ისე დავხვეწე, რომ ორივე ფეხით შემეძლო, კუთხურიდან ბურთის ბადეში ჩახვევა. მოხარული ვარ, რომ ამდენი შრომა გარკვეულწილად დამიფასდა და ტაშკენტურ პრინციპულ მატჩში შევძელი გოლის გატანა.

— დამატებით დროშიც თქვენ დააწინაურეთ „დინამო“...

– იმ ეპიზოდში, მიხეილ მესხმა ჩინებული პასი მომაწოდა შეტევის მარჯვენა ფრთაზე და მეც ზუსტად დავარტყი. ამ გოლის შემდეგ, მოსკოველებიც პრაქტიკულად გატყდნენ... მესამედ ტორპედოელთა კარი თავად მიხეილ მესხმა აიღო, ხოლო სლავა მეტრეველის თერთმეტმეტრიანის შემდეგ, საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა – 4:1. „დინამომ“ გაიმარჯვა და ჩემპიონატის ოქროს მედლებსაც პირველად დავეუფლეთ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მატჩის დასრულებისთანავე, გულშემატკივრებმა ათასობით გაზეთს წაუკიდეს ცეცხლი და სტადიონიც ამ უჩვეულო ჩირაღდნებით გიზგიზებდა. თბილისშიც უამრავი გულშემატკივარი დგებოდა. ეს ქართული გუნდის პირველი დიდი გამარჯვება იყო და ჩვენი ქომაგებიც გულით ხარობდნენ.

იმ ეპიზოდში, მიხეილ მესხმა ჩინებული პასი მომაწოდა შეტევის მარჯვენა ფრთაზე

— საინტერესოა, საბჭოთა საქართველოს მთავრობამ როგორ აღნიშნა თქვენი გამარჯვება?

– სხვათა შორის, რესპუბლიკის ხელმძღვანელობისგან ყურადღება ნამდვილად არ გვაკლდა. მართალია, დღევანდელი ფეხბურთელებივით, ათასობით და მილიონობით დოლარი არ გვქონია, მაგრამ მცირე პრემიები მაინც მოგვცეს. პირადად მე, სამოთახიან ბინასაც გამოვკარი ხელი. საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანთან ვასილ მჟავანაძესთან შეხვედრის დროს, ჩემი თხოვნით, გავრილ კაჩალინმა მას უთხრა – ილია დათუნაშვილი ცოლის მოყვანას აპირებს და იქნებ, სამოთახიანი ბინა მისცეთო. მჟავანაძეს გაეცინა და პირობა მისცა... პირველმა მდივანმა კი დამასაჩუქრა, მაგრამ ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე არ მაძლევდა სამოთახიან ბინას. ვინ უნდა ჩაწერო ამ სამოთახიანშიო? – მკითხა, – არავინ, მარტო ვცხოვრობ-მეთქი, – ვუპასუხე. – გიჟი ხომ არა ხარ! მარტო კაცს სამი ოთახი როგორ მოგცეო? – კაი, ბატონო, კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი, – ვუპასუხე და წამოვედი. არ გასულა რამდენიმე წამი, ვხედავ, დერეფანში მომდევს და თან ყვირის – გამოუწერეთ ორდერი სამივე ოთახზე, თორემ, დაგვჭერენ ყველას, ჯანდაბას მაგის თავიო!.. კაბინეტში რომ შევბრუნდი, აღმასკომის თავმჯდომარემ მითხრა – ბატონო ილია, 30 წელია, აქ ვმუშაობ და ერთი კაცისთვის სამოთახიანი ბინა არასოდეს მიგვიციაო!.. ვუპასუხე – რა მოხდა, დალოცვილო, კიდევ გავხდებით ჩემპიონები და კიდევ გამომიწერ სამოთახიანი ბინის ორდერს-მეთქი... საჩუქრებით საქართველოს ყველა რაიონში გვანებივრებდნენ. მთელი საქართველო გახარებული იყო და ყველა თავისთან გვეპატიჟებოდა. როგორც წესი, ოქროს საათებით გვასაჩუქრებდნენ. მართალია, ეს საათები შვეიცარიულს არ სჯობდა, მაგრამ იმ დროისთვის საკმაოდ ძვირი – 100 მანეთი ღირდა...

— 1964 წლის შემდეგ, თბილისის „დინამომ“ 1978 წელს შეძლო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამარჯვება. თქვენი აზრით, რომელი გუნდი იყო უფრო ძლიერი?

– საერთოდ, მსგავსი შედარებები არასწორად მიმაჩნია. ორივე გუნდში სოლიდური ვარსკვლავები თამაშობდნენ, მაგრამ მათ შორის თოთხმეტწლიანი პერიოდია, ფეხბურთი კი სულ წინ მიდის... ჩვენ ვთვლით, რომ 1964 წლის „დინამო“ უფრო ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა, 70-იანელების აზრით კი, მათი გუნდი იყო უკეთესი. ფაქტი ერთია – ორივე, ქართული გუნდი იყო და ორივე ჩვენი სიამაყეა, ხოლო რომელი ჯობს, ეს გულშემატკივარმა თქვას.

— დაბოლოს, დღევანდელ ქართულ ფეხბურთზე გაგვიზიარეთ თქვენი აზრი.

– დღეს, რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდები არც სანაკრებო და არც საკლუბო დონეზე არ ბრწყინავენ. მაგრამ ნიჭიერი ფეხბურთელები რომ გვყავს, ეს უდავოა. გაიხსენეთ, რამდენი ჩვენებური თამაშობს უცხოეთის სხვადასხვა კლუბში! რატომ?.. ტყუილად ხომ არავინ წაიყვანდა?.. ცოტა დრო გვჭირდება და მჯერა, რომ ქართული ფეხბურთი ისევ გაიმართება წელში და დიდ გამარჯვებებსაც იზეიმებს!..

■

BMW-ს მუშახელი ახ ჰყოფნის

გერმანული კონცერნის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა კონკურსი, მის საწარმოებში ინჟინერთა ვაკანსიების შესავსებად. მხოლოდ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, 965 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. სულ გერმანიასა და მის ფარგლებს გარეთ კონცერნში 105 ათასი ადამიანი მუშაობს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ყველა საწარმო სრული სიმძლავრით მუშაობს. ევროპის სხვა ავტომწარმოებელთა წინაშე მდგარი სიძნელეების ფონზე, ეს განსაკუთრებით თვალში საცემია. როგორც ამ ცოტა ხნის წინ კონცერნის თავკაცმა ჰელმუტ პანკემ განაცხადა, 2004 წლის დამლევისთვის, BMW-ს მოგება შესაძლოა, 8%-ით გაიზარდოს. წლის პირველი 6 თვის მანძილზე, კომპანიამ 590983 ავტომობილი გაყიდა. მათ შორისაა Rolls-Royce-სა და Mini-ს მანქანები. აღნიშნული ციფრი 8,5%-ით აღემატება შარშანდელი წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. როგორც ვარაუდობენ, ამის შედეგად, კონცერნი გაიმეორებს და განამტკიცებს 2003 წლის მიღწევას, როცა მისი წარმოების მოცულობამ მილიონ ავტომობილს გადააჭარბა.

საუცხოოდ იყიდება დიდი ბრიტანეთის ქარხანაში წარმოებული კომპაქტური მანქანა „მინი“. მომხმარებელთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იქ დამატებითი სამუშაო ცვლების შემოღებაც კი მოუხდათ. კონცერნის მესვეურები არანაკლებ ოპტიმისტურ პროგნოზს აკეთებენ 1-ლი სერიის მანქანებზე – ე.წ. გოლფ-კლასის მოდელზე, რომელიც ახლო მომავალში გამოვა ავტომოყვარულთა სამსჯავროზე და შესაძლოა, სერიოზული კონკურენცია გაუწიოს A კლასის „მერსედესსა“ და „ფოლკსვაგენ-გოლფს“. ■

ჯოლოფი-სათესრება

გერმანულმა კონცერნმა Volkswagen გამოაცხადა, რომ საგრძნობლად წაიწია წინ სუპერავტომობილის – Bugatti Veyron – შექმნის გზაზე. მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ლიმუზინის წარმოება საორიენტაციოდ 2005 წლის მეორე ნახევარში დაიწყება. მანქანის სავარაუდო ფასმა შესაძლოა, მილიონ ევროს გადააჭარბოს. ძირითადი სირთულე, რომელსაც კონსტრუქტორები წააწყდნენ, გადაცემათა კოლოფი აღმოჩნდა. 1001 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე 16-ცილინდრიანი ძრავა მაქსიმალურად საიმედო უნდა იყოს. მანქანის შემქმნელებს Bugatti-სთვის 7-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფის შემუშავება მოუხდათ. მისი შექმნისას ავტომრეწველებმა მიმართეს იმავე ტექნოლოგიას, რომელსაც VW Golf-ში, Touran-ში, Audi A3-სა და TT-ში იყენებდნენ; ის სიჩქარეთა მაქსიმალურად რბილ გადართვას ითვალისწინებს. ავტომატურის გარდა, ახალი ლიმუზინის მართვისას, გადაცემათა გადართვა სპეციალური ჯოისტიკის მეშვეობითაც იქნება შესაძლებელი. ■

Pininfarina-მ "ნამცეცა" "გამოაცხო"

იტალიურმა სადიზაინერო ატელიემ ექსპერიმენტული მოდელი – Klido წარმოადგინა. სუპერკომპაქტური საქალაქო მანქანა ორი კაცისთვისაა განკუთვნილი. მისი სიგრძე 2,89 მ-ს, სიგანე – 1,67 მ-ს, ხოლო სიმაღლე – 1,53 მ-ს შეადგენს. მანქანა უკანაამძრავიანია, ძრავა უკან აქვს მოთავსებული. „ნიდოში“ განხორციელებული მთავარი იდეა, მძღოლისა და მგზავრის უსაფრთხოება გახლავთ. შეჯახების შემთხვევაში, ძარა შესიზე, როგორც თავკავებზე გადადგილდება, რაც დარტყმის ძალას შეასუსტებს: წინ გადაადგილების დიაპაზონი 35 სმ-ს, უკანა კი – 12სმ-ს აღწევს.

მანქანის სალონი რბილი მასალებითაა მოპირკეთებული. საჭის სისტემაში არ არის გამოყენებული მექანიკური კვანძები: ის სისტემას – Drive-by-wire – ეყრდნობა, რომელიც საჭის დატრიალების დროს, წინა ბორბლების სამართავი ელექტრონული სენსორების გააქტიურება ხდება. ამ სისტემას არ ესაჭიროება ტრადიციული საჭის ღერძულა, რომელიც ტრავმატიზმის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო კვანძი გახლავთ. ■

გაისანით – ახალი Mazda

ცოტა ხნის წინ გამართულ პარიზის ავტოსალონზე იაპონურმა კომპანიამ წარმოადგინა მოდელი – Mazda 6 MPS, რომლის სერიული წარმოება 2005 წლის გაზაფხულზე დაიწყება.



მანქანა აღჭურვილი იქნება 2,3 ლ მოცულობის 4-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათი, რომელიც 260 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. 100 კმ/სთ სიჩქარეს ახალი „მაზდა“ 6,6 წმ-ში მიაღწევს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 240 კმ/სთ-ია. ის სრულამძრავიანი სქემის მიხედვითაა აწყობილი, რომელსაც სერიულ მოდელზე – Mazda 6 MTR AWD Sport-Kombi – იყენებენ. ■

ნეპალის მეფის ქართული სიტყვა და იჯარით აღებული მარშრუტები



საქართველოს ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ 1100 კილომეტრზე კავკასიონის მთებია გადაჭიმული. ეს მწვერვალები ქართველებს მიწა-წყლის შენარჩუნებაში ეხმარებოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს კავკასიონზე მთელი საბჭოთა კავშირიდან შეკრებილი მთამსვლელები იყვნენ მობილიზებული. გერმანელების უკუგდების შემდეგ, ევროპის უმაღლეს მწვერვალზე — იალბუზზე აღმართული სვასტიკიანი დროშა სხვებთან ერთად ქართველმა მთამსვლელებმა — ბექნუ და გაბრიელ ხერგიანებმა ჩამოხსნეს...

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი შოთა მირიანაშვილი მსოფლიო კლასის სპორტის ოსტატია. ეს წოდება საქართველოში სულ 5 კაცს ერგო. ბატონი შოთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპინიადებს წელიწადში 3-4-ჯერ აწყობს. 68 წლის მთამსვლელი სათავეში უდგას სტუდენტთა კოლონას, რომელიც ყაზბეგის, ხევსურეთისა თუ სვანეთის მთების დასაპყრობად მიემართება.

ლევან ებრალიძე

— რამ გიბიძგათ მთამსვლელობისაკენ?

— როდესაც უნივერსიტეტში საბუთები შემქონდა, ცოდნის ტაძარს სათავეში დიდი პიროვნება, ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი პატრიარქი — ნიკო კეცხოველი ედგა. ეწყობოდა მასობრივი სტუდენტური ალპინიადები. მეც ჩავეწერე ალპურ კლუბში და პირველად, არაგვის სათავესთან ყელის ტბასთან წავედით. ამის შემდეგ, მწვერვალების დაპყრობით „მოვიწამლე". მართალია, მძლეოსნობით ვიყავი დაკავებული და კრივში თბილისის ახალგაზრდული ნაკრების წევრიც გახლდით, მაგრამ მთამსვლელობაში ყველაზე სწრაფად მივაღწიე კარგ შედეგებს. ოთხ წელიწადში საქართველოს ნაკრებში მოვხვდი და 1961 წლიდან ვკაპიტნობდი კიდეც.

— რითია მომხიბვლელი ალპინიზმი, რის გამოც ადამიანი საფრთხესაც კი არ ერიდება?

— ამ კითხვაზე სრულყოფილი პასუხის გაცემა შეუძლებელია. მომხიბვლელი მხოლოდ ის არ არის, რომ მწვერვალზე ახვალ და ქვეყანას გადახედავ. შეიძლება ისეთი ნისლი დაგხვდეს, ვერაფერი გაარჩიო. ჩემი აზრით, მთავარია, გაუკვალავი გზების გაკვალვა, ისეთის, რომელთა დაძლევა შენამდე სხვამ ვერ შეძლო — ანუ მიუღწევლის მიღწევა. მსოფლიოში სულ 14 მწვერვალია, რომელთა სიმაღლე 8000 მეტრს აღემატება. აქედან ერთის გარდა, ყველა, ჰიმალაებსა და ყარაყორუმშია. კაცობრიობის ისტორიაში სულ 15 კაცია, ვინც თოთხმეტივე 8000-იანი მწვერვალი დაიპყრო. ბევრია ისეთი, ვინც მარტო ცდილობდა ევერესტის დაპყრობას და ახლაც იქ არის გაყინული... ექსპერტების აღიარებით, შხარა ევროპაში ყველაზე რთული მასივია. შხარაზე არის V კატეგორიის (სულ ექვსია) მარშრუტი, რომელიც თქვენი მონამორჩილის სახელს ატარებს. სწორედ ამ მარშრუტის დაძლევის შემდეგ, მე და ჩემი პარტნიორი ოთარ ხაზარაძე, შედარებით ადვილი გზით ვეშვებოდით. შხარის უკან მზე ჩადიოდა. იქვე თოვლის პირამიდა — თეთნულდია აღმართული, წვერზე კი ღრუბელი ადევს. ჩამავალი მზის სხივებისგან ღრუბელზე ფერების ისეთი გამა გამოისახა, რომ მისი შემხედვარე მოვინუსხე. ამის დახატვა ან სხვა სახით გადმოცემა შეუძლებელია. ფოტოფირზე შეიძლება ცალკეული ეპიზოდი დაფიქსირო, მაგრამ იქ სამყაროს მთლიანობაში აღიქვამ. მშვენიერებით მოხიბლულს სულ დამავიწყდა, რომ დაცვაზე ვიდექი და ოთარი ჩემს იმედზე ეშვებოდა... თურმე, ჩემი პარტნიორი მოწყვეტილა და ბედად, ნაპრალში გაჭედილა. იქიდან ყვიროდა კიდეც, — მიშველეო, — მაგრამ არაფერი მესმოდა. მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ, როცა ყველა ფერი გაქრა და ღრუბელი განაცრისფრდა, ჩავედი და ამოვიყვანე. ასეთ რამეს მხოლოდ მწვერვალზე თუ ნახავ.

— კიდევ რომელ ასვლას გაიხსენებდით?

— 1961 წლიდან, სადაც კი ქართველებს გაუმარჯვიათ, ყველგან მეც ვარ ნამყოფი. 1958 წელს, თბილისში ნეპალის მეფე ჩამოვიდა. მონარქი საქართველოს ალპურ კლუბსაც ეწვია. ქართველების მიზანი იყო, ევერესტზე ასვლის უფლება ეთხოვათ. მაშინ ახალი დაპყრობილი იყო ინგლისელების მიერ და მთელი კლუბი ამ ასვლის სურათებით იყო აჭრელებული. მეფეს ეს ძალიან გაუხარდა. კლუბის დატოვებისას თარჯიმნის საშუალებით ჩვენებმა ასვლის უფლება სთხოვეს. მეფემ პირად სტუმრებად დაგვპატიჟა და გზა განაგრძო. ნიკო კეცხოველმა თქვა — იქნებ, რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი დაგვიტოვოსო, — მაგრამ რა უნდა ექნათ?.. ხომ ვერ ჩამოეკიდებოდნენ მიმავალ მეფეს?!. მეფის სიტყვა იგივე დოკუმენტი აღმოჩნდა და მუხედავად ჩვენი ეჭვებისა, მოწვევა მოგვივიდა. მომზადებისთვის დრო არ გვყოფნიდა, ამიტომ 1958 წლის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი ვთქვით. ეს რომ რუსებმა გაიგეს, გადაირივნენ. შეუთანხმდნენ ჩინელებს და გადაწყვიტეს, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ნაკრები ევერესტზე ჩრდილოეთის მხრიდან ასულიყო. ჩვენი თოთხმეტკაციანი ჯგუფი „ლენინის პიკზე" მოსამზადებლად პამირის რაიონში ჩავიდა. იქ კი ჩინელებისა და რუსების 100-კაციანი ნაკრები დაგვხვდა თავისი ჟურნალისტებითა და ფედერაციის თუ მთავრობის წარმომადგენლებით. მათ შუალედური ბანაკებიც გაემზადებინათ. გვინდოდა, პიკზე ასვლა დაგვესწრო, მაგრამ პირველებს ვინ გაგვიშვებდა?! ჯერ ფეხბურთში და-

ვამარცხეთ მათი ნაკრები, მერე მოვატყუეთ, ვითომ შუალედური ბანაკის მოსაწყობად მივდიოდით და ეგრევე პიკის დასაპყრობად გავემართეთ. ჩვენს ხელმძღვანელს კი ტყავი გააძვრეს, მაგრამ ორი კვირის შემდეგ, მშვიდობით დავბრუნდით. შემდეგ ჩინეთთან გაფუჭებული ურთიერთობის გამო რუსები ვეღარ წავიდნენ ევერესტზე და დაბოღმილებმა აღარც ჩვენ გაგვიშვეს ნეპალში. ასე დაიკარგა ჩვენი ერთადერთი შანსი ევერესტზე ასვლისა.

— დღეს რა სიტუაციაა მსოფლიო ალპინიზმში?

— სიმაღლის ფაქტორმა მნიშვნელობა დაკარგა. ნორვეგიაში ერთ-ერთი მწვერვალი 800 მეტრამდე სიმაღლისაა, მაგრამ ყველაზე რთულ, VI ბ კატეგორიას მიეკუთვნება. ევერესტზე კი ამ კატეგორიის მარშრუტი საერთოდ არ არის. 1953 წელს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე ჟანგბადის 18-კილოგრამიანი ბალონებით აღჭურვილნი ავიდნენ. ახლა კი ტექნიკა ისე განვითარდა, რომ ჟანგბადის ბალონი სულ რაღაც 4 კილოგრამს იწონის და თანაც, 8 საათის განმავლობაში შეგიძლია, თავისუფლად ისუნთქო. ამიტომ სიმაღლე სირთულეს აღარ წარმოადგენს. თუმცა, არსებობს ხალხი, ვინც ამ ბალონების გარეშეც იპყრობს მწვერვალებს. დღეს, 50-იან წლებში გაკეთებული, ე.წ. კლასიკური მარშრუტები ტურისტულ კომპანიებს ივარით აქვთ აღებული. ისეა შუალედური ბანაკები მოწყობილი და ყველა სხვა პირობა შექმნილი, რომ რიგით ტურისტს დიდი მთამსვლელობა აღარ სჭირდება, ისე ავა და ჩამოვა, თუნდაც ევერესტზე. თუმცა, კიდევ რჩება ბევრი გაუვალი, ასათვისებელი მარშრუტი.

— სახელმწიფოს მხრიდან თუ ექცევა ყურადღება ქართული ალპინიზმის განვითარებას?

— სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე, ფედერაციისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, დღეს არავინ ზრუნავს. მხოლოდ უკანასკნელი 3 წლის მანძილზე, უნივერსიტეტმა, მთამსვლელთა ფედერაციასთან ერთად, ალპინიზმს 100-ზე მეტი ახალგაზრდა აზიარა. მაგრამ ჩვენი ეს ძალისხმევა ქვეყნის მასშტაბით, ცხადია, საკმარისი არ არის. ალპინისტური ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა სფეროში გამოიყენება, პირველ რიგში — სამხედრო საქმეში. აქედან გამომდინარე, საქართველოს არმისთვის, განსაკუთრებით კი, სასაზღვრო ჯარებისთვის, აუცილებელია სამთო მომზადება. ჩვენი სასაზღვრო ზოლის, მთების რთული რელიეფის პირობებში ბრძოლის ეფექტურობა არა მხოლოდ შეიარაღებასა და საბრძოლო მომზადებაზე, არამედ, ჯარისკაცთა სამთო გამოცდილებასა და რაიონის კარგ ცოდნაზე არანაკლებ იქნება დამოკიდებული.

— როგორც ვიცი, ქვეყნის ხელისუფლებისთვის კონკრეტული წინადადებებიც გაქვთ, არა?

— დიახ და კიდეც მივგიმართავს მრავალჯერ ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობისა და პრეზიდენტებისთვის, მაგრამ არავინ გამოგვეხმაურა. დაინტერესების შემთხვევაში, ძალოვანი სამინისტროების განკარგულებაში შეგვიძლია, სამთო საქმის გამოცდილი სპეციალისტები მივავლინოთ, გავუწიოთ მეგზურობა სპეცოპერაციების ჩატარებისას, მათ თანამშრომლებს ჩავუტაროთ ლექციები, სემინარები, საველე შეკრებები და ლაშქრობები. ეს ყველაფერი — უანგაროდ! ჩვენი სურვილია, საქართველოს ჰყავდეს სპეცდანიშნულების სამთო შენაერთები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებს დააკმაყოფილებს. საბჭოთა კავშირში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს (КГБ) სპეციალურ აღრიცხვაზე ჰყავდა ყველა მთამსვლელი. მათ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანმიმართულად ამზადებდნენ და იყენებდნენ. КГБ-მ სამწუხაროდ, იმაზეც იმუშავა, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალების გენშტაბის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემულ რუკებზე სახელმწიფო საზღვარი რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის ჩვენს საზიანოდ „შესწორებულიყო“ — ე.ი. ჩვენს მხარეს გადმოწეული. თავდაცვის სამინისტროს კარტოგრაფიის სამმართველომ ან შესაბამისმა უწყებამ სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი მსხვილმასშტაბიანი რუკების შექმნას და ამ ხარვეზების გამოსწორებას. სიტუაცია მართლაც რომ კომიკურია. ქართველმა კაცმა, მაგალითად, ხევის მკვიდრმა, მშობლიურ მყინვარწვერზე ასვლა რომ მოინდომოს, ნებართვა რუსებისგან უნდა აიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, საზღვრის დარღვევაში დაადანაშაულონ და დააკავონ!.. ამგვარი „უზუსტობების“ გამოსწორებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ ქართველ მთამსვლელებს. მით უმეტეს, რომ მათ რიგებში მაღალი დონის არაერთი მეცნიერ-მკვლევარია (კარტოგრაფი, გლაციოლოგი, გეოგრაფი და სხვა). ერთი სიტყვით, ჩვენი მიზანია, მოსახლეობაში, პირველ რიგში ახალგაზრდობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და პოპულარიზაცია, საერთაშორისო არენაზე ქართველ მთამსვლელთა ავტორიტეტის ამაღლება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და რაც მთავარია, სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი, ქვეყნის პატრიოტი თაობის აღზრდა. ■



მომხიბვლელი მხოლოდ ის არ არის, რომ მწვერვალზე ახვალ და ქვეყანას გადახედავ...



ჩვენი სურვილია, საქართველოს ჰყავდეს სპეცდანიშნულების სამთო შენაერთები

კვირის (22-28 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: თამამად აწარმოეთ საქმიანი მოლაპარაკებები. თქვენი მჭევრმეტყველება შედეგიანი იქნება. ოჯახში კი ნუ იქნებით უხვსიტყვიანი. ზედმეტად ნუ იტრაბახებთ მიღწეული წარმატებებით.

მამაკაცი: ნუ ენდობით ადამიანებს, რომელთაც კარგად არ იცნობთ. ისინი მომავალში ბევრ პრობლემას შეგიქმნიან. ფულის გასესხებისგან თავი შეიკავეთ.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: ამ კვირაში აქტიურობისკენ მოგიწოდებთ. ნუ იზარმაცებთ. ინერტული ადამიანები ვერასოდეს მიაღწევენ წარმატებულ კარიერას. მოეშვით ფუჭ ოცნებებს და იმოქმედეთ.

მამაკაცი: ფინანსურ სფეროში წარუმატებლობაა მოსალოდნელი. ამიტომ ნუ გაგიტაცებთ აღებმიცემობა. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს. ისინი ამ კვირაში თქვენთან გულახდილები იქნებიან. მოუსმინეთ მათ.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

ქალი: თუ თქვენი გეგმების განხორციელება აქამდე ვერ შეძელით, მიზეზი მხოლოდ თქვენშია. შეიცვალეთ იმიჯი, მუშაობის სტილი, ცხოვრების წესი. იყავით უფრო მხიარული ადამიანი და გვერდიდან არავინ მოგიცილებთ.

მამაკაცი: იმ საქმეში, რომელსაც მარტოც კარგად მოაგვარებთ, ნუ სთხოვთ დახმარებას მეგობრებს. ბოლოს და ბოლოს, ჩამოყალიბდით: დარდიმანდი ხართ თუ ორგანიზებული ადამიანი.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: მომჭირნეობისკენ მოგიწოდებთ. ამ კვირაში კირჩხიბ ქალებს ზედმეტი ხარჯის გაწევა მოუწევთ. სიყვარულში გიმართლებთ. მამაკაცები კომპლიმენტებს არ დაიშურებენ თქვენთვის და მთელი კვირის განმავლობაში სასიამოვნო განწყობილება გექნებათ.

მამაკაცი: წადით მაღაზიაში და სასწრაფოდ შეიძინეთ ახალი პიჯაკი. ვარსკვლავები ისეთ თავგადასავალს გიმზადებენ, მთელი ცხოვრება რომ არ დაგავიწყდებათ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: თქვენი რჩეული ცოტა უცნაურად იქცევა, მაგრამ მისი ქცევა არ არის სპონტანური. რაღაც აქვს ჩაფიქრებული, მაგრამ რა? – აი, ამის გარკვევას არ გირჩევთ ამ კვირაში.

მამაკაცი: ბევრ ხალხში ტრიალებთ და ძალიან იღლებით. ჯობს ძველი მეგობრები გაიხსენოთ, მათთან განმარტოვდეთ და უახლოესი ადამიანებისგან დადებითი მუხტი მიიღოთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: გულჩვილობის გამოვლენა არ ნიშნავს სისუსტის გამომჟღავნებას. ასე რომ, გზა მიეცით ქალურ ემოციებს, ამით უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენთ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებზე.

მამაკაცი: მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ და ამ კვირას ძალზე ხალისიანად გაატარებთ. ნუ გადადებთ სხვა დროისთვის ამ კვირაში დაგეგმილ საქმეებს.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: ფრთხილად მოეპყარით საქმიან ქაღალდებს. სამსახურში პრობლემები შეგექმნებათ თუ უპასუხისმგებლობას გამოავლენთ. ამ კვირაში თქვენ მიმართ ზედმეტად აგრესიულები იქნებიან ის ადამიანებიც კი, ვინც პატივს გცემთ.

მამაკაცი: დროა, ცხოვრება გაიხალისოთ, ერთფეროვან საქმეს მოსწყდეთ და თავს პაემანზე წასვლის ნებაც მისცეთ. დიდი რისკის ქვეშაც იმყოფებით. ლამაზმა ქალმა რომ მოინდომოს, ამ კვირაში ყველა საიდუმლოს „დაგაფქვევინებთ“.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ისე ხართ ყოველდღიური საზრუნავით გატაცებული, რომ ძალიან დაშორდით რომანტიკულ განცდებს. ჯობს ზოჯერ მაინც სხვა თვალით შეხედოთ სამყაროს...

მამაკაცი: ტყუილების კვირეული გეწყებათ, მაგრამ ფრთხილად, თქვენ საკუთარ თავზე გამოცდით, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: მიენდეთ ინტუიციას. იმოქმედეთ მხოლოდ გულის კარნახით. შეინარჩუნეთ მხიარული განწყობა კვირის ბოლომდე. ამისთვის კი საჭიროა, დრო იმ ადამიანების გარემოცვაში გაატაროთ, ვინც თავის პრობლემებს სხვას არ მოახვევს თავზე.

მამაკაცი: უარს ნუ იტყვით წინადადებაზე, რომელსაც ხელმძღვანელი ქალი შემოგთავაზებთ. წინ საინტერესო დღეები გელით.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ამ ბოლო დროს ეჭვები შეგიპყრობთ. გარკვეული დოზით შეიძლება ეს დასაშვებიც იყოს, მაგრამ გაფრთხილდით, ზედმეტი ეჭვიანობა სნეულებაში არ გადაგეზარდოთ.

მამაკაცი: ნუ იქნებით ამბიციური. თუ სწორ დასკვნებს გააკეთებთ და სწორად შეაფასებთ მოვლენებს, წარმატება სწრაფად მოვა თქვენთან. კვირის ბოლოს სასიამოვნო ამბავს გაიგებთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: იყავით უფრო მეტად მობილიზებული, ვიდრე საერთოდ ხართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახურში პრობლემები შეგექმნებათ.

მამაკაცი: თუ წარმატებისკენ მიისწრაფვით, ნუ გაამხელთ ჩანაფიქრს. ზედმეტი ხალხი (თუნდაც ისინი თქვენი გულშემატკივრები იყვნენ) მხოლოდ ხელს შეგიშლის მიზნის მიღწევაში. ასე რომ, ამ კვირაში ენაზე კბილის დაჭერას გირჩევთ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ეცადეთ, სწორი დასკვნები გააკეთოთ, რადგან ამ კვირაში დიდი ალბათობაა, არაობიექტური პოზიციით ახლობლებს გული ატკინოთ. თქვენი სამართლიანობა კი დაფასდება და დიდხანს ემახსოვრებათ.

მამაკაცი: სურვილების განსახორციელებლად კარგი შანსი მოგეცემათ. სამსახურში თუ კონფლიქტურ მდგომარეობაში აღმოჩნდით, მოჰკიდეთ პორტფელს ხელი და შინ წადით. უთანხმოების მიზეზი სხვა დროს გაარკვიეთ. .

ხანჯალი
ფინური აბანო
პატარა მდინარე
აშშ-ის ერთ-ერთი შტატი
ცურვის სტილი
საფოსტო გზავინილი
ციხის საწოლი
ინტელიგენციის სპეტ-ტიტული ინდოეთში
რუსული ჯიპი
ერთგვარი ქუდი
ზვლიკის მსგავსი ამფიბია
ავტო-მობილის კორპუსი
სახელმ-წიფო აფრიკაში
ზღაპრული შინაარსის იგავი
უმოტორო საფრენი აპარატი
ყველაფ-რისადმი უინ-ტერესობა
მღვდელ-მთავარი
მუზეუმი მადრიდში
ჯუჯა ცხენი
ავადმყო-ფის დროებითი იზოლაცია
გაზვიადებუ-ლი წარმოდგენა ღირსებაზე
ბუნებრივი წყალსა-ცავი
ფრანგი მწერალი
ყავის მოსადუ-ღებელი ჭურჭელი
ჭადრაკის ფიგურა
... პაჩინო
დედალი ცხვარი
კათო-ლიკური სამლოცვე-ლო
საგაზეთო წერილი
დიდი ზვლიკი
კოტე მარჯანიშ-ვილის ფილმი
მიწის ქალღმერ-თი
ძველი ქუთაისი
მარცვლე-ულის სალეწი ადგილი
გადასახ-ური მასალა
ინგლი-სური არაყი
სიკვდილ-ისწინა მდგომარე-ობა

22-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ.

ჯენტლმენური აღვილანგების ბოსტრეგული ჯენტლმენური

მოხერხებული თარჯიმანი

ლონდონში ადგილობრივ ორკესტრთან რეპეტიციის დროს, გენიალური, მაგრამ ფიცხი რიჰარდ ვაგნერი ძალზე უკმაყოფილო იყო მუსიკოსებით: სასულე საკრავებს სულ ეშლებოდათ რაღაც, მედოლე იგვიანებდა, ვიოლინოები კი, თითქმის არ ისმოდა... მაესტრო გაცოფდა და თარჯიმანს სთხოვა, გადაეცა ორკესტრანტებისთვის:

— თუ ამ იდიოტების ჯგრო არ დაუკრავს ისე, როგორც საჭიროა, ყველას გავყრი!

თარჯიმანმა თავი დაუკრა კომპოზიტორს და მუსიკოსებს მიუბრუნდა:

— ჯენტლმენებო, მაესტრო ბოდიშს გიხდით იმის გამო, რომ მისი მუსიკა გარკვეულ უხერხულობებს გიქმნით და გთხოვთ, მოიკრიბოთ ძალები, რათა როგორმე მიაღწიოთ დასახულ მიზანს...

მემორიალური დაფა

ერთხელ, როცა ბრამსის სახლიდან გამოდიოდა, კომპოზიტორის ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა მას ჰკითხა:

— ალბათ, თავად არასდროს დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რას დაწერენ ამ სახლზე გამოკრულ დაფაზე მრავალი წლის შემდეგ, როცა ამქვეყნად აღარ იქნებით...

— როგორ არა! მხოლოდ ორ სიტყვას.

— მაინც რომელს?

— „ქირავდება ბინა“...

ორი გენიოსი და ამაზრზენი სამყარო

როცა გენიოსმა გოეთემ პირადად გაიცნო გენიოსი ბეთჰოვენი, ის დარწმუნდა, რომ სხვები სიმართლეს ეუბნებოდნენ: კომპოზიტორი საკმაოდ უახასიათო გახლდათ. გოეთემ თქვა:

— ბეთჰოვენი მართალია, როცა ამბობს, რომ ეს სამყარო ამაზრზენია. მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ თავად ბეთჰოვენის არსებობით, ქვეყნიერება უკეთესი არ ხდება...

ანექდოტები

***

— გაიგე, ჭიჭიკამ ცოლი ითხოვა?..

— სულ რავა მათხოვრობს ეგ უბედური... 3 ლარი ჩემიც მართებს...

***

სვანი პლანით „დაბოლდება“.

ძმაკაცი:

— როგორა გრძნობ თავს?

სვანი:

— უფრო გამოქლიავებულივითა ვარ!..

***

მიხო და მარო ლოგინში წვანან და ფეხები აქვთ საბნიდან გამოყოფილი.

მარო ეუბნება მიხოს:

— ხედავ, მიხავ, შენ ჩემზე ბევრად ჭუჭყიანი ფეხები გაქვს.

მიხო პასუხობს:

— რა გიკვირს, დედაკაცო, შენ რომელი „ვოდა“ ხარ და მე — რომელი?!!

***

„ახალ ქართველს“ ცოლი მეორედ მოჰყავს. შვილს ეკითხება:

— როგორ მოგწონს ახალი დედიკო?

— მე მგონი, „ვადაგაგდეს“ — არც ისე ახალია...

***

გუბაზი ეუბნება დედამისს:

— დედა, მამას დაუკითხავად წავიყვანე მანქანა და დავამტვრიე...

— მერე, მამამ რა გითხრა?

— გინება გამოვტოვო?

— ჰო, ეგ გამოტოვე.

— მაშინ... ხმა არ ამოუღია.

***

ცოლი:

— ჩვენი მძღოლი უნდა გავუშვათ... ისევ კინალამ მომკლა...

ქმარი:

— ძვირფასო, ის კარგი ყმაწვილია, მოდი, კიდევ ერთი შანსი მივცეთ...

***

მიხო თავის შვილს ეუბნება:

— იცოდე, მაიტან სამიანსა და სამჯერა გცემ!

— მამი... მეცა ავდგები და ერთიან მავიტან, ჩემი ნება არ არი?! — პასუხობს შვილი.

***

მარო მიმართავს მიხოს:

— მიხო, პელოი მასკარადს აწყობს. მინდა ეგრეთი „მასკა“ გავიკეთო, რო ვერავინ მიცნოს.

— „მასკა“ არა ის, ეხლა იგრეთსა გხეთქამ, მეც ვეღარ გიცნობ...

***

იდეალურ სიდედრს მხოლოდ ორი კბილი უნდა ჰქონდეს: ერთი იმისთვის, რომ სიძეს ლუდი გაუხსნას ხოლმე, მეორე კი იმისთვის, რომ მუდმივად სტკიოდეს...

***

ორი სვანი ღილაკიან კალამს აწვალებს:

— შედის — გამოდის, შედის — გამოდის... მაიზერ, ბავშვი რატომ არ ჩნდება?!

მეორემ გამოართვა და დაშალა:

— ფუ, შენი!.. სპირალი ჰქონია ჩაყენებული!..

***

საავადმყოფოში კახელი მთავარ ექიმთან მიდის:

— ექიმო, ან გამწერე საავადმყოფოდანა, ან სხვა პალატაში გადამიყვანე, თორე გავაფრენ!

— რა ხდება?

— რაა, ჯო, და, ჩემს პალატაში, რო დაიწყებენ გურული, იმერელი და მეგრელი, დილიდან შუაღამემდე ანეკდოტებსა ჰყვებიან, რაჭველი კიდენა, შუაღამიდან დილამდე მთელი ხმით ხარხარებს და მე როდისღა დავიძინო?!.

***

ძმაკაცს გურული ბალეტზე მიჰყავს.

— რა გადის, ძამა? — კითხულობს გურული.

— „ბედების ტბა“!

— რაია, ძამა, გედი?

— რაია და დიდი კვატა!

სპექტაკლის დროს გურული ძმაკაცს ეკითხება:

— დამეხმარები, ძამა?

— რა იყო? რაში დაგეხმარო?

— ე, იმ მთავარ კვატას ვერ გამაცნობ?.

როგორია თქვენი ფსიქოლოგიური ასაკი?

ალბათ ცხოვრებაში შეხვედრიხართ ისეთ ადამიანებს, ვინც ახალგაზრდული შემართება, ენერგია და ცხოვრების ხალისი სიბერემდე შეინარჩუნა. თუმცა, არის იმის არაერთი შემთხვევაც, როცა შედარებით ახალგაზრდა ადამიანს განვლილი ცხოვრების წლები მძიმე ტვირთად აწევს ხოლმე მხრებზე. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ადამიანისათვის სულიერი ასაკი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ქრონოლოგიური ასაკი.

მნიშვნელობა არა აქვს რა ასაკის ბრძანდებით, უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ ტესტის შეკითხვებს და გარწმუნებთ, რომ ეს დაგეხმარებათ, უკეთ გაერკვეთ თქვენს შინაგან სამყაროში. დაიწერეთ 4 ქულა, თუკი აბსოლუტურად ეთანხმებით ქვემოთ მოყვანილ მოსაზრებას, 3 — თუკი ნაწილობრივ ეთანხმებით, 2 — თუკი უფრო მეტად არ ეთანხმებით, ვიდრე ეთანხმებით, 1 — თუკი კატეგორიულად არ ეთანხმებით.

1. მიმაჩნია, რომ საკმაოდ კარგი იუმორის გრძნობა მაქვს.
2. იმას, თუ რა აქვთ მხედველობაში სხვებს, ალღოს საკმაოდ იოლად ვუღებ ხოლმე, ვინაიდან ინტუიციის კარგი გრძნობა მაქვს.
3. იმედი მაქვს, რომ მომავალში ჯერ კიდევ ბევრი სასიამოვნო რამ მელის წინ.
4. ვფიქრობ, ადამიანებს ჩემთან ურთიერთობა სიამოვნებთ.
5. შესაძლოა, სხვას ჩემგან განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეს, მაგრამ მე ის მაინც სიმპათიურ ადამიანად მიმაჩნდეს.
6. მიყვარს ბავშვები.
7. სიამოვნებით ვხსნი ხოლმე სხვადასხვაგვარ ამოცანას.
8. როცა რაიმე საქმეს ვკიდებ ხელს, ყოველთვის ვცდილობ, რომ მისი უკეთ გაკეთების ხერხი გამოვძებნო.
9. როგორც წესი, ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევი მიზეზი ჩემს ინტერესს იწვევს ხოლმე.
10. ჩემი სამუშაოს გარდა, სხვა უამრავი გატაცებაც მაქვს.
11. ვცდილობ, რომ ჩემ გარშემო მომხდარი ნებისმიერი ცვლილება, უკეთესობისაკენ მომხდარ ცვლილებად აღვიქვა.
12. მიმაჩნია, რომ ჩემი საქმიანობით ადამიანებისთვის სიკეთე მომაქვს.
13. ზოგჯერ სიამოვნებით ვოცნებობ.
14. ჩემი საყვარელი მუსიკის მოსმენა განწყობილებას მიუმჯობესებს.
15. ახალ იდეებს ყოველთვის დიდი ინტერესით ვხვდები.
16. ცხოვრებისეული სირთულეებისა და წინააღმდეგობების წინაშე ფარ-ხმლის დაყრა არ მჩვევია.
17. მოსწრებულ ხუმრობაზე, შემიძლია მართლაც, რომ გულიანად ვიცინო.
18. ამქვეყნად ერთი ადამიანი მაინც არსებობს, რომელსაც შემიძლია ჩემი სანუკვარი ფიქრები გავუზიარო.
19. ფიზიკური აქტივობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს.
20. უცხო ადამიანების გაცნობა მსიამოვნებს.
21. მსურს, ვისწავლო რაღაც ახალი, ის, რისი კეთებაც ჯერ არ ვიცი.
22. ვცდილობ, მომხიბლავად გამოვიყურებოდე და ვფიქრობ, რომ ეს გამომდის კიდეც.
23. წვრილმანი უსიამოვნებების გამო ცუდ ხასიათზე არ ვდგები ხოლმე.
24. მომწონს ის დრო, რომელშიც მომიწია ცხოვრებამ.
25. ვფიქრობ, რომ საკუთარი უნარის სრულად გამოვლენის შანსი მომავალში აუცილებლად მომეცემა.

ტესტის შედეგები

75 ქულაზე მეტი: ასაკისდა მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ თქვენ მომავლის რწმენითა და ენერგიით ხართ აღსავსე. გულღია ხასიათით გამოირჩევით, არ გიჭირთ ადამიანებთან კონტაქტის დამყარება, ხართ ოპტიმისტი და ყველას მიმართ კეთილგანწყობილი. ასე რომ, თქვენი ხასიათის პატრონს, სიბერე კარგა ხანს არ გემუქრებათ.

50-74 ქულა: თქვენ ცხოვრებაში საკუთარ თავთან გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა მოგიხდათ. უამრავმა საზრუნავმა და სტრესმა სიხარულის გამოხატვის უნარი დაგიქვეითათ, სამაგიეროდ, სერიოზულობა და პასუხისმგებლობა გასწავლათ. შეიძლება ითქვას, რომ თქვენი ფსიქოლოგიური ასაკი „საშუალო“ დონით განისაზღვრება — ეი. იმ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნებით, ვინც დიდად არ არის დამძიმებული პრობლემებით. გაითვალისწინეთ, ცოტა მეტ მხნეობას და ოპტიმიზმს თუ გამოავლენთ, ნამდვილად არ გაწყენთ.

50 ქულაზე ნაკლები: ისეთ ადამიანებზე, როგორიც თქვენ ხართ, ამბობენ, რომ ამ ცხოვრებაში ბევრი რამ ნახეს და გადაიტანეს. მათ ამ ცხოვრებაში ყველაფრის ფასიც კარგად უწყიან. დაფიქრდით, ცოტა ნაადრევად ხომ არ დაგიდგათ ეს ხანა? ეს ცხოვრება ხომ საოცრად საინტერესოა და ჯერ კიდევ უამრავი რამის ნახვა და გაგება შეგიძლიათ!

მობილური მუცელში აწკიაცდა...

თურქეთში ერთ-ერთი ავტოგასამართი სადგურის თანამშრომელმა მობილური ტელეფონი დაკარგა. თავიდან ის დარწმუნებული იყო, რომ მობილური, რომელიღაც კლიენტმა მოჰპარა, მაგრამ მაინც, ისე, ყოველი შემთხვევისთვის აკრიბა საკუთარი ნომერი. წარმოიდგინეთ, თუ რაოდენ გაოცდებოდა, როცა ნაცნობი ზარის ხმა თავის სიახლოვეს მოესმა. ხანმოკლე ძიების შედეგად, კაცი დარწმუნდა, რომ ის ძაღლის მუცლიდან მოდიოდა. „როგორც ჩანს, სანამ რომელიღაც კლიენტს ვემსახურებოდი, ჩემმა ძაღლმა ტელეფონით დანაყრება გადაწყვიტა, – თქვა „დაზარალებულმა“ და დასძინა: – მიხარია, რომ მობილური არ მოუპარავთ. ძაღლმა ის მეორე დღეს, „ბუნებრივი გზით“, ყოველგვარი ოპერაციის გარეშე დამიბრუნა“...

სკეიტბოიდით მთელი კონტინენტი გადასერა

გერმანელმა დირკ გიონმა მთელი ავსტრალია გადასერა სკეიტბორდით, რომელიც ფრანზე იყო მიბმული. დირკმა სულ 17 დღე იმოგზაურა და კონტინენტის სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე 1850 მილი (1 მილი – 1300 კმ) დაფარა. როგორც მან აღნიშნა, ჯერ კიდევ 20 წლის წინ მოიხიბლა ავსტრალიით, იქ მოხვედრის დღიდანვე სურდა, ამ კონტინენტზე ემოგზაურა და ბოლოს, გადაადგილების ასეთი ორიგინალური ხერხიც მოუვიდა აზრად. „ვიფიქრე, რომ ეს კარგი იდეაა, რომელიც ჯერ არავის განუხორციელებია, – თქვა გიონმა. – დარწმუნებული ვარ, რომ ამ ტექნოლოგიის გამოყენებით, ნებისმიერ რეგიონში მოგზაურობაა შესაძლებელი. როცა ქარის სიძლიერე გიწყობს ხელს, ფრანის მეშვეობით სკეიტბორდით დღეში 300 კმ-მდე მანძილის დაფარვაა შესაძლებელი“.

პრესის ქვეშ მოხვედრილი ქონება

კურიოზული შემთხვევა მოხდა სინგაპურში, მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს ბანკში, რომელიც მუდამ მისდევს სიახლეს, მაგრამ ამჯერად, პროგრესისადმი ლტოლვის გამო, ნამდვილად ცუდ დღეში ჩავარდა. საქმე ის გახლავთ, რომ ბანკში ძველი მინისეიფების ახლებით შეცვლა მიმდინარეობდა, თანამშრომლებმა, ცხადია, სათანადო რევიზია ჩაატარეს და რამდენიმე ასეული დრომოჭმული სეიფი ჩამოწერეს. კომპიუტერმაც უჩვენა, რომ აღნიშნული სათავსები ცარიელი იყო და მათ გადასამუშავებლად, პრესის ქვეშ უკრეს თავი. ცოტა ხანში გაირკვა, რომ ელექტრონულმა სისტემამ რაღაც შეცდომა დაუშვა და ჩამოწერილთაგან 83 სეიფი ფასიანი ქაღალდებითა და ძვირფასეულობით იყო სავსე. მენეჯერებმა განგაში აატეხეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო: საბანკო სეიფები ლითონის გროვად ქცეულა. ბანკის მესვეურებს ძალზე უჭირთ ზარალის მასშტაბის განსაზღვრა, მით უმეტეს, რომ სათავსებში შენახული ქონების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ მათ მფლობელებს ჰქონდათ, მაგრამ ვარაუდობენ, რომ პრესის ქვეშ მილიონობით დოლარი მოხვდა.

სილამაზის კონკურსი "ანომალიებს" შოის

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში მოეწყო სილამაზის კონკურსი ტრანსვესტიტებსა და ტრანსსექსუალებს შორის. მასში 24 მონაწილე ეცილებოდა ერთმანეთს „დედოფლის გვირგვინს“. ზოგიერთ კონკურსანტს უკვე გაკეთებული ჰქონია სქესის შეცვლის ოპერაცია, მამრობითი სქესის წარმომადგენელთა ნაწილი კი, მხოლოდ ტანსაცმლით მოევლინა ქალად მაყურებელს.

კონკურსზე ამგვარი შეჯიბრისთვის დამახასიათებელი ყველა წესი იყო დაცული: მისი მონაწილენი პოდიუმზე სადამოს კაბებითაც გამოდიოდნენ, ბიკინებითაც და ჟიურის წევრთა კითხვებზე პასუხის გაცემაც მოუხდათ. ცხადია, ყველაზე ხშირად, „ჯოგონებს“ უწევდათ, ეპასუხათ კითხვებზე, თუ რატომ გადაწყვიტეს სქესის შეცვლა და როგორ გრძნობენ თავს ახალ „ტყავში“... კონკურსის მონაწილეთაგან 11, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების წარმომადგენელი იყო; მათ გერმანიისა და საფრანგეთის მკვიდრნიც „უმშვენებდნენ მხარს“. ტრანსვესტიტებსა და ტრანსსექსუალებს შორის საერთაშორისო კონკურსის დედოფლად ტაილანდელი „ჯოგონა“ ტრიჩადა პეტჩარატი აღიარეს.

"ბედნიერი" ნომერი 215 ათას დოლარად

პეკინის მკვიდრმა თავისი მობილური ტელეფონისთვის სპეციალურ აუქციონზე შეიძინა „ბედნიერი“ ნომერი – 133-3333-3333, რომლისთვისაც 215 ათასი დოლარი გადაიხადა. სულ აუქციონზე 8-იანების, 6-იანებისა და 9-იანების კომბინაციით შედგენილი 100 სატელეფონო ნომერი იყო გამოტანილი და მათი გაყიდვით ამონაგებმა თანხამ 859 ათასი დოლარი შეადგინა. რაც შეეხება ყველაზე ძვირად ღირებულს – საქმე ის გახლავთ, რომ ჩინური ტრადიციის თანახმად, სამიანი განსაკუთრებულად ბედნიერ ციფრად ითვლება, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ ნომერში ბევრი სამიანია, მის მფლობელს ბედნიერებაც „მეტი შეხვდება“. სანუკვარი ნომრის მყიდველის ვინაობა უცნობი დარჩა. მაგრამ მას მაინც, ამ ნომრით სარგებლობის დიდი ხნით გადაღება მოუწევს, რადგან მასზე დარეკვის მსურველთა რაოდენობა საკმაოდ დიდია...

ფოტოკუჩიოზები



ნუ აჩუქებთ პომადას დიდი ხნის უნახავ პირველ სიყვარულს,

რატომ? – შეიტყობთ

აკა მორჩილაძის ახალ მოთხრობაში

b 104/42

ლიტერატურული პოლიფრა

120 გვერდი!

- ჯანდაც ამბობენ
  რაც იყო
- ინსკენი რომეოსნი
  ო, ეს საყვარელი ტელეღიპუცები!
- აკა მორჩილაძე
  ეკოტერინოს ნაჩუქარი ვითომ სულისშემძვრელი თავგადასავალი
- ოლია ოთხვრიანი
  ბღაპრად გაუგონარი ბღაპრები
- მარინა აკუნინი
  თურქული გამბიტი (კაშუშური დეტექტივი)

  პოეზია:
  - ბერიკ ხარანაული
  - ზაზა ოდარაძე
  - გაგა ნახუცრიშვილი

ქურნალის გამოწერა შეგიძლიათ ტელეფონით 33-26-73

№2, ნოემბერ...

უკვე ნაიკითხეთ?